მ. ი. ბუიანოვი

უჩვეულო ხასიათები

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1937

51.1
612.8
ბ 959

ავტორი მრავალ წლის მდიდარი გამოცდილების საფუძველზე დაწერილებით გვაცნობს თანამედროვე ფსიქოლოგიის ზოგიერთ საკითხს. კერძოდ, უჩვეულო ხასიათების სამედიცინო-ფსიქოლოგიურ საწყისებს. აქვე აღწერილია მოსაზღვრე პათოლოგიის ისეთი პრობლემები, როგორიცაა ხასიათის დარღვევა, ნეიროზის ზოგიერთი სახეობა, ლოთობა, ეპვიანობა და სხვ.

წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის.

თ ა რ გ მ ნ ა თ. მგელაძემ

რეცენზენტი მეცნიერებათა აკადემიის
დ. ნ. უზნაძის სახელობის
ფსიქიატრიის ინსტიტუტის ფსიქო-სომატური პრობლემების
ლაბორატორიის გამგე, ფსიქოლოგიის მეცნ. კანდ.
ა. ვ. გრიგოლავა

ავტორმა ამ წიგნის ჰონორარი გადარიცხა 1987 წელს სტიქიით დაზარალებული დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის დახმარების ფონდში.

4124030600—182
Б ——————— 113—87
М 601 (08)—87

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1987

დიალოგი ლექციის წინ

საქართველოში ყოველწლიურად უამრავი ტურისტი და დამსვენებელი ჩამოდის, სამკურნალოდაც ბევრი მოემგზავრება, რადგან ეს მშვენიერი რესპუბლიკა საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჯანმრთელობის საკავშირო კერად გადაიქცა. მე ბევრჯერ ვყოფილვარ საქართველოში როგორც ექიმი, როგორც ლიტერატორი, საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორი და მუდამ ვხედავდი საქართველოს მკვიდრი მოსახლეობისა თუ ჩამოსული სტუმრების უჩვეულო დაინტერესებას ფსიქოლოგიური ინფორმაციით. მით უფრო — სხვადასხვა მეცნიერების ურთიერთდამოკიდებულების საკითხებით. საგულისხმოა, რომ ეს ხდება რესპუბლიკაში, რომლის ფსიქოლოგთა შრომებიც მთელ მსოფლიოშია ცნობილი! სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ძალზე დიდია მკითხველთა მოთხოვნილება სამეცნიერო-მხატვრულ ლიტერატურაზე, ადამიანის თვითშეცნობის არსებით საკითხებს რომ გააშუქებდა. საეჭვოა ახლო მომავალში მოხერხდეს ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება საქართველოში, სადაც სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე უამრავი მოგზაური და დამსვენებელი იყრის თავს.

ჩვეულებრივ ლექციის წინ ჩემსა და მსმენელს შორის დაახლოებით ასეთი დიალოგი იმართებოდა:

— ვიამბეთ, თუ შეიძლება, ფსიქოლოგიის, ფიზიოლოგიის, სოციოლოგიის, პედაგოგიკისა და მედიცინის პრობლემების ურთიერთდამოკიდებულებაზე. თქვენ ხომ ფსიქიატრი ხართ, თანამედროვე ფსიქიატრია კი, ასე ვთქვათ, ადამიანის ცოდნის ბევრ დარგს აერთიანებს.

— მართლაც, თანამედროვე ფსიქიატრია ის აღარ არის, რაც წინათ იყო. უკანასკნელი 10—15 წლის მანძილზე მან ბევრი მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოიპოვა. თქვენ რომ მთხოვთ მოგითხროთ, მედიცინის განსაკუთრებული, ეგრეთ წოდებული მოსაზღვრე პათოლოგიის პრობლემებია, რადგან ისინი, ასე ვთქვათ, ნორმისა და პათოლოგიის ზღვარზე განიხილება. ამასთან მეტწილად თვით ადამიანზე — მის ნებისყოფაზე, მოთმინებაზე, საღ აზროვნებაზე, თავდაცვის ინსტინქტზე — არის დამოკიდებული, საზღვრის რომელ მხარეს აღმოჩნდება იგი, რა იქნება — ავადმყოფი თუ ჯანმრთელი. ცხადია, ზოგჯერ გარემოება ინდივიდუალურ

სურვილზე უფრო ძლიერია, მაგრამ ამგვარ შემთხვევებშიც ადამიანს მაინც რჩება თავისუფალი არჩევანის მინიმალური შესაძლებლობა.

— მაშასადამე, ასეთი მდგომარეობა ადამიანთა არასრულყოფილი ურთიერთდამოკიდებულების შედეგია, რომ პიროვნებას სოციალურ მიკროსამყაროსთან ჰარმონიული თანაარსებობის უნარი არ გააჩნია. ამ უუნარობაში ზოგჯერ თვით პიროვნებას მიუძღვის ბრალი, ზოგჯერ კი— საზოგადოებას.

— სრული სიმართლეა. სწორედ ამიტომ მოსაზღვრე დაავადებებს შეისწავლიან პედაგოგები, ფსიქოლოგები, სოციოლოგები, ფილოსოფოსები და ა. შ. და გულახდილად რომ ითქვას, მათ დიდი სარგებლობაც მოაქვთ ასეთი ადამიანებისათვის.

— რა მიგაჩნიათ მოსაზღვრე პათოლოგიად?

— ხასიათის მოშლა, ნევროზის ზოგიერთი სახეობა, ლოთობა, ეჭვიანობა და კიდევ ბევრი, ბევრი რამ. ზოგიერთი აშლილობა კარგადაა აღწერილი და სისტემაში მოყვანილი, ზოგი კი სრულიად შეუსწავლელია და პათოლოგიად მათი მიჩნევა დავასაც კი იწვევს. ერთი რამ ცხადია: პიროვნების ყველა ამ დეფექტისა და სოციალურ გარემოსთან მისი ადაპტაციის სირთულის დასაძლევად რამე უნდა ვიღონოთ.

— მაინც რა?

— თუ გსურს ადამიანს დაეხმარო, უნდა შეეცადო, რომ მისი ინდივიდუალური ცხოვრება ბედნიერი იყოს, რომ გარემო არ სტანჯავდეს მას, ადამიანი თავის თავთან და საზოგადოებასთან თანხმობით ცხოვრობდეს, რომ...

— ეს ხომ მედიცინის ამოცანა არ არის, ეს ზოგადსაკაცობრიო საკითხებია. ბედნიერებას ყველა ესწრაფვის, ასევე ყველას უნდა მშვიდობა და ადამიანთა შორის ჰარმონიული დამოკიდებულება.

— კაცობრიობაზე დაე პოლიტიკოსებმა, იდეოლოგებმა და მეცნიერებმა იზრუნონ. რაც შეეხება ექიმებს, ისინი კაცობრიობას კი არა, ცალკეულ ადამიანებს ეხმარებიან. სოციალური ჰარმონია თვით ადამიანებზეა დამოკიდებული და არა ექიმებზე. და რაკი ასეა, მაშასადამე, თვით ადამიანებმა უნდა შექმნან იგი.

— ახლა გასაგებია, რას მოვისმენთ ლექციაზე. მსმენელებს, ცხადია, ინფორმაცია აინტერესებთ არა ინფორმაციისათვის, არამედ როგორც ამ ზღვრული მდგომარეობის თავიდან აცილების საშუალება. და აქ ამოცანა იმდენად უტილიტარული არ არის (რა უნდა იღონო იმისათვის, რომ არ გიმტყუნოს ნებისყოფამ და ჯანსაღმა აზრმა), რამდენადაც მეცნიერულ-პოპულარული. ესე იგი, უნდა მოგვითხროთ, როგორ განიხილავს თანამედროვე მეცნიერება ამა თუ იმ მოვლენას და რა წარმატე-

ბებია მოპოვებული უჩვეულო ხასიათების შესწავლის საქმეში. დიახ, ბარემ გვითხარით, რა არის უჩვეულო ხასიათი?

— ეს სამედიცინო ცნება არ არის. მასში გაერთიანებულია როგორც ჯანსაღი, ასევე არანორმალური ხასიათები. ზოგიერთ მათგანზე დაწვრილებით მოგითხრობთ, ზოგს კი მხოლოდ გაკვრით შევეხები. ყოველგვარი ხასიათი ადამიანს ამა თუ იმ ქცევისათვის განაწყობს, ამიტომ იმაზეც მოგითხრობთ, თუ რა ქმედება წარმოიშობა გარკვეული ხასიათის ფონზე: აქ ხომ ყველაზე უცნაური სიუჟეტებია მოსალოდნელი.

„ნუ ვიჭნებით ცრუმორწმუნენი და ცალმხრივნი“

დიდი ხნის წინათ ხელში ჩამივარდა იური კაზაკოვის წიგნი „კაბიასები“. მისი გმირი — ჭაბუკი ეუკოვი, სასოფლო კლუბის ხელმძღვანელია. ერთ საღამოს მან მეზობელი სოფლისაკენ გასწია. გზად დარაჯი შემოხვდა და საუბარში უთხრა: ამ მიდამოებში ბინადრობენ კაბიასები — ეშმაკისა თუ ჯუჯის მსგავსი არსებანი, რომლებიც თავიანთი ანცობით გამვლელ-ვამომვლელთ აშინებენო. ყმაწვილ კაცს გაეცინა გაუნათლებელი მოხუცის ცრუმორწმუნეობაზე, მაგრამ როცა გზამ ტყეზე გადაუხვია, რატომღაც გაახსენდა მოხუცის ნაამბობი და მალე იგრძნო კიდეც, რომ კაბიასები სადღაც იქვე იყვნენ: თითქოს აშკარად ჩაესმოდა მათი ნაბიჯების ხმა და სიცილი, თითქოს მათ ოინებსაც ხედავდა. სუნთქვაშეკრული ჭაბუკი ნელა შებრუნდა და ფარდული შეათვალიერა. მოეჩვენა, რომ მისი სახურავი ჰაერში ეკიდა, ღიობში კი ვარსკვლავებიანი ცა მოჩანდა. მერე სახურავი ძელებზე დაეშვა და ფარდულის მხრიდან ფეხების ბაკუნით ვიღაც გაიქცა მინდვრისაკენ, თან ყრუდ გაჰკიოდა: ოო!.. ოო!.. ოო!.. ეუკოვს თმა ყალყზე დაუდგა და განზე გახტა. „ცუდად არის ჩემი საქმე!“ — გაივლო გულში.

კაბიასები, ეშმაკები, ჯუჯები, ფუძის ანგელოზები და სხვა ამგვარი ხალხური ფანტაზია უწყინარი თამაშია ბავშვებისათვის, მაგრამ როცა საქმე მოზრდილ ადამიანებს ეხება, ეს უკვე ცრუმორწმუნეობაა. პირველ ქრისტიანებს ცრუმორწმუნეობა ფუჭ, ამაო რწმენად მიაჩნდათ, მას რელიგიას არ უკავშირებდნენ. მათთვის ცრუმორწმუნეობა წარმართობის გადმონაშთი იყო და ამიტომ ცრუმორწმუნე ადამიანებს სდევნიდნენ. მაგრამ დროთა განმავლობაში ცრუმორწმუნეობა თანდათან შეერწყა რელიგიას, მისი ნაწილი გახდა და ანტაგონიზმის ნაცვლად მათ შორის მჭიდრო ურთიერთობა დამყარდა.

არსებობს ცრუმორწმუნეობის გნოსეოლოგიური, იდეოლოგიური, გეოგრაფიული, ზოგადსაკაცობრიო და სხვა ფესვები. ჩვენ პირველ რიგში გვაინტერესებს სამედიცინო-ფსიქოლოგიური ფესვები, ესე იგი, ხასიათის რა თვისება განაწყობს ადამიანს ცრუმორწმუნეობისადმი, რა წარმოშობს მას. ჭარბმა მგრძნობელობამ, მიმნდობლობამ, ვიწრო თვალსაწიერმა, პრიმიტიულმა აზროვნებამ, ზოგიერთმა სულიერმა განცდამ არ შეიძლება ხელი არ შეუწყოს ზებუნებრივი მოვლენებისადმი რწმენის წარმოქმნას. შემთხვევითი არ არის, რომ კაბიასებს და სხვა უსხეულო სულებს თითქმის ყოველთვის ძალზე ემოციური ადამიანები ან მარტოხელა ქალები ხედავენ.

ბავშვებისათვის დამახასიათებელია თამაში. თამაშის დროს ისინი ეცნობიან სამყაროს და მასთან შეგუებას სწავლობენ. რაც უფრო პატარაა ბავშვი, მით უფრო ნაკლებად მიჯნავს იგი ერთმანეთისაგან რეალურსა და გამონაგონს. ხშირად ბავშვი ისე ერწყმის თამაშს, რომ არ შეუძლია თავისი თავი განასხვაოს ზღაპრის პერსონაჟისაგან, რომელსაც იგი ასახიერებს. რამდენიმე დღისა და ხანდახან კვირის მანძილზეც ასეთი ბავშვი, მაგალითად, ძაღლივით ან კატასავით იქცევა. ასეთი გარდასახვა უმტკივნეულოდ როდი ხდება. მშობლები გრძნობენ ამას და ბავშვი ექიმთან მიჰყავთ. ფსიქოთერაპიული ან მედიკამენტური ჩარევის შედეგად ასეთი ბავშვები, ჩვეულებრივ, იოლად უბრუნდებიან რეალობას. თუ ბავშვი მეტისმეტად ფანტაზიორობს, უფროსები ამას, როგორც წესი, მეოცნებეობად მიიჩნევენ და არად აგდებენ. მაგრამ თუ კაბიასებზე საუბარს წამოიწყებს მოზარდი, რომელმაც კარგა ხანია გადააბიჯა იმ ასაკს, როცა ფანტაზიები ნორმად ითვლება, ასეთ შემთხვევაში ზოგი უფროსი იბნევა, ზოგიერთს კი ახალი ბარონ მიუნჰაუზენისა სჯერა.

როგორ მოზარდებსა და ახალგაზრდებს აქვთ უზომო ფანტაზიისადმი მიდრეკილება? ამ კითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხი არსებობს: გადაჭარბებული ფანტაზიისადმი პირველ რიგში მიდრეკილნი არიან ის მოზარდები, რომელთაც ემჩნევათ ფსიქიკური მოუმწიფებლობის ნიშნები — ე. ი. ისინი, ვინც ფსიქიკური თვალსაზრისით ჩამორჩებიან თავიანთ თანატოლებს, ვინც ბავშვური განვითარების დონეზე დარჩნენ. ფსიქიკური ინფანტილიზმი უმთავრესად ეხება ემოციურ-ნებელობით პროცესებს, ინტელექტი კი სულ სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს, ზოგჯერ ძალზე მაღალიც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ასეთი ადამიანი შეიძლება ჭკვიანი და ნაკითხია, ირგვლივ მყოფთა სიმპათიასაც იწვევს, მაგრამ ვერ ახერხებს პირადი წარმოსახვის დაოკებას და თავგამოდებით ჰყვება ისეთ ტყუილებს, რომელთა დაჯერება მხოლოდ უვიც ანდა მიამიტ ადამიანებს შეუძლიათ. თვითონ გამონაგონის ავტორიც იჯერებს

ზოგჯერ თავის ნათქვამს და ამიტომ მისი ნაამბობი გარეგნულად ხშირად სავსებით დამაჯერებლად ჟღერს. აი სწორედ ამ დროს წამოეგებიან ხოლმე უფროსები ასეთი ფანტაზიორების ანკეტაზე, ფეხქვეშ ნიადაგი ეცლებათ და ყოვლად უბირ აზრებს ავრცელებენ. აქ დიდ როლს ასრულებს განწყობის მექანიზმი, რომელიც პირველად დაწვრილებით აღწერეს ქართველმა ფსიქოლოგებმა პროფესორ დ. ნ. უზნაძის ხელმძღვანელობით. ეს მდგომარეობა შემდეგი გამოთქმით შეიძლება გამოვხატოთ: „ვინც ეძებს, პოულობს კიდეც“. ამის გამო თანამედროვე მიუნჰაუზენების ფანტაზია, ჩვეულებრივ, იმათ წარმოსახვას უფრო აღიზიანებს, ვინც თვითონ ესწრაფვის სასწაულებს და იმედოვნებს, რომ მალე იხილავს მათ. მერე კი იწყება უსასრულო ვარაუდები, ყოყმანი, იქმნება კონცეფციები. ასეთთა შორის ხვდებიან წინათ კრიტიკულად განწყობილი ადამიანებიც — ამ დროს ზოგჯერ ფსიქიატრის დახმარება აუცილებელია.

მდიდარი წარმოსახვა და ჭარბი ემოციური განცდები ხშირად ხელს უწყობს ორი ფენომენის წარმოქმნას — ილუზიებს და წარმოსახვის ვიზუალიზაციას. ორივე მოვლენა თანდათან იქცევა ბოდვის მსგავსი ფანტაზიის განვითარების მექანიზმად.

ვთქვათ, ადამიანი სახლში მივიდა. დაქანცულია. მისი ფიქრი კვლავ სამუშაოს ან მეგობართან უთანხმოებას დასტრიალებს. იგი ცუდად განათებულ ოთახში შედის და თავზარდაცემული უკან გამორბის. მაგიდაზე ვეება გველგესლას ხედავს. ჯოხს მოიმარჯვებს. ფიქრობს, სინათლით დავაბრმავებ და უფრო მარჯვედ დავარტყამო. ჩართავს სინათლეს: მაგიდაზე შარფი დევს. სარკეში იხედება და ძლივს ცნობს თავს: ფერმკრთალია, შეშინებული. მხოლოდ ნიტროგლიცერინი გვრის შვებას. მრავალი წლის მანძილზე ვერ ივიწყებს ამ ილუზიას, ესე იგი სინამდვილის მცდარ აღქმას: შარფი გველგესლად მიიჩნია. არსებობს სხვაგვარი ჰალუცინაციებიც, როცა ადამიანი ხედავს, ისმენს და გრძნობს იმას, რაც ნამდვილად არ არსებობს.

კაზაკოვის ნაწარმოების გმირის ამბავი წარმოსახვის ვიზუალიზაციაა, ესე იგი ისეთი შემთხვევაა, როცა ცოცხლდებიან, თითქოს რეალობად იქცევიან ფანტასტიკური სახეები, ლიტერატურული პერსონაჟები, სხვადასხვა ზღაპრული სიტუაციები. მაგალითად, ბავშვს თუ ბევრი რამ წაუკითხავს სახურავის ბინადარ კარლსონზე, სჯერა, რომ ის მართლაც სახურავზე ზის. შთაბეჭდილებიანი და მდიდარი წარმოსახვის მქონე ზოგიერთი ბავშვი კი გარწმუნებთ, ნამდვილად ეხვდები კარლსონსო. უფროსებმა, რა თქმა უნდა, იციან, რომ არავითარი რეალური კარლსონი არ არსებობს და ხელს არ უშლიან ბავშვებს ამ თამაშში. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველას არ ესმის ეს და ზოგი მტკიცედაა დარწმუნებული,

რომ კარლსონები (ფუძის ანგელოზები, ეშმაკები, კაბიასები და სხვ. — ამ შემთხვევაში ეს სულ ერთია) მართლა არსებობენ.

უნდა დავუშალოთ თუ არა ბავშვებს ასეთი თამაში? სკოლამდელი ასაკის ბავშვებს — არა, დაე ითამაშონ, გაერთონ და მოირგონ ნაირ-ნაირი სოციალური როლები. 6-7 წლის ბავშვების უმრავლესობას კი თავისთავად ეკარგება ასეთი გართობის სურვილი: მათ უკვე იხიდავთ რეალური ცხოვრება, სადაც ადგილი აღარ რჩება კარლსონებისათვის.

ილუზიები, წარმოსახვის ვიზუალიზაცია და ბევრი სხვა ფენომენი ყოველთვის სულიერი ანომალია როდია. მაგრამ ჭარბი ფანტაზიისა და ნაკლები ინტელექტუალური კონტროლის მქონე ადამიანში, მოდას აყოლილი არაჯანსაღი აჟიოტაჟის წყალობით, ყველაფერმა ამან შეიძლება შეუმჩნევლად გადალახოს ნორმის საზღვარი*. კერძოდ, ამან და მისმა მსგავსმა ფენომენებმა შეიძლება ხელი შეუწყოს ეგრეთ წოდებული ინდუცირებული შეშლილობის წარმოშობას. როცა გამოუსწორებელი მთხზველებისა და აშკარად ავადმყოფი სუბიექტების გავლენით, ასობით და ათასობით ჯანმრთელ, მაგრამ ძალზე მიმნდობ და სასწაულს ნოწყურებულ ადამიანს ჩაუდენია საშიში ქმედებანი, მათ შორის მასობრივი თვითმკვლელობაც. ძველად ადამიანებს შიშს გვრიდა სამყაროს აღსასრულის მოლოდინი და სხვა კოშმარული მოვლენები. ზოგს ნერვები ღალატობდა და ეწყებოდა ჰალუცინაციები: თითქოს აშკარად ხედავდა ქვეყნის აღსასრულის რეალურ ნიშნებს. ერთი არაჯანსაღი ან ავადმყოფობის ზღვარზე მყოფი ადამიანი აღაგზნებდა მიმნდობ, მორჩილ ანდა პრიმიტიულ ადამიანებს და ათასგვარ განსაცდელში გაიყოლიებდა მათ.

შვენს განათლებულ დროში ავადმყოფური მოვლენების ან სასწაულების თემატიკა განსხვავებულია წინანდელთან შედარებით. ფუძის ანგელოზები და ნაირ-ნაირი უწმინდური ძალები სხვაპლანეტელებმა და თანამედროვე ცივილიზაციის სხვა ატრიბუტებმა შეცვალა. რა თქმა უნდა, ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ყველა, ვისაც სჯერა (აქ საქმე ეხება რწმენას და არა არგუმენტებს, რადგან არამიწიერი ცივილიზაციების არსებობის და მით უფრო მათ მიერ ჩვენს დღეებში დედამიწის მონახულების რეალური, ხელშესახები დამამტკიცებელი საბუთი ჯერჯერობით არ არსებობს) ჩვენი ცივილიზაციის პარალელურად სხვა ცივილიზაციების არსებობა (არა ოდესღაც, არამედ ახლა). ფსიქოლოგის ან, მით უფრო,

---

* აღსანიშნავია, რომ ამა თუ იმ ინფორმაციის სიჭარბე-ნაკლებობას ან არასწორ აღქმას შეუძლია წარმოშვას სხვადასხვაგვარი დარღვევები და პირველ რიგში ნევროზები. ნევროზების ინფორმაციული თეორია სწორედ ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა (ს. ვ. სიმონოვი, მ. მ. ხანანაშვილი და სხვ.). ნევროზებს დაწვრილებით ქვემოთ განვიხილავთ.

ფსიქიატრის კონსულტაციას საჭიროებდეს. მე ვლაპარაკობ მხოლოდ ბოდვით თემატიკაზე ან არანორმალურ ფანტაზიებზე (როცა ადამიანურ შეცდომებზე ვსაუბრობთ, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს დელვიგისადმი პუშკინის წერილის სიტყვები, რომლებიც ამ თავის სათაურად გამოვიყენეთ). ცხადია, შეუსწავლელი, მაგრამ რეალურად არსებული ან ნავარაუდევი ფენომენები „დამნაშავენი" არ არიან, რომ მათ არაჯანსაღი სუბიექტები თავიანთ ბოდვაში იყენებენ.

ადამიანის გონება ახლის აღქმის კვალობაზე ყოველთვის წარმოშობს ბევრ ახალ პრობლემას. რომელთაც ადრე ყურადღებას არ აქცევდა. ამიტომ ახლის ძიება უსასრულოა. სამყარო შეცნობადია, მაგრამ ცივილიზაციის განვითარების ყოველ ცალკეულ ეტაპზე მუდამ იჩენს თავს ბევრი გაუგებრობა, ადამიანთა მომავალი თაობები რომ შეისწავლიან. მაგრამ მაშინაც კი, როცა რაღაც გამოკვლეულია. მალე როდი იქცევა ის ყველა ადამიანის საკუთრებად. ჩვენს დღეებშიც კი — გასულ საუკუნეებთან შედარებით წარმოუდგენელ აღმოჩენათა ეპოქაში — კაცობრიობის თითქმის ნახევარი უწიგნურია და არ შეუძლია ცივილიზაციის სიკეთით სარგებლობა. წიგნიერ და თვით განათლებულ ადამიანთა მორისაც ბევრია ისეთი, რომელთა ცოდნის თვალსაწიერი სამყაროს შესახებ ბულვარულ და დეტექტიურ რომანებში ამოკითხული წარმოდგენებითაა შეზღუდული. ეს ყველაფერი ხელს უწყობს ცრუმორწმუნეობის წარმოშობას.

ასეთი დასკვნის პასუხად ზოგიერთი ადამიანი ჩაიქირქილებს: თუ ცრუმორწმუნეობა ნაკლებად განათლებულ ადამიანთა პრივილეგიაა. მაშინ რატომ იყო ცრუმორწმუნე ბევრი დიდი ადამიანი, ბევრი გენიალური მეცნიერიო? მათი ინტელექტი ხომ აღსავსე იყო მრავალგვარი მოწინავე ინფორმაციით, რაც გამორიცხავდა ყოველგვარ ცრუმორწმუნეობას?

დიახ ალბათ გენიოსთა შორის ნაკლები არ იყვნენ ცრუმორწმუნენი, ვიდრე უმეცართა და გაუნათლებელთა შორის. პუშკინს, მაგალითად. თაკის დროისათვის საკმაოდ ცრუმორწმუნე ადამიანად თვლიდნენ. მართალია, თვითონ გმობდა ცრუმორწმუნეობასა და შეზღუდულობას, მაგრამ იმავე დროს მტკიცედ ასრულებდა ცრუმორწმუნეობრივ ჩვეულებებსა და ადათ-წესებს. მხოლოდ ერთადერთხელ დაარღვია ჩვეული წესი — დანტესთან სასიკვდილო დუელის დღეს. რაზე მეტყველებს ეს? იმაზე, რომ ცრუმორწმუნეობა შემთხვევითი არ არის და იგი რეალისტურია? მე თავს ვარიდებ კატეგორიულ პასუხს. პუშკინი უნიკალური მოვლენაა, ცხადია, მეცნიერება ოდესმე გასცემს პასუხს ამ კითხვას. მაგრამ დღეს მას ძალა არ შესწევს ახსნას გენიალობის არსი. გენეტიკოსები, რომლე-

ბიც ცდილობენ ყველაფერი მხოლოდ მემკვიდრეობითობით ახსნან, ახლა მიყუჩდნენ და აღარ ამტკიცებენ, გენია გენების ამოუცნობი კომბინაციის შედეგია და გენიოსები მხოლოდ ნიჭიერ ოჯახებში იბადებიანო. გენიოსები სრულიად სხვადასხვაგვარ ოჯახებში იბადებიან და გენიალობა (თვალის ფერისა და სისხლის ჯგუფისაგან განსხვავებით) არასოდეს გადაეცემა მემკვიდრეობით. დღეისათვის აღრიცხულია პუშკინის ორასზე მეტი მემკვიდრე, მაგრამ არც ერთ მათგანს არ ჰქონია გენიალობის ჩანასახი, და ისინი გენიალური ადამიანის მემკვიდრეები რომ არ ყოფილიყვნენ, არც ერთი მეცნიერი და პუბლიცისტი მათზე ყურადღებას არ გაამახვილებდა.

რაკი გენიალობა უნიკალური და განუმეორებელი მოვლენაა, ასეთი ადამიანის ქცევის ფორმებიც შეიძლება განუმეორებელი და გაუგებარი იყოს ჩვეულებრივი ადამიანისათვის. გარდა ამისა, გენიოსი მუდამ თავისი ეპოქის პირმშოა და ხშირად ამა თუ იმ მცდარ აზრსაც იზიარებს. ამასთანავე გენიოსის ცხოვრება ყველას თვალწინ მიდის და მისი ნებისმიერი საქციელი სრულიად განსხვავებულ ადამიანთა ყურადღებას იზიდავს, მერე კი მათი უმეტესობა ტოვებს მემუარებს, რომლებშიც ზოგჯერ დამახინჯებულად, ფრაგმენტულადაა აღწერილი პირადი შთაბეჭდილებანი, ყურმოკრული ამბები და ნიჭიერ ადამიანზე გავრცელებული გამონაგონი. ყველაზე მეტი სიცრუე კი სწორედ გენიოსებზე ვრცელდება. მაგრამ თავი დავანებოთ გენიოსებს და ჩვეულებრივ ადამიანებზე ვილაპარაკოთ. ისინი ხომ ჩვენი პლანეტის 99%-ს შეადგენენ. სწორედ ეს ადამიანები იწვავდნენ და იხრჩობდნენ თავს სამყაროს აღსასრულის შოლოდინით: ასეთ ცდომილთა შორის გენიოსები არასოდეს ყოფილან.

ფუძის ანგელოზები თუ სხვაპლანეტელები?

ასი თუ ორასი წლის წინათ და უფრო ადრეც იცოდნენ, რომ ფუძის ანგელოზები ფანტაზიის ნაყოფია, წარმოსახვის თამაშია, რომელსაც სერიოზულად აღიქვამენ მხოლოდ მდიდარი ემოციის (პოეტები კი სწორედ ასეთებს მიეკუთვნებიან) ან სასწაულების მოყვარული ადამიანები. ხანაც თავის მოწონების სურვილით შეპყრობილი პირები. იშვიათად თუ უფიქრიათ ფუძის ანგელოზებზე, როგორც რაღაც რეალურზე. ვარაუდობდნენ. რომ კოსმოსში ადამიანის გაფრენა და მეცნიერების სხვა უდიდესი აღმოჩენები საბოლოოდ დაასამარებდა რწმენას ფუძის ანგელოზთა შესახებ, მაგრამ ასე არ მოხდა. მართალია დღეს ჩვეულებრივ ადამიანთა დიდ უმრავლესობას აღარ სჯერა ფუძის ანგელო-

ზების არსებობა. მაგრამ ზოგი მათ სხვა პლანეტებიდან მოსულ უხილავ არსებებად მიიჩნევს, რომლებიც უთვალთვალებენ და ამასხარა-ვებენ ადამიანს, ხოლო როცა ეს მობეზრდებათ, მშვიდად ტოვებენ საცხოვრებელს. სხვაპლანეტელთა იდეის თაყვანისმცემელთაგან ზოგი იმ აზრსაც იზიარებს, რომ ჩვენს დროში ფუძის ანგელოზთა ცრურწმენის წინააღმდეგ ბრძოლა, არამიწიერი ცივილიზაციების იდეის წინააღმდეგ ბრძოლას ნიშნავსო. აი სადამდე მიდის საქმე!

რა საჭიროა ოინბაზობა: არამიწიერი ცივილიზაციები არამიწიერი ცივილიზაციებია, ფუძის ანგელოზები კი ფუძის ანგელოზებად რჩებიან. ყველაფრის ვარაუდი შეიძლება, მაგრამ მას დამტკიცებაც უნდა. ფუძის ანგელოზებსა და სხვაპლანეტელთა შორის კავშირს მტკიცე არგუმენტები სჭირდება. კერძო საუბრებსა და საჯარო ლექციებზე მრავლად შეხვდებით უგუნური მსჯელობის მაგალითებს, როცა პათოლოგიური მატყუარების ან სულით ავადმყოფთა ნაამბობს იმეორებენ, მოჰყავთ ილუზიის, ჰალუცინაციის, ბოდვითი ფანტაზიის მაგალითები და ყველაფერ ამას არამიწიერი ცივილიზაციების არსებობის დასამტკიცებლად იყენებენ. მე არა ვარ იმ ჰიპოთეზის წინააღმდეგი, არამიწიერი ცივილიზაციების არსებობას რომ ვარაუდობს. იქნებ ოდესღაც, ან, შესაძლოა, დღესაც ცხოვრობენ სხვა პლანეტებზე რაღაც არსებანი, რომელთაც უნარი შესწევთ ხელშესახები და ფიქსირებული კონტაქტი დაამყარონ მიწიერ არსებებთან, მაგრამ ამას მტკიცე არგუმენტები სჭირდება. გულმოდგინედ უნდა შეირჩეს ასეთი ჰიპოთეზის სასარგებლო ფაქტები, არ უნდა გავიმეოროთ ყოველგვარი სისულელე, რასაც სულით ავადმყოფები ან თავის გამოჩენის სურვილით შეპყრობილი ადამიანები ჰყვებიან.

ზოგჯერ ისეთ ადამიანებსაც შეხვდებით (მეტწილად ინფანტილური ტიპის მოზარდებს, მარტოხელებს ანდა მარტოობით გატანჯულ ავადმყოფ მოხუცებს), რომლებიც ამტკიცებენ, რომ ურთიერთობა აქვთ სხვაპლანეტელებთან, რომ ეს უკანასკნელნი მათ ოთახებში ცხოვრობენ და ა. შ. ასეთ აბდაუბდას თავდაპირველად არავინ იჯერებს, მაგრამ შემდეგ ეს ადამიანები პოულობენ სწორედ ასეთი ამბის მოსმენის მსურველთ: მოთხოვნა წარმოშობს მიწოდებას. მერე ამ პროცესის წარმართვა უკვე შეუძლებელი ხდება, მითქმა-მოთქმა მატულობს და სულის შემაძრწუნებელი ისეთი წვრილმანი ჩნდება, რომ საღად მოაზროვნე ადამიანსაც შეიძლება თავგზა აებნეს.

ამ სტრიქონების ავტორს ბევრჯერ შეუსრულებია ერთგვარი ექსპერტის როლი იმ საკითხის გადაწყვეტისას: რამდენად შეესატყვისება სიმართლეს სხვაპლანეტელთა არსებობის ფაქტი, თუ ეს ამა თუ იმ ადამიანის ფანტაზიის ნაყოფია. ჩემს ნაცნობ-მეგობართა შორის ბევრია და-

ინტერესებული ტელეპათიით, ექსტრასენსებით და სხვ. ზოგი ჩემთან მოდის სამკურნალო ჰიპნოზის სეანსებზე, რომლებსაც უკვე ოცი წელია ვატარებ ექიმთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტში ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოთერაპიის სპეციალისტებისათვის.

ბევრი მათგანი რჩევას მთხოვს, სურს დავეხმარო ამა თუ იმ ფსიქოლოგიური მოვლენის გარკვევაში. ამის გამო ხშირად ვმდგარვარ ათასგვარი იდეური ქარიშხლის ეპიცენტრში. მოგითხრობთ ერთ ამბავს. რომელიც ზოგადად გაშუქებული იყო 1983 წლის 10 თებერვლის „კომსომოლსკაია პრავდაში“ სათაურით „კარლსონი დაბრუნდა?“ გაგაცნობთ ამ ამბის ძირითად სიუჟეტურ ხაზს.

ერთხელ მთხოვეს საავადმყოფოში მენახა 14 წლის პაციენტი. რომელსაც ბევრი სამეცნიერო-ფანტასტიკური ლიტერატურა წაეკითხა და ამით თავსატეხი გაეჩინა სავსებით სერიოზული ადამიანებისათვის. ბიჭუნას ფანტაზია მაისის ნიავივით იცვლებოდა. დაბეჯითებით აცხადებდა. რომ საკუთარი თვალით უნახავს თავის ბინაში მცხოვრები სხვაპლანეტელები, ახლა თვითონაც სხვა პლანეტის ბინადარია. რადგან მოსულებმა ისიც თავის პლანეტაზე წაიყვანეს და ა. შ. ბიჭუნას მშობლებს მალე მობეზრდათ ამ გამონაგონის მოსმენა და შვილს სიცილით ეუბნებოდნენ: „ჯობია კარგად ისწავლო და თავი დაანებო ათასგვარი სისულელის ლაპარაკსო“. როცა დარწმუნდნენ. რომ ასეთმა ჩარევამ შედეგი არ გამოიღო. ბიჭმა სულ მიანება თავი მეცადინეობას და იმდენად შეეისისტემატა, შეთხზულ სიუჟეტებს, რომ მისი დახსნა უკვე შეუძლებელი იყო. მათ ექიმს მიმართეს. გარკვეულ ფორმალობათა და სირთულეების შემდეგ ბავშვი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დააწვინეს. ვიმეორებ, ეს ექიმი და მშობლების (პირველ რიგში დედის — სამედიცინო დის) დაჟინებითი მოთხოვნით.

ბიჭი იმიტომ კი არ გავსინჯე. რომ სხვაპლანეტელებზე ჰყვებოდა (ფსიქიატრთა პაციენტები ყოვლად წარმოუდგენელ ამბებს ჰყვებიან. რომელთა შორის სხვაპლანეტელთა თემები ნაკლებად საინტერესოა და უკვე კარგა ხანია თავი მოაბეზრა ყველას), არამედ მისთვის მკურნალობა უნდა დაგვენიშნა. გადავწყვიტე პაციენტი ლექციაზე მსმენელებისათვის წარმედგინა (ესენი მეტწილად მაღალკვალიფიციური სპეციალისტები იყვნენ) და მათთვის თერაპიის პრობლემებზე დაფიქრების შესაძლებლობა მიმეცა. ლექციაზე ბიჭი ხალისით ჰყვებოდა თავის თავზე, მაგრამ საუბრისას განუწყვეტლივ ერთმანეთში ურევდა დეტალებს. მის ქცევაში ბევრი რამ იყო ბავშვური. ეტყობა, ეს სიმპათიური ყმაწვილი ახლობლებს ამასხარავებდა, ანდა ცხელ გულზე წამოაყრანტალა. სხვაპლანეტელები ენახეო, და ახლა ეთაკილებოდა საკუთარი სიტყვების უარყოფა. ამის

გამო უნდოდა თავისი ვერსია ბოლომდე დაეცვა. მერე მისტიფიკაციაში თავისი დაც ჩართო, თამაში გაუტკბა და უკვე გარეშე პირის დაუხმარებლად თავის დახსნა ვეღარ შეძლო. ასე მოხვდა იგი ექიმთა თვალთახედვის არეში. ასეთ დროს ბევრი რამ არის დამოკიდებული ირგვლივ მყოფ ადამიანებზე: თუ ისინი სერიოზულად მიიჩნევენ ბიჭის ნაამბობს, წააქეზებენ მას და განუმტკიცებენ შეგნებას, რომ იგი განსაკუთრებული მოვლენაა, მაშინ სიკეთეს არ უნდა ველოდეთ.

ამასობაში ბიჭი თავგამოდებით აზვიადებდა მომხდარ ამბებს:

„ჩვენთან მოდიან მეცნიერები, მგონი აკადემიკოსებიც იყვნენ, ისინი იწერენ ჩემს ნაამბობს, საბეჭდ მანქანაზე ამრავლებენ, ყოველგვარი აპარატურით მიკვლევენ, ნემსით თერაპიასაც მიმართავენ. ამბობენ, რომ ისეთი ფენომენი, როგორიც მე ვარ, მსოფლიოში ოთხი-ხუთია...“

ბიჭს აშკარად სიამოვნებდა უფროსების, განსაკუთრებით კი ექიმების ყურადღება. ამხანაგები არც მას და არც მის დას არ ჰყავდა, ოჯახი საკმაოდ იზოლირებულად ცხოვრობდა. თითქოს ამის საკომპენსაციოდ ბიჭი სხვაპლანეტელებზე ნაამბობის წყალობით უფროსთა საზოგადოებაში ტრიალებდა, სადაც ხალხისთვის კარგად ცნობილ პიროვნებებსაც შეხვდებოდით. ბიჭს თითქოს უნდოდა „დაეჯაბნა“ თავისი თანატოლები: „თქვენ ხომ ჩემს ნათქვამს სერიოზულად არ მიიჩნევდით, მეოცნებედ და მატყუარად მთვლიდით, არ გინდოდათ მოგესმინათ ჩემი ნაამბობი არა მარტო სხვაპლანეტელებზე, არამედ ნებისმიერ თემაზე. ახლა ისეთი რამ მოვიგონე. რომ ჩემთან მთელი ქალაქის მეცნიერები მოდიან მოსასმენად... მერე კი მთელი მსოფლიოც მოვა“.

ბიჭი უყვებოდა მეცნიერებს (და ჩემს მსმენელებსაც), რომ სხვა პლანეტებიდან მოსულნი მის ოთახში ადგილს უცვლიან ავეჯს, აქანავებენ ჭაღს, ცეცხლს უკიდებენ ტანსაცმელს, ამტვრევენ გასაღებებსა და თეფშებს და ა. შ.

ერთ-ერთი მსმენელი დაინტერესდა:

— კიდევ ხდება სასწაულები მას შემდეგ. რაც საავადმყოფოში დაგაწვინეს?

— მაშ როგორ! — განაცხადა პაციენტმა, — სხვაპლანეტელები. რასაც უნდათ, იმას სჩადიან: დაამსხვრიეს ჭურჭელი, ოჯახში აღარა გვაქვს არც ერთი ფინჯანი და კოვზი, საჭმელი ვეღარ გვიჭამია, ავეჯი გააფუჭეს. ტანსაცმელი კი დაწვეს.

მოვლენებს გავუსწრებ და ვიტყვი, რომ ყოველივე ეს შეუწყნარებელი გადაპარბება იყო: სახლიდან ბიჭის წამოყვანის შემდეგ „უწმინდური ძალების ოინები“ მაშინვე შეწყდა. რაც შეეხება დამტვრეულ ჭურჭელსა და ავეჯს, ოჯახში არაფერი ფასეული არ გაფუჭებულა.

ყმაწვილი ჰყვებოდა, რომ თვითონაც სხვა პლანეტის მკვიდრია და არაადამიანურ ძალას ფლობს, შეუძლია გონების ძალით გადააადგილოს ნივთები და ა. შ. ექიმი-ფსიქიატრები კარგად იცნობენ ამგვარ პათოლოგიას და იციან, რომ ბავშვები და მოზარდები ხშირად თვითონვე აქანავებენ ჭაღებს, გამოსცემენ ათასგვარ ხმებს და რაღაცას ცეცხლს უკიდებენ, მერე კი საქმის მისაფუჩეჩებლად ისეთ სიცრუეს ჰყვებიან, რომ ძნელია სიმართლის გარკვევა. ფანტაზიორები ასეთ ამბებში იმათაც იმოწმენ, ვინც ვითომ თავის თვალით იხილა სასწაული. ჭეშმარიტება ყოველთვის კონკრეტულია, აქ კი კონკრეტულობა სავსებით უარყოფილია.

ჩვენი საუბრიდან რამდენიმე დღე იყო გასული, რომ პაციენტი სხვა სახის ფანტაზიაზე გადაერთო, რასაც არაფერი ჰქონდა საერთო არამიწიერ ცივილიზაციებთან. მალე მან საავადმყოფოში უსაზღვრო ფანტაზიორის სახელი დაიმკვიდრა. ბიჭი მძიმე ავადმყოფი არ იყო და შეიძლებოდა გაეწერათ კიდეც, მაგრამ ერთი მიზეზი აბრკოლებდა საქმეს. ვიდრე ბიჭი საავადმყოფოში იწვა, ათობით ადამიანი მიდიოდა მისი ბინის დასათვალიერებლად, სადაც სხვა პლანეტის მკვიდრნი „ყოფილან!“ სასწაულებს დანატრებულ მნახველებს არ უნდოდათ იმაზე ფიქრი, რომ მთელი ეს ამბავი ბიჭის გამონაგონი იყო. ბიჭები ხომ ხშირად ფანტაზიორობენ. სიუჟეტები ამისათვის მრავალგვარია: ისინი იმ საზოგადოებასა და ეპოქას ასახავენ, რომელშიც ეს ფანტაზიორები ცხოვრობენ. XX საუკუნის ბოლოს მოდაშია სხვაპლანეტელთა თემა და ბავშვებიც ამაზე თხზავენ ტყუილებს. და ფსიქიატრებთანაც მეტწილად იმის გამო ხვდებიან, რომ მათი ფანტაზია ავადმყოფურია. ისინი სულიერი აშლილობის სხვა სიმპტომებსაც ავლენენ.

ჩემი ნაცნობების დაჟინებითი მოთხოვნით ბიჭის ბინა დავათვალიერე და „კომსომოლსკაია პრავდაში“ წერილი გამოვაქვეყნე. მას შემდეგ ორი წელი გავიდა და ახლა უკვე შეიძლება შეჯამდეს შედეგები. ბიჭი მალე გამოწერეს საავადმყოფოდან და სწავლა განაგრძო სკოლაში, ასაკში რომ შევიდა, თავი დაანება ფანტაზიორობას და ისე იქცევა, ვითომ არაფერიც არ მომხდარა. თითქოს მას კი არა, სხვას აეფორიაქებინოს მთელი ქალაქი დაუჯერებელი ნაამბობით. მაგრამ საზოგადოებას კიდევ დიდხანს ახსოვდა ეს ამბავი. ჩემი სტატიის გამოქვეყნების შემდეგ ზოგიერთი ნაცნობი გამინაწყენდა. მათ არგუმენტაციას ასეთი საფუძველი ჰქონდა: ქალაქში გავრცელებულია მაგნიტოფონური ჩანაწერები, რომლებშიც თვითმხილველები ადასტურებენ ბიჭის მიერ აღწერილი მოვლენების სიმართლეს. ამას ანგარიშს რატომ არ უწევთო.

დავიწყეთ ჩანაწერების შემოწმება. ბიჭის ნაამბობის გარდა მათში ვერაფერი ვერ აღმოვაჩინეთ.

— როგორ შეიძლება ასეთი უნდობლობა? — მამტყუნებდნენ ჩემი ნაცნობები.

— შეიძლება და აუცილებელიცაა, — ვუპასუხებდი მე, — მეცნიერება და ხელოვნება დეტალებისაგან შედგება და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მათი შემოწმება აუცილებელია.

— ეს მართალია, მაგრამ ძალიან გვინდა ვიხილოთ თანამედროვე ბინაში სხვაპლანეტელთა სტუმრობის თუნდაც ერთი დამამტკიცებელი საბუთი, თქვენ კი ამსხვრევთ ამ იმედს...

ზოგიერთები ძალზე ჯავრობდნენ. რაკი მე უარვყოფდი ამ ფაქტის უტყუარობას, მაშასადამე, საერთოდ სხვაპლანეტელთა არსებობასაც უარვყოფდი. და თუ ეს ასეა, ცხადია, რეტროგრადი და კონსერვატორი ვარ. მაგრამ მე ხომ მხოლოდ ამ ბიჭთან დაკავშირებულ ამბებს უარვყოფდი, მთლიანად პრობლემას კი არ შევხებივარ. იქნებ მართლაც არსებობენ სხვაპლანეტელები. თუ მათ აღმოაჩენენ, მხოლოდ მოხარული ვიქნები. მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში არავითარ სხვაპლანეტელებზე არ შეიძლებოდა საუბარი. მე ვიხილავდი არა ჰიპოთეზას, არამედ ცრურწმენას.

მეცნიერებაში არ არსებობს აკრძალული თემები. უნდა შევისწავლოთ ყველაფერი, რაც ინტერესს აღძრავს — თვით ცრურწმენაც კი. პირველ რიგში საჭიროა გავარკვიოთ მათი წარმოშობის მექანიზმი, ერთი ადამიანიდან მეორეზე მისი გადაცემის ხერხები, უნდა შევისწავლოთ, გააჩნიათ თუ არა ამ ცრურწმენებს რაიმე რაციონალური მარცვალი (ვთქვათ, წინათგრძნობის, ინტუიციის, განჭვრეტის მექანიზმი), სად იწყება ფანტაზია ან ნამდვილი გათამაშება.

საზღვარგარეთ უამრავი ლიტერატურა არსებობს ფუძის ანგელოზებზე. მათ შეისწავლიან ფსიქოლოგები და პარაფსიქოლოგები, ექიმები და სოციოლოგები, არამიწიერი ცივილიზაციების სპეციალისტები და ლიტერატურათმცოდნეები. რა დასკვნებამდე მიდიან ეს მკვლევარები? განსაკუთრებით კი ისინი, ვისაც ფუძის ანგელოზების არსებობა სჯერა?

აი რას ამტკიცებს ფსიქიკური კვლევის ბრიტანეთის საზოგადოების საკვლევი კომიტეტის (დასავლეთის სამყაროში ყველაზე ავტორიტეტული დაწესებულებაა, რომელიც ბუნდოვან ფსიქიკურ ფენომენებს შეისწავლის) ყოფილი თავმჯდომარე დ. ფ. ნიკოლი სტატიაში „მატყუარა ბავშვები პარაფსიქოლოგიურ გამოკვლევებში“ (სტატია გამოქვეყნებულია „პარაფსიქოლოგიის მიმოხილვაში“, 1979 წ., ტ. 10, № 1, გვ. 16—21): არსებობს ბევრი მაგალითი, როცა ბავშვები ნამდვილად იტყუებიან,

როცა მათ შეგნებულად თუ შეუგნებლად შეცდომაში შეჰყავთ პარანორმალური მოვლენების სპეციალისტები.

აი კიდევ ზოგიერთი მეცნიერის აზრი, პარაფსიქოლოგიას და ფსიქოლოგიას რომ შეისწავლიან. ლაპარაკია 1982 წელს ლონდონში გამოცემულ მონოგრაფიაზე „აოხსნელის ახსნა". მისი ავტორები — ჰანს იუოგენ აიზენკი და კარლ სარჯენტი — საკმაოდ სახელგანთქმული მეცნიერები არიან (აიზენკის ერთ-ერთი სამეცნიერო-პოპულარული წიგნი „გამოსცადეთ თქვენი შესაძლებლობები" 1972 წელს გამოიცა მოსკოვში). მათ გააანალიზეს როგორც ფუძის ანგელოზთა პრობლემებზე არსებული ლიტერატურა, ასევე საკუთარი დაკვირვებები და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ფუძის ანგელოზთა არსებობის დამადასტურებელ შემთხვევათა 95% გამოგონილი იყო. უჩვეულო შემთხვევებზე ჰყვებიან ლაპარაკს დანატრებული მოხუცი ქალები ანდა ტყუილის მოყვარული გაიძვერები. მეორე პრობლემაა — ბავშვების მიერ პირდაპირი და არაპირდაპირი მოტყუების შემთხვევები. ავტორები მიუთითებენ, რომ, როცა ბავშვები ფუძის ანგელოზებზე ჰყვებიან, ისინი შეგნებულად ატყუებენ გულუბრყვილო მსმენელს. ტყუილი, რა თქმა უნდა, კარგი სიტყვა არ არის, — წერენ ინგლისელი მეცნიერები, — მაგრამ ფუძის ანგელოზების არსებობაზე მეტწილად ბავშვები გვიამბობენ, ბავშვებს კი უფროსებისაგან განსხვავებული მორალური კრიტერიუმი აქვთ.

დავუშვათ, რომ ფუძის ანგელოზებზე „თვითმხილველთა" ნაამბობის 99% აშკარა გამონაგონი ანდა სულიერი პათოლოგიის გამოვლინებაა, ან კიდევ — მთხრობელისა და მსმენელის მიამიტობა. მაგრამ ხომ რჩება 1%, რომელიც არ თავსდება ტყუილისა თუ ფსიქიკური ანომალიის ფარგლებში. რას წარმოადგენს ეს ერთი პროცენტი? — დაინტერესდება მკითხველი.

ამ სწორ და სავსებით გონივრულ კითხვაზე მხოლოდ ასე შეიძლება ვუპასუხოთ: არავის უნახავს ეს ერთი პროცენტი, მთლიანად რომ მოთავსდებოდა სხვაპლანეტელების ფუძის ანგელოზებად გარდაქმნის კონცეფციის ჩარჩოებში, და თუ ეს ასეა, მაშინ ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. ერთი რამ კი აშკარაა: ეს ერთი პროცენტი უფრო გულმოდგინე შესწავლას საჭიროებს, ვიდრე ასე სწრაფად გამოაშკარავებული 99%, თუმცა სავსებით შესაძლებელია, რომ იმ ერთ პროცენტში საინტერესო და რეალური რამ აღმოჩნდეს.

ამასთან დაკავშირებით ლოგიკურია ერთი კითხვა: უკანასკნელი 3—4 საუკუნის მანძილზე ლიტერატურაში აღწერილია ფუძის ანგელოზის ფენომენის 600-მდე შემთხვევა. ეს აღწერები აბსოლუტურად ერთნაირია, თუმცა სხვადასხვა ეპოქასა და სხვადასხვა ქვეყანაშია შესრულებული და

არც ავტორები ყოფილან ერთმანეთთან დაკავშირებული. რატომ ხდება, რომ თაობიდან თაობას, საუკუნიდან საუკუნეს გადაეცემა ბოდვის, ფანტაზიის, ცდომილებათა ერთი და იგივე ფორმები? სამოსი იცვლება, არსი კი რჩება. რამდენიმე საუკუნის მანძილზე ფუძის ანგელოზებს ფუძის ანგელოზებად იხსენიებდნენ, ახლა კი სხვაპლანეტელები შეარქვეს. მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს. ზოგადად თუ ვუპასუხებთ ამ კითხვას (ეს კი აუცილებელია, რადგან საკითხის უპასუხოდ დატოვება მეტ ცრურწმენებს წარმოშობდა), პასუხი დაახლოებით ასეთი იქნება:

ადამიანის სახეობა ნაკლებად იცვლება — ეს ქმნის ცხოვრების სიმტკიცეს, სხვადასხვა თაობათა მემკვიდრეობითობას, რაც ადამიანთა რეაქციის ერთგვაროობაში ვლინდება. მიუხედავად სხვადასხვაგვარი სოციალური სამოსისა, ადამიანები ერთნაირად იქცევიან და ერთსა და იმავე შეცდომებს ჩადიან. მაგალითად, პირველყოფილი ადამიანისა და თანამედროვე პაციენტის კრუნჩხვითი შეტევები თითქმის არაფრით განსხვავდება ერთმანეთისაგან, თუმცა ამ ავადმყოფთა ინფორმაციული დატვირთვის შედარება არ შეიძლება. ბოდვის, შიშის, ფანტაზიის არსი სხვადასხვა დროს ერთი და იგივე იყო, თუმცა გარეგნულად განსხვავებულად ვლინდებოდა. წინათ სულით ავადმყოფს ჩაუსახლდებოდნენ ხოლმე გონებისათვის მიუწვდომელი სულები, რელიგიური სახეები, ახლა კი — სხვაპლანეტელები, გოლოგრაფიული წარმონაქმნები და ა. შ. 1961 წლის 12 აპრილამდე ფსიქიატრთა მიერ არ იყო აღრიცხული კოსმონავტების ზემოქმედებით გამოწვეული ბოდვა. იური გაგარინის გაფრენის მეორე დღესვე სულიერად არაჯანსაღი ადამიანები ამტკიცებდნენ, ჩვენზე მოქმედებს კოსმონავტებისაგან მომდინარე იდუმალი ძალებიო. ბავშვები მუდამ ერთი და იმავე (ფორმით კი არა — არსით) თამაშებით ირთობდნენ თავს და მათ შორის ყოველთვის იყვნენ ისეთი ოინბაზები და მეოცნებენი, რომლებიც სიამოვნებით უყვებოდნენ ბებიებს ათასგვარ სისულელეს. ბებიებსა და მეზობლებს შორის კი უეჭველად აღმოჩნდებოდნენ ხოლმე მიმნდობი ადამიანები ანდა ისეთები, ვინც ბოლომდე ვერ ხვდებოდა ნათქვამს. მაშასადამე, არ უნდა გაგვიკვირდეს, როცა ზოგიერთი ჩვენი თანამედროვე წარსულის გადმონაშთს პრიმიტიული, თუმცა ახალ სამოსელში გახვეული ცრურწმენის სახით ამჟღავნებს. ეს ცრურწმენები შეიძლება ვაღვივდეს და გაიფურჩქნოს, თუ ადამიანი ცუდი აღზრდილია, თუ მას იუმორის გრძნობა და საღად განსჯის უნარი არა აქვს. გასაკვირი მხოლოდ ის არის, რომ ზოგიერთი ადამიანი მათ სერიოზულად აღიქვამს და ერთიდან მეორეს გადასცემს წარმოუდგენელ სისულელეებს. გაოცებას იწვევს მეორე გარემოებაც: ყოველთვის შეხვდებით ისეთ ადამიანებს, რომლებიც უცნობი, შეუსწავლელი მოვლენების არსებობას უარყოფენ

და ყველაფერს, რაც მათ გონებას ვერ აუხსნია, გამონაგონსა და ცრურწმენას უწოდებენ. არა, არ უნდა ვიყოთ ცრუმორწმუნენი და ცალმხრივნი. მუდამ უნდა გვახსოვდეს დიდი რუსი პოეტის ეს ბრძნული სიტყვები. არც დიდი რუსი მეცნიერის დ. ი. მენდელეევის სიტყვები უნდა დავივიწყოთ. 1875 წლის 6 მაისს მან პეტერბურგის უნივერსიტეტთან არსებულ ფიზიკის საზოგადოებას გაუგზავნა „წინადადებანი მედიუმიურად წოდებულ მოვლენათა გამრკვევი კომისიის შექმნის შესახებ". ამ „წინადადებიდან" ამოღებული ციტატით მინდა დავამთავრო ეს ნარკვევი: „ამ მოვლენათა იგნორირება არ შეიძლება, ისინი ზედმიწევნით უნდა განვიხილოთ, ე. ი. უნდა გავიგოთ, მათგან რა განეკუთვნება ყველასათვის ცნობილ ბუნებრივ მოვლენათა სფეროს, რომელია გამონაგონი, ჰალუცინაცია, სამარცხვინო ტყუილი, და, ბოლოს, ხომ არ განეკუთვნება რომელიმე მათგანი აუხსნელ მოვლენათა რიგს, ბუნების ჯერ კიდევ უცნობი კანონებით რომ მოქმედებს. ასეთი განხილვის შემდეგ ეს მოვლენები დაკარგავენ ბევრისათვის მიმზიდველ საიდუმლოებრიობას და მისტიციზმისთვის აღარ დარჩება ადგილი".

ნერვულ ნიადაგზე

ადამიანის ხასიათის ზოგიერთი თავისებურებიდან გამომდინარე შეცდომებსა და ცრურწმენებს ექიმები ხშირად როდი ხვდებიან. პაციენტთა ძირითად მასას მოსაზღვრე პათოლოგიით, კერძოდ, ნევროზებით დაავადებული ადამიანები შეადგენენ. რა არის ეს და რამდენადაა დამოკიდებული ნევროზები ხასიათის თავისებურებებზე?

ნევროზით დაავადებას იწვევს არაკეთილსასურველი სიტუაციების ზემოქმედება, ადამიანთა შორის წარმოქმნილი კონფლიქტები, მათი ფსიქოლოგიური შეუთავსებლობა, გადაღლა, მონოტონური და უინტერესო სამუშაო, მარტოობა და ა. შ. ერთი სიტყვით, ნევროზები, როგორც ხალხი ამბობს, მუდამ ნერვულ ნიადაგზე წარმოიშობა. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „ნევროზი" ინგლისელმა ექიმმა კულენმა ჯერ კიდევ 1777 წელს იხმარა, მხოლოდ XX საუკუნეში დაიწყო ამ დარღვევათა თანამიმდევრული და ღრმა შესწავლა. უკვე 1913 წელს გერმანელმა მკვლევარმა კარლ იასპერსმა (1883—1969) ხაზგასმით მიუთითა, რომ ნევროზი სამ ძირითად კრიტერიუმს უნდა უპასუხებდეს: 1. მას იწვევს ფსიქიკური ტრავმა; 2. ტრავმის არსი ასახულია დაავადების კლინიკურ სურათში; 3. ნევროზი, ჩვეულებრივ, ვლინდება ფსიქიკური ტრავმის კვალდაკვალ და მცირდება ანდა სავსებით ქრება ფსიქოტრავმული მომენტების გაქრობის

ან დეზაქტუალიზაციის შემდეგ. ნევროზის დროს ადამიანს შეგნებული აქვს თავისი ავადმყოფობა და სურს თავი დააღწიოს მას. ზიგმუნდ ფროიდისგან (1856—1939) დაწყებული, მკვლევართა დიდი ნაწილი აღნიშნავს ქვეცნობიერი მექანიზმების* მნიშვნელოვან როლს ნევროზების წარმოქმნაში.

ნევროზი შეიძლება იყოს ნევროზული რეაქცია (გაგრძელდეს საათები, დღეები, იშვიათად — კვირები), ნევროზული მდგომარეობა (კვირები, თვეები), ანდა შეიძლება ნევროზული პიროვნება ჩამოყალიბდეს, როცა მრავალწლიანი ნევროზის შედეგად მატულობს ხასიათობრივი ცვლილებები. არსებობს: ასთენიური ნევროზი (ნევრასთენია), რასაც იწვევს ერთფეროვანი ცხოვრება, გადაღლა, რეჟიმისა და დღე-ღამის რიტმის დარღვევა; აკვიატებულ მდგომარეობათა ნევროზი, რაც ვლინდება ავადმყოფური აკვიატებით მოქმედების, ემოციურ და ინტელექტუალურ სფეროში; ისტერიული ნევროზი, დეპრესიული ნევროზი და ბევრი სხვა. უფროსებისაგან განსხვავებით ბავშვებსა და მოზარდებში უფრო ხშირია სისტემური ნევროზები, რომელთა დროს ამა თუ იმ ნევროზისათვის დამახასიათებელი სიმპტომების გარდა ვხვდებით ენაბლუობას, შარდის შეუკავებლობას, მეტყველების დაკარგვას, ტიკებს და ა. შ. ნევროზის პროგნოზი დამოკიდებულია როგორც თვით დაავადების უშუალო მიზეზებზე, ისე ავადმყოფობის წარმოშობის ხელშემწყობ პირობებზე. ხშირად გარეგანი მიზეზები მხოლოდ მოქმედ მექანიზმებად გვევლინებიან, მათი აღმოფხვრის შემდეგ ავადმყოფობა არ ქრება. ნარჩენი ნევროზული მდგომარეობა განიხილება როგორც ხანგრძლივად მიმდინარე ნევროზების შედეგი. იმ შემთხვევებში, როცა ნევროზის წარმოქმნაში ფსიქოტრავმული ფაქტორები უფრო დიდ როლს ასრულებენ, ვიდრე შინაგანი პირობები, პროგნოზი გაცილებით უკეთესია.

მაშასადამე, ნევროზი ყოველთვის ადამიანთა ურთიერთობის დისჰარმონიის შედეგია, ადამიანური დრამისა და ტრაგედიის შედეგი.

---

* ფსიქიკური მოქმედების შეუცნობელი მექანიზმების შესწავლის საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს ქართველმა მეცნიერებმა (ა. თ. ბოჭორიშვილმა, ვ. ლ. კაკაბაძემ, შ. ა. ნადირაშვილმა, რ. გ. ნათაძემ, ა. ს. ფრანგიშვილმა, შ. ნ. ჩხარტიშვილმა, ა. ე. შეროზიამ, ნ. ლ. ელიავამ და ბევრმა სხვამ). მათი უმრავლესობა დიმიტრი ნიკოლოზის ძე უზნაძის მოწაფეები იყვნენ. ამ საბჭოთა-განთქმული მეცნიერის შემოქმედება ჩვენს დროშიც არ გახლავთ ბოლომდე გაანალიზებული. ეჭვი არ არის, რომ დ. ნ. უზნაძის შრომები, მისი ფსიქოლოგიური განწყობის თეორია საბჭოთა ფსიქოლოგიის მეტად მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

უიღბლო მოგზაურობა

როცა ქალიშვილს — პედაგოგიური ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტს — 19 წელი შეუსრულდა, დედამ საჩუქრად ტურისტული საგზური შეუძინა. ხელმოკლედ ცხოვრობდნენ, მამა ადრე გარდაიცვალა. დედა-შვილს ძალიან უყვარდა ერთმანეთი. ქალიშვილი ყოველნაირად ცდილობდა, მარტოხელა დედის ერთფეროვანი ცხოვრება გაეხალისებინა. ქალიშვილს რომ აცილებდა, დედას უხაროდა—ქვეყანას ნახავს, კარგ ახალგაზრდებს გაიცნობსო. ამაზე ოცნებობენ დედები, რომლებიც მძიმე შრომით მოპოვებული ფულით ცხოვრობენ. ნათელი იმედით გამსჭვალული გოგონა დასასვენებლად გაემგზავრა. იგი ადვილად ენდობოდა ადამიანებს, გულუბრყვილო იყო, მოკრძალებული, გამორჩეულად წესიერი და ძალზე მგრძნობიარე.

მოგზაურობის მეხუთე დღეს ქალიშვილი რამდენჯერმე გაიწვია საცეკვაოდ ერთმა ახალგაზრდამ, ადგილობრივმა მკვიდრმა, რომელიც გამუდმებით ტურბაზებში ატარებდა დროს თავგადასავლების მაძიებელ ფუქსავატ ქალებთან. იმ უიღბლო საღამოს თაყვანისმცემელი გვერდიდან არ მოსცილებია ქალიშვილს. მას გულს უმძიმებდა ვაჟის სიახლოვე, მაგრამ კარგად ახსოვდა ღვარძლიანი ნათქვამი: თუ ასეთ ყმაწვილს უხეშად მოიშორებ თავიდან, ცემა არ აგცდებაო. ამიტომ ცდილობდა ქალიშვილი, რომ ყველაფერი მშვიდად დამთავრებულიყო. მოუთმენლად ელოდა მეორე დღის დადგომას, როცა მისი ჯგუფი სხვა ტურბაზაში გადავიდოდა და თავს დააღწევდა აბეზარ თაყვანისმცემელს. ცეკვების შემდეგ ახალგაზრდამ გააცილა ქალიშვილი. ბუჩქებს რომ ჩაუარეს, ვაჟმა მას გაუპატიურება დაუპირა. გოგონამ შემზარავად იკივლა და ამით უფრო გაახელა იგი. როცა ვაჟი დარწმუნდა, რომ ჟინს ვერ დაიკმაყოფილებდა, გაშმაგებულმა ხელი ჰკრა ქალიშვილს და მაღლობიდან გადააგდო. გოგონა ქვემოთ ჩაგორდა, სულ დაეჟეჟა სხეული, დაეხა საღამოს კაბა, დედამ რომ ასეთი გაჭირვებით უყიდა. მან სწრაფად ამოირბინა ფერდობი და ოთახში შევარდა. სარკეში რომ ჩაიხედა, თავზარი დაეცა: კაბა მთლად შემოგლეჯოდა, ხელი ნაღრძობი ჰქონდა, სახე მთლად ჩალურჯებოდა და დაჰკაწროდა. მისი ოთახის ქალები ცდილობდნენ დაემშვიდებინათ გოგონა, ურჩიეს მილიციისათვის მიემართა. მართლაც, მეორე დღესვე წავიდა მილიციაში. მილიციელმა მოუსმინა და უთხრა: თვითონ ხარ დამნაშავე, სამხრეთელი ბიჭები გულფიცხები არიან და მათი გაღიზიანება არ შეიძლება. თუ სასამართლოში უჩივლებ, შეიძლება სულაც მოგკლანო. შეშინებული გოგონა თავისი ჯგუფის დანარჩენ ტურისტებთან ერთად სხვა ტურბაზაში გადავიდა.

მოგზაურობის დამთავრებამდე ორი კვირა რჩებოდა. ჭრილობები ნელა უხორცდებოდა და გოგონა ოთახიდან იშვიათად გამოდიოდა. მხოლოდ საუზმეზე, სადილად და ვახშმად ჩადიოდა ქვემოთ, დანარჩენ დროს კი ოთახში იჯდა და ტიროდა. მდგომარეობას კიდევ ის ართულებდა, რომ მისი ჯგუფის ტურისტებიდან ერთ ახალგაზრდა ინტელიგენტ ვაჟს მოეწონა ქალიშვილი და ქალიშვილიც კარგი თვალით უყურებდა ვაჟს. პირველი დღიდანვე სულ ერთად იყვნენ და ხუმრობით სიძე-პატარძალიც კი შეარქვეს. იმ ავბედით საღამოს ვაჟი საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურში წავიდა დასარეკად და მომხდარი ამბის შესახებ მხოლოდ მეორე დღეს შეიტყო. თანაც ყველაფერი დამახინჯებულად უამბეს: „წახვედი თუ არა, შენი საპატარძლო ადგილობრივ ბიჭებს შეხვდა, იმათ კი გარყვნილებისთვის სცემესო“. ვაჟი თავს არიდებდა გოგონას და უტიფრად ეუბნებოდა, ახია, რაც შეგემთხვაო. ტურისტთაგან არავის უცდია აეხსნა, რა მოხდა ნამდვილად. ასე აღმოჩნდა ახალგაზრდა მოგზაური ქალი დამამცირებელ იზოლაციაში. დასვენება ჩაიშალა. ვაჟმა მას ზურგი აქცია. სხვა ტურისტი ქალებიც გესლიანად ეუბნებოდნენ: ჩვენ გვლანძღავდი, უწესოებად გვთვლიდი, ახლა შენ თვითონ როგორი ხარო?

გოგონამ დარჩენილი ორი კვირა სულ ტირილში გაატარა და, რაღა თქმა უნდა, ბუნების სილამაზით ვერ დატკბებოდა. მხოლოდ მოგზაურობის ბოლო დღეებში შეუხორცდა ჭრილობები და ცოტა მზეც მოეკიდა, მაგრამ ისევ დანაღვლიანებული იყო. შინ სასოწარკვეთილი დაბრუნდა. თავის თავზე მეტად დედა ეცოდებოდა: ის ხომ იმედით შესცქეროდა ამ მოგზაურობას.

სასწავლო წლის დადგომასთან ერთად თავი იჩინა ახალმა სიძნელეებმა (გოგონა სწავლობდა და მუშაობდა): სწავლისთვის ცოტა დრო რჩებოდა. მაგრამ ყველაზე მეტად მაინც იმ ზაფხულის ამბავს განიცდიდა. ერთთავად ცუდ გუნებაზე იყო, ღამღამობით თავის შეურაცხმყოფელის სახე ეჩვენებოდა, შეშინებული ძილშიც წამოიყვირებდა ხოლმე. ასე გაგრძელდა რამდენიმე კვირას. ეს იყო გაჭიანურებული ნევროზული დეპრესია, რომელიც შემდეგ გაქრა, მაგრამ რამდენი ცრემლი დაღვარეს ავადმყოფმაც და დედამაც! რამდენი ტანჯვა მოუტანა მათ ამ უიღბლო მოგზაურობამ!

გოგონას ნევროზი განუვითარდა ფსიქიკური ტრავმის ნიადაგზე. თუმცა ზოგიერთი ნევროზის წარმოქმნაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პიროვნების სპეციფიკური თავისებურებანი. ეს პირველ რიგში დამახასიათებელია იმ ნევროზისთვის, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲨᲔᲛᲫᲚᲔ ᲐᲜᲐᲜᲯᲔ

პირველ გაკვეთილზე მივიჩქაროდი თანაკლასელთან ერთად. ის იყო ქუჩა უნდა გადაგვეჭრა, რომ მომიბრუნდა და მითხრა: „არ შეიძლება გადასვლა. ვერ ხედავ, შავმა კატამ გაირბინა, წარმატება არ გვექნება“. მე გავიცინე და გზა განვაგრძე, არად ჩავაგდე გაფრთხილება. მან მშვიდად მომაძახა: „უსიამოვნება შეგემთხვევა — აი ნახავ“. მე დროზე მივედი — იმან დაიგვიანა. გაკვეთილზე პირველი გამიძახეს. დაფასთან რომ ვიდექი, ჩვენი საუბარი გამახსენდა. უეცრად მასწავლებელმა, აქამდე რომ მოსწავლეებს ელაპარაკებოდა, მკაცრად მითხრა: „რას გაჩუმებულხარ, რად არ მიყვები გაკვეთილს, იქნებ განსაკუთრებულ მოწვევას ელი?! საერთოდაც ძალზე მოეშვი. ხვალ დედა მოიყვანე“. დასვენებაზე თანაკლასელმა ნიშნისმოგებით გამომიყო ენა.

თანდათან ჩემს ყურადღებას იპყრობდა ისეთი ცრურწმენები, როგორიცაა: გადაფურთხება მარცხენა მხარეს, მარჯვენა ფეხზე ადგომა, რიგში დადგომა ფეხმძიმე ქალის უკან და ა. შ. ასეთი ცრურწმენები ძალზე ბევრია, მაგრამ ზოგი მეტადაა გავრცელებული, ზოგი — ნაკლებად. ზოგი ბევრისთვისაა ცნობილი, ზოგი კი მხოლოდ ერთეულებმა იციან.

რამ წარმოშვა ეს ცრურწმენები? და ცრურწმენებია თუ არა ეს? მათ ხომ თავდაცვის როლი აკისრიათ, ადამიანებს უსიამოვნებას აცილებენ და სულიერი სიმტკიცის მდგომარეობას ქმნიან? განა ყოველთვის უაზრო და სულელურია ეს მოქმედება? ძალზე ბევრი შეკითხვა წამოიჭრება იმ ადამიანის წინაშე, ვინც მსგავსი მოვლენების ბუნებას ჩაუფიქრდება.

ფსიქიატრებსაც უფიქრიათ ამაზე და მას აკვიატება უწოდეს, რადგან გონებას თითქოს უცნობი ძალის ზემოქმედებით აეკვიატება რაღაც აზრები, რაც უცხოა პიროვნებისათვის, ადამიანს ვერ გაუგია, რატომ სჩადის ამა თუ იმ ქმედებას (ერთი შეხედვით მართლაც უაზროსა და აუხსნელს). და რაკი ვერ გაუგია, მას თითქმის მისტიკურ მნიშვნელობას ანიჭებს, ცდილობს გაერკვეს, ექიმს სთხოვს შველას.

აკვიატებულ მდგომარეობათა ნევროზი პირველად შვეიცარიელმა ექიმმა ფელიქს პლატერმა (1537—1614) აღწერა. გარდაცვალების წინ მან გამოაქვეყნა გახმაურებული წიგნი „დაკვირვებანი“, სადაც სიამაყით წერდა, რომ აღწერა მხოლოდ ის, რაც ექიმმა თავის თვალით „ნახა, შეისწავლა და განიხილა“. ამ წიგნში მოყვანილია აკვიატებული ნევროზის ასეთი მაგალითი: ერთ ქალს ვერაფრით დაუძლევია უნებურად წარმოქმნილი სურვილი, რომ მოკლას საყვარელი ქმარი; მეორე იგივეს განიცდის ახალშობილი შვილის მიმართ. ორივე აქტიურად ეძებს შველას,

ამ სურვილს აღიქვამენ როგორც უცხოს, გაუგებარს, უცნაურს, უნდათ როგორმე თავი დააღწიონ მას. რანაირადაც უნდა სტანჯავდეთ ამ ადამიანებს ეს აზრი, მაინც ვერასოდეს შეძლებენ ამ აკვიატებული სურვილის ასრულებას. მთელი ცხოვრება იყოყმანებენ, იწვალებენ, გაიტანჯებიან, მაგრამ ვერ შეასრულებენ იმას, რასაც ქვეცნობიერება უბრძანებს აკვიატების არსიდან გამომდინარე.

1896 წელს ბუდაპეშტელმა ფსიქიატრმა იულიუს დონატმა პათოლოგიის ასეთ სახეს ანანკური ნევროზი უწოდა, ანანკეს — სპარსულ მითოლოგიაში ბედისწერის ძლევამოსილი ქალღმერთის სახელის მიხედვით, რომელიც შემდგომ ძველი სამყაროს სხვა ხალხებშიც გავრცელდა. სიტყვებს — „ანანკური ნევროზი", „ანანკური ფსიქოპათია" (ასე უწოდებენ აკვიატებისადმი მიდრეკილ ადამიანებს), „ანანკური აშლილობა" ყველა ქვეყნის ფსიქიატრები ხმარობენ. ასევე მოიხსენიება მსოფლიოს ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის ოფიციალურ დოკუმენტებში და ა. შ. საბჭოთა კავშირში ანანკური ნევროზის სინონიმად მეტწილად იხმარება ტერმინი აკვიატებულ მდგომარეობათა ნევროზი.

მფრინავის, დირექტორის, მსახიობის დრამა

ერთ-ერთი პაციენტის შთამომავლობაში კაცები მეტწილად ძალზე მგრძნობიარენი, გაუბედავნი და საკუთარ თავში დაეჭვებულნი იყვნენ. ყველაფერი აეჭვებდათ: დაკეტა თუ არა კარი სახლიდან გასვლისას, გამორთო თუ არა გაზქურა, იღბლიანი იქნება ის დღე თუ არა და ა. შ. პიროვნების ასეთი თავისებურება მკვეთრად ძლიერდება ნერვიულობის ან სამუშაოზე წარმოქმნილ რაიმე დაბრკოლებათა გამო, გადაღლის, სურდოს, თავის ტკივილის ან სხვა ავადმყოფობის შემდეგ. ასეთი იყო ეს პაციენტიც ადრეული წლებიდან. 17 წელი რომ შეუსრულდა. გადაწყვიტა თავი გარდაექმნა: ბევრ დროს ანდომებდა სპორტს, ცივი წყლით იზელავდა სხეულს, ცდილობდა გაბედული, ჯიუტი, კადნიერიც კი ყოფილიყო. სავსებით რომ დაეძლია მტანჯველი ეჭვები და შიში, აეროკლუბის წევრი გახდა, იქიდან კი საავიაციო სასწავლებელში მოხვდა. ეშინოდა, მაგრამ თავს ერეოდა და სხვებზე ცუდად როდი ხტებოდა პარაშუტით, ხანგრძლივ ხტომებსაც ასრულებდა. მართალია, მერე დიდ დროს ანდომებდა გრძნობაზე მოსვლას, მაგრამ ლაჩრად არავის ჩაუთვლია. ცოლი შეირთო, ბავშვები ეყოლა, სამუშაოზე ყველაფერი რიგზე ჰქონდა. ერთხელ თანამშრომელი ეჩხუბა და დიდხანს ელოდა უფროსთან შესვლას, ნერვიულობდა. საუბრისას უფროსმა უთხრა, მართალია ის თა-

ნამშრომელი დამნაშავეა, მაგრამ კარგად უნდა დავფიქრდეთ, ვიდრე საბოლოოდ გადავწყვეტდეთ, დამნაშავე როგორ დავსაჯოთო. რამდენიმე კვირის შემდეგ ჩვენმა მომავალმა ავადმყოფმა გაიგო, რომ შეურაცხმყოფელს არავინ უპირებდა დასჯას, თვითონ კი თანამშრომლების არაკეთილმოსურნე დამოკიდებულება იგრძნო. მეტისმეტად განიცდიდა ამ მდგომარეობას, ღამე არ ეძინა, გაუძლიერდა შიში და ეჭვი საკუთარი თავისა და სხვათა ქცევის სამართლიანობის გამო. დაძაბული მოლოდინის მტანჯველმა გრძნობამ შეიპყრო: „ვაითუ რამე მოხდეს!“ თავს ცუდად გრძნობდა, მაგრამ უწინდებურად მართავდა ავიალაინერს. ერთხელ მიწაზე დაშვების დროს „გიჟური“ აზრი აეკვიატა: იმ შემთხვევაში დავფრინდები მშვიდობიანად მიწაზე, თუ აეროდრომს შვიდჯერ შემოვუფრენო. თვითონვე მიხვდა, რომ სულელური აზრი იყო, მაგრამ ვერა და ვერ მოიშორა თავიდან. კარგად დაეშვა, თუმცა შემდგომი გაფრენების დროსაც გამუდმებით უტრიალებდა თავში იგივე. ებრძოდა მას და ამ ბრძოლამ გატანჯა. იმ დღიდან მოყოლებული, ყოველი გაფრენისას ცდილობდა დაეძლია ეს შიში, რომელიც ერთსა და იმავე დროს გაუჩნდებოდა ხოლმე; მხოლოდ დაფრენისას. ფსიქიატრს მიმართა. ექიმმა აკვიატებულ მდგომარეობათა ნევროზი დაუდგინა.

მეორე ავადმყოფს აკვიატებული აზრი კი არ ჰქონდა, არამედ აკვიატებული შიში. იგი დიდი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი იყო, ძალიან ბევრს მუშაობდა, საპენსიო ასაკი რომ შეუსრულდა, მეტისმეტად გამოიფიტა, მაგრამ წასვლა არ უნდოდა და მუშაობას განაგრძობდა. საერთოდ ძალიან მგრძნობიარე ადამიანი იყო, ერთთავად ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებდა. ბოლოს შიშმა შეიპყრო, რომ ცოფიანი ძაღლის ნერწყვი მოწამლავდა. ეს შიში მას შემდეგ აეკვიატა, რაც მისი სახლის ეზოში ძაღლები დაიჭირეს დასახოცად და ყოველივე ცოფის ეპიდემიით ახსნეს. ავადმყოფს ხან შეამცივნებდა, ხან სიცხეს უმატებდა იმაზე ფიქრით, ვაითუ ცოფიანმა ძაღლმა მიკბინოსო. ციდლობდა მხოლოდ ისეთ ადგილებში ევლო, სადაც ძაღლი ჩუმად ვერ მიეპარებოდა. მათი შიშით ერთთავად აქეთ-იქით იყურებოდა. მალე მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა, სულ დაკარგა სიმშვიდე. ახლა ყველგან სამსახურის მანქანით დადიოდა („ასე უფრო უშიშარიაო“). თუ სადმე წასვლას დააპირებდა, შარვლის ქვეშ ბრეზენტისაგან საგანგებოდ შეკერილ წინდებს იცვამდა („რომ ძაღლის ნერწყვს არ შეეღწია“), ცოლს კი სთხოვდა, უკან მომყევი და თვალი გეჭიროს, რომ ძაღლი არ მომეპაროსო. ცხოვრება გამუდმებულ შიშად ექცა: ვაითუ ცოფიანმა ძაღლმა მიკბინოს? ან, იქნებ, უკვე მიკბინა და დაავადების სიმპტომები ჯერ არ ჩანსო? ბევრჯერ გაიკეთა ანალიზი ცოფზე. ადგილობრივი ბაქტერიოლო-

გიური ლაბორატორიის მუშაკებს ეჭვი რომ არ აეღოთ, სხვა რაიონებისა და ახლომდებარე ქალაქების ლაბორატორიებში მიჰქონდა ანალიზები. დაკარგა ძილი, სიმშვიდე, შრომის უნარი. მხოლოდ ძაღლებისა კი არა, კატებისა და სხვა ოთხფეხებისაც ეშინოდა. სახლში ყველა ოთახის კარს საგანგებოდ კეტავდა, სამუშაოზე კი მდივანს სთხოვდა, განსაკუთრებული სიფრთხილე დაეცვა. თუ თათბირს ატარებდა, დროდადრო მაგიდის ქვეშ ფანქარს აგდებდა, რომ იქაურობა დაეთვალიერებინა, ძაღლი ხომ არსად არისო. გაწამებულმა, ბოლოს სპეციალისტს მიმართა. ჩემთან რომ მოვიდა, პირველადვე ეს მითხრა: „ექიმო, მეშინია ჭკუაზე არ შევცდე, გამტანჯა შიშებმა. ვიცი, რომ ისინი უსაფუძვლოა და უაზრო, მაგრამ ვერაფერს გავხდი საკუთარ თავთან, დავკარგე სიმშვიდე, დავკარგე ყველაფერი“.

ავადმყოფი განიკურნა, თუმცა სუსტი რეციდივები მაინც იჩენს თავს.

ხშირია შემთხვევები, როცა აკვიატებული შიშით გატანჯული ავადმყოფები სხვადასხვაგვარ თავდასაცავ მოქმედებას მიმართავენ და მათი შესრულების შემდეგ გრძნობენ, რომ დროებით მაინც დააღწიეს თავი შიშს. ასეთ მოქმედებას რიტუალური ეწოდება, „მარჯვენა ფეხზე ადგომაც“ არსებითად იმასვე ნიშნავს. ფრანგული ესტრადის ვარსკვლავს ედიტ პიაფს (1915—1963) ბევრი რიტუალი ჰქონდა, შიშისა და დაძაბულობის გრძნობას რომ უქარვებდა. ასეთი გრძნობა ხშირად აქვთ მსახიობებს სცენაზე გასვლის წინ (იგივე აღენიშნებით სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს, რომლებიც აუდიტორიის წინაშე გამოდიან; ვ. მ. ბეხტერევი, მაგალითად, წერდა, რომ ასეთი შიშები ჰქონდათ რევოლუციამდელ მღვდლებს). ყოველი კონცერტის წინ პიაფი იატაკამდე იხრებოდა, ხელებით ეხებოდა მას და მარჯვენა ხელის სალოკი და ნეკა თითებით „ავსულებს“ რქებს უჩვენებდა. მარცხი რომ აეცილებინა, ხელს უსვამდა თავის სპირიტულ მაგიდას, რომელიც მძღოლს ყოველ კონცერტზე მანქანით თან დაჰქონდა. ეს და ბევრი სხვა ახირება ჯაბნიდა საბრალო ქალს. ავგაროზები, თილისმები, საყვარელი სამშვენისები მას ჩანთაში ეწყო. პიაფი ბევრ დროსა და ენერგიას ანდომებდა ყოველგვარი ცრუმორწმუნეობრივი ადათ-წესების შესრულებას. როგორც მისი მეგობრები აღნიშნავდნენ, ასეთ აკვიატებებს პიაფი ბევრად უფრო ადრე ავლენდა, ვიდრე ნარკომანი და პარიზის ბევრი ფსიქიატრის პაციენტი გახდებოდა.

აკვიატებები მხოლოდ ავადმყოფობის ჩარჩოში როდი თავსდება, ისინი პრაქტიკულად ჯანმრთელ, მაგრამ გადაღლილ, ფიზიკურად ავადმყოფ, რაღაცის მშფოთვარე მოლოდინით შეპყრობილ ადამიანებშიც გვხვდება. აკვიატებები ფსიქოპათოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე საინტე-

რესო ფენომენია. და თუმცა მის შესახებ ჯერ კიდევ 350 წლის წინათ წერდნენ, სამწუხაროდ, აკვიატებებზე დღეს ბევრად მეტი არ ვიცით, ვიდრე თუნდაც XIX საუკუნის ბოლოს იცოდნენ.

სინდისის ავადმყოფობა

ჩვენს სულში არსებობს რაღაც საოცარი მექანიზმი, რომელსაც სინდისი ეწოდება. იგი ადამიანის ფსიქიკის ერთ-ერთი მთავარი გამოცანაა. მეცნიერებმა და მწერლებმა ვერ შეძლეს სინდისის ამომწურავი განსაზღვრა. მაგრამ ყველა ადამიანმა შეუმცდარად იცის, ვის აქვს იგი და ვის — არა. ადამიანმა კიდეც რომ მოინდომოს სინდისის ჩაკვლა ან შეეცადოს უარყოს იგი, სინდისი მაინც ყოველთვის შეახსენებს თავს ადამიანს. მისი მოსპობა შეუძლებელია. იგი რაიმე სახით, ადრე თუ გვიან, მაინც იჩენს თავს. სინდისი ბიოლოგიური წინაპირობებისა და სოციალური ზემოქმედების შედეგად ყალიბდება, აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება აღზრდას, რწმენას, ადამიანში ზნეობრივი ცნებების განვითარებას. ზოგი ადამიანი ადვილად ითვისებს ყოველივე ამას, ზოგი კი სულ ვერა. რაზეა ეს დამოკიდებული?

სინდისის კატეგორიათა უმრავლესობა მემკვიდრეობითობის აპარატშია დაპროგრამებული. მრავალსაუკუნოვანი ევოლუციის პროცესში კაცობრიობა ქვეცნობიერად თითქოს მიხვდა, რომ უფრო ხელსაყრელია ჰქონდეს სინდისი, ვიდრე არ ჰქონდეს, რომ შეუძლებელია ცხოვრება რაიმე წესების გარეშე, რომლებიც ადამიანთა ურთიერთობას მოაგვარებდა. სხვაგვარად ადამიანი, როგორც სოციალიზებული ცხოველი, განწირული იქნებოდა გადაშენებისათვის. მაგალითად, თუ ადამიანი ვერ მიხვდებოდა, რომ საჭიროა უფროსების პატივისცემა და მათი გამოცდილების გაზიარება, მაშინ ის იძულებული იქნებოდა, ყველაფერი თავიდან დაეწყო. წინა თაობების გამოცდილების გაზიარების გარეშე, მას მუდმივად ერთი ადგილის ტკეპნა მოუწევდა. თუ ადამიანები თავგანწირვით არ დაიცავდნენ თავიანთ ბავშვებს, მაშინ გადაშენება არ ასცდებოდათ; თავის მხრივ, შვილებიც არ დაიცავდნენ მათ, უკვე მოხუცებს. თუ ადამიანებს არ ეცოდინებოდათ, რომ უკონტროლო სქესობრივი ურთიერთობა ხელს უწყობს ვენერულ დაავადებათა ფართო გავრცელებას, ეს თავის მხრივ რეალურ საფრთხეს შეუქმნიდა ადამიანის მოდგმის არსებობას, და ა. შ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სინდისის წინამძღვრები ჯანსაღმა აზრმა წარმოშვა, ზნეობრიობა კი იცავს ადამიანებს დეგენერაციისაგან. ამის გამო თაობიდან თაობას გადაეცემა ზნეობრივი ინფორმა-

ციის ათვისების მაღალი უნარი, რომლის რეალიზება თუ არარეალიზება აღზრდით და სხვა სოციალური ფაქტორებით ხდება. ადამიანის ფსიქიკაში თანდათანობით ჩამოყალიბდა ბიოლოგიურად დაპროგრამებული ეთიკური მეხსიერება. იგი შეიძლება დაირღვეს თავის ტვინის დეფექტების გამო ან არ გამოვლინდეს შესაფერისი აღზრდით. მაგალითად. ხასიათის უხეში დარღვევების დროს ეთიკური მეხსიერება დეფექტურია: პიროვნება ისე ყალიბდება, რომ ვერ შეუთვისებია. რა არის კარგი და რა— ცუდი, რა ეკადრება ადამიანს და რა — არა. სწორედ ამის გამო მას ვერაფერი ვერ აკავებს და ჩვეულებრივ ადამიანებზე მეტად იქცევს ყურადღებას. მორალის შეხსენება ხელს უშლით ცხოვრებაში ისეთ ადამიანებს, რომლებსაც სინდისი დაბადებით არ დაჰყოლიათ (ამის გამო ამერიკელმა მეცნიერმა ბენჯამენ კარპენმა წინადადება წამოაყენა ფსიქოპათიას ანეთოპათია ეწოდოს), და დამნაშავეებს, ე. ი. ისეთ ადამიანებს, რომლებმაც შეგნებულად თქვეს უარი თანდაყოლილ სინდისზე.

ევოლუციურ კიბეზე მდგარი წინაპრებისგან ადამიანმა მემკვიდრეობით მიიღო არსებობის ბიოლოგიური მექანიზმები: ინსტინქტები. იმპულსები, ფიზიოლოგიური ფუნქციონირების შესაბამისი სისტემები. საზოგადოება კი თავისი სოციალური ინსტიტუტების სახით ადამიანს ცივილიზაციის ნიშნებით აჯილდოებს, საზოგადოება აძლევს მას კულტურას, მორალს, იდეალებს, სოციალურ პერსპექტივას. ადამიანი მხოლოდ იმის გამო ყალიბდება ადამიანად, რომ იგი სოციალიზებული არსებაა. ორი საწყისია მიზეზი მისი მუდმივი შინაგანი უკმაყოფილების, დაძაბულობის. გათიშულობის, კონფლიქტურობის, პიროვნების პერიოდული ანტისოციალობისა და ჰიპერსოციალობისა, რაც არასდროს არ ყუჩდება და სხვადასხვა ხარისხით იჩენს თავს. ეს შინაგანი გაორება მარადიულად არსებობს. ამის გამო ადამიანებისაგან უნდა ელოდე ხან სისასტიკესა და სიძულვილს, ხან კი წესიერებას, ზნეობრიობას და სიკეთეს.

არსებობენ განსაკუთრებული სინდისიერებით გამორჩეული ადამიანები, არიან ისეთებიც, ადვილად რომ თმობენ სინდისს. ზოგი ადამიანი მუდმივ კონფლიქტშია საკუთარ თავთან: აღზრდა და სინდისი თითქოს ნებას არ აძლევს არამზადა გახდეს, მაგრამ ბუნებით ისეთია, რომ არ შეუძლია არ უმუხთლოს, არ დაამციროს და ცხოვრება არ გაუმწაროს სხვებს. ამიტომ უყვართ მათ სინდისის თემაზე კამათი, მუდამ ვიღაცას სდებენ ბრალს უსინდისობაში, მაგრამ თვითონ სიკეთე არავისთვის ემეტებათ.

ღალატის გამო

40 წლის ქალი უკვე 13 წელია აკვიატებულად — დღეში 40—50-ჯერ იბანს ხელებს (ე. ი. პრაქტიკულად ხელები სულ წყალში აქვს). თითქმის ასევე ხშირად იბანს ტუჩებსაც. გარდა ამისა, დღეში 3—4-ჯერ ბანაობს. ექიმებთან დადის, შველას ითხოვს, წუხს, რომ ვერაფრით ეხმარებიან. ხასიათით მშვიდია, მფრთხალი, ნაღვლიანი, ადვილად შეუძლია თავის დაოკება, თუ რამე მოისურვა, უსათუოდ მიაღწევს. ჰყავს ქმარი და 19 წლის ვაჟი. მის ნათესავებს შორის ბევრია ისეთი ადამიანი, ადვილად რომ ატკენთ გულს და დიდხანს ახსოვთ წყენა, მაგრამ ამავე დროს უაღრესად კეთილსინდისიერები, საიმედონი, პატიოსნები არიან. ქალს მკაცრად ზრდიდნენ, მშობლები შთააგონებდნენ, რომ ყველაზე დიდი სიკეთე პატიოსნება და ერთგულებაა, და თუ ადამიანი ხელყოფს ბუნებით ბოძებულ ამ თვისებებს — ბედისწერა უთუოდ დასჯის. მამა ავადმყოფი ჰყავს — ძველმა რევოლუციონერმა თითქმის მთელი ცხოვრება ციხეებში გაატარა, დედა მოთმინებით ელოდა ქმარს, „სხვა კაცისთვის არც შეუხედავს". ოჯახში არავინ სვამდა, არ ეწეოდა, არ იგინებოდა. 19 წლისა რომ შესრულდა, მშვიდ, პატიოსან კაცს მიათხოვეს ცოლად. მაგრამ ქმარი არ უყვარდა. კარგად ცხოვრობდნენ. ქმარი ხშირად დადიოდა მივლინებაში და ხანგრძლივად ვერ ნახულობდნენ ერთმანეთს. ერთხელ ქალი დასასვენებელ სახლში წავიდა. იქ ვიღაც თაყვანისმცემელმა, რომელსაც ქალი ჯიუტად იშორებდა თავიდან, როგორღაც მოახერხა მის ოთახში შესვლა. ქალი ეწინააღმდეგებოდა მოძალადეს, მაგრამ ყვირილი ვერ გაბედა — არ უნდოდა ვინმეს გაეგო ეს ამბავი. მამაკაცი დაეუფლა მას და წავიდა. ქალს მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს, ტიროდა, თავის მოწამვლაც დააპირა. როგორ ვუღალატე ქმარს! — იმეორებდა განუწყვეტლივ. უნდოდა ჩამოერეცხა ჭუჭყი, უცხო მამაკაცთან სიახლოვით რომ მოეცხო. აბაზანაში შევიდა და საათ-ნახევარი იბანდა. მერე ექიმს სთხოვა, დროზე ადრე გაეშვათ დასასვენებელი სახლიდან. შინ რომ დაბრუნდა, უთხრეს: ქმარი საზღვარგარეთ საავტომობილო კატასტროფაში მოხვდა და ახლა სიკვდილის პირზეაო. ამ დღიდან დაიწყო ყველაფერი: თავს კიცხავდა, ერთთავად აფორიაქებული იყო, ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ქმრის ამბავი სასჯელად ერგო ღალატის გამო. ისევ შევიდა აბაზანაში და დაიბანა. მას მერე დასჩემდა ხელ-პირის აკვიატებული ბანა. ექიმებთან დადიოდა, მაგრამ ვერაფერს შველოდნენ, ხასიათი გაუფუჭდა, შვილს ეჩხუბებოდა. ქმარი რომ გამოჯანსაღდა და შინ დაბრუნდა, გაოცებული დარჩა ცოლის ასეთი მდგომარეობით.

ეს აკვიატებულ მოძრაობათა ნევროზი წარმოშვა მწვავე კონფლიქტმა პიროვნების ზნეობრივ მისწრაფებასა და იმ ფსიქიკურ ტრავმას შორის, რომელიც მის მორალურ შეხედულებებს ეწინააღმდეგებოდა.

ბევრი ქალი ღალატობს ქმარს, მაგრამ ამის გამო არათუ არ ავადდებიან, ამაყობენ კიდეც. ამ ქალმა კი ერთხელ უღალატა ქმარს, ისიც თავისი ნების წინააღმდეგ, და ყველაფერი მძიმე დაავადებით დასრულდა, მთელი სიცოცხლე მოეშხამა. ამ შემთხვევაში განმსაზღვრელია თვით პიროვნება — თუ რა არის მისთვის არსებითი და რა არაარსებითი.

ისეთ ადამიანებსაც შეხვდებით, ზნეობრივი კონფლიქტების გამო რომ ლოთობენ და მერე თავს იკლავენ. ზოგ ადამიანს მრავალი წლის მანძილზე ქენჯნის სინდისი, ვერ მოუსვენია. ყველა ფსიქიატრს ჰყავს ისეთი პაციენტები, რომლებიც უღირსი საქციელის გამო იტანჯებიან: ხალხის დასანახად გმირებივით იქცევიან, ექიმის კაბინეტში კი ყველაზე უბედური არსებები არიან. დიახ, ექიმის პროფესია ადამიანის ჭეშმარიტი სახის დანახვის შესაძლებლობას იძლევა. ეს სამედიცინო მოღვაწეობის უსიამოვნო მხარეა. მაგრამ რაოდენ სასიხარულოა, რომ ექიმი — თუმცა ავადმყოფური ფორმით — ხედავს ადამიანის მაღალ მოწოდებას და ამ მოწოდების უარყოფით გამოწვეულ სასჯელსაც. სამწუხაროდ, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში როდი ხვდება ყველა, ვისაც ბოროტება ჩაუდენია, და არც ყველა დამნაშავეს სტანჯავს სინდისი. მეტწილ ადამიანებს სულაც არ ადარდებთ ჩადენილი დანაშაული. ვერ უძლებენ მხოლოდ ისინი, ვისაც მცირეოდენი სინდისი მაინც გააჩნია და მხოლოდ გარემოებამ აიძულა ამორალური საქციელი ჩაედინა. ვისაც სინდისი არა აქვს, არც უსინდისობით გამოწვეული დაავადება შეეყრება.

კლოდ იზერლის ამბავი, რომელმაც ხიროსიმაში ატომური ბომბი ჩამოაგდო, ამ აზრით ქრესტომათიულია. დანაშაულის ჩადენის შემდეგ იზერლი მალე მძიმედ დაავადდა თავისი დანაშაულის შეგნებით. ამაზრზენი საქციელის გამო სასჯელს ეძებდა, შეგნებულად არღვევდა კანონს, რომ ყურადღება მიექციათ. აშშ-ის საუკეთესო ფსიქიატრიული საავადმყოფოები მოიარა, მაგრამ ვერსად უშველეს. ასე ეწამება ბიბლიური აგასთერივით, სასჯელი კი ვერ უპოვია, ასე იქცა იგი დედამიწის ავადმყოფ სინდისად, სასჯელს მოითხოვს ტრაგედიისთვის, რომელშიც ბრალი მიუძღვის.

სინდისზე როცა ვსაუბრობთ, მუდამ მაგონდება კანტის პოეტური სიტყვები: „ორი რამ აღელვებს სულს ძლიერად: ვარსკვლავებიანი ცა ჩვენს ზემოთ და ზნეობრივი კანონი ჩვენს შიგნით“.

იზოლაციის მსხვერპლნი

ნევროზების, უხასიათობის და სხვა მსგავს დარღვევათა მიზეზი მხოლოდ ადამიანთა შორის კონფლიქტები როდია, მასზე სხვა ფაქტორებიც მოქმედებენ. განვიხილავთ ზოგიერთის როლს.

ყველა ადამიანს ჰარმონიული განვითარებისათვის ესაჭიროება გამღიზიანებელთა განსაზღვრული რაოდენობა, რომლებიც მის გრძნობათა ორგანოებზე მოქმედებენ — ამ გამღიზიანებლებს სენსორული ეწოდება. მაშასადამე, ყრუ ან ბრმა ადამიანი ამა თუ იმ სენსორულ იზოლაციაში იმის გამო ხვდება, რომ მას გამორთული აქვს შესაბამისი გრძნობის ორგანოები ანდა ისინი არასაკმაოდ მოქმედებენ.

1960—70-იან წლებში გამოქვეყნებული ბევრი ნაშრომის ავტორები აღწერდნენ სენსორული იზოლაციის გავლენას გამოსაცდელთა ფსიქიკაზე. თუ ადამიანს გრძნობის ყველა ორგანო საკმაოდ განვითარებული აქვს, მაგრამ მას ხანგრძლივად გავაცალკევებთ ადამიანებისაგან და სავსებით გამოვრიცხავთ ნებისმიერი სენსორული ინფორმაციის მიღებას, მაშინ ასეთი ადამიანი გამოავლენს ხანმოკლე ფსიქიკურ დარღვევებს. ძირითადად ეს სმენითი და მხედველობითი ჰალუცინაციებია. ისინი მთლიანად მოიცავენ ადამიანის ფსიქიკას და რეალურად აღიქმებიან. ასეთი ჰალუცინაციები ჰქონდა ზოგიერთ კოსმონავტს, რომელიც ხანგრძლივად იმყოფებოდა სურდოკამერებში გასაფრენად მზადების დროს. სხვათა შორის, ასეთი ფსიქოზების განვითარება ადამიანის ფსიქიკის საოცარ სრულყოფილებაზე მეტყველებს: თუ ორგანიზმი გარედან არ იღებს საჭირო რაოდენობის გამღიზიანებლებს და გრძნობის ცალკეული ორგანოები თითქოს უმოქმედოდ არიან, მაშინ სენსორულ დატვირთვას მიჩვეული ორგანოები თვითონ იწყებენ გარეგანი გამღიზიანებლების იმიტაციას. მოქმედებაში ებმება უკუკავშირის ფენომენი, რის შედეგადაც ტვინში წარმოიქმნება საგნის მხედველობითი ან სმენითი გამოხატულება. სენსორული გამღიზიანებლების საჭირო რაოდენობით მიღების შემდეგ გრძნობის ორგანოები მუშაობის სხვა რეჟიმზე გადაირთვებიან და უკვე რეალურად არსებულ გამღიზიანებლებზე რეაგირებენ. თუ ეს გამღიზიანებლები არ არსებობენ, გრძნობის ორგანოები თითქოს ქმნიან მათ.

აბსოლუტურ სენსორულ იზოლაციაში ყოფნა, რა თქმა უნდა, იშვიათია, ეს ხდება მხოლოდ ექსპერიმენტის დროს. მეტწილად ისეთი გარემოებანი იქმნება, როდესაც გრძნობის მხოლოდ ერთი ორგანოა ნაწილობრივ ან მთლიანად გამოთიშული.

გამოიკვლიეს ყრუ, ბრმა და ასევე დაქვეითებული მხედველობისა და სმენის მქონე ბავშვები და მოზარდები. აღმოჩნდა, რომ დეფექტის

განცდით გამოწვეული ხასიათის თავისებურებანი სხვადასხვაგვარია და დამოკიდებულია არა მხოლოდ ძირითად დარღვევებზე, არამედ იმ ბიოლოგიურ ფონზეც, რომელზეც ისინი ყალიბდება. მაგალითად, ბავშვი დაიბადა არასასურველად მიმდინარე ორსულობის შემდეგ და პირველივე დღეებში გადაიტანა თავის ტვინის ანთება. მას მკურნალობდნენ სტრეპტომიცინით, რასაც მოჰყვა გართულება დაყრუების სახით. შემდგომ ბავშვის ქცევასა და ხასიათში თავი იჩინა აშკარა გადახრებმა. როგორ უნდა შეფასდეს ისინი? როგორც მხოლოდ სიყრუის შედეგი, თუ როგორც თავის ადრეული ორგანული დაზიანების ნარჩენი მოვლენები? რა თქმა უნდა, არა. არასდროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ასეთი პათოლოგიური ბავშვი ამასთანავე იმყოფება სათანადო სოციალურ გარემოში, რომელიც მოქმედებს მასზე. თუ ასეთ ბავშვს ცუდად ექცევიან, ცემენ, ვერ უგებენ, შეიძლება მას სხვადასხვაგვარი ნევროზული და ხასიათობრივი დარღვევები განუვითარდეს, რაც უშუალოდ მის სიყრუეზე არ იქნება დამოკიდებული. მაგრამ სიყრუის გამო ბავშვს შეიძლება უფრო სწრაფად წარმოექმნას კონფლიქტები ირგვლივ მყოფ ადამიანებთან: ერთი მხრივ, ყრუს ყველაფერი არ ესმის, იტანჯება ამის გამო და ხანდახან გაზრდილ მოთხოვნებსაც უყენებს მათ; მეორე მხრივ კი, ამ ადამიანებს შეიძლება მოთმინებამ უმტყუნოს, რაც კიდევ უფრო ზრდის ახალი კონფლიქტების რისკს.

მეცნიერებაში აღწერილი არ არის ყრუ ან ბრმა ადამიანის ხასიათების სპეციფიკური თვისებები. თუ მათთან თავს იჩენს ეს დარღვევები, ამის მიზეზი მეტწილად თვით სიყრუე და სიბრმავე კი არ არის. არამედ მათი კონსტიტუციური თავისებურებანი და ის ფაქტორები, რომლებმაც გამოიწვიეს ამ ადამიანთა გრძნობის ორგანოების დაზიანება. მაგალითად, აგზნებად და შარიან ადამიანს ერთ-ერთი ჩხუბის დროს სცემეს, მან გრძნობა დაკარგა, დაეცა და ამ დროს თვალშიც ჩაარტყეს. გრძნობაზე მოვიდა საავადმყოფოს ტრავმატოლოგიურ განყოფილებაში და შეამჩნია, რომ ვერ ხედავს. მორთო ყვირილი, ტირილი. ერთი თვის შემდეგ იგი გამოწერეს. მოსვენებას არავის აძლევდა, ყველას ეჩხუბებოდა, სვამდა, აყაფეხმაყალს ტეხდა. ასე გაგრძელდა მრავალი წლის მანძილზე.

როგორ უნდა შეფასდეს ადამიანის ასეთი მდგომარეობა? განა მხოლოდ სიბრმავემ გახადა იგი ასეთი? რა თქმა უნდა, არა. იგი ადრეც ფიცხი და აგრესიული იყო, სწორედ ამან გამოიწვია ის ჩხუბიც, რასაც ტვინის შერყევა მოჰყვა — ამან კი თავის მხრივ მკვეთრად გააძლიერა მისი აგზნებადობა და სიფიცხე, უფრო მოუთმენელი გახადა. მაგრამ სიბრმავე, ცხადია, დაღს ასვამს პიროვნებას, არა მარტო ამძაფრებს ხასიათის ადრე არსებულ თავისებურებებს, არამედ ადამიანს უფრო ეჭვიანსა და

ნერვულს ხდის, ძლიერი ნების, მიზანსწრაფული და საკუთარი ღირსების მქონე ადამიანები სიბრმავეს უფრო ვაჟკაცურად იტანენ, ვიდრე სუსტი ნებისყოფის მერყევი პიროვნებები.

რა მოხდება, თუ მოზრდილი ადამიანი რობინზონ კრუზოსავით მრავალი წლის განმავლობაში იზოლირებული იქნება თავის მსგავსი ადამიანებისგან? შეცვლის ეს მის ხასიათს? წარმოშობს თუ არა ხასიათობრივ ან სხვა უფრო უხეშ ფსიქიკურ დარღვევებს? მეცნიერებას ჯერ არ შეუძლია ამ კითხვას უპასუხოს. ეს მრავალ მიზეზთანაა დაკავშირებული. ჯერ ერთი, ასეთი დაკვირვებები მცირერიცხოვანია და არ იძლევა აბსოლუტურად სარწმუნო ინფორმაციას. მეორეც, ხასიათობრივი დარღვევები დაკავშირებულია არა თვით ხანგრძლივი იზოლაციის ფაქტთან, არამედ ადამიანის ფსიქიკის თავდაპირველ თავისებურებებთან. ისინი, ვისაც უკვე ჰქონდა რაიმე ფსიქიკური გადახრები, სწრაფად ეძლევიან სასოწარკვეთილებას, ადვილად კარგავენ მოთმინებას და უბედურებისაგან თავდახსნის ინდს, უუნარონი ხდებიან, აღარ ზრუნავენ საკუთარ თავზე და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ველურდებიან: ერღვევათ მეტყველება, ზოგიერთს უმიზეზო მხიარულება ეუფლება და ა. შ. მტკიცე ნებისყოფის, მიზანსწრაფული, თავდაჭერილი ადამიანები მარტოობის გამოცდას უფრო უკეთ იტანენ, ვიდრე უნებისყოფო, მერყევი და სულიერად სუსტი პიროვნებები.

საზოგადოებისაგან ხანგრძლივი დროით მთლიანად ან ნაწილობრივ იზოლირებულ ადამიანებს წლების მანძილზე უჩნდებათ ხასიათობრივი თავისებურებანი: ისინი უნდობელნი ხდებიან, ფიქრიანები, თავის თავში ჩაღრმავებულნი. მაგალითად, პატიმრობის არაადამიანურ პირობებს, როცა ზოგჯერ ათეულობით წელს ატარებდნენ მკაცრ იზოლაციაში, ბევრი ვერ იტანდა და ჭკუიდან იშლებოდა, ზოგიც თავს იკლავდა.

რევოლუციონერ მიხაილ ნოვორუსკის, რომელიც ალექსანდრ ულიანოვთან ერთად გაასამართლეს, თავის „შლისელბურგელის ჩანაწერებში" მოჰყავს 22 წლის (1894—1906) ვონაცემები: ამ დროის ძანძილზე შლისელბურგის ციხეში იმყოფებოდა 42 პატიმარი, მათგან 13 აწამეს, 15 მოკვდა, მხოლოდ 2 ადამიანი გაათავისუფლეს. რა ბედი ეწია დანარჩენ 12 პატიმარს? ჭკუაზე შეიშალა 5, 3-მა თავი მოიკლა 4-მა ადამიანმა პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ მოიკლა თავი.

ეს ტრაგიკული ციფრები იმაზე მეტყველებენ, რომ საზოგადოებისგან ხანგრძლივ იზოლაციას, როცა ადამიანს არ შეუძლია მიიღოს სხვადასხვაგვარი და არა ერთი ტიპის სენსორული გამღიზიანებლები, თვით ძლიერი ადამიანებიც კი ვერ იტანდნენ: ისინი სულიერად ავადდებოდნენ ან თავს იკლავდნენ იმის გამო, რომ ვერ ეგუებოდნენ ციხის ერთ-

ფეროვან ცხოვრებას. ანდა მხოლოდ იმდენად ეგუებოდნენ, რომ ციხიდან გამოსვლის შემდეგ ახალი ცხოვრების დაწყების უნარი აღარ შესწევდათ.

მუდმივი ჭრილობები

ომი ყველაზე დიდი უბედურებაა. კაცობრიობის ისტორიაში პრაქტიკულად არ არსებობდა მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი პერიოდები, როცა ომები არ მძვინვარებდა. მაგრამ გასული საუკუნეების თვით ყველაზე სასტიკი ომებიც ვერ შეედრება მეორე მსოფლიო ომს. ძნელი წარმოსადგენია, ადამიანებს ოდესმე ამდენი ტანჯვა-წამება გადაეტანოთ. მხოლოდ საბჭოთა კავშირმა 20 მილიონი ადამიანი დაკარგა. ახლა რამდენი იყო დასახიჩრებული, დაუძლურებული, ნაწამები? განა შეიძლება გაიზომოს დედათა და ბავშვთა ცრემლი, ამ საშინელი ოთხი წლის მანძილზე რომ დაიღვარა?

ომის დროს ადამიანებმა გადაიტანეს ფსიქიკური სტრესები, შიმშილი, დაბომბვა, ახლობელთა სიკვდილი. მაგრამ ომი დამთავრდა, დადგა ეკონომიკის აღდგენის წლები, დაკარგვის ტკივილი ოდნავ მიყუჩდა, ბევრმა დაივიწყა წარსული. ადამიანთა უმრავლესობა გონს მოვიდა და უკვე აღარ იჩენდა თავს უხეში სულიერი გადახრები — ადამიანის ნერვული სისტემის პლასტიკურობა ხომ საოცრად დიდია.

მეორე მსოფლიო ომმა რამდენიმე კოშმარული ექსპერიმენტი ჩაატარა, რომელთაც პრეცედენტი არა აქვთ ისტორიაში. მხედველობაში მაქვს ნაცისტური საკონცენტრაციო ბანაკების საშინელებანი და ხიროსიმასა და ნაგასაკის ტრაგედია. მათ შედეგებს ხომ დღესაც გრძნობს ბევრი იმათგანი, ვინც თავის თავზე განიცადა ყოველივე ეს. აქ მნიშვნელოვანია ისიც, თუ როგორ წარიმართა ომის შემდგომ იმ ხალხის ცხოვრება, ამ ბანაკების საშინელებანი და ატომური დაბომბვა რომ გადაიტანა. თუ ადამიანურად ექცეოდნენ, მათი მდგომარეობა მეტ-ნაკლებად უმჯობესდებოდა, მაგრამ თუ ამ უბედურ ადამიანებს გარიყავდნენ და ჯანმრთელი ადამიანებისაგან იზოლაციაში ამყოფებდნენ (როგორც ეს დაემართა, მაგალითად, ატომური აფეთქებისაგან დაზარალებულ ადამიანთა უმრავლესობას), მათი ბედი, რა თქმა უნდა, დრამატულად წარიმართებოდა.

სხვადასხვაგვარი კატასტროფაც (მიწისძვრა, წყალდიდობა და სხვ.) ასევე დიდი ხნით ტოვებს კვალს ზოგიერთი ადამიანის ფსიქიკაზე. ამ დროს, ჩვეულებრივ, ხდება ნევროზული პიროვნების ჩამოყალიბება. ახ-

ლობლების დაკარგვა, იმის შეგნება, რომ კატასტროფის შემდეგ ადამიანს აღარ შესწევს ახალი ცხოვრების დაწყების უნარი, არსებით ზემოქმედებას ახდენს მეტისმეტად მგრძნობიარე და შთაბეჭდილებიან ადამიანებზე (განსაკუთრებით ხშირია ეს ფიზიკურად სუსტ და გადაღლილ ადამიანებში). ასეთ შემთხვევებში ადამიანს ხასიათი თანდათანობით ეცვლება: ზოგი მეტად ფიცხი, აგზნებადი და პირქუში ხდება, ზოგი — გულჩახვეული, მერყევი, მორცხვი, გაუბედავი, ზოგიც — პედანტური, შურიანი, უზომოდ კეთილსინდისიერი და ა. შ.

აშხაბადის ცნობილი მიწისძვრის (1949 წ.) შედეგების ანალიზმა ცხადყო, რომ იმ დღეებში მართლაც ბევრ აშხაბადელს დაერღვა ფსიქიკა, მაგრამ ამას, როგორც წესი, ფსიქიკური დაავადების დონისთვის არ მიუღწევია. ეს იყო ძირითადად ხანმოკლე დაბნეულობა, მიწისძვრის გამეორების შიში, ფსიქიკის უმნიშვნელო დათრგუნვა და ა. შ. პირობითად ისინი შეიძლება ნევროზულს მივაკუთვნოთ. მოზარდებისა და ქალების მცირე ნაწილი (ვისაც ძირითადად დასუსტებული ნერვული სისტემა ჰქონდა ან ადრე ნევროზები და ფსიქიკის სხვა დარღვევები აღენიშნებოდა) უფრო მკვეთრად გამოხატულ აშლილობას ამჟღავნებდა, რაც სტიქიური უბედურების შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიღებისთანავე სწრაფად ქრებოდა.

ამერიკელი ფსიქიატრი მენინგერი აღწერს იმ პირთა ფსიქიკურ რეაქციებს, ვინც ძლიერი წყალდიდობა გადაიტანა. ზოგი მცირე ხანს ამჟღავნებდა აგზნებადობას, მაგრამ საკუთარი თავის კონტროლი არავის დაუკარგავს. დაახლოებით ასეთივე დასკვნები მიიღეს საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი (აშშ) ნაციონალური ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკვლევების ავტორებმა: მათ გამოჰკითხეს 1000 ადამიანი, რომელთაც საერთო ჯამში 70 სახის სხვადასხვაგვარი უბედური შემთხვევა გადაიტანეს. მართალია, მათ დაკარგეს მადა, სტკიოდათ თავი, მოჩვენებებიც სტანჯავდათ, მაგრამ ეს დარღვევები ზოგადად ხანმოკლე იყო. აღნიშნული მდგომარეობა იმაზე მეტყველებდა, რომ ჯანსაღი ადამიანი ყველა არასასურველ ზემოქმედებაზე ჯანსაღად რეაგირებს, რადგან ფსიქიკის პლასტიკურობა გასაოცარია და მას უდიდესი ამტანობა ახასიათებს. ასეთ სიტუაციებში ყველაზე ცუდად გრძნობენ თავს ნაკლებად ამტანი ან ავადმყოფი ადამიანები. გარდა ამისა, დიდია სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორებისა და განწყობათა რეაქციების როლი.

მეორე მსოფლიო ომის დროს ჰამბურგისა და დრეზდენის დაბომბვის შედეგების შესწავლამ ცხადყო, რომ ბევრი ადამიანი ავლენდა ფსიქიკურ აშლილობას, რაც მეტწილად მალე ქრებოდა. დასავლეთგერმანელ ავტორთა დიდი ნაწილი, რომლებიც მსგავს გამოკვლევებს ატარებენ,

იმ დასკვნამდე მიდის, რომ ამ რეაქციების წარმოშობა (ან არარსებობა), მათი ხანგრძლივობა და გამოვლენა იმდენად გარეგან ფაქტორებზე არ არის დამოკიდებული, რამდენადაც ინდივიდუალურ მიდრეკილებასა და სოციალური გარემოს თავისებურებებზე (ძირითადად მოსახლეობის ინფორმაციასა და მისი სულისკვეთების სიმტკიცეზე). საინტერესოა, რომ 12—13 წლამდე ბავშვებს ასეთი რეაქციები საერთოდ არ ჰქონდათ. ბავშვები დაბომბვაზე ისე არ რეაგირებდნენ, როგორც თავიანთი ახლობლების ქცევაზე: თუ უფროსებს შიში იპყრობდათ, იბნეოდნენ და ტიროდნენ, ბავშვებიც ასევე იქცეოდნენ.

1971 წელს მაინის ფრანკფურტში გამოვიდა სამეცნიერო ნაშრომების კრებული „რეაქციები კატასტროფაზე". ამ წიგნის რედაქტორმა, შვეიცარიელმა ფსიქოლოგმა ცვინგმანმა, შეკრიბა სტატიები ფსიქიკურ დარღვევათა შესახებ მიწისძვრის, გემის ჩაძირვის ან სხვა კატასტროფების დროს. ამ ავტორთა შორისაა ცნობილი საბჭოთა საბავშვო ექიმი ტატიანა პავლეს ასული სიმსონი (1892—1960), რომელმაც 20-იანი წლების ბოლოს გამოაქვეყნა ნაშრომების სერია ბავშვთა ფსიქიკურ დარღვევებზე ყირიმის მიწისძვრის დროს.

თუ ყველა ამ მონაცემს შევკრებთ, ფსიქიკურ დარღვევათა დინამიკა კატასტროფების შემთხვევაში დაახლოებით ასეთი იქნება: თვით კატასტროფის დროს ზოგიერთს (ყველას — არა, არც უმრავლესობას, მხოლოდ ძალიან ცოტას!) ემართება ფსიქოგენური ფსიქოზი, რომელიც მყისვე ქრება. მხოლოდ ძალიან მცირე რიცხვს რჩება შედეგები გაზრდილი ნევროზულობისა და ხასიათის ზოგიერთი დარღვევის სახით.

ვინ უფრო ხშირად — სამხრეთელი თუ ჩრდილოეთელი — ავლენს პანიკურ რეაქციებს და სხვადასხვა ზღვრულ დარღვევებს სტიქიური უბედურებისა და ომების დროს? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ჩვენ არ შეგვიძლია: სათანადო ლიტერატურა მწირია და თანაც წინააღმდეგობრივი. ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ ჩრდილოეთის რეგიონებში სტიქიური უბედურებები (მიწისძვრები, გრიგალები და ა. შ.) ნაკლებია, ვიდრე სამხრეთში. ლოგიკურად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რადგან სამხრეთელები უფრო ტემპერამენტიანი და ემოციურნი არიან და მაშინვე რეაგირებენ ყველაფერზე, მათ ჩრდილოელებზე მეტად უნდა ახასიათებდეთ ნევროზული რეაქციები და პანიკისადმი მიდრეკილება. ამის გამო კავკასია და საბჭოთა კავშირის სხვა სამხრეთის რაიონები ხომ არ შეიძლება მივიჩნიოთ სტიქიური უბედურების გავლენით წარმოქმნილი პანიკური რეაქციების გაზრდილი რისკის ზონად? ასეთი ვარაუდი ნაკლებად არგუმენტირებულია, თუმცა ლოგიკურად შეიძლება სწორიც იყოს. მოსახლეობის რეაქცია დამოკიდებულია არა მარტო ადამიანების ტემპერა-

მენტზე, არამედ, როგორც დავინახეთ, ბევრ სხვა ფაქტორზე, რომელთა შორის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის განწყობილებას, მის სულიერ კვეთებას, დარაზმულობას, ურთიერთდახმარებას და ა. შ. მაგრამ ეს მაღალი ადამიანური თვისებები თვითონ როდი წარმოიქმნებიან— ისინი უნდა აღზარდო, წარმართო, ბავშვობიდან ჩამოაყალიბო. აქ უამრავი სამუშაოა და თვითდამშვიდებას არ უნდა მიეცე.

მაშ რითი უნდა აიხსნას, რომ მასობრივი უბედური შემთხვევების დროს ადამიანები მხნედ და თავდაჭერილად იქცეოდნენ და ფსიქიკურ რეაქციებს არ ავლენდნენ, ჩვეულებრივ სიტუაციებში კი, როცა არ იყო მასობრივი კატაკლიზმები, უფრო ხშირად ავლენდნენ ფსიქიკურ გადახრებს? ალბათ ეს აიხსნება შემდეგი გარემოებით: თუ უბედურება ყველას თავსაა, იგი უფრო მშვიდად გადააქვს ადამიანს. მაგრამ თუ ყველა კარგად არის და მხოლოდ ერთ ან რამდენიმე ადამიანს დაატყდა უბედურება, სწორედ მაშინ იჩენს თავს ნევროზები. ნევროზი მუდამ ინდივიდუალური ტრაგედიაა და არა კოლექტიური. ამიტომ ომების დროს, როცა ბევრი ადამიანი იღუპება, ნევროზები იშვიათია. მაგრამ დამთავრდება თუ არა ომი და წინა პლანზე წამოიწევს ინდივიდუალური პრობლემები, ნევროზებიც უფრო ხშირია.

საკონცენტრაციო ბანაკის სინდრომი

სამწუხაროდ, უსაზღვროა ერთი ადამიანის სისასტიკე მეორის მიმართ, ამიტომ მუდამ იგონებდნენ პიროვნების დათრგუნვის ახალ, უფრო დახვეწილ ფორმებს. XX საუკუნის ასეთი გამოგონებაა საკონცენტრაციო ბანაკები, რომლებიც ტყვეთა თანდათანობით მოსპობას ითვალისწინებდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ფსიქიატრიულ ლიტერატურაში მოზღვავდა ისეთი შრომები, სადაც აღწერილი იყო ჰიტლერული სიკვდილის ბანაკებიდან დაბრუნებული ადამიანების ხვედრი. ასეთი ნაშრომები განსაკუთრებით ბევრი გამოქვეყნდა ომის დამთავრებიდან 15—20 წლის შემდეგ. მედიკოსებს ძალზე აინტერესებდათ, თუ როგორ წარიმართა ყოფილი ტყვეებისა და მათი ბავშვების ცხოვრება. შედეგები ერთმანეთის საწინააღმდეგო და ხშირად უნუგეშო იყო: გიმლერის გამომგონებლობამ ბევრ მათგანს შეურყია ფსიქიკა — ისინი შიშით შეპყრობილ, გაუბედავ, დამფრთხალ ადამიანებად აქცია. ნაცისტურმა სიკვდილის ბანაკებმა თავიანთ ტყვეებს სული ისე დაუმახინჯეს, რომ განთავისუფლების შემდეგაც ბევრს უკვე აღარ შეეძლო ჩვეულებრივ ცხოვრებას დაბრუნე-

ბოდა, ისინი გადატანილ საშინელებათა ტყვეობაში დარჩნენ. რა თქმა უნდა, ლაპარაკია არა ყველა ტყვეზე, არამედ მხოლოდ იმათზე, ვინც ფსიქიატრებთან მკურნალობდნენ ან მათთან იყვნენ შემოწმებაზე (ძირითადად მკურნალობდნენ ისინი, ვინც საკონცენტრაციო ბანაკამდეც დადიოდნენ ამ სპეციალისტებთან).

ტერმინი „საკონცენტრაციო ბანაკების ტყვეთა სინდრომი" (შემოკლებით „K-Z სინდრომი") შემოღებულ იქნა 1954 წელს კოპენჰაგენის საერთაშორისო კონგრესზე. ყველა, ვინც კი ამ სინდრომს შეისწავლიდა, აღნიშნავდა, რომ მისი მკურნალობა ძალიან ძნელია, ხოლო შედეგები შეიმჩნევა ყოფილი ტყვეების ბავშვებზეც კი, რომლებიც თვითონ არ ყოფილან საკონცენტრაციო ბანაკებში და მათი განადგურებიდან კარგა ხნის შემდეგ დაიბადნენ. ამ ბავშვებში აღინიშნება გუნებ-განწყობის დაქვეითება, პესიმიზმი, ქცევის დარღვევა.

საკონცენტრაციო ბანაკის ყოფილი ტყვეები (მამაკაცები) სამსახურებრივ წარმატებას ვერ აღწევენ, თუმცა ამ კანონს გამონაკლისიც აქვს. თუ ისინი ასრულებენ მცირე მოცულობის სამუშაოს, რომელიც არ საჭიროებს კონტაქტებსა და სწრაფ გადაწყვეტილებას, ასეთ სამუშაოს კარგად ართმევენ თავს.

ყველა მკვლევარი წერს, რომ რაკი ცხოვრებაში არსებობდა ისეთი საზარელი ექსპერიმენტი, როგორიც იყო ნაცისტური საკონცენტრაციო ბანაკები ადამიანთა მოსპობის დახვეწილი სისტემით, აუცილებელია, ფსიქოლოგებმა, ექიმებმა და ფილოსოფოსებმა განაგრძონ დაკვირვება ყოფილ ტყვეებზე, ყოველმხრივ შეისწავლონ ისინი და მათი შთამომავლობა — ამან მეცნიერებას შეიძლება ბევრი მნიშვნელოვანი მონაცემი მისცეს. ამ პრობლემაზე დაწვრილებით შევჩერდეთ.

1933 წლის 22 თებერვლის დეკრეტით გერმანიაში შეიქმნა საკონცენტრაციო ბანაკების ქსელი, რომელიც მიზნად ისახავდა მილიონობით ადამიანის მასობრივ მოსპობას პიროვნების სწრაფი და პროგრესული განადგურების გზით. ადამიანის ფიზიკური და მორალური დაუძლურება იყო ამ ზნედაცემულობის მამოძრავებელი ძალა, რაც მიიღწეოდა ბევრი ფაქტორის განსაზღვრული დოზირებითა და შეერთებით. ეს იყო — ფიზიკური გადაღლა აღდგენითი დასვენების გარეშე, უძილობა, ტემპერატურათა მონაცვლეობა, ჰიგიენის უარყოფა, მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები. ყველაფერ ამას ემატებოდა პიროვნების წინასწარგამიზნული სისტემატური დაკნინება-დათრგუნვა და არსებობის მკაცრი პირობები, ტერორისა და შეშლილობის ხელშემწყობი ვითარების კულტივირება, ასევე დამაუძლურებელი ფიზიკური შოკების ისეთი სახეების გამოყენება, როგორიცაა, მაგალითად, სისტემატური ეგზეკუციები, ცემა.

მკვლელობა, ეგრეთ წოდებული სამეცნიერო ცდები, უბედური შემთხვევები, ინფექციური და სხვა დაავადებები, რომლებსაც არ მკურნალობდნენ და ამის გამო არც არავის ათავისუფლებდნენ იძულებითი სამუშაოდან. ამ მეთოდების ერთობლიობა ადამიანთა მოსპობის არნახულ საშუალებებს ქმნიდა.

უკიდურესი ფსიქო-ფიზიკური დაუძლურებისა და ნორმალური ცხოვრების უნარის დაკარგვის დამადასტურებელია ის ფაქტიც, რომ მოკავშირეთა გამარჯვების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულ ტყვეთა 20-დან 50-მდე პროცენტი მოკვდა. ომის წლებში, მაგალითად, საფრანგეთიდან ჰიტლერულ საკონცენტრაციო ბანაკებში გაგზავნეს 238 ათასი ადამიანი, მათგან სამშობლოში დაბრუნდა მხოლოდ 38 ათასი, რომელთა ნახევარი მალე გარდაიცვალა.

1974 წელს ამერიკელმა მკვლევარმა რასელმა გამოაქვეყნა სტატია „იმ პირთა ოჯახების გვიანი ფსიქოსოციალური შედეგები, რომლებმაც საკონცენტრაციო ბანაკებს გაუძლეს". ეს სტატია აგრძელებდა მრავალრიცხოვან გამოკვლევებს ნაცისტურ ბანაკებში ყოფნის შედეგებზე. გამოკვლევათა უმეტესობა მოგვითხრობდა თვით ფაშისტური ბანაკების ტყვეთა ბედზე, მაგრამ დღეისათვის მათ ოჯახებში უკვე მეორე თაობა გაიზარდა. რასელმა შეისწავლა 34 ოჯახი, რომლის ერთი ან რამდენიმე წევრი წარსულში სხვადასხვა დროს იმყოფებოდა ჰიტლერულ საკონცენტრაციო ბანაკებში. აღნიშნული იყო ამ ოჯახების მთელი რიგი თავისებურებანი, რაც ძირითადად ეხებოდა დედებს. მათ უძნელდებოდათ ბავშვების მოვლა და აღზრდა, რადგან თავი ვერ დაეღწიათ შიშისათვის, რომ საკონცენტრაციო ბანაკებში ყოფნის შედეგები დამღუპველად იმოქმედებდა ბავშვის ჯანმრთელობაზე. ჯერ კიდევ ორსულობის დროს დედებს ხშირად აწვალებდათ ღამეული კოშმარები და აკვიატებული შიში ბავშვის მომავალზე. მოგვიანებით კი ბევრ მათგანს არ ასვენებდა იმაზე ფიქრი, რომ მის ბავშვს მოიპარავდნენ ან მოკლავდნენ. უკვე გაზრდილ ბავშვებს დედები გადამეტებული ზრუნვით სტანჯავდნენ. ზოგიერთ დედას სამუდამოდ დაუფლებოდა შიშისა და დანაშაულის გრძნობა თავის ბავშვების წინაშე. ბევრ გამოკვლეულ ოჯახში დედები უფრო მეტი უფლებით სარგებლობდნენ, მეტ მიზანსწრაფვასა და პასუხისმგებლობას ავლენდნენ, ვიდრე მამები, რომლებიც ძირითადად უფრო სუსტები და პასიურები იყვნენ და ცდილობნდენ თავი აერიდებინათ ოჯახური პრობლემებისათვის. ასეთი ოჯახების ბავშვებს ახასიათებდათ მშობლებისადმი აგრესიული დამოკიდებულება, ურჩობა. რასთან არის ეს დაკავშირებული? იქნებ ბავშვების ქვეცნობიერ პროტესტთან მშობლების ნაცისტურ ბანაკებში ყოფნის გამო? ეს მექანიზმი სავსებით დასაშვებია, მაგრამ მე მაინც სხვა

მექანიზმს მივიჩნევდი ძირითადად: მშობლები მეტისმეტად ანებივრებდნენ თავიანთ ბავშვებს, ცდილობდნენ საკუთარი ტანჯული ცხოვრების საკომპენსაციოდ ბავშვებისათვის ყოველგვარი სიკეთე შეექმნათ. ასეთი ოჯახები მეტწილად იზოლირებულად ცხოვრობენ, ცდილობენ მაქსიმალურად გაემიჯნონ გარე სამყაროს, მის ჩვეულებრივ, ყოველდღიურ პრობლემებს. ამის გამო თვით ელემენტარული ცხოვრებისეული მოვლენები, ისეთიც კი, როგორიცაა არდადეგები, ახალ ადგილზე გადასვლა, ახალი თანამდებობის დაკავება, გამოცდები და სხვ., ხშირად არღვევს ასეთი ოჯახის ცხოვრების რიტმს და მის წევრებს უმწეოს ხდის.

ნიუ-იორკელი ექიმი ედგარ ტრაუტმანი „K-Z სინდრომის" გამოვლენად მიიჩნევს შიმის ფსიქოგენურ სინდრომს, გლოვის სინდრომს, მრავალმხრივ ვეგეტატიურ ფუნქციურ დარღვევებს და თავის დარტყმით, შიმშილით, ნეიროინფექციებითა და სხვათა შედეგად გამოწვეულ თავის ტვინის ორგანულ დაზიანებებს, სექსუალურ მოშლილობას, ემოციური ცხოვრებისა და პიროვნების სტრუქტურის დარღვევას და ა. შ.

30 წლის ჯანმრთელი ფრანგი ქალი მეორე მსოფლიო ომის დროს მონაწილეობდა წინააღმდეგობის მოძრაობაში, რისთვისაც დააპატიმრეს და გაგზავნეს რავენსბრუკის ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკში. მას ბედმა გაუღიმა: განთავისუფლებას მოესწრო და პარიზში დაბრუნდა. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ნაციზმის მსხვერპლთ სახელმწიფოებრივი მასშტაბით გაუწოდეს დახმარების ხელი, ქალი ექიმმა გასინჯა. მე წავიკითხე ექიმის დასკვნა, სადაც ჩამოთვლილია 13 დაავადება. მათ შორის ერთი სპეციფიკურია. იგი მხოლოდ ნაცისტური ბანაკების ყოფილ ტყვეთა შორის აღინიშნება. ეს არის „დეპორტირებულთა ასთენია", ე. ი. იმათი ასთენია, ვინც საკონცენტრაციო ბანაკებში იმყოფებოდა ან ფაშისტმა მონით მოვაჭრეებმა წაიყვანეს „ათასწლიან რაიხში" თანდათანობითი სიკვდილისათვის. ნაციზმმა ფსიქიატრია ამ საშინელი ტერმინით „გაამდიდრა".

ბელგიელი მწერლის ლიუდო ვან ეკჰაუტის მემუარები — „ეს იყო დახაუში" დაწვრილებით მოგვითხრობს ამაზე:

„ხანდახან გვეშინია სარკეში ჩახედვა, რადგან სავსებით ნორმალურად არ ვგრძნობთ თავს. ჩვენი მდგომარეობის აღსაწერად საგანგებო ცნებაც კი გამოიგონეს — „საკონცენტრაციო ბანაკის სინდრომი". მე, მაგალითად, მეშინია დაკეტილ შენობაში მარტო დარჩენა. ყოველთვის ვცდილობ გაღებულ კართან ვიჯდე. ვერ ვჩერდები კინოდარბაზში. ვერ ვიტან სხვადასხვა ფორმულარების შევსებას.

დროდადრო საშინელ მარტოობას ვგრძნობთ. ციხეებსა და ბანაკებში ვისწავლეთ ჩვენი განცდების დამალვა, არ ვლაპარაკობდით საკუთარ

თავზე, მუდამ ფხიზლად ვიყავით, რადგან უმცირეს შეცდომას შეიძლებოდა სიცოცხლე შეეწირა. და მაინც ჩვენ ამხანაგობის გრძნობა და სოლიდარობა გვაერთიანებდა. პოლიტიკურ პატიმართა ერთიანობა დღესაც ცოცხლობს. როცა ვიკრიბებით, განსხვავებულ ეროვნებათა მიუხედავად, თანამოაზრეთა მეგობრულ ოჯახში ვგრძნობთ თავს.

მაგრამ ჩვენს განცდებში მარტონი ვართ. ხუმრობითა და მხნეობით ვნიღბავთ ჩვენს ავადმყოფობას, სხვათა შეუმჩნევლად ვყლაპავთ აბებს, ვიმშვიდებთ აგზნებულ ნერგებს. ვცდილობთ შეუჩმნეველნი დავრჩეთ. იმაზე ძლიერი გვინდა ვეჩვენოთ სხვებს, ვიდრე სინამდვილეში ვართ. როცა რამე მტკივა, ექიმისკენ არ მივიჩქარი, მეშინია, ავადმყოფი არ ვეგონო. როცა თავს ცუდად ვგრძნობ, ტბას მივაშურებ ხოლმე სრულიად მარტო, რომ არავინ დაინახოს ჩემი სისუსტე. ჩვენ ვერასოდეს თავს ვერ დავაღწევთ შიშს. რაც უფრო მეტად ვცდილობთ მის დამალვას, მით უფრო მძლავრად ცხოვრობს ჩვენში გაურკვეველი, უმიზეზო შიში... ბანაკიდან მოხუცი დავბრუნდი, თუმცა მხოლოდ 23 წლისა ვიყავი. მას აქეთ არასოდეს მიცეკვია, ერთხელაც არ მითამაშია ფეხბურთი...“

ეს სტრიქონები სასტიკი საბრალდებო განაჩენია ფაშიზმისათვის, რომელმაც მარტო მილიონობით უდანაშაულო ადამიანი კი არ იმსხვერპლა, არამედ ხანგრძლივად დაუმახინჯა სული ჰიტლერული ბანაკების ბევრ ყოფილ ტყვეს.

ანა ფრანკის უკვდავება

1950 წელს გამოქვეყნდა ჰოლანდიელი გოგონას ანა ფრანკის დღიური. წიგნმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. მაგრამ ეს დღიური საინტერესოა ფსიქოლოგიისა და მედიცინის თვალსაზრისითაც. ფსიქიატრიულ ლიტერატურაში შემოღებულია ტერმინი „ანა ფრანკის ტიპის სიტუაცია“.

25 თვის განმავლობაში ამსტერდამის ერთ-ერთი სახლის სხვენზე 8 ადამიანი ნაცისტურ ბანაკებში სიკვდილს ემალებოდა. მათ შორის იყო 13 წლის ანა ფრანკი. 1942 წლის 12 ივნისიდან 1944 წლის 1 აგვისტომდე გოგონა დღიურში იწერს თავისი ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს: იგი ჩამოშორებულია თანატოლებს, არ შეუძლია თავშესაფრის მიტოვება, მოვალეა ჩურჩულით ილაპარაკოს და ა. შ. სხვადასხვა ადამიანებთან ურთიერთობას მოკლებული ნიჭიერი გოგონა გულისტკივილს ამხანაგებს უზიარებს, იუველირული სინატიფით აღწერს თავის დაკვირვებებს, აზრებსა და ხასიათის ცვალებადობას. ანა ფრანკის დღიური მარტო გულის-

შემძვრელი ადამიანური დოკუმენტი როდია. კაცობრიობის სულიერ ხაგანძურში მან დაიმკვიდრა ადგილი როგორც გულადობის სიმბოლომ და ფაშიზმის საბრალმდებლო დოკუმენტმა. იგი ამავე დროს იშვიათი წყაროა თავისებური სენსორული იზოლაციისა და სიცოცხლის მუდმივი მუქარის პირობებში მოზარდის სულიერი განვითარების შესასწავლად.

უჩვეულო გარემოში ცხოვრებას არსებითი კვალი უნდა დაეჩნია ანას ფსიქიკაზე. რა თქმა უნდა, ეს ასეც მოხდა: იგი სწრაფად მომწიფდა, უკეთ აკონტროლებდა თავს, ცდილობდა ზომიერება დაეცვა. რაკი ენერგიას ცოტას ხარჯავდა, ბევრს ოცნებობდა. ანას ქცევაში რაიმე პათოლოგია არ შეიმჩნევა. როგორც მისი მამა ოტო ფრანკი (მხოლოდ ის გადარჩა ცოცხალი იმათგან, ვინც იმ სახლში იმალებოდა) მოგვითხრობს, ანა ხალისიანი, მხიარული, ყოველმხრივ გამორჩეული გოგონა იყო, თავის დაცვაც შეეძლო. ანას არაჩვეულებრივ პიროვნებას მისი დღიურიც ადასტურებს. ტანჯვა-წამება, ამ გოგონას რომ ერგო წილად, ბევრ ძლიერ ადამიანს გატეხდა სულიერად, ანამ კი ყველაფერს გაუძლო. ვერ მოდრიკეს: იგი გარდაიცვალა საკონცენტრაციო ბანაკში ომის დამთავრებამდე ორი თვით ადრე.

1962 წელს გამოაქვეყნეს 23 ადამიანის ფსქოლოგიური გამოკვლევის შედეგი, ვისი ბავშვობაც ანა ფრანკის ბავშვობის მსგავსად წარიმართა — ისინი ან საკონცენტრაციო ბანაკებში იმყოფებოდნენ, ან ხანგრძლივად ემალებოდნენ გესტაპოს. ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ ძლივს მოდიოდნენ გონზე, ნორმალურ ცხოვრებას ერთბაშად ვერც კი ეგუებოდნენ. შემდეგში მათ გაუქრათ აშკარა დარღვევები, მაგრამ ცალკეული პიროვნული თვისებები, წამების საშინელ წლებში რომ შეიძინეს, დარჩათ და პერიოდულად უმძაფრდებოდათ ფსიქოტრავმული განცდების დროს. დასავლეთგერმანელი ფსიქიატრი კურტ კოლე თვლის, რომ ბევრი იმათგანი, ვინც საკონცენტრაციო ბანაკებში გაატარა ბავშვობა, 25—30 წლის ასაკშიც გულჩახვეული და უნებისყოფო იყო, მათ არ შეეძლოთ თავის დაცვა, არ ჰქონდათ ცხოვრების მიზანი, არ ჰყავდათ მეგობრები, გულუბრყვილოდ და შეზღუდულად აზროვნებდნენ. და მაინც ასეთ დასკვნებს ძალზე ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ. ექიმები მხოლოდ იმათ მაგალითზე მსჯელობენ, ვინც მათ დახმარებისთვის მიმართა. ადამიანები, რომლებზეც კოლე წერს, მისი პაციენტები არიან და ექიმმა მათში ხასიათის ზემოჩამოთვლილი თვისებები დაინახა, მაგრამ რამდენ ადამიანს გაუტარებია ბავშვობა ასეთივე საშინელ პირობებში და ერთხელაც არ მიუმართავს ფსიქიატრისთვის, არც რაიმე სახის აშლილობა ჰქონია?

ხიბაკუსის ტრაგედია

ხიროსიმის ტრაგედია უკვე მრავალი წელია აღელვებთ ყველა ქვეყნის მეცნიერებს, მწერლებს, ხელოვნების მოღვაწეთ. 1971 წლისათვის იაპონიაში გამოვიდა ხიროსიმისადმი მიძღვნილი სულ ცოტა 235 წიგნი. ცნობილმა მწერალმა ოტა ეკომ (1906—1963) ერთ-ერთმა პირველმა აღწერა ხიროსიმის დაბომბვის დროს 62 ათასი დაღუპულისა და განსაკუთრებით ცოცხლად გადარჩენილთა მძიმე ხვედრი. თვითონ მწერალმა აფეთქების ყველა საშინელება განიცადა და ერთთავად სიკვდილის მოლოდინში იყო. 1948 წელს გამოქვეყნებული მისი რომანი „გვამების ქალაქი" ძირითადად დაღუპულებზე მოგვითხრობს, მეორე რომანში კი „ადამიანთა ნაფლეთები" ავტორი დაწვრილებით აღწერს გადარჩენილებს: საეჭვოა, ესენი დაღუპულებზე ბედნიერნი იყვნენ.

1950-იან წლებში ხიროსიმა და ნაგასაკი აყვავებულ ქალაქებად იქცნენ, თითქოს აქაური მოსახლეობა ცდილობდა, რაც შეიძლება სწრაფად ამოეშალა მეხსიერებიდან 1945 წლის აგვისტოს ტრაგედია. ამ ქალაქების აყვავება დაკავშირებული იყო დიდი სამხედრო ქარხნების აგებასთან, სადაც სხვა ქალაქებიდან ჩამოსული იაპონელები მუშაობდნენ. ხიროსიმისა და ნაგასაკის მოსახლეობა არსებითა. განახლდა. ისინი კი, ვინც აფეთქებას გადაურჩა, სპეციალურ რაიონე. ი გადაასახლეს. აქ ატომური ხეიბრები თავის მსგავსთა შორის ცხოვრ. ადნენ და ჯანმრთელ მოსახლეობას თითქმის ვერ ხედავდნენ. ხელოვნური იზოლაცია, უპერსპექტივო ცხოვრება (სამუშაოზე მათ არ ღებულობდნენ, ოჯახები და შვილები არ ჰყავდათ), გამუდმებული შიში ჯანმრთელობაზე, ჩვეულებრივი ადამიანებისადმი ქვეცნობიერი შური — ყველაფერი ეს ატომური დაბომბვის მსხვერპლთ უაღრესად უბედურ ადამიანებად აქცევდა. იმ საერთო მისწრაფების ფონზე, რომ რაც შეიძლება სწრაფად ამოეშალათ მეხსიერებიდან ატომური აფეთქების ფაქტი, ატომური ხეიბრები სულ უფრო იზოლირებულნი ხდებოდნენ საზოგადოებისაგან. ისიც კი გამოირკვა, რომ სხვა ქვეყნები მეტს წერდნენ და მეტადაც ეხმარებოდნენ მათ, ვიდრე იაპონელები. მათ სამშობლოში სულ უფრო ხშირად გაისმოდა ლოზუნგი „ხიბაკუსო, ადამიანი არა ხარ, გაეთრიე!" ყველაფერმა ამან შექმნა უნიკალური მოვლენა და უამრავი მკვლევარის ყურადღება მიიპყრო.

1967 წელს ნიუ-იორკში გამოქვეყნდა მონოგრაფია „ვინც ხიროსიმას გადაურჩა". მისი ავტორია იელის უნივერსიტეტის პროფესორი 39 წლის რობერტ ჯოი ლიფტონი. წიგნი სწრაფად იქცა ბესტსელერად და იგი წლის საუკეთესო ნაშრომად აღიარეს. ავტორმა შეისწავლა 60-იანი წლე-

ბის შუა ხნისათვის ცოცხალი ყოველი მეხუთასე ხიბაკუსი (ასე უწოდებენ იაპონიაში იმ ადამიანებს, ვინც ატომური აფეთქება გადაიტანა): ამ დროისათვის ხიროსიმაში დაახლოებით 90 ათასი ხიბაკუსი ცხოვრობდა. ლიფტონმა შემდეგი მიზანი დაისახა:

1. შეეკრიბა მემუარული ინფორმაცია ატომურ აფეთქებასა და იმ გარემოებაზე, რომელშიც გამოსაკვლევი პირი იმყოფებოდა აფეთქების დროს;

2. განესაზღვრა აფეთქების გავლენა ყველა გამოსაკვლევის შემდგომ ბედზე;

3. გაერკვია, როგორ დაძლია ადამიანმა აფეთქების ფსიქოლოგიური და ფიზიკური შედეგები, აისახა თუ არა მის ხასიათზე გადარჩენის ფაქტი.

1945 წლის 6 აგვისტოს დილის 8 საათზე ხიროსიმაში ჩამოაგდეს ატომური ბომბი. ყველა გადარჩენილი ამტკიცებდა, რომ ეს იყო აპოკალიფსური მოჩვენების მსგავსი რამ. ისეთი გრძნობა დაეუფლათ, რომ ადამიანებს სიკვდილი ნთქავდა. უცნაური მდგომარეობა შეიქმნა, რასაც ფსიქოლოგები სიტუაციურ ეგოცენტრიზმს უწოდებენ: იმის ნაცვლად, რომ აფეთქების ეპიცენტრიდან შორს გაქცეულიყვნენ, ბევრი ადამიანი სწორედ ცენტრისკენ გარბოდა, თანაც გზაში მრავალი დაბრკოლების — ნანგრევების, გვამების, დანგრეული ხიდების გადალახვა უხდებოდათ. ეს იმას ჰგავდა, ფარვანები ცეცხლის ალს რომ დასტრიალებენ და ბოლოს-დაბოლოს იწვებიან. ეპიცენტრამდე მისული ხიბაკუსები შემდეგ ჰყვებოდნენ, რომ ცოცხლები თავს მკვდრებად თვლიდნენ. ირგვლივ უჩვეულო სიჩუმე გამეფებულიყო, არავინ ლაპარაკობდა და ადამიანები მდუმარე სომნამბულებივით უაზროდ დაბორიალებდნენ ნანგრევებში. ზოგ ხიბაკუსს რამდენიმე კვირის მანძილზე, ზოგს კი თვეობითაც, ფსიქიკა გამორთული ჰქონდა, რეალურად არსებული უბედურების განცდას ფსიქიკის გახევება მოჰყვა. ეს ხიბაკუსის ფსიქიკური რეაგირების ყველაზე წმინდა სახე იყო. ყოველი მათგანი თითქოს ასეთ რამეს განიცდიდა: „მე ვერაფერს ვგრძნობ, მაშასადამე, თითქოს მოვკვდი, ამიტომ მომავალი რეალური სიკვდილისა აღარ მეშინია, ამაზე უარესი აღარასოდეს იქნება“. ხიბაკუსები თავს ცოცხლებად აღარ თვლიდნენ, ვერ წარმოედგინათ, თუ ცოცხალ ადამიანთა შორის იმყოფებოდნენ, რომ სადმე ჩვეულებრივი ცხოვრება მიედინებოდა. ამან წარმოშვა სამყაროს აღსასრულის გრძნობა.

„დამაბრმავებელი მომწვანო აფეთქება... ცნობიერება დათრგუნვილია, ცხელი ქარი ქრის და მომდევნო წუთებში ირგვლივ ყველაფერს ცეცხლი ეკიდება... წამიც და ადამიანებს ტანიდან სცვივათ აალებული

ტანსაცმელი, უსივდებათ ხელები, სახე, მკერდი; უსკდებათ წითელი ბეებერები და კანის ნაფლეთები ტანზე ეკიდებათ... მოჩვენებებს ჰგვანან. ხელებაწეულები ერთად მოძრაობენ, ტკივილით გამოწვეულ ყვირილს მოუცავს გარემო. გაბრუებული და დამწვარი ადამიანები ერთ გუგუნა ბრბოდ შეკრულან და ბრმად მიედინებიან გამოსავლის ძიებაში...“ — ასე ჰყვებიან აფეთქების მხილველნი, მხატვრები ირი და ტოსიკო მარუკები.

რამდენიმე თვის შემდეგ თავი იჩინა თვითბრალდების იდეამ: ბევრი ადამიანი თავს დამნაშავედ გრძნობდა იმის გამო, რომ გადარჩა.

ერთდროულად ზოგიერთ ხიბაკუსს განუვითარდა სხვა ფენომენიც, რომელიც ჰიტლერული დევნის მსხვერპლთ ახასიათებდათ. ამ ფენომენს ეწოდება აგრესორის იდენტიფიკაცია. ასეთ დროს აგრესიის მსხვერპლი ზოგჯერ ისევე იქცევა, როგრც აგრესორი. ამ მოვლენამ თავი იჩინა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ისეთი პაციენტების გამოკვლევისას, ვინც მძიმე სულიერ პათოლოგიას ამჟღავნებდა; ეს ადამიანები სასწაულებრივ გადაურჩნენ სიკვდილს ჰიტლერულ ბანაკებში, მაგრამ განთავისუფლების შემდეგ ბანაკის ზედამხედველებივით იქცეოდნენ, ესესელთა ფორმას იცვამდნენ, ნაცისტი ბელადების სურათებს იკიდებდნენ და ა. შ. ეს ერთი შეხედვით უაზრო ქცევა თანდათანობით ქრებოდა და დაკავშირებული იყო სიღრმისეულ ფსიქოლოგიურ პერტურბაციებთან.

ლიფტონი აღნიშნავს, რომ აფეთქებიდან 3—4 წლის შემდეგ ბევრ ხიბაკუსს (რა თქმა უნდა, ყველას არა) გაუჩნდა ორი ურთიერთდამოკიდებული ფენომენი: აგრესორის იდენტიფიკაცია წარმოშობდა ფარულ სიძულვილს იმათ მიმართ, ვინც ატომური აფეთქების მსხვერპლთ ეხმარებოდა, მაგრამ მოწამვლისა და მოსალოდნელი სიკვდილის შიშმა აფეთქების შემდგომ პერიოდში თანდათანობით შეუცვალა ხასიათი ამ ადამიანებს. ისინი ეჭვიანები, უნდობელნი გახდნენ, აზვიადებდნენ მოსალოდნელ ხიფათს.

ლიფტონი თვლის, რომ ატომური ბომბის აფეთქების შედეგები კიდევ დიდხანს დარჩებათ ხიბაკუსებს არა მარტო გაზრდილი რადიაციის გამო დაღუპვის რეალური საშიშროების სახით, არამედ პიროვნების თავისებური პათოლოგიური ჩამოყალიბებითაც, რომლის მსგავსი არ იცის მსოფლიო ისტორიამ.

დავიწყება პატიებას ნიშნავს.

მაგრამ ჩვენ, ვისაც ანა ფრანკის, ხიბაკუსების და მილიონობით სხვა ადამიანის მსგავსი უბედურება არ გადაგვიტანია, ვინც ნაცისტურ კრემატორიუმებში არ დაუწვავთ, ვის თავზეც ატომური ბომბები არ ჩამოუყრიათ ან მძევლებივით არ დაუხვრეტიათ, ვალდებული ვართ გვახსოვ-

დეს ჩვენი დებისა და ძმების უბედურება. არასოდეს გულგრილნი არ უნდა ვიყოთ იმათ მიმართ, ვისაც ომები და საკონცენტრაციო ბანაკები ადამიანთა საზოგადოების მოწესრიგების საუკეთესო ფორმად მიაჩნია, რადგან არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა გულგრილნი თვითონ ეწირებიან მსხვერპლად იმათ, ვისი შეჩერებაც დროზე ვერ შეძლეს. დედამიწის რომელ ნაწილშიც არ უნდა იღუპებოდნენ და იტანჯებოდნენ ადამიანები, ყველა, ვისაც მცირეოდენი სინდისი მაინც გააჩნია, მოვალეა ებრძოლოს ამ უმსგავსობას. მტარვალები და მკვლელები მხოლოდ იმიტომ აღწევენ გამარჯვებას, რომ პატიოსანი ადამიანები ერთმანეთისაგან გათიშულნი და პასიურები არიან. გახსოვდეთ ეს, ადამიანებო! გახსოვდეთ და ყველაფერი იღონეთ იმისათვის, რომ ადამიანი ბედნიერი და ჯანმრთელი იყოს, რომ აქ აღწერილი ტრაგედიები აღარასოდეს განმეორდეს.

როცა ადამიანი ბედნიერი არ არის: მიზეზი და შედეგი

ყველა ადამიანი ოცნებობს ბედნიერებაზე. თითოეულს ის თავისებურად ესახება, მაგრამ ყველა დარწმუნებულია, რომ ბედნიერება აუცილებელია, რომ იგი ადამიანის თანდაყოლილი უფლებაა და არა რაღაცის სანაცვლოდ მიღებული ჯილდო. ექიმებს კი ისეთ ადამიანებთან აქვთ ურთიერთობა, ვინც ნამდვილად არ არის ბედნიერი. დაეხმარო უბედურ ადამიანს (ავადმყოფობაც ხომ თავისთავად უბედურებაა) — ეს ექიმის პროფესიის ნიშანთვისებაა, მაგრამ ფსიქიატრი ადამიანის უბედურების სხვაგვარ, უფრო ღრმა და მრავალნაირ ფორმას ხედავს.

ახლა შევეხები თვით პიროვნების თავისებურებასთან — ცუდ ხასიათთან, მარტოობის მიდრეკილებასთან და სხვა იმგვარ მოვლენებთან დაკავშირებულ პრობლემებს, რომლებიც ხელს უშლიან ასეთ პიროვნებას და მის ირგვლივ მყოფ ადამიანებს ჩვეულებრივი ცხოვრებისათვის აუცილებელი სულიერი სიმშვიდის მოპოვებაში. არსებობენ თითქოსდა უბედურებისათვის დაბადებული, ბედნიერების უნარს მოკლებული ადამიანები, რაშიც თვითონ პიროვნებას და მის კონსტიტუციას მიუძღვის ბრალი. ადამიანის გონება, მისი სინდისი ყოველგვარ კონსტიტუციაზე უფრო ძლიერია, მაგრამ თუ ადამიანური საწყისი სუსტია, ასეთ შემთხვევაში პიროვნება ტანჯვისთვისაა განწირული.

ცხოველური სამყაროს თანდათანობითი ევოლუციის მრავალმილიონიანი ისტორიის მანძილზე დიდძალი სხვადასხვაგვარი არსება შეიქმნა: მტრედი არა ჰგავს ქორს, ძროხა — ლომს და ა. შ. ყოველ ცოცხალ არსე-

ბას არა მარტო საკუთარი გარეგნული თავისებურება, არამედ განუმეორებელი ხასიათი, თავისი ქცევა აქვს.

იგივე დაემართა ადამიანსაც: მილიონობით წლის მანძილზე ადამიანთა კონსტიტუციისა და ხასიათების იმდენი ვარიანტი შეიქმნა, რომ ძნელად შეხვდებით ძალზე მსგავს ორ ჯანმრთელ ადამიანს (რა თქმა უნდა, თუ გამოვრიცხავთ ტყუპებს და ახლო ნათესავებს). ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტო გარეგნობით, არამედ ტემპერამენტით, ხასიათით, ქცევით, ინტელექტით და ა. შ. ადამიანის კონსტიტუციის ვარიანტების ჩამოყალიბების პროცესში გარდუვალად ხდება რაღაც პიროვნული თვისებებისა და ქცევის ტიპების ცალმხრივი დაგროვება. ზოგიერთ შემთხვევაში პიროვნების განსაზღვრული თვისებების დაგროვება იმას იწვევს, რომ ეს არსებები ემსგავსებიან ერთმანეთს, თუმცა მკვეთრად განსხვავდებიან ჩვეულებრივი ადამიანებისაგან. ასეთ სუბიექტებს, რომლებიც ჩვეულებრივი ადამიანური თვისებების მკვეთრად გამოხატული მახინჯი შეფარდებით გამოირჩევიან, ფსიქოპათებს უწოდებენ.

ფსიქოპათები მძიმე ხასიათის ხალხია, ამის გამო იტანჯებიან თვითონაც და, უფრო მეტად კი — ირგვლივ მყოფი ადამიანები, მძიმე ხასიათია იმის მიზეზი, რომ ისინი ეჩხუბებიან როგორც ახლო ურთიერთობაში მყოფ ადამიანებს, ასევე მთელ საზოგადოებას. ირგვლივ მყოფებს ისინი გაზრდილ მოთხოვნებს (ხშირად არარეალურს) უყენებენ, თავისი ოჯახის წევრებთან, თანამშრომლებთან და სხვებთან ერთთავად არასაკმაოდ მოტივირებულ ოპოზიციაში იმყოფებიან. რაკი თვითონ არ შეუძლიათ ვინმეს დაემორჩილონ, არც იმის უნარი შესწევთ, რომ ხანგრძლივად შეასრულონ ხელმძღვანელის როლი, რადგან უარყოფით დამოკიდებულებას იწვევენ ქედმაღლობის, შეუწყნარებლობის, სიფიცხისა და ხასიათის სხვა ნაკლებად სასიამოვნო თვისებების გამო.

ფსიქოპათიას შეისწავლიდნენ სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები. დიდია გერმანელი ფსიქიატრის ერნსტ კრეჩმერის (1888—1964) ღვაწლი ამ პრობლემის გადაწყვეტაში. კრეჩმერმა საფუძველი ჩაუყარა ფსიქოპათიის თანამედროვე გაგებას. უკანასკნელი 60 წლის მანძილზე ბევრ ქვეყანაში გამოქვეყნდა ნაშრომები ფსიქოპათიის შესახებ, რომლებიც მხოლოდ გახმარტავენ, აზუსტებენ და ამუშავებენ კრეჩმერის მონაპოვარს. პეტრე ბორისის ძე განუშკინი (1875—1933), გრუნია ეფიმის ასული სუხარევა (1891—1981) და ბევრი სხვა საბჭოთა ფსიქიატრი სარგებლობდა ფსიქოპათიის კრეჩმერისეული კლასიფიკაციით და ის კლინიკურად სრულყვეს. როგორც ჭეშმარიტი გენიოსი, კრეჩმერი უხვად და უზრუნველად ფანტავდა დიად იდეებს, რომელთა განვითარებასაც ემსახურება მეცნიერება ჩვენი საუკუნის 20-იანი წლებიდან.

ხასიათის სიმახინჯე

I

„ყველა ბედნიერი ოჯახი ერთმანეთს ჰგავს, ყველა უბედური ოჯახი თავისებურად უბედურია". თუ ლევ ტოლსტოის ამ სიტყვებს ოდნავ შევცვლით და მათ ფსიქოპათიის დარგს მივუსადაგებთ, მაშინ შეიძლება ასე ითქვას: ყველა ჯანმრთელ ადამიანს სხვადასხვაგვარი ხასიათი აქვს, ყველა ავადმყოფი კი დაახლოებით ერთნაირია. ჯანმრთელთა სისტემატიზაცია ძნელია, ავადმყოფებისა — ადვილი.

ფსიქოპათიის რამდენიმე ძირითადი ტიპი არსებობს. ერთ-ერთი მათგანია აგზნებადი ფსიქოპათია. ამ სულიერი სიმახინჯის არსი გამოხატულია ზედსართავებით: მაჩხუბარა, ულმობელი, ღვარძლიანი. ამ ადამიანებს მუდმივი კონფლიქტი აქვთ ყველასთან, რის გამოც მათი ერთი ნაწილი უმეტეს დროს სპეციალურ ფსიქიატრიულ საავადმყოფოებსა და ციხეებში ატარებს: საზოგადოება იძულებულია ბევრი მათგანი იზოლაციაში იყოლიოს ანტისოციალური ქცევის გამო. აგზნებადი ფსიქოპათიის მსგავსი დაავადებაა ეპილეფტოიდური ფსიქოპათია. ტერმინი ეპილეფტოიდი პირველად გამოიყენა ვილჰელმ გრიზინგერმა (1817—1868), რომელიც შვეიცარიასა და გერმანიაში მუშაობდა. ეპილეფტოიდი — ეპილეფტიკის მსგავსს, ე. ი. ეპილეფტიკური ხასიათის მატარებელს ნიშნავს. XIX საუკუნეში ეს სიტყვა იშვიათად იხმარებოდა. მხოლოდ 1921 წელს პარიზელმა ფსიქიატრმა ფრანცისკა მინკოვსკაიამ გამოაქვეყნა რამდენიმე სტატია, სადაც დაწვრილებით აღწერდა ეპილეფტოიდურ ხასიათს — მეტისმეტად ხელმოჭერილ, სოლიდურ, აკურატულ, კირკიტა და ა. შ. ადამიანებს (გაიხსენეთ შჩედრინის იუდუშკა გოლოვლიოვი, მოაშორეთ მას ეპილეფტიკური შეტევები და დარჩება საშინელი ხასიათი — ასეთები არიან კლასიკური ეპილეფტოიდები. იუდუშკა მხატვრული სახეა და მასში ყველაფერი გამძაფრებული, გამახვილებული და გაზვიადებულია, ნამდვილ ეპილეფტოიდებსა და ეპილეფტიკებს კი ყველაფერი უფრო ნაკლებად გამოხატული აქვთ). ამ მხატვრული სახის შესაქმნელად მწერალი შთააგონა კრეჩმერის ნაშრომებმა, სადაც ავტორი დაწვრილებით განიხილავდა შიზოიდებსა და ციკლოიდებს, ე. ი. ადამიანებს, რომელთა ხასიათის თვისებები უფრო მეტად ვლინდება ისეთი სულიერი დაავადებების დროს, როგორიცაა შიზოფრენია და მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზი. კრეჩმერის ორწევრიანი სისტემატიკა (შიზოიდი — ციკლოიდი) მინკოვსკაიამ ამ ეპილეფტოიდებით შეავსო.

როცა მინკოვსკაიას ნაშრომები ცნობილი გახდა არასამედიცინო საზოგადოებისათვის, იგი მკაცრად გააკრიტიკეს იმის გამო, რომ ეპილეფტოიდებს უწოდებდა ჩრდილო საფრანგეთის (განსაკუთრებით ნორმანდი-

ის პროვინციების) ჩვეულებრივ მცხოვრებთ, რომელთა შორის, როგორც ამბობენ, ძალზე გამოხატულია ყველა ის თვისება, რასაც მინკოვსკაია ეპილეფტოიდურობას უწოდებდა. ფსიქიატრს უსამართლოდ ესხმოდა თავს პრესა, მას ყველა ადამიანურ ცოდვას მიაწერდნენ, პირველ რიგში კი იმისთვის სდებდნენ ბრალს, რომ უცხოელია და შეურაცხყოფს ფრანგ ხალხს.

აი მამისა და შვილის ხასიათების ეპილეფტოიდური წყობის მაგალითი:

8 წლის ბიჭი ბრაზიანია, ყველას ეჩხუბება, მეგობრობა არ შეუძლია, ხშირად აჯავრებს და ამცირებს თანაკლასელებს, როცა ეკითხებიან, რა გინდა გამოხვიდეო, ურყევად უპასუხებს: „უფროსი“. ერთხელ იგი სამ გოგონასთან ერთად აძვრა უცხო სახლის სხვენზე (უნდოდათ ენახათ, რა იყო იქ). დიასახლისმა ისინი მალე შენიშნა: გოგონებმა ბოდიში მოიხადეს, ბიჭი კი შეეცადა ყველაფერი მათთვის გადაებრალებინა, სხვენზე ამათ გამო ავედიო. დიასახლისს მოეწონა ცნობისმოყვარე გოგონები, ბიჭზე კი თქვა: ეს მომავალი უფროსიაო. ბიჭს ყველაზე დიდ სიამოვნებას ანიჭებდა სხვების დაჩაგვრა. ჭადრაკის სვლებივით წინასწარ ითვალისწინებდა, თუ როგორ დაამცირებდა თანატოლებს, რას უპასუხებდნენ ბავშვები, თავის მხრივ რას ეტყოდა და ა. შ. გონებაში ხატავდა შურისგების სცენებს მისდამი გამოვლენილი არასაკმაო პატივისცემის გამო. ბიჭის დედა — პედაგოგი, საკმაოდ გულცივი, პრაქტიკული ქალი — დიდი ხანია ამჩნევდა ერთადერთი ვაჟის ამ თავისებურებებს, მაგრამ რაკი მამასაც ამგვარი ხასიათი ჰქონდა, მასთან ბრძოლა უსარგებლოდ მიაჩნდა. მით უფრო, რომ მამა თვითონ უწყობდა ხელს შვილის ამ თვისებების განვითარებას — ნამდვილი მამაკაცი სწორედ ასე უნდა იქცეოდესო. მამას დიდ სიამოვნებას ანიჭებდა იმაზე ფიქრი, თუ შურისძიების რომელი ფორმა შეერჩია პოტენციური შეურაცხმყოფელის მიმართ, ან ვინც მას სათანადო პატივისცემით არ მოექცა. კმაყოფილი იყო, როცა ვინმეს გულს ატკენდა: ასეთ დროს იღიმებოდა, კეთილად ექცეოდა სხვებს, ვიდრე მათაც თავის არაკეთილმოსურნეთა სიაში ჩარიცხავდა, რომ შემდეგ უეჭველად შური ეძია. მხოლოდ ერთხელ მიმართა დედამ ნაცნობ ფსიქიატრს თხოვნით: როგორ მოვიქცე, რომ შვილიც ისეთი არამზადა არ გაიზარდოს, როგორიც მამააო? მამა რომ არამზადა იყო, არც ცოლს და არც ნაცნობებს ეჭვი არ ეპარებოდათ. კირკიტა და პედანტური ჭკუის წყალობით ბევრი რამ შეისწავლა და ადვილად ერკვეოდა რეალიებში. რაკი ყოველთვის მეტისმეტად აკურატული და „წესიერი“ იყო, წვრილმანით თავს არ იწუხებდა, მეგობრებზე, ქალებზე, ღვინოსა და სხვადასხვა გართობაზე დროს არ კარგავდა, საკმაოდ სწრაფად დაწინაურდა თავის

პროფესიაში. ვინც იცოდა მისი ბოროტი. შურისმაძიებელი ხასიათი, ცდილობდა მისგან თავი მორს დაეჭირა. თუ მამა შინ ასე თუ ისე ასატანი იყო, უყვარდა სახლი და ოჯახი, სამაგიეროდ სამსახურში თავის ხელქვეითებზე ოხუნჯობდა გულს: უყვიროდა, ერთმანეთზე აქეზებდა. წვრილმან და ზოგჯერ დიდ უხამსობასაც არ თაკილობდა. თუნდაც საამისოდ არც მიზეზი ჰქონოდა და არც სარგებლობა ენახა. სულ იმის ფიქრში იყო, ირგვლივ მყოფნი რაღაცას მიპირებენო, და ძალასა და ენერგიას არ იშურებდა არარსებული შეთქმულების გამოსაამკარავებლად. იგი თანამშრომელთა ქცევაში ფარულ აზრსა და მისწრაფებას ხედავდა, რომ მისი ავტორიტეტი შეელახათ. თანამშრომლებს კი იმდენად სძულდათ და ეშინოდათ მისი, რომ ცდილობდნენ მასთან არავითარი საქმე არ ჰქონოდათ. უფროსებიც დაახლოებით ასეთივე აზრისა იყვნენ მასზე, მაგრამ საკმაოდ კარგად ექცეოდნენ: იგი ხომ მლიქვნელი, გულმოდგინე, კეთილსინდისიერი იყო, ყველაფერს წესიერად ასრულებდა. ეს უზომოდ ძუნწი, გულბოროტი, ღვარძლიანი ადამიანი თანამშრომელთა საქმეებშიც ერეოდა, ერთთავად აკონტროლებდა მათ. საჩივრებსა და ანონიმურ წერილებს წერდა, სახელს უტეხდა ჭორებით. მთელ თავის ცხოვრებას საზოგადოების ან, უკიდურეს შემთხვევაში, პირად კეთილდღეობას კი არ ახმარდა, არამედ იმ ადამიანთა დამცირებასა და განაწყენებას, ვისთანაც ოდესმე რაიმე ურთიერთობა ჰქონია და. მისი აზრით, სათანადო პატივისცემა არ გამოუჩენიათ. ამას გარდა, ესწრაფოდა დაესაჯა ყველა, ვისიც რამე შურდა. და რაკი მას თითქმის ყველასი შურდა. პრაქტიკულად ყველა ირგვლივ მყოფი მტრად მიაჩნდა. მისი თანამშრომლები მძიმე მდგომარეობაში იყვნენ: სძულდათ თავიანთი უფროსი, მაგრამ სხვა სამუშაოზე გადასვლა არ შეეძლოთ, რადგან, ჯერ ერთი, სხვა დაწესებულებათა ხელმძღვანელებს არ უნდოდათ მისი თანამშრომლის სამუშაოზე მიღება, და მეორეც, მის ხელქვეითებს შურისძიებისა ეშინოდათ, შურს კი აუცილებლად იძიებდა.

აი როგორი იყო ბიჭის მამა: კაცთმოძულე მარტოსული. რომელიც წესიერების ნიღაბქვეშ მალავდა სახარელ თვისებებს. რა რჩევა უნდა მიეცათ ამ ბიჭის დედისთვის? ეამბნათ, როგორია მისი ქმარი? ქალმა ყველაფერი იცოდა. ეთქვათ, რომ იგი მედიცინის თვალსაზრისით ავადმყოფი არ არის, მაგრამ მის პიროვნებაში ცალკეული ფსიქოპათიური თვისებები რთულად გადაეხლართა ერთმანეთს? ესეც იცოდა. ასევე მაშა, ცხადია, ისე აღზრდის შვილს, რომ მას მხოლოდ მამის მიერ ღირსეულად მიჩნეული ქცევის ფორმები ჩამოუყალიბდეს. შვილიც მერე მამას დაემგვანება და ვაი იმას, ვისთანაც მას ურთიერთობა ექნება. აქ ფსიქიატრი უძლურია. ასევე უძლურია საზოგადოებაც. საზოგადოებამ იცის,

რომ ამ სუბიექტის მსგავსი ადამიანი არარაობაა, ასეთები ნაკლებად პროდუქტიულნი არიან (და თუ მათ მაინც მოაქვთ ადამიანებისათვის რაიმე სარგებლობა, უმთავრესად სხვათა ექსპლუატაციისა და მათი იდეებისა და ენერგიის მითვისების გზით) და მათ საბოლოოდ მეტი ზიანი მოაქვთ, ვიდრე სარგებლობა, რადგან ხელს უშლიან ნამდვილად ნიჭიერ ადამიანებს მათი ღირსების შესაფერისი ადგილების დაკავებაში. მაგრამ საზოგადოებას არ შეუძლია ასეთი სუბიექტები ხელოვნურად მოწყვიტოს საზოგადოებრივ ცხოვრებას — ეს დემოკრატიისა და ჰუმანიზმის პრინციპების დარღვევა იქნებოდა. ხომ არ შეიძლება ამ სუბიექტის მსგავსი ყველა ადამიანი საზოგადოების მტრებისათვის განკუთვნილ განსაკუთრებულ რეზერვაციებში მოვაქციოთ, თუმცა ეს ადამიანები საზოგადოების ნამდვილი მტრები არიან.

ფსიქოპათიის კიდევ ერთი ფორმაა ისტერიკა. მასზე ბევრს წერენ როგორც ფსიქიატრები, ასევე იურისტები, პოლიტიკოსები, ისტორიკოსები და ა. შ. მართლაც გვერდს ვერ აუვლი პიროვნების ამ დისჰარმონიას, რადგან ისტერიული ადამიანები ყველანაირად ცდილობენ ყურადღების მიზიდვას; ასეთი ადამიანის მთავარი თვისებაა აღიარების დაუცხრომელი წყურვილი, რაც მას სასაცილოს ხდის. ასეთები ზოგჯერ სიმაღლეებსაც იპყრობენ, მაგრამ ოლიმპზე დიდხანს ვერ რჩებიან: ყველაფერი მალე ბეზრდებათ და მორიგ ავანტიურაში ებმებიან, რისთვისაც სიცრუეს, ჭორს, მისტიფიკაციას და სხვა ნაკლებად სასიამოვნო საშუალებებს მიმართავენ.

ფსიქოპათებს შორის ვხვდებით შიზოიდებსაც. ეს განსაკუთრებული ჯგუფი დაწვრილებით აღწერა კრეჩმერმა. ცხადია, შიზოიდურ პიროვნებებს კრეჩმერამდეც ბევრი ფსიქიატრი გამოყოფდა, მათ შორის განუშკინიც, მაგრამ საჭირო იყო კრეჩმერის გენია, რომ შიზოიდები ფსიქიატრიული კვლევის ფოკუსში მოექცია და ფსიქიატრები აეძულებინა ეს პრობლემა შეესწავლათ. შიზოიდური პიროვნებები ხასიათის ისეთ თვისებებს ამჟღავნებენ, რასაც ვხვდებით შიზოფრენიული შეტევის შემდეგ ან მის წინა პერიოდში. ჩანასახობრივად არსებული ემოციური დარღვევები შიზოფრენიის დროს იფურჩქნება. სიტყვა შიზოიდი კრეჩმერმა შემოგვთავაზა და ნიშნავს: „შიზოფრენიით დაავადებულის მსგავსი". კრეჩმერმა გამოყო შიზოიდური ფსიქოპათიის სამი სახე: მომეტებულად მგრძნობიარენი (სენსიტური ტიპი), მეტისმეტად აქტიურები, ჯიუტები, ფასეულ იდეებისადმი მიდრეკილნი (ექსპანსიური ტიპი) და დუნე, პასიური, ზარმაცი, უმოქმედო ადამიანები, მეტწილად მჭვრეტელნი, ვიდრე შრომისმოყვარენი (კრეჩმერის ტერმინოლოგიით, ეს დუნე ტიპია). შიზოიდურ პიროვნებათა ვარიანტების ეს თვალსაზრისი დღესაც მიღებულია: მას ვვრც

ვერაფერს მიამატებ და ვერც ვერაფერს მოაკლებ. ყველა შიზოიდი გაურბის ადამიანებს, გულჩახვეულია. კრეჩმერი წერდა, რომ არსებობენ შიზოიდები, რომელთა გვერდით შეიძლება 10 წელი იცხოვრო და მაინც ვერ შეიცნო. მათი მთავარი თვისებაა — ემოციის ნაკლებობა, უგრძნობელობა, გულჩახვეულობა.

პათოლოგიურ პიროვნებებს შორის ბევრია დაურკებელი მეოცნებე, ჰიპერტროფირებული პატივმოყვარეობით, საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენით, ყურადღების მიპყრობის არანორმალური მისწრაფებით, ძალაუფლების წყურვილით შეპყრობილი სუბიექტი. სწორედ ასეთი ადამიანები ხდებიან ავანტიურისტები, პოლიტიკური და ლიტერატურული ვიგინდარები, გრაფომანები, დიქტატორობის პრეტენდენტები, მოურიდებელი დემაგოგები და მატყუარები. მათი ქცევის განმსაზღვრელი მთავარი მამოძრავებელი ძალაა პატივმოყვარეობა. პატივმოყვარეობა კი, როგორც ცნობილია, იმდენი აქვს ადამიანს, რამდენიც აკლია ქცევა.

ამგვარ პათოლოგიურ პიროვნებებზე ბევრი წიგნი დაუწერიათ, ბევრი ფილმი და სპექტაკლი დაუდგამთ. ისინი ყურადღებას იქცევენ თავიანთი უჩვეულობით და კარიკატურულობით. ზოგჯერ მათ ცხოვრებაზე დაკვირვებაც საინტერესოა (ოღონდ მხოლოდ შორიდან), მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას, ვინმემ მათსავით იცხოვროს. და თუმცა ეს სუბიექტები თავიანთი პიროვნების ირგვლივ ბევრ ხმაურს ტეხენ (ისინი ხომ სწორედ ამას ესწრაფვიან, ესაა მათი ცხოვრების მიზანი, ამას ეკვემდებარება მათი ყველა მოქმედება), ამგვარი ფსიქოპათები რეალურ ინტერესსა და პატივისცემას არ იმსახურებენ. მოჩვენებითობისაკენ სწრაფვა, სიცრუე, უზომო ეგოიზმი და გულგრილობა ახლობლების მიმართ ზიზღს აღუძრავს სულიერად ჯანსაღ ადამიანებს. ამიტომ ფსიქოპათიურ სუბიექტთა დიდი ნაწილი განწირულია იმისათვის, რომ ასეთივე დისჰარმონიული ადამიანების წრეში იტრიალოს, ეს კი თავის მხრივ უფრო აძლიერებს მათ გაშმაგებას.

ხალხში გასვლა

ასპირანტურაში სწავლის დროს ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელი აკადემიკოსი ს. ვ. კერბიკოვი გატაცებული იყო ისეთი ადამიანების ბედით, ვინც ბავშვობის ასაკში პათოლოგიურ ქცევას ამჟღავნებდა. აინტერესებდა, ფსიქოპათები გახდნენ თუ არა ისინი: თუ გახდნენ, რატომ, თუ არა — ისევ რატომ, რა მოქმედებდა ამ ადამიანების ცხოვრების ბედზე. ამასთან დაკავშირებით ჩემი ხელმძღვანელი ასპირანტებს მეტწილად ამუ-

შავებინებდა კატამნეზურ თემებს (კატამნეზი — ეს შორეული მონაცემებია ავადმყოფის შესახებ). მეც შემხვდა სადისერტაციოდ ასეთი თემა. წმინდა ფსიქიატრიული ასპექტის გარდა იგი საინტერესო იყო ცხოვრებისეული თვალსაზრისითაც, რადგან საშუალებას მაძლევდა დამენახა ბევრი ადამიანის თვალისაგან დაფარული უსასრულოდ მრავალფეროვანი სამყარო. რამდენი ადამიანის ბედს გავეცანი, რამდენ ადამიანს შევხვდი, რაღა არ ვნახე კატამნეზის შესწავლის დროს! ცნობათა ბიუროში ვიგებდი მათ მისამართებს. ბევრი უკვე დიდი ხანია ცოცხალი აღარ იყო ანდა მოსკოვში აღარ ცხოვრობდა. ერთნი კატეგორიულ უარს აცხადებდნენ ჩემთან საუბარზე, მეორენი მიჩიოდნენ (რას დადის ეს ექიმი ბინებში და დაეძებს ადამიანებს, რომლებიც 20—25 წლის წინათ, ბავშვობის ასაკში, მოხვედრილან ფსიქიატრიულ საავადმყოფოში და ახლა ამას შეახსენებენო?!). პათოლოგიურად ეჭვიანი პიროვნებები კი ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე ექიმის მოსვლას თავის ცოლთან ეჭვის თვალით უყურებდნენ. ერთი ასეთი ეჭვიანი კაცი დიდხანს მდევდა, მოსვენებას არ მაძლევდა, მერე ერთბაშად სადღაც გაქრა. კარგა ხნის შემდეგ მისმა ცოლმა დამირეკა და მთხოვა დამეხსნა ქმარი, თავისსავე ეჭვიანობას რომ ემსხვერპლა: მათი მეზობელი ოთახის გაცვლას აპირებდა და ხშირად მიდიოდა ხალხი ბინის დასათვალიერებლად. ეჭვიანი ქმარი ამას ცოლსა და მოსულ მამაკაცებს შორის საგულდაგულოდ შენიღბულ სასიყვარულო კავშირად თვლიდა (ავადმყოფურად ეჭვიანი მამაკაცები თავიანთ ცოლებს ხშირად საყვარლების ძალზე დიდ რაოდენობას მიაწერენ). მომსვლელს — მილიციის კაპიტანს ეჩხუბა: კაპიტანი არა ხარ და გვატყუებო. სამხრეებიც ჩამოაგლიჯა. კაპიტანმა თანამედროვე ოტელო მილიციაში წაიყვანა. სადაც ყველაფერი გაარკვიეს და ეჭვიანი ქმარი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გაგზავნეს.

რა დასკვნები გამოვიტანე ხანგრძლივი კატამნეზების შესწავლის დროს? აღმოჩნდა, რომ მხოლოდ გამოკვლეულთა დაახლოებით ერთი მესამედი გახდა ფსიქოპათი, დანარჩენებმა ასე თუ ისე მოიწყვეს ცხოვრება და საზოგადოებასთან სერიოზული კონფლიქტები არ ჰქონიათ. მაშასადამე, ბავშვობაში წარმოქმნილი მუქარა, მხოლოდ ერთ მესამედზე გამართლდა. აქ არსებითი როლი შეასრულა ხელსაყრელმა სოციალურმა გარემომ, რომელიც ასეთ ადამიანთა ხასიათის ნორმალიზებას ახდენდა. რა თქმა უნდა, ისეთი შემთხვევებიც გვხვდება, როცა თვით შესანიშნავი სოციალური გარემოც ვერ აფერხებს ბიოლოგიური ანომალიის გამოვლენას (მაგალითად, პათოლოგიური შთამომავლობის ან თანდაყოლილი ტვინის უხეში დეფორმაციის გამო და ა. შ.), მაგრამ ეს იშვიათად ხდება. თითქმის ყოველთვის ხასიათის ჰარმონიულობა ან დარღვევა ცუდი სო-

ციალური ზემოქმედების შედეგია. სამეცნიერო-პოპულარული წიგნებიც იმისათვს იწერება, რომ ადამიანებმა იცოდნენ ეს და ხასიათი არ გაუფუჭონ სხვებს, ხოლო ვისაც ის უკვე დეფორმირებული აქვს, გამოუკეთონ. თუ ხასიათის ჰარმონიზაციას ვერ მივაღწევთ, შეიძლება მისი კომპენსირება, ესე იგი ადამიანს შეუძლია ისწავლოს თავისი დეფექტების დამალვა. ეს კი ექიმზე მეტად თვით პაციენტზეა დამოკიდებული: თუ თავდაჭერას შეძლებ. რომ სხვებს არ უფუჭებდე ცხოვრებას — მაშინ მთელი სამყარო ბედნიერი იქნება.

ფსიქოპათიის დინამიკის ერთ-ერთი სახეობაა ეგრეთ წოდებული რეზინიაცია, ესე იგი რაიმე მოთხოვნაზე უარის თქმა. ფსიქოპათიური პიროვნება ჯიუტად ელტვის რაღაცას, უამრავ დროს და ენერგიას ხარჯავს ამაზე და უცხო ადამიანების ნერვებსა და ჯანმრთელობასაც სწირავს. როცა მიზანი უკვე ახლოსაა, ფსიქოპათს შეუძლია უარი თქვას უკვე მიღწეულის რეალიზაციაზე, ხელი აიღოს ყველაფერზე და ახალი საქმე წამოიწყოს. ასეთი უარის თქმის მექანიზმი სხვადასხვაგვარია და მათი ერთ სახეობაზე დაყვანა არ შეიძლება, თუმცა მათ რაღაც საერთოც აქვთ: მაგალითად, არც ერთ ფსიქოპათს არ შეუძლია ისეთი ადამიანების გარეშე ცხოვრება, ვიზეც შურს იძიებს, ვისაც დევნის, მას უსათუოდ სჭირდება ბიბლიური განტევების ვაცი. თუ მიზანი ახლოსაა და ფსიქოპათი განიზრახავს შურისძიების რეალიზაციას, მაშინ მის წინაშე დადგება პრობლემა: რით შეავსოს ვაკუუმი, რომელიც შურისძიების შემდეგ წარმოიქმნება? ამიტომ ურჩევნია საქმე ბოლომდე არ მიიყვანოს — ასე ფიქრობენ ეს ადამიანები.

ყველაფერი ბავშვობიდან იწყება

კარგიც და ავიც ბავშვობიდან იწყება. ასევე ბავშვობაში იჩენს თავს ფსიქოპათიაც. თუ უფროსების ხასიათის სიმახინჯეთა გაგებაში ფსიქიატრებმა შეხედულებათა მინიმალურ ერთიანობას მაინც მიაღწიეს, ბავშვებისა და მოზარდების ფსიქოპათიის საკითხებში ეს ერთიანობა არც ყოფილა და არც არის: ზოგი სპეციალისტი ამტკიცებს, რომ ბავშვობის ასაკში ფსიქოპათია არ გვხვდება (ძალზე არადიფერენცირებული და განუვითარებელია ბავშვის ფსიქიკა); მეორენი ფიქრობენ, რომ ფსიქოპათია ერთნაირად გავრცელებულია ნებისმიერ ასაკში; მესამენი იმ დასკვნამდე მიდიან, რომ ფსიქოპათია ბავშვობის ასაკში, რა თქმა უნდა, არსებობს, მაგრამ ბევრი თავისებურება ახასიათებს ბავშვის ერთთავად ცვა-

ლებადი და რთული ხასიათის გამო, ამიტომ ყოველთვის არ შეიძლება მას ფსიქოპათია ეწოდოს ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით.

7 წლის ბიჭი ადრეული ასაკიდანვე გამოირჩეოდა უაღრესი აგზნებადობითა და სიფიცხით: თუ მის სურვილს ვინმე წინ აღუდგებოდა, იმწამსვე ბრაზდებოდა, ჩხუბობდა და მთელი არსებით ესწრაფოდა შური ეძია დამნაშავეზე. ბიჭს წყენა 2—3 თვე მაინც ახსოვდა, რაც ბავშვებისთვის დამახასიათებელი არ არის. გულღვარძლიანობა, შურისმაძიებლობა, სიმკაცრე, აგრესიულობა, მოჩხუბარობა — ყველაფერი ეს თვალშისაცემი იყო იმისთვის, ვინც თუნდაც ცოტა ხნით შეხვდებოდა მას. ბავშვის გაუწონასწორებელი ხასიათი განსაკუთრებით სტანჯავდა მის მშობლებსა და ბებიებს, რომლებზეც ოსტატურად იძიებდა შურს ძველი წყენის გამო. ბიჭი სხვა არაფრით გამოირჩეოდა: ფიზიკურად და ინტელექტუალურად თანატოლებივით იყო განვითარებული, იშვიათად ავადმყოფობდა და ა. შ. საბავშვო ბაღში მასზე ამბობდნენ: ჭკვიანი ბიჭია, მაგრამ საშინელი ხასიათი აქვსო.

სკოლაში რომ წავიდა, პირველ ხანებში კარგად იქცეოდა, მაგრამ მერე და მერე უსასრულოდ ედავებოდა თანაკლასელებს. ამ კონფლიქტების დროს ბიჭი დაუფიქრებლად მოქმედებდა, ფსიქიკური ავადმყოფივით იქცეოდა. ერთხელ, ჩხუბის დროს, გაბრაზებულმა, ისე ჩაარტყა თანაკლასელს თვალში, რომ ბავშვი კინაღამ დაბრმავდა. ამ ამბის შემდეგ პედაგოგებმა მოსთხოვეს მშობლებს, რომ ბიჭი ბავშვთა ფსიქიატრთან მიეყვანათ. ექიმმა მას ფსიქოპათიის აგზნებადი ვარიანტი დაუდგინა. ბიჭის ნათესავთაგან უმრავლესობას სწორედ ასეთი პიროვნული თვისებები ახასიათებდა. ყველაფერი, რაც გაფანტული იყო სხვადასხვა თაობის ბევრი ადამიანის ხასიათში, ბიჭის პიროვნებაში უცნაურად შეერთებულიყო.

მეორე პაციენტი, რვა წლის ბიჭი, ხასიათის ზემოაღნიშნულ თვისებებს ადრეული ბავშვობიდანვე ავლენდა, მაგრამ 6—7 წლის ასაკში რამდენადმე შეუმცირდა. აგზნებადობას, სისასტიკეს, სხვათა დათრგუნვის მისწრაფებას, სურვილის წამიერად დაკმაყოფილების მოთხოვნას და სხვა ფსიქოპათიურ თვისებებს ემატებოდა სწრაფი დაღლა, გამოფიტვა, ხშირი თავის ტკივილი, იგი ვერ იტანდა სიცხეს, უჰაერობას, ტრანსპორტით მგზავრობას, ამასთანავე თავის ტვინის ადრეული ორგანული დაზიანების სხვა ნიშნებსაც ავლენდა. ბიჭს ჰქონდა ეგრეთ წოდებული ორგანული ფსიქოპათია, რაც ჯერ კიდევ დედის მუცელში თავის ტვინის დაზიანებამ განაპირობა.

ამრიგად, მართალია ხასიათის დისჰარმონიას ორი ბიჭი გარეგნულად ერთმანეთის მსგავსად ავლენდა, მაგრამ ორივე სხვადასხვა წარმო-

შობისა იყო და სხვადასხვაგვარ მკურნალობას საჭიროებდა. თუ პირველ პაციენტს ისეთი პრეპარატები დაუნიშნეს, რომლებიც ამცირებენ ნერვული სისტემის აგზნებადობას, გაღიზიანებას, ღვარძლიანობას, შურისძიების სურვილს და ა. შ., და ბიჭიც დროთა განმავლობაში უფრო ლმობიერი გახდა, მეორე ავადმყოფს ექიმმა ანალოგიური, მაგრამ ნაკლებეფექტური პრეპარატები და უფრო მშვიდი რეჟიმი შეურჩია: ნასადილევს ძილი, გლუკოზისა და ასკორბინის მჟავის ნაერთი, აგრეთვე გოგირდმჟავა-მაგნეზიის ინიექციები და სხვა გამამაგრებელი და დამამშვიდებელი მედიკამენტები, ხოლო ამ პაციენტების მშობლებს ექიმებმა ურჩიეს, უფრო გონივრულად წარემართათ ბავშვების აღზრდა, კი არ წაექეზებინათ მათი სურვილები და ჟინიანობა, არამედ მოთმინებით განევითარებინათ ბიჭებისთვის თავდაჭერის, საკუთარი ქცევის კონტროლისა და ხასიათის დეფექტების დამალვის უნარი. რაკი ყველა ფსიქოპათური პიროვნება ეგოისტია (ყველა ფსიქოპათი ეგოისტია. მაგრამ ყველა ეგოისტი ფსიქოპათი არ არის), აუცილებელია ბავშვობის ასაკიდანვე გადავაჩვოთ იგი თავმომწონეობას, საკუთარი ჭირვეულობის გატანას, თავაშვებულობას და სხვ. თუმცა ასეთი რჩევის მიცემა ადვილია, შესრულება კი — ძნელი.

ფსიქოპათიის დროს ბოლომდე განვითარებული არ არის ეთიკური სფერო: ასეთ ადამიანებს არ შეუძლიათ ერთმანეთისაგან განასხვაონ ცუდი და კარგი, ისინი გამოირჩევიან სისასტიკით. გულგრილობით, უსინდისობით (კიდევ ერთხელ მოგაგონებთ, რომ ფსქოპათისათვის ნიშანდობლივი ხასიათის თვისებები აქვთ სხვა, მეტწილად ფსიქიკურად ჯანმრთელ ადამიანებსაც). ამიტომ აღზრდის პროცესში ასეთ ადამიანებს აუცილებლად უნდა განუვითაროთ ის თვისებები, რომლებიც მათ არა აქვთ, პირველ რიგში კი — დანაშაულის გრძნობა ჩადენილი ქმედების გამო. აგზნებადი თვისებების მქონე ფსიქოპათიური პიროვნებები მალე აღმოჩნდებიან ხოლმე ექიმთან, რადგან აგზნებადობისა და კონფლიქტურობის წყალობით მაშინვე ყურადღებას იქცევენ. და მაინც არსებობს ფსიქოპათიის სახეობა, რომელიც სწრაფად არ ვლინდება: ასეთი ბავშვები, მოზარდები თუ უფროსები არ არღვევენ წესრიგს, არც გამომწვევი ქცევით იპყრობენ ყურადღებას და არც დიდ საზრუნავს უჩენენ ირგვლივ მყოფებს. უფრო მეტიც, ეს ბავშვები, ჩვეულებრივ, კარგად სწავლობენ და სკოლაშიც კარგი სახელი აქვთ, მაგრამ ადრე თუ გვიან მაინც იჩენს თავს მათი ხასიათის უჩვეულო თვისებები.

12 წლის ბიჭი ბავშვობიდანვე მოუქნელი და არაპრაქტიკული იყო, არც თავის დაცვა შეეძლო. უმეტეს დროს წიგნების კითხვას ანდომებდა: 4 წლისამ ისწავლა კითხვა და მას შემდეგ მხოლოდ წიგნები უყვარდა.

თავის წლებისთვის მეტისმეტად ერუდირებულმა და ნაკითხმა ბიჭმა მალე დაიმსახურა ვუნდერკინდის სახელი. როცა იგი სკოლაში მივიდა, მასწავლებლებმა შენიშნეს, რომ ბიჭი უკარება იყო, არ იზიდავდა თანატოლები, არაპროპორციულ, დისჰარმონიულ განათლებას ავლენდა: ბევრი რამ იცოდა ისეთი, რაც სხვებისთვის მიუწვდომელი იყო, მაგრამ თითქმის არაფერი გაეგებოდა ყველა ბიჭისათვის ცნობილი ამბებისა. სიტყვაძუნწ. უკარება ბიჭს კლასში ვერც კი ამჩნევდნენ, მხოლოდ მდიდარი ერუდიციით, კარგი წარმატებით და დისციპლინით იქცევდა ყურადღებას. თუ პირველ ხანებში დედ-მამა არად აგდებდა ბიჭის თავისებურებას („ჩვენ თვითონაც ასეთები ვიყავით ბავშვობაში, მაგრამ წლების მანძილზე კონტაქტები განმტკიცდა და სიტყვაძუნწობამაც იკლო",—ამბობდნენ მშობლები, პროფესიით მათემატიკოსები), 10—11 წლიდან უკვე მოსვენება დაკარგეს: ბიჭის ხასიათის პათოლოგიური თვისებები კი არ მცირდებოდა, არამედ, პირიქით, მატულობდა. უფრო მეტიც, იგი მშობლებს აღანაშაულებდა, ასეთი ხასიათი თქვენგან გამომყვაო, და მოითხოვდა, რომ ექიმების რჩევით, მისი ხასიათი შეეცვალათ. ასე აღმოჩნდა იგი ჩვენთან მილებაზე. ბიჭი თავს ავადმყოფად არ თვლიდა, არც იმის სულიერი მოთხოვნილება ჰქონდა, რომ პირქუში ხასიათი დაეძლია, მ[illegible]ამ ესმოდა, რომ ჯობდა გულღია ადამიანი ყოფილიყო, ვიდრე [illegible]ახვეული. მკურნალობის პროცესში მისი მდგომარეობა საგრძნობლ[illegible]ჯობესდა, რაშიც დადებითი როლი შეასრულა ბიჭის მისწრაფებ[illegible]ოგორმე მოეშორებინა ხასიათის პათოლოგიური თვისებები. ამ [illegible] ციზოიდის პიროვნული ნიშნები ჰქონდა.

ასაკობრივი და სიტუაციური მეტამორფოზები

როგორც ჩვეულებრივი ადამიანი იცვლება თავისი ცხოვრების მანძილზე (ზოგჯერ მას ვეღარც კი იცნობთ), ასევე განიცდის მეტამორფოზას დისჰარმონიული სუბიექტიც. ეს ცვლილებები ზოგადად ასეთია: არანორმალური ხასიათი მეტად შეიმჩნევა სკოლის ასაკში, შემდეგ კი პაციენტების დაახლოებით 60%-ს ფსიქოპათიური თვისებები თანდათან უმცირდებათ. აქ უდიდეს როლს ასრულებს მიზანდასახული აღზრდა, რაც პიროვნების დისჰარმონიის დათრგუნვას ითვალისწინებს, მშვიდი გარემო ოჯახსა და სკოლაში და ზოგიც სხვა სოციალურ-ფსიქოლოგიური მიზეზი, ასევე დამატებითი ტრავმებისა და თავის ტვინის ინფექციური დაზიანებების თავიდან აცილება და ა. შ. რაც უფრო ემატება ადამიანს ცხოვრებისეული სიბრძნე, პრაქტიკულობა, სიფრთხილე და წინდახე-

დულობა, — ეს კი, ცხადია, თავისთავად არ წარმოიშობა, არამედ შესაფერისი აღზრდისა და ცხოვრებისეული გამოცდილების შედეგია, — რაც მეტს ფიქრობს პიროვნება თავის ადგილზე ცხოვრებაში, მით მეტად ხდება მისი მთლიანი ან ნაწილობრივი დეფსიქოპათიზაცია, ესე იგი ხასიათის ანომალიური თვისებების გაქრობა ან შემცირება. პაციენტთა მხოლოდ 35—40%-ში დომინირებს კვლავაც ფსიქოპათიური თვისებები, რაც მოზარდის ასაკში მწვავდება. ამ დროს ჩვეულებრივი მოზარდებიც თავშეუკავებლები, ტლანქები, უკმეხები ხდებიან, და მით უფრო — დისჰარმონიული პიროვნებები. ფსიქოპათიური თვისებების მქონე ბევრი სუბიექტი სწორედ მოზარდის ასაკში არღვევს დისციპლინას, ცუდად სწავლობს, თავი გამომწვევად უჭირავს, აქეთ-იქით დაეხეტება, თამბაქოს ეწევა, ნარკოტიკებს ხმარობს და ა. შ. მოზარდის ასაკი რომ გაივლის, დაახლოებით ნახევარს ემოციურ-ნებელობითი სფეროს დისჰარმონია უმცირდება. ინვოლუციის პერიოდში კი ხასიათი ჩვეულებრივ ისევ უფუჭდებათ: თავის ტვინის სისხლძარღვების სკლეროზის განვითარება აქვეითებს ინტელექტის კონტროლს და ამცირებს ნებელობით შეკავებას. ფსიქოპათიის ასეთ დინამიკას განუშკინი ასაკობრივს (ევოლუციურს) უწოდებდა. იგი ფსიქოპათიის სიტუაციურ დინამიკასაც გამოჰყოფდა, როცა ფსიქოპათიური თვისებები ძლიერდება ან მცირდება (თითქმის სრულ გაქრობამდე) სოციალური ზემოქმედების შედეგად. თუ მშობლები თავიანთ ბავშვებს ხასიათის იმ თვისებებს განუვითარებენ, რომლებიც თვითონ მშობლებს ძალიან კარგი ჰგონიათ (მაგალითად, სიტყვაძუნწი და ნაკლებად გულღია მშობლები თავიანთ შვილსაც ასწავლიან ასეთი იყოს), მაშინ ბავშვებს ეს თვისებები კარიკატურულად განუვითარდებათ. მემკვიდრეობითობას და სიცოცხლის ადრეული პერიოდის პათოლოგიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ფსიქოპათიის განვითარებაში. მაგრამ აღზრდასა და ოჯახურ ურთიერთობაზეა დამოკიდებული, ჯერ ერთი, გამოვლინდება თუ გაქრება კონსტიტუციაში არსებული პათოლოგიური თვისებები, და მეორეც, რამდენად შესუსტდება ან გაძლიერდება ეს თვისებები, თუ მათ უკვე თავი იჩინეს. მიუხედავად იმისა, რომ ფსიქოპათიის ბევრი სახეობა მედიკამენტურ მკურნალობას საჭიროებს, სწორედ ოჯახზეა დამოკიდებული მკურნალობის ეფექტურობა, რადგან იგი სწორ პედაგოგიურ ზემოქმედებას უნდა შეეხამოს. მშობლებისა და პედაგოგების დაუხმარებლად ბავშვი თავს ვერ დააღწევს დისჰარმონიულ ხასიათს.

რეგრესი თუ რღვევა?

ხასიათის სიმახინჯის არსის ახსნისას აუცილებელია გავერკვეთ ემფატიის ცნებაში. ეს არის ადამიანის უნარი გაიგოს სხვა ადამიანების განცდები და გაიზიაროს მათი ემოციური რეაქციები. ემფატია, ალბათ, ახასიათებს მაღალგანვითარებულ ცხოველებს და განსაკუთრებით — ადამიანს. ეს დამახასიათებელი ნიშანთვისებაა ემოციურად ჰარმონიული არსებისა, რომელსაც კარგი ბიოლოგიური საფუძველი აქვს. ემფატია შეიძლება დაირღვეს ბიოლოგიური მიზეზების და უმთავრესად არასწორი აღზრდის გამო. საოცარია, მაგრამ თანაგრძნობის უნარის მქონე და ამ უნარს მოკლებული ადამიანები ძალზე ჰგვანან ერთმანეთს სოციალური ადაპტაციის თვალსაზრისით: არც ერთს და არც მეორეს არ შეუძლია ადამიანებთან თავიანთი ურთიერთობის გონივრულად და ჰარმონიულად წარმართვა. თანაგრძნობის უნარს სავსებით მოკლებული ადამიანი — ეს მარტოსული ცხოველია, უკიდურესი ეგოცენტრისტი, რომელიც ირგვლივ მყოფთაგან მროჩილებას და სიყვარულს მოითხოვს, თუმცა თვითონ თანაგრძნობის, გულითადობისა და ალტრუიზმის უნარი არ გააჩნია. ასეთი ადამიანები ყოველთვის დაძაბულობასა და უნდობლობას იწვევენ ფსიქიკურად ჰარმონიულ პიროვნებებში, რადგან ადრე თუ გვიან ასეთი პათოლოგიური ტიპი (ემფატიის უქონლობა ხომ ანომალიური თვისებაა) მაინც გამოავლენს სასტიკ, შურისმაძიებელ, ულმობელ ბუნებას. თავისებურად უბედურები არიან ის ადამიანებიც, რომლებსაც ძალზე სტანჯავთ სხვათა განცდები. ასეთებს, ჩვეულებრივ, არ გააჩნიათ ლიდერობის უნარი, მეტისმეტად გაუბედავები არიან, ერთთავად იმის შიში აქვთ, არავის ვაწყენინოთო, ძალზე დიდ ინტერესს იჩენენ სხვათა საქმეების გამო და ამით საკუთარ თავს ვნებენ. ემფატიის მაღალი დონე შეიძლება ჰქონდეს არა მარტო ასოენიური და ფსიქასთენიური ტიპის ფსიქოპათიურ პიროვნებას, არამედ ბევრ საერთოდ ჯანმრთელ ადამიანსაც. რომელთაც ემფატიის უნარი — ეს შესანიშნავი და გამაკეთილშობილებელი ნიშან-თვისება — ძალზე გაძლიერებული აქვთ. ეს აიძულებთ მათ დაივიწყონ საკუთარი თავი და მხოლოდ იმაზე იფიქრონ, რომ ირგვლივ მყოფებს არაფერი აწყენინონ.

ბევრი ფიქრობს, რომ ფსიქოპათი ან სხვა ფსიქიკური პათოლოგიის მქონე ადამიანი ევოლუციური კიბის დაბალ საფეხურზე ეშვება, თითქოს ცხოველურ დონეს უბრუნდება. მე XIX საუკუნის ბოლოს ცხარე დავა ატყდა ამ საკითხის ირგვლივ. დავის მიზეზი გახლდათ ცნობილი მოსკოველი სულით ავადმყოფი, ვინმე მაშუტა. ეს ქალი დაბადებიდან გონებრივად არასრულფასოვანი იყო. ამას გარდა, მას თავის ქალის თან-

დაყოლილი შემცირებული მოცულობა ჰქონდა. მეცნიერთა ერთი ნაწილი გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ ინტელექტუალური განვითარების მკვეთრი ჩამორჩენა გამოვლენა იყო იმისა, რომ მაშუტა ცხოველის დონეზე შეჩერდა. სხვა მეცნიერები ამტკიცებდნენ, მაშუტას ავადმყოფობა ნამდვილი ადამიანური ავადმყოფობაა და არა ცხოველურ მდგომარეობაში დაბრუნებაო. ცხოველის ფსიქიკური ცხოვრება ჰარმონიული ხასიათისაა და შეეფარდება მისი განვითარების (თუნდაც დაბალ) დონეს. ძაღლს ან კატას შეიძლება ჰქონდეს კრუნჩხვითი შეტევები (და არა ეპილეფსიური დაავადება, როგორც ტიპური ადამიანური აშლილობა), უძილობა, ცუდი მადა და ა. შ. — ეს ყველა სულიერისთვის დამახასიათებელი პრიმიტიული და ჩვეულებრივი რეაგირების ფორმებია. ფსიქიკური აშლილობა კი მხოლოდ ადამიანთა ხვედრია მათი მაღალგანვითარებული ფსიქიკის გამო. ეს აშლილობა შეეფარდება ფსიქიკის განვითარების დონეს, რადგან ადამიანთა ფსიქიკას, მსგავსების მიუხედავად, ბევრი განმასხვავებელი თვისებაც გააჩნია. ჭკვიანი ადამიანის ფსიქიკური აშლილობა სხვაგვარად მიმდინარეობს, ვიდრე უჭკუოსი; კარგი წარმოსახვისა და მდიდარი ინფორმაციის მქონე ადამიანის ფსიქიკური აშლილობა უფრო სხვაგვარია, ვიდრე ნაკლებმცოდნე და შეზღუდული წარმოსახვის მქონე პირისა. მდიდარი ემოციური სამყაროს ადამიანის ავადმყოფობა არ ჰგავს უემოციო, პირქუში, ეჭვიანი და თანაგრძნობის უნარს მოკლებული ადამიანისას.

მაშასადამე, ადამიანის სულიერი ანომალია უფრო დაბალ ევოლუციურ დონეზე დაბრუნება კი არ არის, არამედ წინააღმდეგობა, დაშლა, დისჰარმონიაა არსებული დონის ფარგლებში. მაგალითად, აგზნებადი ტიპის ფსიქოპათის ხასიათის თვისებები, ნორმალური ადამიანის თვალსაზრისით, ცხოველური ნიშნებია, მაგრამ არც ერთი ცხოველი არ ავლენს ფსიქოპათი ადამიანისათვის დამახასიათებელ ნიშნებს: ცხოველი ჰარმონიული არსებაა, ფსიქოპათი კი — დისჰარმონიული. ამიტომ ბევრი ისეთი რამ, რაზედაც ამ წიგნშია საუბარი, თითქოს ადამიანს არ უნდა ახასიათებდეს, სინამდვილეში კი ეს მხოლოდ ატიპიური, მაგრამ მარტოოდენ ადამიანისთვის დამახასიათებელი თვისებებია. აქედან გამომდინარე, უმართებულოდ ნუ ვაწყენინებთ ცხოველებს და ადამიანებს ნუ შევადარებთ; უფრო სწორად, ცხოველებს უფლება აქვთ თავიანთი ანომალიური და ბოროტი თვისებები ადამიანისას შეადარონ, რადგან სწორედ ადამიანი აძლევს მაგალითს ყველა სულიერს თავის საშინელი ქცევით. გამორიცხული არ არის, რომ არსებობდა ან იარსებებს (იქნება დღესაც არსებობს სხვა პლანეტებზე) ცოცხალი ქსოვილის განვითარების უფრო მაღალი საფეხურები და ადამიანზე უფრო განვითარებულ ამ არსებებს ექ-

ნებათ მხოლოდ მათივის დამახასიათებელი, მათი გამომსახველი (რა თქმა უნდა, არაზუსტი) ფსიქიკური აშლილობანი: ეს იქნება არა უფრო დაბალ საფეხურზე დაბრუნება (ე. ი. ამ შემთხვევაში ადამიანის დონემდე), არამედ სიცოცხლის განვითარების ამ განსაზღვრული ეტაპისათვის დამახასიათებელი ფსიქიკური აშლილობა.

ადამიანი ცხერისგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ მის ინსტინქტს ცნობიერება ცვლის ანდა, რომ მისი ინსტინქტი შეცნობილია, — წერდა მარქსი. ცხადია, ცნობიერების არსებობა თუ არარსებობა ძალზე არსებითი კრიტერიუმია. მაგრამ ეს კრიტერიუმი მთავარი და მით უფრო ერთადერთი არ არის. მთავარი კრიტერიუმი ზნეობრივი გრძნობის არსებობა თუ არარსებობაა. ადამიანთა საზოგადოებასა და ადამიანის სულში არსებობს რაღაც ისეთი, რაც წარმატებით ანეიტრალებს ადამიანის ბუნების ყველა ნაკლსა და არასრულყოფილებას. ეს არის — სინდისი, ზნეობა, ის კატეგორიული იმპერატივი, რომელიც სულშია და აღაშფოთებს ან აღაფრთოვანებს არა მარტო კანტს, არამედ ყველას, ვინც წამით მაინც დაფიქრდება ადამიანის სინდისის სიდიადესა და ყოვლისშემძლეობაზე. სინდისის გარდა არსებობს კიდევ გონება, ადამიანს დანარჩენ სამყაროზე რომ აღამაღლებს. ეს გონება გარდაქმნის ბუნებას, ითვისებს კოსმოსს, ქმნის ადრინდელი ადამიანისათვის წარმოუდგენელ მექანიზმებს. ეს გონება უხანგრძლივებს ადამიანებს სიცოცხლეს, ერთი ადამიანის გულს გადაუნერგავს მეორეს და ა. შ. მაგრამ, სამწუხაროდ, გონება ყოველთვის როდი ემორჩილება სინდისს, და სწორედ ამიტომ არსებობს ომები, საკონცენტრაციო ბანაკები, ტირანია და სიძულვილი. ადამიანის ინტელექტი ჯერ კიდევ სრულყოფილი არ არის და ყოველთვის არ შეუძლია ისე წარმართოს ადამიანის ცხოვრება, რომ იგი თავისუფალი და ამავე დროს ბედნიერი იყოს — ამის შეთავსება ძალზე ძნელია.

ჯონ ლოკი თავის ნაშრომში „ცდები ადამიანის გონებაზე“ წერდა, რომ ადამიანს მანამდე არა აქვს უფლება ისარგებლოს თავისუფლებით, ვიდრე გონებაზე ბატონობას არ ისწავლის. თავისუფლება გონების გარეშე ანარქიაა. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს ფსიქოპათიის მაგალითზე. ფსიქოპათს თავისუფლება იმისთვის სჭირდება, რომ მოვალეობისაგან თავისუფალი იყოს, რომ ის თავისი ეგოცენტრული და იმპულსური მისწრაფებებისათვის გამოიყენოს.

ფსიქიკურად ჯანმრთელ ადამიანს სინდისი და გონება გაწონასწორებული აქვს, ფსიქოპათი კი ყველაფერს თავის სწრაფვას უმორჩილებს. მათი გონება —ზოგჯერ დიდი და პროდუქტიული — ყოველთვის ადამიანთა საზიანოდ არის მიმართული. ამის გამო ფსიქოპათებზე კარგს იშვიათად ამბობენ, თუნდაც აფასებდნენ კიდეც ადამიანთა სასიკეთოდ გამოყენებულ მათ ცოდნას, ნიჭსა და ტალანტს.

შეიძლება თუ არა ხასიათის დისჰარმონიის შეძენა?

60-იან წლებში ფსიქოლოგიასა და მედიცინაში დავა ატყდა. ერთნი ამტკიცებდნენ, თუ ნორმალური ადამიანი ხანგრძლივად იქნება მძიმე სოციალურ პირობებში, მისი ხასიათი შეიძლება იმდენად შეიცვალოს, რომ არსებითად ფსიქოპათიურად გარდაიქმნეს. ესე იგი, არახელსაყრელი სოციალური პირობების შედეგად ადამიანი შეიძლება ფსიქოპათი გახდეს. და რაკი ფსიქოპათია წარმოიქმნება, მერე იგი შთამომავლობას გადაეცემა და ასე წარმოიქმნება კიდევ ერთი პათოლოგიური გვარეულობა. მაშასადამე, ამ ჰიპოთეზის მომხრეების თვალსაზრისით, ფსიქოპათია წარმოიშობა არა მარტო ბიოლოგიური გზით, არამედ სოციალურითაც. ეს ჰიპოთეზა უსაფუძვლო როდი იყო: ყოველ 20—30 წელიწადში იჩენდა თავს ასეთი შეხედულებები, მაგრამ მალევე ქრებოდა. რა თქმა უნდა, ყველა იზიარებდა იმ აზრს, რომ რთულ პირობებში ცხოვრების დროს მატულობს ხასიათის დამახასიათებელი რისკი, რომ ცხოვრების განსაკუთრებულ გარემოებებს შეუძლია სულიერად გატეხოს ადამიანი, მაგრამ განა ეს ფსიქოპათია იქნება? არა, არ იქნება. როგორც ცნობილი რუსი მეცნიერი ვიქტორ პეტრეს ძე ოსიპოვი (1871—1947) ამბობდა, ეს უფრო ფსევდოფსიქოპათიაა; რომელიც მხოლოდ გარეგნულად ჰგავს ფსიქოპათიას, მაგრამ არ შეესაბამება ფსიქოპათიის დიაგნოსტიკის კრიტერიუმებს: ფსევდოფსიქოპათიის დროს ხასიათის სიმახინჯე თანდაყოლილი არ არის და არც ხარისხობრივად იცვლება, არ ხდება ხასიათის უკიდურესი გამოვლენა და არ აღინიშნება ისეთი მუდმივი კონფლიქტები იოგვლივ მყოფებთან, როგორც ეს ნამდვილი ფსიქოპათიის დროს ხდება. ადამიანის ცუდი ხასიათი, რასაკვირველია, შეიძლება სხვადასხვანაირად გამოვლინდეს, რაც ბევრ მიზეზზეა დამოკიდებული (მათ შორის იმაზეც, რამდენად თავდაჭერილი იქნება ასეთი სუბიექტი, არ გაკადნიერდება, არ გაუწყალებს გულს სხვებს და ა. შ.). მაგრამ მთავარია არა ეს, არამედ ხასიათის ცვალებადობის ხარისხი, მათი მცირე შექცევადობა. ფსიქოპათს (მით უფრო, თუ ნორმალური ინტელექტი აქვს) შეუძლია ისე ოსტატურად დამალოს ხასიათის სიმახინჯე, რომ არა მგონია არასპეციალისტმა ეჭვი აიღოს, რა ადამიანია იგი სინამდვილეში. მაგრამ ფსიქოპათი სულით ეგოისტია, ბოროტი, ულმობელი, უგულო და ა. შ. იმას კი, ვისაც შეძენილი, სოციალურად განპირობებული „ფსიქოპათია" აქვს, არაფერი ასეთი არ ახასიათებს. მას თავი ისე უჭირავს, როგორც საზოგადოება მოითხოვს. ფსიქოპათი კი ნებისმიერ საზოგადოებასთან მუდამ ოპოზიციაშია. მაგალითად, ხულიგნები და ბანდიტები ისე იქცევიან, როგორც ხულიგნური ფსიქოლოგია უკარნახებთ, თუმცა მათ საქციელში ერთი შე-

ხედვით ბევრი რამაა ისეთი, რისთვისაც ისინი ციხეში კი არა, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში უნდა გაეგზავნათ. მაგრამ ყველა ხულიგანი რომ სულით ავადმყოფად მიგვეჩნია, მაშინ ციხეები უნდა დაგვეკეტა და მთელი დედამიწა ფსიქიატრიული საავადმყოფოებით მოგვეფინა, სამართალდამრღვევთათვის კი, ხელახლა აღზრდის ნაცვლად, მკურნალობა ჩაგვეტარებინა.

შეძენილი ფსიქოპათიის კონცეფციის მოწინააღმდეგენი ხასიათის პათოლოგიის ფორმებზე ტრადიციულ წარმოდგენებს იცავდნენ. მაგალითად, სუხარევა კატეგორიული წინააღმდეგი იყო, რომ ხასიათის ასეთი დროებითი დეფორმაციისათვის ფსიქოპათია ეწოდებინათ: სიტყვა ფსიქოპათს გარკვეული შინაარსი აქვს და ამ შინაარსის უმიზეზოდ შეცვლა საჭირო არ არისო. თუ ყველა ფსიქოლოგიური და სიტუაციური ქცევის დეფექტს ფსიქოპათიას ვუწოდებთ, მაშინ თვით ეს ტერმინი დაკარგავს მნიშვნელობას, ხოლო კაცობრიობის 3/4 ფსიქოპათებს უნდა მივაკუთვნოთ. რაკი მაგიდას მაგიდა დავარქვით, არ არის საჭირო მას სახელი შევუცვალოთ და სკამი ვუწოდოთ: ყველაფერს ხომ თავისი ფუნქცია და ზუსტი დანიშნულება აქვს.

დისკუსია შეძენილი ფსიქოპათიის საკითხებზე 70-იანი წლების დასაწყისში მიწყნარდა, მერე კი სავსებით შეწყდა. ერთადერთი სიკეთე, რაც ამ დავას მოჰყვა, ის იყო, რომ გამოცოცხლდა ინტერესი ფსიქოპათიის პრობლემისადმი და აიძულა ფსიქიატრები კიდევ ერთხელ ვაეანალიზებინათ ფსიქიკური პათოლოგიის ამ რთულ და საინტერესო სახეობაზე არსებული ტრადიციული შეხედულებანი. ამ დისკუსიამ უფრო მეტად დაარწმუნა მეცნიერები, რომ კლასიკური შეხედულებანი ფსიქოპათიაზე ზოგადად სწორია, და რომ საჭიროა მტკიცედ უარყონ ვულგარულ-სოციოლოგიური მტკიცება, რომელიც ცდილობს გამოაცალოს ფსიქიატრიას კლინიკური სული და მას ამ მეცნიერებისთვის უჩვეულო ავანტიურიზმის ელემენტები შესძინოს.

გენიალური ინფანტილები

სახიფათოა, — ამბობდა პასკალი, — აშკარად დაანახო ადამიანს ახლო მსგავსება ცხოველთან და იმავდროულად სიდიადეზეც არ მიუთითო. ასევე საძრახისია, მას მხოლოდ სიდიადე ჩააგონო და არაფერი უთხრა ქვენა გრძნობებზე. მაგრამ უფრო მეტად საძრახისია, თუ არაფერი იცის არც ერთსა და არც მეორეზე. სასარგებლოა, რომ ერთიც ახსოვდეს და მეორეც. ამ ციტატით მინდა დავიწყო ეს თავი, სადაც ლაპარაკი იქნება ზოგიერთი ადამიანის პიროვნულ თავისებურებებზე: ამგვარი მაგალი-

თები პირველ რიგში უკვე ხსენებული ფსიქიკური ინფანტილიზმის პრობლემის საილუსტრაციოდ მომყავს. ფსიქიკური ინფანტილიზმი — ფსიქიკური ნორმისა და პათოლოგიის ზღვარზე არსებული განსაკუთრებული პიროვნული თვისებების კომპლექსია. ფსიქიკური ინფანტილიზმი ხან ნორმასთან არის ახლო, ხან პათოლოგიასთან. მაგრამ უბედურება ისაა, რომ მას შეუძლია ხელი შეუწყოს ალკოჰოლიზმის, დამნაშავეობის და სხვა ფსიქიკური თუ სოციალური დეზადაპტაციის წარმოშობას. მეცნიერები, მაგალითად, კამათობენ*, ვინ იყო ესენინი: ალკოჰოლიკი, კოკაინისტი, ფსიქოპათი? მაგრამ ვინც უნდა ყოფილიყო, მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რა აიძულებდა დიდ რუს პოეტს დაელია, ეჩხუბა და ა. შ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ესენინის პიროვნების საფუძველს შეადგენდა ხასიათის ის თვისებები, რომლებიც ადრეული ბავშვობიდანვე დომინირებდა. ლაპარაკია ფსიქიკურ არასტაბილურობაზე, გაუწონასწორებლობაზე, უზრუნველობაზე, სურვილის დაუყოვნებლივ აღსრულებაზე, კაპრიზებზე, ნებისყოფის სისუსტეზე (ეს თვისება ხშირად ჯიუტობად გადაექცეოდა ხოლმე), ბავშვურ მსჯელობაზე (ზოგ შემთხვევაში პოეტი ბრძენი და გამოცდილი იყო, ხან კი — ბავშვივით მიუხვედრელი და მიამიტი), ხანმოკლე ემოციურ კავშირებზე (დედის ძიძარო ღრმა სიყვარულის გარდა), ეგოცენტრიზმზე, მუყაითად მუშაობის უუნარობაზე, თუკი ამ შრომას არ ახლდა დადებითი ემოციები, ყოველდღიური ცხოვრების მოთხოვნილებათა აუტანლობაზე. ყველაფერი ეს წარმოშობს განსაკუთრებულ ფსიქიკურ აშლილობას, რომელსაც ფსიქიკური ინფანტილიზმი ეწოდება. სწორედ ამის ფონზე ვითარდება ქრონიკული ალკოჰოლიზმი, რაც ასე ხშირია მსგავს სუბიექტებში.

მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ესენინამდე და მას შემდეგაც დედამიწაზე მილიონობით ფსიქიკურად მოუმწიფებელი ადამიანი ცხოვრობდა, ესენინი კი განუმეორებელი იყო. მაშ რა ხდება? აქ, რა თქმა უნდა, საქმე ეხება არა ესენინის ინფანტილიზმს, არამედ პოეტის ფენომენალურ ტალანტს. ესენინის, როგორც ადამიანის, ინფანტილურობით

---

* 20-იან წლებში ბევრი ნაშრომი გამოაქვეყნეს საბჭოთა მეცნიერებმა (მათ შორის იყო ისეთი დიდი მეცნიერი, როგორიცაა, მაგალითად, პროფესორი ი. ბ. გალანტი) ესენინის ბიოგრაფიის ზოგიერთ ფსიქოპათოლოგიურ მხარეზე. ინტერესი ამ პრობლემისადმი დღესაც არ ნელდება, თუმცა ცნობილია, რომ ბევრი დიდი ადამიანის ბიოგრაფიას წლების მანძილზე იმდენი რამ ემატება, რომ ხშირად რეალურ ცხოვრებასა და გამონაგონს საერთო აღარაფერი აქვს. უკანასკნელი დროის პუბლიკაციათა შორის ყურადღებას იმსახურებს 1973 წელს ვარშავაში გამოცემული წიგნი, პოლონელი ლიტერატურათმცოდნეების ელვირა ვატაკიხა და ვიქტორ ვოროშილსკის საფუძვლიანი მონოგრაფია „სერგეი ესენინის ცხოვრება“.

შეიძლება აიხსნას მისი ქცევის ან შემოქმედების ესა თუ ის თავისებურება, მაგრამ შეუძლებელია სულიერი მოუმწიფებლობით აიხსნას ესენინის გენიალობა. ეს ტალანტი უფრო ჰარმონიულ პიროვნებას რომ ჰქონოდა, შესაძლოა, ესენინი უფრო პროდუქტიული ყოფილიყო, ალკოჰოლს არ მისძალებოდა და არც თავი მოეკლა.

ხასიათის ინფანტილური თვისებების ერთობლიობას, რასაც ალკოპოლიზმი და თავაშვებული ცხოვრება ამძაფრებდა, შედეგად მოსდევდა სოციალური დეზადაპტაცია, განწყობილების ცვალებადობა, ჭირვეულობა, გულფიცხობა, გადამეტებული ეჭვიანობა და ჰიპოქონდრია. ესენინის ნაწარმოებებმა თანდათან დაკარგა ემოციური მრავალფეროვნება, მათი განწყობილება მეტწილად მონოტონურ-დეპრესიული იყო, განცდათა დიაპაზონი დავიწროვდა. სიცოცხლის უკანასკნელი წლების ცალკეული ლექსები მოწმობდნენ, თუ რა საოცარი ტალანტი იღუპებოდა ლიტერატურული ბოჰემის გამხრწნელი გავლენისაგან, ამასთან პოეტს გვერდით არ ჰყავდა ახლობელი ადამიანი, რომელიც მას იმპულსური, დაუფიქრებელი საქციელისაგან შეაკავებდა.

ესენინს ბოჰემურად განწყობილი სუბიექტების წრეში რომ არ ეცხოვრა, მისი პიროვნების ავადმყოფური თვისებები ასეთი ძალით არ გამოვლინდებოდა. შესაფერისი სამედიცინო-პედაგოგიური კორექციის შედეგად ბევრი ინფანტილი წლების მანძილზე სოციალურ კომპენსაციას იძლევა, ფსიქიკური მოუმწიფებლობის ნიშნები დროებით ან სამუდამოდ მცირდება.

კიდევ ერთი დიდი ინფანტილი იყო იაროსლავ ჰაშეკი (1883—1923). გენიალური „შვეიკის" ავტორმა მთელი სიცოცხლე ფსიქიკურად მოუმწიფებელი ადამიანივით იცხოვრა.

ჩეხმა მკვლევარებმა* დეტალურად შეისწავლეს მწერლის ბიოგრაფია და აღადგინეს ჰაშეკის ცხოვრების თითქმის ყოველი დღე, გვიჩვენეს, რომ სმა, სიცრუე, უგზო-უკვლოდ ხეტიალი, ჩხუბი, გათამაშებისა და კლოუნადის დაუოკებელი სურვილი მუდმივი თანამგზავრი იყო მწერლის ცხოვრებისა. ძნელად თუ იპოვით სხვა ადამიანს, რომლის ცხოვრება ასე აშკარად მოუწესრიგებელი და მიუსაფარი ყოფილიყოს. ყველა გზააბნეული კაცი ადვილად აქცევდა მას თავის გავლენის ქვეშ და, როგორც ეს ფსიქიკური ინფანტილიზმის მქონე ადამიანებს სჩვევიათ, ჰაშეკსაც ყოველ ნაბიჯზე ელოდა ცდუნება, ალკოჰოლი, ძმაკაცები; ხასიათი სწრა-

---

* ჯოზეფ �ელებ კერძოდ რედკო პიტლიკს, რომლის დოკუმენტური ნაშრომი ჰაშეკზე 1977 წელს გამოსცა „მოლოდეია გვარდიამ" სერიით „ცნობილ ადამიანთა ცხოვრება".

ფად ეცვლებოდა — უზრუნველ სიხარულს ღრმა სევდა და თვითმკვლელობაზე ფიქრი ცვლიდა (როგორც ყველა ინფანტილი, ხასიათის ამ ცვალებადობას მძაფრად განიცდიდა, მაგრამ მალე გაუვლიდა ხოლმე), ამას ემატებოდა სიძნელეებისათვის თავის არიდება, სოციალური უპასუხისმგებლობა, სისტემატური და ერთფეროვანი მუშაობის უუნარობა და ა. შ.

და აი, ეს ძნელად მოსათვინიერებელი, ჩიტივით ლაღი და თავისუფლების უსაზღვროდ მოყვარული ადამიანი რუსეთის რევოლუციური მოვლენების შუაგულში აღმოჩნდება. ბოლშევიკების გავლენით იგი აქტიურად მუშაობს მათ მხარეზე. დიდი სახალხო მოძრაობა იმორჩილებს ჰაშეკს, ასე ვთქვათ, დეინფანტილიზაციას ახდენს, ახლა იგი უფრო მოწიფული, დისციპლინირებული, დამოუკიდებელი, მიწიერია. რა ოქმა უნდა, ჰაშეკს ბევრი ადრინდელი თვისება კვლავ შერჩა. მაგრამ რუსული რევოლუციის მკაცრმა კანონებმა, ასკეტიზმმა, ემოციურმა ძუხტმა აღამაღლა ეს სუსტი ნებისყოფის ადამიანი. ამის შედეგად პირვანდელი ლოთი, ყბედი, ზარმაცი (ჩვენ ვლაპარაკობთ ჰაშეკზე როგორც ადამიანზე და არა როგორც მწერალზე ან პოლიტიკურ მოღვაწეზე) უკვალოდ გაქრა. ასე გაგრძელდა დაახლოებით 4 წელი.

მაგრამ ჰაშეკი ბრუნდება პრაღაში (ეს მოხდა სიკვდილამდე ორი წლით ადრე). იგი კვლავ მაწანწალა და ბოჰემური წრეების ხშირი სტუმარია. ყველაფერი, რაც ჰაშეკმა რუსეთში შეიძინა, წასულს ჩაბარდა. ისევ ლოთობას მიჰყო ხელი, ისევ იჩინა თავი კონფლიქტებმა, უპასუხისმგებლობამ, ხასიათის ცვალებადობამ, ფიქრმა თვითმკვლელობაზე, საკუთარი თავითა და ირგვლივ მყოფი ადამიანებით უკმაყოფილებამ, უზრუნველობამ, უნებისყოფობამ, გულგრილობამ ყველაფრისადმი, რაც იმწამსვე სიამოვნებას არ გვრიდა. ეს იგივე ჰაშეკი იყო, რომელსაც ომამდე აკლებული ჰყავდა პრაღა, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში თავისი ოინებით გულს უწყალებდა თავისნაირ ანარქისტებს — ჰაშეკი ერთ დროს თითქმის ყველაზე შესამჩნევი პიროვნება იყო პრაღელ ანარქისტებს შორის, ერთ-ერთი ლიტერატორი, რომელიც ომამდე პრაღის თითქმის ყველა ანარქისტულ გამოცემაში თანამშრომლობდა. მაგრამ რაც უნდა ჩაედინა ჰაშეკს იმ წლებში, ადამიანები მაინც მადლიერი უნდა იყვნენ ბედისა, რომ მან 1921—1922 წლებში შექმნა თავისი ყველაზე სრულყოფილი ნაწარმოები, რომელიც დამოუკიდებელი სიცოცხლით ცხოვრობს.

გენიალური ქმნილებების ავტორები იშვიათად იყვნენ სულით ჯანსაღი, ჰარმონიული ადამიანები — ეს სამწუხარო, მაგრამ უცილობელი ფაქტია. ჰაშეკი სწორედ ასეთ პიროვნებათა რიცხვს განეკუთვნებოდა.

მთელი ცხოვრება ამ კაცს ერთი ცეცხლი წვავდა — შემოქმედების

ცეცხლი. ყოველდღე წერდა! 1200 ფელეტონი და ნარკვევი და კიდევ „შვეიკი“ — ეს ყველაფერი 17 მოზრდილ ტომს შეადგენს! მთვრალი თუ ფხიზელი, შინ თუ სამიკიტნოში, ციხესა თუ სანგარში — ჰაშეკი ყველგან წერდა. სწორედ ეს არის მისი ჭეშმარიტი სიდიადე. უსაზღვროა ჰაშეკის იუმორის კეთილშობილება, მისი შემოქმედების გულითადობა და ადამიანურობა.

1923 წლის 3 იანვარს ლოთობისგან ქონმოდებული მისი ისედაც სუსტი გული (ჰაშეკს სტანჯავდა ენდოკრინული დარღვევები, რითაც შეიძლება აიხსნას ამ არაჩვეულებრივი ადამიანის ფსიქიკური წყობა) სამუდამოდ გაჩერდა. სწორედ ამ დღიდან დაიწყო იაროსლავ ჰაშეკის მარადიული სიცოცხლე.

მკითხველი, ალბათ, იფიქრებს: მწერლის ბიოგრაფებს თუ დავუჯერებთ, ჰაშეკი ნაკლებად სიმპათიური პიროვნება იყოო. მაგრამ ვინ დაწერა „შვეიკი“? იმავე ინფანტილმა! მილიონობით ჯანსაღმა ადამიანმა ვერ შეძლო იმის შექმნა, რაც უსახლკარო ლოთმა შეძლო. ცხადია, ჰაშეკი — ადამიანი და ჰაშეკი — მწერალი ერთი და იგივე პირია. პარადოქსი ის არის, რომ გენიალური ნაწარმოები შექმნა უდიდესი ტალანტით დაჯილდოებულმა არაფრის მაქნისმა ადამიანმა, და ეს დიდი ნიჭი რომ არ ყოფილიყო, არავინ გაიხსენებდა ერთ-ერთს იმ მილიონობით ინფანტილისაგან, მუდამ რომ ცხოვრობდნენ ჩვენს დედამიწაზე.

ინფანტილიზმით შეიძლება აიხსნას ჰაშეკის მხოლოდ ზოგიერთი საქციელი, მაგრამ არა მისი შემოქმედება. და საერთოდაც, განა შეიძლება შემოქმედებითი პროცესის ახსნა? თუ მას მოსაზღვრე პათოლოგიად მივიჩნევთ, ალბათ შეიძლება. მე სხვა თვალსაზრისს ვიცავ: ფსიქოპათია, ინფანტილიზმი, ნევროზები და ა. შ. — მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის ბიოლოგიის კერძო ფრაგმენტებია; შემოქმედებითი პროცესი კი ნაკლებადაა დაკავშირებული ბიოლოგიასთან, ეს სულის პრობლემაა. არც მეცნიერებს, არც შემოქმედთ არ შესწევთ უნარი მოგვითხრონ შემოქმედების საიდუმლოებაზე. გენიალური ქმნილების ვერც ერთი ავტორი ვერ აგიხსნით, როგორ შექმნა ეს ნაწარმოები. დიდი რუსი პოეტი ალექსანდრ ბლოკი (1880—1921) ამბობდა, რომ ნაწარმოებების შექმნისას მას იმორჩილებდა რაღაც უცხო ძალა. თითქოს შთაგონების ნათელი გენია ძლიერი ხელით დაატარებდა მხატვარს და ამით აოცებდა არა მარტო მკითხველს, არამედ პირველ რიგში თვითონ შემოქმედს.

ეს უზენაესი ძალა დაატარებდა ესენინს, ჰაშეკს და სხვა ადამიანებს — სრულყოფილსა თუ დისჰარმონიულს, ბედნიერსა თუ უბედურს. ამაოდ ფიქრობ, მხატვარო, რომ თვითონ ხარ შენი ქმნილებების ჭეშმარიტი შემოქმედი! შენ კი არა, ბედისწერაა, შემთხვევით რომ მოგანიჭა უნარი, ჯერ კიდევ აუხსნელი ძალის მითითებანი აღიქვა.

გრინის სამყაროს სათავეებთან

ამ ადამიანს ადრეული ბავშვობიდანვე უზომო წარმოსახვის უნარი ჰქონდა და საოცრად უყვარდა რაღაცეების გამოგონება, ამბების შელამაზება, გაბუნდოვანება, ფაქტების დამახინჯება. ერთნი მას ირონიულად გასკონელს უწოდებდნენ, მეორენი — ნაკლებად დელიკატურნი — მატყუარას ეძახდნენ, მაგრამ ყველა ერიდებოდა მასთან საქმის დაჭერას: ნებისმიერი სერიოზული საქმე ტყუილის ფენომენალური ნიჭით დაჯილდოებულ ამ ადამიანს შეეძლო ჩაეშალა. ერთხანს იგი რევოლუციონერებს დაუახლოვდა, მაგრამ მალე ისე არივ-დარია ყველაფერი თავისი გამონაგონით, იმდენი ზედმეტი პრობლემა გაუჩინა იატაკქვეშა ორგანიზაციას, რომ რევოლუციონერები ეხუმრებოდნენ: შენ, ძმაო, მწერლობა უნდა დაიწყო, შენი ნამდვილი ადგილი იქ არის, რამდენსაც ვინდა, მოიტყუებ, სახელსაც გაითქვამ, მამაკაცური საქმისთვის არა ხარ გაჩენილი, მით უფრო რევოლუციისთვისო. თავდაპირველად ეჭვი ეპარებოდა, ალბათ ვერ შეეძლებ წერასო, მაგრამ მალე დამშვიდდა და დაიწყო თავისი გამონაგონის ჩაწერა: ასე დაიბადა მწერალი ალექსანდრ გრინი (1880—1928)*, რომლის წიგნებს აღტაცებით კითხულობს მილიონობით ადამიანი პლანეტის ყოველ კუთხეში, მისი სახელი ცნობილია ყველა დაუდეგარი ბიჭისთვის, ვისაც შეუძლია თუნდაც ნახევარი საათი ჩაუჯდეს წიგნს.

რა არის ცნობილი იმ ადამიანებზე, ვინც დასცინოდა გრინევსკის (ეს მწერლის ნამდვილი გვარია), ვინც მასხრად იგდებდა მას ტყუილის ნიჭის გამო, რა ვიცით იმათ შესახებ, ვისთვისაც ახალგაზრდა ცრუპენტელა კაცი მძიმე ტვირთი იყო რთულ რევოლუციურ საქმეში? რა არის ცნობილი ამ მართლაც ძლიერ, რეალურად ფასეულ ადამიანებზე? თითქმის არაფერი. გრინს კი ყველა იცნობს. აი, როგორი პარადოქსები არსებობს!

გრინის ყველა ბიოგრაფი აღნიშნავს, რომ მომავალ მწერალს ადრეული ბავშვობიდანვე ძალიან მძიმე ხასიათი ჰქონდა. ყველას ეჩხუბებოდა, არც ერთ წესს არ ემორჩილებოდა, მშობლებისა და პედაგოგების არც ერთ მოთხოვნას არ ასრულებდა. უკიდურესი ინდივიდუალიზმი და ეგოცენტრიზმი სავსებით განსაზღვრავდა მის სოციალურ ადაპტაციას, სწორედ ამან უბიძგა გრინს რევოლუციისაკენ. არა იდეურმა მიზეზებმა, არა მტკივნეულად განცდილმა შეხედულებებმა, არამედ უაღრესად ემო-

---

* ამ ნარკვევში ყველა ბიოგრაფიული ცნობა დამოწმებულია 1972 წელს ლენინგრადში გამოცემული წიგნიდან „მოგონებანი ალექსანდრ გრინზე“.

ციურმა ფაქტორმა. რომ დავაჟკაცდა, ვნებები დაცხრა, ახლა უფრო გულისხმიერი ურთიერთობა ჰქონდა ხალხთან, თავს იკავებდა და არ ამჟღავნებდა რეალური სამყაროსადმი მტრულ განწყობილებას. ასე დამთავრდა მისი რევოლუციონერობა. ამის შესახებ მწერალს არც ერთ ნაწარმოებში არ დაუწერია, რევოლუცია მის შემოქმედებაში არანაირად არ ასახულა. დისჰარმონიული პიროვნებების პროტესტის ემოციური რეაქციები განაპირობებს ხშირად, რომ ასეთი სუბიექტები ამა თუ იმ საზოგადოებრივ მოძრაობას უერთდებიან. ეს ყველაზე მერყეები, არასაიმედო, უღელო და საერთოდ უპრინციპო ფენაა ნებისმიერი მოძრაობისა. ასეთი ადამიანები რევოლუციას მაშინვე ჩამოშორდებიან ხოლმე, როგორც კი მათი ვნებები დაცხრება ან თავიანთ ემოციებს სხვა რამეზე გადართავენ. გრინი ერთი იმათგანი იყო, რომელიც ლამაზი სიტყვისთვის არც დედას დაინდობდა და არც მამას. მართლაც, „ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში" მან უარყოფითად დაგვიხატა თავისი მამა, რამაც ისე აღაშფოთა მწერლის დები, რომ მათ ვაჟიშვილის მიერ მამის საზარელი ცილისწამების საწინააღმდეგო პროტესტი გამოაცხადეს.

აი რა აზრის იყო თვით მამა შვილზე: „მე ვთვლი, რომ ალექსანდრე ფსიქიკურად არანორმალურია; არანორმალურობის მაგალითებად მომყავს შემდეგი ფაქტები: 1. ალექსანდრე უმიზეზოდ იცინოდა ხოლმე; 2. ზოგჯერ ადგებოდა და კარის წირთხლს კოცნიდა; 3. სრულიად უმიზეზოდ ღიზიანდებოდა, მზად იყო ჩხუბი აეტეხა ჩემთვის და განსაკუთრებით დედინაცვლისთვის... გონებრივი უნარის ასეთი არანორმალურობა, ჩემი აზრით, მემკვიდრეობითია; მამაჩემი ჰიპოქონდრიკი იყო, მისი ორი ძმა, ჩემი ბიძები, შეშლილები იყვნენ, მაგრამ საგიჟეში იმყოფებოდნენ თუ არა — ეს არ ვიცი". უკვე ასაკოვან გრინს რევოლუციონერი ქალი შეუყვარდა. შემდეგ მოგვყავს ბიოგრაფის ციტატა: „იგი ქალთან მივიდა, რომ საბოლოოდ მოლაპარაკებოდა. კატიამ ახლაც უარი უთხრა. გრინმა ქალის პატარა რევოლვერი ამოიღო და... ტყვია მარცხენა მხარში ჩარჩა მწერალს. ჭრილობა საშიში არ იყო".

34 წლის გრინი დოქტორ ტროშინის საავადმყოფოში დაწვა. გრიგორ იაკობის ძე ტროშინი იმ დროის პეტერბურგში ცნობილი ექიმი იყო. იგი ძირითადად ბავშვებისა და მოზარდების ფსიქიატრიის საკითხებზე მუშაობდა. მან დაწერა ორი ტომი „ნორმალური და არანორმალური ბავშვების შედარებითი ფსიქოლოგია", რომელიც 1915 წელს გამოქვეყნდა, ტროშინმა ასევე შესანიშნავი წიგნი დაწერა პუშკინზე. რევოლუციის შემდეგ იგი ემიგრაციაში წავიდა, ერთხანს ჩეხოსლოვაკიაში მუშაობდა. მერე კი მისი კვალი დაიკარგა. ტროშინს რუსული ფსიქიატრიის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭრავს.

მე რომ დიდი მწერლის ბიოგრაფიის ფსიქოპათოლოგიურ მხარეზე მეტი ობიექტური ინფორმაცია მქონოდა. მაშინ დაუსრულებლად შემეძლო საუბარი გრინის უჩვეულო, რთულ, წინააღმდეგობრივ სულიერ თავისებურებებზე. მასში ყველაფერია, რაც მძიმე ფსიქოპათიურ პიროვნებებს ახასიათებთ. ამას ემატება რაღაც პირადულიც, განუმეორებელი, გრინისეული. აი რას წერს მისი პირველი ცოლი: „რა კაცია ალექსანდრ სტეფანეს ძე?.. მისი შინაგანი გათიშულობა, ორი სახის შეუთავსებლობა: გრინევსკი — ადამიანისა და გრინი — მწერლისა მაშინვე თვალში გეცემოდათ, შეუძლებელი იყო ამის გაგება, მისი შეგუება“.

სამწუხაროდ, ცხოვრებაში ხშირად ხდება ასე: მწერალი ქმნის დახვეწილ ლიტერატურულ სახეებს, გვიჩვენებს კეთილშობილ, სათნო, იდეალურ პერსონაჟებს, და ამით ავსებს იმას, რასაც მოკლებულია თვითონაც და გარემომცველი სამყაროც.

ხელოვანი კაცობრიობის წინამძღოლია კულტურის მოძულე ინსტინქტების მოთვინიერებისა და გაკეთილშობილებისათვის ბრძოლაში. კაცობრიობის მესვეურთა შორის ბევრმა ვერ შეძლო საკუთარი ინსტინქტების დაძლევა, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა მათ, რომ ადამიანებისათვის კეთილშობილება ესწავლებინათ. ხშირად ასეც ხდება — სიცრუე სიმართლეს ემსახურება, დიდი ცოდვილი კი შესანიშნავ მორალისტად გვევლინება!

განა შეიძლება მწერალ გრინის ფენომენი მხოლოდ იმით ავხსნათ, რომ ალექსანდრ სტეფანეს ძე გრინევსკის გადაჭარბებულად უყვარდა გამოგონება და გაზვიადება? რა თქმა უნდა, არა. განა ცოტა იყო ქვეყნად პათოლოგიური მეოცნებე, მაგრამ ყველა მწერალი როდი გახდა — დიდი კი არა, თუნდაც საშუალო? იქნებ მთავარი ის არის, რომ რეალური ადამიანის — გრინევსკის გამოგონების ნიჭი მხატვრულ ფორმებში მეღავნდებოდა და იმას ასახავდა, რაც რეალურ სამყაროში არ არსებობდა, მაგრამ რაზეც ოცნებობდა (პათოლოგიურად კი არა, ნორმალურად) მილიონობით ადამიანი? ეს უფრო ახლოა ჭეშმარიტებასთან, თუმცა აქ უკვე ვცილდებით მედიცინის ჩარჩოებს და ტალანტისა და შემოქმედებითი აქტის პრობლემას ვეხებით, ამ უკანასკნელის ახსნაში კი ექიმი, ალბათ, უკანასკნელ ადგილზეა, ანდა საერთოდ არავითარი ადგილი არ ეკუთვნის.

შემოქმედება პიროვნებისგან მხოლოდ ჯანსაღს, მართებულსა და ზნეობრივს როდი ითხოვს; არა, გენიალობა ადამიანისაგან ყველაფერს იღებს, მათ შორის მის ნაკლსაც, ავადმყოფობასაც, ხასიათის უმსგავს თვისებებსაც, ყველაფერს, რაც კი ხელში მოხვდება, და სწორედ კეთილისა და ბოროტის ეს შენადნობია ყოველი რეალური და არა დაპრო-

გრამებული ტალანტის საფუძველი. მაშასადამე, მთავარია არა გრინევსკის პათოლოგიური მატყუარობა, არამედ ის, რომ ეს ადამიანი დაჯილდოებული იყო დიდი ლიტერატურული ნიჭით, რომელმაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, გამოიყენა მიწიერი გრინევსკის ყველა დადებითი და უარყოფითი თვისება და იგი დიდ მწერალ ალექსანდრ გრინად აქცია.

შემოქმედების ცეცხლი სწვავდა ჰაშეკს, გრინს, ხელოვნებისა და ლიტერატურის სხვა მოღვაწეებს, ამ ცეცხლის გარეშე წარმოუდგენელია შემოქმედება, იგი სტანჯავს ყველას, ვინც ბუნებას რაიმე ნიჭით დაუჯილდოვებია. ბაირონი ჩიოდა: „წერის სურვილი ისე ჩქეფს ჩემში და მაწამებს, რომ მისგან დაუყოვნებლივ უნდა გავთავისუფლდე. მაგრამ შემოქმედება სიამოვნებას არ მანიჭებს; პირიქით, იმ სახეებისა და იდეების ქაღალდზე გადატანა, რომლებიც მაწამებენ, ჩემთვის მუდამ მძიმე შრომაა“. მაშ განა შეიძლება ასეთი გენიალური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი, რომელმაც თავისი ცხოვრება შემოქმედებას უძღვნა, ჰარმონიული, ჩვეულებრივი იყოს? მხოლოდ გენიოსს შეუძლია დიადი რამ მოიფიქროს, დეტალებში გაიაზროს და ხორცი შეასხას. მაგრამ ამისთვის მან უარი უნდა თქვას ყველაფერზე, რითაც ჩვეულებრივი ადამიანები ცხოვრობენ, და თავდავიწყებით მიეცეს იმ ერთადერთ გატაცებას. აქ ქცევისა და ხასიათის რა ჰარმონიაზე შეიძლება ლაპარაკი!

რაც უფრო გენიალურია ადამიანი, მით უფრო აშკარაა მისი ნაკლი სტანდარტული მოქალაქის თვალსაზრისით. გრინისა და ესენინის ნაკლოვანებანი ამ წესიდან გამონაკლისს არ შეადგენენ.

მაშ რა არის ხელოვნება, თუ არა გამუდმებული სურვილი საკუთარი სულის გამხელისა, აღსარებით ან ოცნებით სულის განწმენდისა, თუ არა კატარზისის ერთ-ერთი ფორმა? უფრო გაბედული ადამიანები განწმენდის დროს თავის თავზე ლაპარაკობენ, არაფერს მალავენ. ნაკლებად გულწრფელნი ან მეტად გულჩახვეულნი კი თავიანთ თავზე გამოგონილი სიმბოლოებით მეტყველებენ.

ჭირვეული ვიატკელი გიმნაზისტის საოცარ გარდასახვაზე როცა ვფიქრობ, ვერც ერთ მიკროსაზოგადოებაში რომ ვერ ჩერდებოდა, მაგრამ სამუდამოდ შემორჩა კულტურის ისტორიას, იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ გენიოსის უდიდესი ბედნიერება სწორედ მისი ნაკლია, რომელსაც ადამიანთა კოლექტივი ვერ ეგუება, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო მისი შემოქმედების მექანიზმად იქცევა. კაცობრიობის შექმნის დღიდან ჩვენს პლანეტაზე უამრავი ავადმყოფურად მეოცნებე ადამიანი ცხოვრობდა, მაგრამ მხოლოდ ზოგიერთმა შეძლო თავისი გამონაგონის ჩაწერა (ეს პირველი პირობაა), და მარტოოდენ ერთეულების გამონაგონი აღძრავდა ინტერესს ირგვლივ მყოფებში (ეს მეორე პირობაა).

გრინს ბედმა გაუღიმა: მას ეყო მოთმინება და ჟინი, რომ ყველაფერი ჩაეწერა, რასაც შთაგონება კარნახობდა, და დაწერილი სიტყვით ადამიანებისათვის თავისი ნაოცნებარი გაენდო. ნიჭის წყალობით კი ყოველივე ისეთი ფორმით შემოსა, რომ დღესაც აოცებს მილიონობით აღფრთოვანებულ ადამიანს.

მაშ რა არის ხელოვნება, თუ არა მისწრაფება, რომ რეალური ცხოვრების ნაკლოვანებანი აღმოიფხვრას და ისინი გამონაგონით შეივსოს (ყოველგვარი შემოქმედება ხომ ბოლოს და ბოლოს გამონაგონია?). მაშ რა არის ხელოვნება, თუ არა დაუოკებელი სურვილი, რომ უკეთესი აზრი შეიქმნას ადამიანზე, გამოინახოს რეალობაში არარსებული ჰარმონია, თუნდაც გამონაგონი სამყარო, რომელიც სინამდვილეში არ არსებობს, მაგრამ რომელზეც ოცნებობს სული?

მაშ რა არის ხელოვნება, თუ არა საშუალება, რომ არასრულყოფილი ადამიანი მის მიერვე შექმნილ ასევე არასრულყოფილ სამყაროს შეაგუოს. ამიტომ ხელოვნება ყოველთვის მორალურია, და იგი რომ უცბად მოისპოს, ადამიანები თანდათანობით პირველყოფილ გამოქვაბულებს დაუბრუნდებიან.

მშენებლებმა სახლი ააშენეს. მოდის ინჟინერი და ამბობს, რომ სახლი უნდა გაილესოს. მშენებლები არ ეთანხმებიან: სახლი ისედაც სრულყოფილია და თუ გავლესავთ, ბათქაში მალე გაფუჭდება და ყოველ წელს გასალესი გახდებაო. მაგრამ ინჟინერი შეუვალია — მშენებლები იძულებული არიან სახლი გალესონ.

დაახლოებით ასეთი ურთიერთდამოკიდებულებაა რეალურ ცხოვრებასა და ხელოვნებას შორის. ცხოვრება სახლია, ბათქაში კი — ხელოვნება. ეს ბათქაში ფარავს ნამდვილ სახლს ადამიანის თვალისგან, შეუცნობელის, იდუმალის ილუზიას ქმნის, არ იძლევა მისი არსის, ზოგიერთი ნაკლებად ესთეტიკური კონსტრუქციის დანახვის შესაძლებლობას. განა ადამიანები უკეთ გრძნობენ თავს იმის გამო, რომ სახლი შელესილია? ზოგი — კი, ზოგი — არა, უმეტესობა კი საერთოდ არ აქცევს ამას ყურადღებას, თუმცა ეს ყველაფერი ბევრ შრომას მოითხოვს: ასეთი სახლი ხომ ყოველ წელს უნდა შეიღებოს.

მაშ, სად უნდა ვეძიოთ გამოსავალი? გამოსავალი, ალბათ, ბევრნაირია, მაგრამ მე მომწონს შემდეგი: ხელოვნებას ბათქაშში კი არ უნდა ვხვდავდეთ, არამედ თვით სახლში. დაინახო მისი სილამაზე, ტექნიკური სრულქმნილება, მისი ფუნქციურობა — აი ეს არის ჭეშმარიტი სილამაზე და ჭეშმარიტი ხელოვნება. კაცობრიობაც თანდათანობით იქით მიდის, რომ ხელოვნება სწორედ ასე აღიქვას. და საბოლოოდ ასეც იქნება, რადგან კაცობრიობას მობეზრდება ბავშვური ფანტაზიით ცხოვრება, ადამი-

ანს სინამდვილეს რომ ართმევს, სინამდვილე კი ბევრად უფრო საინტერესო, ლამაზი, კეთილშობილი და ახლობელია, ვიდრე ნებისმიერი გამოგონილი სამყარო.

მარქსიზმი პირველი მოძღვრება იყო, რომელიც ადამიანის გარდაქმნას მოითხოვდა. ადამიანი კი არ უნდა განუდგეს სინამდვილეს და ილუზიის სამყაროში იცხოვროს, არამედ უნდა შევეცადოთ ინდივიდები უფრო ჰარმონიული და ადამიანურები გავხადოთ. ამის მისაღწევად, პირველ რიგში, აუცილებელია შევცვალოთ ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობა და ერთდროულად გარდავქმნათ ყოველი ცალკეული ადამიანი. ასეთ შემთხვევაში ხელოვნების ამოცანა რამდენადმე სხვაგვარი ხდება: არა მარტო გაართოს ან ჭკუა ასწავლოს ადამიანს, არამედ შეაძულოს კიდეც რეალური სამყაროს უარყოფითი გამოვლინებები, რათა ეს ნაკლოვანებანი მალე აღმოიფხვრას. ამ თვალსაზრისის მოწინააღმდეგენი თვლიან, რომ ადამიანის გარდაქმნა შეუძლებელია, რომ იცვლება მხოლოდ ტანსაცმელი და არა ადამიანის არსი, ამის გამო არ შეიძლება არსებობდეს საზოგადოებრივი სისტემა, რომელიც ადამიანთა ცხოვრებას უფრო ჰარმონიულს გახდიდა. ამ დავას მომავალი განსჯის, მაგრამ ამ სტრიქონების ავტორი ოპტიმისტია და იმედი აქვს, რომ მაინც მოხერხდება ამ სამყაროს გარდაქმნა, რომელშიც ადამიანმა ამდენი სისხლი და ცრემლი დაღვარა. აქ კი ხელოვნებას უდიდესი როლი ენიჭება.

როგორ გგონიათ, მომავლის ხელოვნებას შერჩება გრინის სახელი? რატომაც არა. ხომ შემორჩა საუკუნეებს ზღაპრები, ლეგენდები, მითები, ასევე დარჩება გრინიც. ოღონდ, შესაძლოა, მომავალში ასეთ შემოქმედებაზე ნაკლები მოთხოვნა იყოს. მეცნიერული ფანტასტიკა კი, რომელიც ადამიანის ცოდნის განვითარების რეალური კანონზომიერების გაგებას ემყარება, სამუდამოდ დარჩება. გრინი არ იყო მეცნიერულ-ფანტასტიკური წიგნების ავტორი, იგი თითქმის ვერ ერკვეოდა მეცნერებაში, თუმცა მის წიგნებში გამოთქმული ბევრი ინტუიციური ვარაუდი თანამედროვე მეცნიერთა აღტაცებას იწვევს.

ჰაშეკზე, გრინზე ან სხვა დიდ შემოქმედზე როცა ვფიქრობ, მაგონდება გოგოლის „ნევის პროსპექტიდან“ ნაღვლიანი სიტყვები: „ღმერთო, ეს რა ცხოვრებაა! ოცნება ერთთავად განხეთქილებაშია სინამდვილესთან!“

„თოლიას“ გმირების დისჰარმონია

აქ მინდა ცოტა გადავუხვიო.

ამ წიგნში განხილულ საკითხებზე ბევრი დაფიქრებულა და, რაკი პროფესიული პასუხი ვერ მიუღიათ, სინამდვილის შეუფერებელი, ხშირად საკმაოდ სულელური წარმოდგენები შექმნიათ.

ამბობენ, პესიმისტი — ეს კარგად ინფორმირებული ოპტიმისტიაო. შესაძლოა, ეს ერთგვარად სწორიც იყოს, მაგრამ მე ასევე სწორი მგონია სხვაგვარი მტკიცებაც: პესიმისტი — ეს სრულებით არაინფორმირებული ადამიანია. არავითარ ინფორმაციას, თუნდაც ძალზე უჩვეულოს და პირუთვნელს, არ შეუძლია იმდენი ზიანი მოუტანოს ადამიანს, როგორც ინფორმაციის დამალვასა და დამახინჯებას. ასევე უმეცრებას, რომელიც მითებს წარმოშობს.

ახლა კი მინდა ჩეხოვის „თოლია“ განვიხილო და ადამიანის უჩვეულო ხასიათებზე ზოგიერთი მოსაზრება გაგაცნოთ.

რაც მეტი დრო გვაშორებს ამ გასაოცარი მწერლის გარდაცვალებას, მით უფრო ხშირად ცდილობენ მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები ჩეხოვის ესა თუ ის ნაწარმოები თავისი სპეციალობის პოზიციებიდან გააანალიზონ. მედიკოსებსაც ბევრჯერ გაურჩევიათ ჩეხოვის ზოგიერთი მოთხრობა, მაგრამ მეტწილად იმ ნაწარმოებებს იხილავდნენ, სადაც ლაპარაკი იყო აშკარა ფსიქიკურ პათოლოგიაზე („პალატა № 6“ და სხვ.). ისინი ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ დრამატურგიულ ნაწარმოებებსა და ისეთ მოთხრობებს, სადაც პერსონაჟებს აშკარად არ სტანჯავდათ ფსიქიკური არანორმალურობა, მაგრამ მაინც შეიძლებოდა სამეცნიერო-ფსიქიატრიული ანალიზის ობიექტები გამხდარიყვნენ.

შევეცადოთ ჩეხოვის „თოლიას“ ფსიქოლოგის თვალით შევხედოთ. თანაც წინასწარ შევთანხმდეთ, რომ ამ მზერას სისრულისა და მრავალმხრივობის პრეტენზია არა აქვს. ფსიქიატრი არ უნდა ფიქრობდეს, რომ ყველა უჩვეულო ადამიანი (ხელოვნებისა და ლიტერატურის ნაწარმოებები კი, წესისამებრ, უჩვეულო ადამიანებს გვიხატავენ — ასეთია ხელოვნების სპეციფიკა) უსათუოდ პათოლოგიაა. ფსიქიკური ნორმა და ჩვეულებრიობა სინონიმები არ არის. ადამიანი შეიძლება უჩვეულო (ასეთია ხელოვნების სამყაროს უმრავლესობა), მაგრამ ფსიქიკურად ჯანმრთელი იყოს: ჯანსაღი ფსიქიკის პარამეტრები ძალზე დიდია, იგი მოიცავს იმ ადამიანთა უდიდეს ნაწილს, რომლებიც მეტისმეტად უჩვეულონი ან ძალზე ბანალურები არიან. უფრო მეტიც, მოსაზღვრე ფსიქიატრიის სფეროში ყველა ცნება ნორმის შესახებ უკიდურესად შეფარდებითია,

უმრავლესობისათვის დამახასიათებელი პათოლოგია ხომ ნორმაა. მაგალითად, ის, რაც XIX საუკუნის ბოლოს ადამიანთა ურთიერთობის ნორმა იყო და ხასიათის ჩვეულებრივ თვისებებად ითვლებოდა (თავაზიანობა, მორჩილება, მეტისმეტი წესიერება), XX საუკუნის ბოლოს იშვიათი გახდა და ზოგიერთი ფსიქიატრი მას ფსიქასთენიური პიროვნების ხასიათობრივი პათოლოგიის ვარიანტად მიიჩნევს.

ჩეხოვის „თოლიას" პირველი სპექტაკლი უიღბლო გამოდგა, შემდეგ კი წარმატებით იდგმებოდა. პიესა რამდენჯერმე ფილმადაც გადაიღეს. მასზე ბევრი სპეციალური მონოგრაფია და დისერტაცია დაიწერა.

მოქმედება იშლება რუსი ხელოვანი ინტელიგენციის წრეში. ამ წრის ზნე-ჩვეულებებს ყველაზე უკეთ გამოხატავს პიესის მთავარი გმირი, დრამატული მსახიობი არკადინა, რომელიც ძმასთანაა სტუმრად მის მამულში. იქვე ცხოვრობს მუდმივად არკადინას მოწიფული ვაჟიშვილი კონსტანტინი. ვაჟიშვილს უთანხმოება მოსდის დედის საყვარელთან — მწერალ ტრიგორინთან.

არკადინამ პროვინციელი მსახიობი ქალის მძიმე ცხოვრება განვლო, რამაც არსებითი კვალი დატოვა მის ფსიქიკაზე. ამავე დროს ხასიათის სპეციფიკურმა თვისებებმა განაპირობა არტისტულ გზაზე მისი გასვლა. ეს ნიჭიერი ქალი უკიდურესად ეგოისტია — მხოლოდ საკუთარ კარიერაზე ფიქრობს; როგორც ასეთ ადამიანებს სჩვევიათ, ისიც ბევრს ლაპარაკობს ხელოვნებაზე, საკუთარი სულის სინატიფეზე, თავის თავზე. ცხადია, ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ეს ყველა აქტიორის დამახასიათებელი თვისება იყოს. არკადინას ბევრი ისეთი თვისება აქვს, რაც ჩვეულებრივ ადამიანთა უმრავლესობას ახასიათებს (მათ შორის მუზის მსახურთაც).

მაყურებელი ხედავს კონსტანტინ ტრეპლიოვის პიროვნების ევოლუციას ორი წლის მანძილზე. თავდაპირველად იგი ავლენს ახალგაზრდისათვის დამახასიათებელ ყველა თვისებას, როცა ხდება ძლიერი ფსიქოლოგიური პერტურბაცია დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე გასული ადამიანის ჩამოუყალიბებელ სულში. როგორც ყველა სხვა ჭაბუკი, კონსტანტინიც ესწრაფვის საკუთარი თავის დამკვიდრებას, სურს უჩვენოს ყველას თავისი დამოუკიდებლობა, აიძულოს პატივი სცენ მის აზრს. იგი ეჭვის თვალით უყურებს ტრიგორინს (კონსტანტინის ეს კომპლექსი პიესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შინაგანი მექანიზმია), ამასთან არ შეუძლია დაარწმუნოს ნინა თავის სიყვარულში. უაღრესად პატივმოყვარე, იმპულსურმა, მოუთმენელმა, მომთხოვნმა კონსტანტინმა დისჰარმონიულად მიმდინარე ხასიათის ჩამოყალიბების პერიოდის ყველა თვისება შეიწოვა. ტრეპლოვი დედაზე მეტად ამჟღავნებს მერყეო-

ბას, სოციალურ შეუგუებლობას, უსაზღვრო ეგოცენტრიზმს, ანგარიშს არ უწევს სხვა ადამიანებს, დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს სიამოვნება, მკვეთრად უპირისპირდება გარემომცველ წრეს, არა აქვს დანაშაულის შეგნების ნორმალური გრძნობა. თავის მოკვლის მცდელობა დაკავშირებულია აპათიასა და დეპრესიასთან. თუ დედა ისტერიული ხასიათის ცალკეულ ფსიქოპათიურ ნიშნებს ამჟღავნებს, შვილს გაჭიანურებული ახალგაზრდული ფსიქოლოგიური კრიზისი აქვს, რაც დისჰარმონიული ინფანტილიზმის მქონე პირებში ფსიქოპათიის ჩამოყალიბების პროცესში შეიმჩნევა. კონსტანტინის ხასიათის პათოლოგია ბევრი მიზეზითაა განპირობებული: მემკვიდრეობით, სიტუაციით, ფსიქოლოგიით.

ნინა ზარეჩნაიას სახე არსებითად იმეორებს არკადინას სახეს. ახალგაზრდა გოგონა მკაცრ დედინაცვალთან ცხოვრობს და მსახიობობაზე ოცნებობს. ამის გამო მზად არის ყველანაირი მსხვერპლი გაიღოს. იგი არ თანაუგრძნობს კონსტანტინს და თავის ცხოვრებას ერთხანს ტრიგორინს უკავშირებს, მისგან ბავშვს აჩენს, რომელიც მალე კვდება (მისი სიკვდილი ზარეჩნაიას მშვიდად გადააქვს და თავის თავს არაფერში არ ადანაშაულებს — ეს სიკვდილი მას მსახიობად გახდომას გაუადვილებს). მისი სიახლოვე ტრიგორინთან, კონსტანტინისთვის უარის თქმა მნიშვნელოვანწილად აიხსნება იმავე კომპლექსების ჩანასახობრივი არსებობით, რომლებსაც არკადინა ჰიპერტროფიული ფორმით ამჟღავნებს: ზარეჩნაიას მომავალი — არკადინას აწმყოა.

ამრიგად, „თოლიას" სამი მთავარი გმირი ხასიათის ისეთ თავისებურებას ავლენს, რაც ზოგიერთ პიროვნებაში ემოციურ-ნებელობითი სფეროს მკვეთრი დისჰარმონიის დონეს აღწევს, ე. ი. ფსიქოპათიას. სამივეს საყოველთაო აღიარების სურვილი აერთიანებს, მზად არიან ჩვეულებრივი ადამიანური თვისებები დაუფიქრებლად შესწირონ მსხვერპლად თავიანთი პატივმოყვარული წადილის დაკმაყოფილებას, უკიდურეს ეგოიზმს, ნაკლებად განვითარებულ დანაშაულის გრძნობას და ა. შ. ეს ადამიანები თვითონაც უბედურები არიან და არც ერთმანეთის გაბედნიერება შეუძლიათ. მათი გარეგნული ცხოვრება საინტერესოა და არათვითმყობად, შთაბეჭდილებიან ადამიანებს ადვილად იზიდავს. კერძოდ, ასე ემართება მაშა შამარაევას — მიამიტ, ინფანტილურ ქალს, ვისთვისაც ხელოვნება ერთადერთი ძვირფასი ნანატრი სამყაროა. იგი ამ სამოთხესა და ჩვეულებრივი ქალის პროზაულ ცხოვრებას შორის გაორებულა და ამის გამო თავდავიწყებას ღვინოში ეძებს, დაუდევრად ეკიდება დედის მოვალეობას, გულგრილია საკუთარი შვილისადმი და ა. შ.

მწერალ ტრიგორინის სახე ერთ-ერთი ყველაზე ჰარმონიულია პიესაში: ამ ჩვეულებრივ ადამიანს დიდი ნიჭი არ დაჰყოლია, მაგრამ ბევრს

და გულმოდგინედ მუშაობს. შეუძლია მთელი გულით თანაუგრძნოს სხვა ადამიანებს, მათი დარდი გაიზიაროს. ტრიგორინის უბედურება თითქოს მისი უნებისყოფობაა, რის გამოც იგი უფრო ძლიერი ქალების სათამაშოდ გამხდარა. ტრიგორინი უფრო რთული პიროვნებაა, ვიდრე მას სცენაზე უჩვენებენ. პიესის პერსონაჟთაგან იგი ყველაზე ჭკვიანი და ადამიანურია: ჩაფლულია შემოქმედებით შრომაში, თავდადებით მუშაობს, საკუთარი თავით უკმაყოფილოა და ამის გამო ირონიულადაა განწყობილი, მაგრამ ცხოვრების მწარე რეალობას ვერ გაუტეხია. მხოლოდ ერთი რამ სჭირდება — მშვიდად მუშაობის პირობები. თუ ვინ დაეხმარება ამაში — არკადინა, ზარეჩნაია თუ ვინმე სხვა — ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ტრიგორინს კარგად ესმის ირგვლივ მყოფი ქალებისა, თუმცა მის ცხოვრებაში ამ ქალებს მნიშვნელოვანი ადგილი არ უჭირავთ: მან ხომ სიცოცხლე ლიტერატურას მიუძღვნა.

უამრავ წუწუნა, ნევრასთენიულ, ზარმაც და ყბედ ადამიანთა შორის ტრიგორინი ერთ-ერთი საქმიანი, მშვიდი სახეა, იგი პატივისცემას იმსახურებს.

ნორმასა და პათოლოგიას შორის

აშკარა და ფარული ფსიქოპათიის გარდა მუდამ იარსებებს პიროვნების პათოლოგიური ჩამოყალიბება — ხასიათის მიღებული დეფორმაცია, რომელიც ევოლუციის პროცესში კი არ წარმოიშობა, არამედ ხანგრძლივი არახელსაყრელი სოციალური ზემოქმედების შედეგად. საერთოდ პიროვნების პათოლოგიური ჩამოყალიბება მხოლოდ მოზარდის ასაკში ხდება, როცა ადამიანს ყველაზე ნაკლებად შეუძლია თავის დაცვა, როცა ასაკობრივი და სომატური (აუცილებელია ბიოლოგიური მიდრეკილება) გავლენის შედეგად პიროვნება შინაგანად დასუსტებულია და შედარებით ადვილად ემორჩილება არახელსაყრელ სოციალურ ზემოქმედებას. პიროვნების პათოლოგიურ ჩამოყალიბებას შუალედური ადგილი უჭირავს ნორმალურსა და ფსიქოპათიურ ხასიათებს შორის. იგი დროებითია და უფრო ნაკლებადაა გამოხატული, ვიდრე ფსიქოპათია, მთლიანად დამოკიდებულია იმ სოციალურ გარემოზე, რომელშიც სუბიექტი ცხოვრობს: თუ გარემო ანტისოციალურია, სუბიექტიც ანტისოციალური ცხოვრების წესს მისდევს, თუ გარემო სოციალურად დადებითია, ხასიათის ყველა შეძენილი თვისება ქრება და ასეთი ადამიანების ქცევა არაფრით არ იზიდავს ყურადღებას.

პიროვნების პათოლოგიური ჩამოყალიბების ბევრი ვარიანტი არსებობს. მათგან მთავარია შემდეგი:

1. პიროვნების პათოხასიათობრივი ჩამოყალიბება მახინჯი აღზრდის შედეგად, ხანგრძლივ ფსიქოტრავმულ სიტუაციაში ყოფნა და ა. შ.

2. ნევროზული პიროვნების ჩამოყალიბება, როგორც გაჭიანურებული ნევროზის ეტაპი.

3. პიროვნების პოსტრეაქტიული ჩამოყალიბება ფსიქოგენური ფსიქოზის შემედგ.

4. პიროვნების პათოლოგიური ჩამოყალიბება ფიზიკური დეფექტებისა და სიმახინჯის გამწვავებული განცდის შედეგად, როცა მათ გამო იზღუდება კონტაქტები, ხდება ჯანმრთელი თანატოლებისაგან იზოლაცია; პირადი არასრულფასოვნების გრძნობა და ა. შ.

5. როცა წარმოშობა და კლინიკური სურათი შერეულია.

პიროვნების ასეთ პათოლოგიურ ჩამოყალიბებას (ეს აღწერილი აქვს სხვადასხვა ქვეყნის მრავალ მეცნიერს) ფსიქოგენურსაც უწოდებენ, რადგან მათი წარმოშობა განპირობებულია ადამიანთა შორის კონფლიქტებით, ცუდი აღზრდით, ფსიქიკური შერყევით, საკუთარი უძლურების გრძნობით და ა. შ.

ერთმა არტისტული ბუნების ინტელიგენტმა ქალმა თავისი უბედურება გამანდო. იგი 40 წლისაა, სამი ქმრისგან ხუთი შვილი ჰყავს. პირველმა ქმარმა თავი მოიკლა, ორი წლის შემედგ ქალი ცოლად გაჰყვა თავის თანამშრომელს, რომელმაც მალე დაიწყო სმა და ჩხუბი. გაშორდა. ერთი წლის შემდეგ მესამედ გათხოვდა. ამჯერად თითქოს ბედმა გაუღიმა.

გავიდა რამდენიმე წელი და მეორე ქმარი თავის ყოფილი ცოლისადმი ბოღმითა და ეჭვით აღივსო. ქმარი ყველა საზოგადოებრივ ინსტანციაში აგზავნიდა წერილებს, სადაც ცოლს ამტყუნებდა და გადაჭრით ამტკიცებდა, იგი უღირსი ქალია და დედის უფლება უნდა ჩამოერთვასო. როცა ქმარი დარწმუნდა, რომ ასეთ განცხადებებს არავინ ყურადღებას არ აქცევდა, სხვაგვარი მოქმედება განიზრახა. ჯერ გააფრთხილა ყოფილი ცოლი, რადაც უნდა დამიჯდეს, ორი საერთო შვილიდან ერთ-ერთს წაგართმევო. ამისთვის სასამართლოს კი არ მიმართა, საბავშვო ბაღთან დაუყარაულა ბიჭუნას და მოშორებულ სოფელში ნათესავებს მიუყვანა. თავდაპირველად ბიჭი ძალზე განიცდიდა მდგომარეობას, მაგრამ წლები მიდიოდა და ისიც თანდათან დაწყნარდა. დედას დროდადრო მოსალოც ღია ბარათებს უგზავნიდა, ატყობინებდა, კარგად ვარო. მაგრამ ეს წერილები სოფლიდან კი არ მოსდიოდა, არამედ სხვადასხვა ქალაქებიდან, რომ დედას შვილის კვალისთვის არ მიეგნო. ძმის

მოტაცებას ძალიან განიცდიდა ბიჭუნას და, რომელსაც დედა სულ აშინებდა, მამა შენც მოგიტაცებსო. ერთი სიტყვით, გოგონას დაეწყო ხასიათის პათოლოგიური ჩამოყალიბება მუდმივი შიშის ნიადაგზე. მამამ რამდენჯერმე მართლაც დაუპირა მოტაცება, მაგრამ უშედეგოდ. ასე რომ გოგონას შიში რეალური იყო. სახლიდან მარტო ვერ გადიოდა, ცდილობდა თავისუფალი დრო დედასთან გაეტარებინა დედის მესამე ქმარი უყვარდა და სთხოვდა, ოფიციალურად მიშვილეო, რომ ნამდვილ მამას მის მიმართ არავითარი იურიდიული უფლება აღარ ჰქონდა. ვოგონა ცოტას ლაპარაკობდა, ყველას გაურბოდა, ყველაფრისა ეშინოდა, საკუთარ მამაზე საჩივრებს აგზავნიდა მაღალ ინსტანციებში. მოითხოვდა, რომ დაეცვათ ხელყოფისაგან, რომ სახელმწიფოს მოეძებნა მისი ძმა და დედისთვის დაებრუნებინათ. საბჭოთა მილიციის დღესასწაულის დღეს საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრს ყოველთვის მისალოც ბარათს უგზავნიდა, სადაც სხვათა შორის, თავის უბედურებაზეც სწერდა და სთხოვდა მისთვის ძმა დაებრუნებინათ.

ერთხელ, როცა მორიგი პასუხი მიიღო, ასეთ მრავალფეროვან თხოვნას ვერ დავაკმაყოფილებთო, გოგონა უცებ დავარდა, თავზე ხელი იტაცა და მოჰყვა ყვირილს: მტკივა, თავი მისკდება, დავბრმავდი, მიშველეთ, ვერაფერს ვხედავ. მართლაც დაბრმავებული და პარალიზებული ავადმყოფივით იქცეოდა. მერე დედამ დააწყნარა და ყველაფერმა გაუარა. ასეთი შეტევები ყოველ 3—4 კვირაში უმეორდებოდა, რასაც ფსიქიკური ტრავმები და მამასთან დაკავშირებული განცდები იწვევდა. ამას მოჰყვა საავადმყოფოდან საავადმყოფოში სიარული. არ დარჩენილა არც ერთი ცნობილი საბავშვო ექიმი, რომ გოგონას ჯანმრთელობის გამო არ მიემართათ. პროფესორები სხვადასხვა დიაგნოზს უსვამდნენ, ათასგვარ წამლებს უნიშნავდნენ, მაგრამ ამაოდ. სხვათა შორის, დედა ყველა ექიმს სთხოვდა ცნობას, რომ გოგონა მამის დევნამ დააავადა და რომ ამის საფუძველზე მამა სასამართლო პასუხისგებაში უნდა მიეცეს. ასეთ ცნობას მას, ცხადია, ვერავინ მისცემდა და დედაც სხვა გამოჩენილ ექიმთან მიდიოდა. ასე გაგრძელდა მთელ წელს. რა თქმა უნდა, ასეთი ცნობა არც მე მიმიცია. დედას ვკითხე: თქვენთვის რა უფრო ძვირფასია — შვილის ჯანმრთელობა თუ ქმრის შურისძიება? თუ მეორე — მაშინ განაგრძეთ ექიმებთან სიარული, იქნებ ვინმემ კიდეც მოგცეთ ასეთი ცნობა, მაგრამ გოგონას ვერავინ მოარჩენს — მისი დაავადება ჭიანურდება, ხასიათი დეფორმაციას განიცდის. გოგონა თავს სწირავს მამასთან ბრძოლას —რა მოჰყვება ამას?

ყურად იღო თუ არა დედამ ეს რჩევა, არ ვიცი. ! ასეთია ექიმის

პროფესია: რჩევას იძლევა, მაგრამ მათი შესრულება მასზე აღარ არის დამოკიდებული.

ექიმს ყოველთვის როდი შეუძლია შველა, განსაკუთრებით ძნელია ეს ისეთ შემთხვევებში, როცა დარღვევა სოციალური ზემოქმედების შედეგად წარმოიქმნება. ექიმი მხოლოდ ექიმია და არა სოციალური რეფორმატორი. თუ საზოგადოების გარდაქმნა გინდა, თავი უნდა დაანებო მედიცინას.

ტკივილი მამათა გამო

ბავშვზე შემაძრწუნებლად მოქმედებს მშობლის დამცირება. დოსტოევსკი ამას მამათა გამო შვილების ტკივილს უწოდებდა. ახლა სხვა დროა, სხვა პრობლემები, მაგრამ ბავშვები ახლაც ღვრიან ცრემლებს: თუმცა ამას სხვა მიზეზები აქვს და სხვაგვარადაც ვლინდება. ზოგიერთ (რასაკვირველია, ყველას არა) მასთან დაკავშირებულ შედეგს შეისწავლიან ფსიქოლოგები და ექიმები.

ხასიათის ჩამოყალიბებაზე დიდ გავლენას ახდენს მშობლის სიყვარული: ყოველგვარი გადაჭარბება და უკიდურესობა მავნეა, მაგრამ საშინელებაა, როცა ბავშვი საერთოდ ვერ გრძნობს მშობლიურ სიყვარულს. დიდი საბჭოთა პედაგოგი ა. ს. მაკარენკო (1888—1939) წერდა: „თუ თქვენ გინდათ დაბადოთ მოქალაქე და მშობლიური სიყვარული არ გაიღოთ, მაშინ კეთილინებეთ და გააფრთხილეთ საზოგადოება, რომ ასეთი სისაძაგლის ჩადენა გსურთ. მშობლიური სიყვარულის გარეშე გაზრდილი ადამიანი ხშირად სულიერად დამახინჯებულია“. მშობლიური სიყვარული* მთავარი ფაქტორია, რომელიც ცვლის მატერიალურ კეთილდღეობას, ბავშვთა კოლექტივს და ა. შ.

ხანდახან გვიკვირს, რატომ უმახინჯდებათ ბავშვებსა და მოზარდებს ხასიათი: თითქოს კარგად ცხოვრობენ, მშობლებიც წესიერად აღზრდილები არიან და საზოგადოებაშიც მაღალი მდგომარეობა უჭირავთ, მაგრამ ქვეყნიერების მფლობელიც რომ იყო, თუ შვილებს ნაკლებ ყურადღებას უთმობ, არ გიყვარს ისინი, მხოლოდ დროდადრო იჩენ ინტერესს და ამით არღვევ საუკუნეობით დამკვიდრებულ ბიოლოგიურ კანონებს, ბავშვისაგან კარგს არაფერს უნდა ელოდე — ასეთები მეტ-

---

* ამ საკითხზე დაწვრილებით ჩემს წიგნში „ბავშვს სჭირდება მშობლიური სიყვარული, მოსკოვი, 1984 წელი..

წილად უბედურები არიან. თვით ფსიქოპათიის დროს, როცა პიროვნების ფსიქიკურ წყობას პირველ რიგში თითქოს ბიოლოგიური დეფექტები განსაზღვრავს, პრაქტიკულად ყოველთვის შეიძლება აღმოჩნდეს, რომ პიროვნების დეფორმაციაში ასევე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გარემოს არაკეთილსასურველმა ზემოქმედებამ. სხვა საქმეა, რომ პიროვნება უკვე ერთგვარად განწყობილი იყო ასეთი გავლენისათვის და უფრო მძაფრად რეაგირებდა მათზე (მაშინ როცა არადისჰარმონიული კონსტიტუციის ადამიანს. შესაძლოა, სულ არ მოეხდინა რეაგირება), სოციალური გარემო იმას უმძაფრებდა და უვითარებდა, რაც უკვე ჰქონდა ფსიქოპათს ბიოლოგიურ საფუძველში. ამრიგად, ფსიქოპათიის ფორმირებისას თითქმის ყოველთვის ვხვდებით ისეთ შემთხვევებს, როცა პიროვნების პათოლოგიური ჩამოყალიბების მეტ-ნაკლებად გამოხატული კომპონენტია არახელსაყრელი გარეგანი ზემოქმედება.

გმადლობთ, ფრანსუა ტრიუფო!

წაიკითხავთ რომელიმე წიგნს ან ნახავთ ამა თუ იმ კინოფილმს და ჩაფიქრდებით, რატომ ხატავს ზოგი ხელოვანი ძალზე ხშირად სულიერად ავადმყოფ პერსონაჟებს, ზოგი კი — არა. პუშკინს. მაგალითად, თითქმის არა ჰყავს ანომალიური გმირები, დოსტოევსკითან კი, პირიქით, პრაქტიკულად ვერ ნახავთ ფსიქიკურად ჯანსაღ პერსონაჟებს (რომანში „ძმები კარამაზოვები“, ფსიქიკური პათოლოგიის ამ ენციკლოპედიაში. არ არის თითქმის არც ერთი სულიერად ჯანმრთელი ადამიანი). რატომ ხდება ასე?

ამ კითხვის ყველაზე მარტივი განმარტება ასეთია: თითქოს ადამიანები, რომლებსაც თვითონ აქვთ ფსიქიკური ნაკლი, პირველ რიგში, თავისსავე მსგავს პიროვნებებს გვიხატავენ. ეს თვალსაზრისი მთლად უმართებულო არ არის, მაგრამ, რა თქმა უნდა, არსებითად მაინც ზერელეა: შემოქმედის პიროვნებასა და მისი ნაწარმოების შინაარსს შორის ძალზე რთული ურთიერთდამოკიდებულებაა და მისი ცალმხრივად გადაწყვეტა არ შეიძლება.

1959 წელს ეკრანებზე გამოვიდა ახალგაზრდა რეჟისორის ტრიუფოს ფილმი „ოთხასი დარტყმა“, სადაც ნაჩვენები იყო რთული ზნის ბიჭის საკმაოდ მძიმე ცხოვრება. ამ კინოგმირს ბევრი უბედურება დაატყდება თავს, რასაც მხოლოდ შემთხვევითობითა და არახელსაყრელი სიტუაციით ვერ ახსნი: აქ მიზეზი და შედეგი ისე გადახლართულა, სხვადასხვა ფაქტორი ისე უცნაურად შერწყმია ერთიმეორეს, რომ ცალ-

მხრივად ვერ განსჯით, რატომ მოხვდა ბიჭი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. სხვათა შორის, ამ ფილმმა მნიშვნელოვანწილად განაპირობა ამ წიგნის ავტორის ბედი — გადავწყვიტე სერიოზულად შემესწავლა ბავშვისა და მოზარდის ფსიქიატრია, რადგან მხოლოდ ამ თვალთახედვით შევძლებდი ბევრი რამის ახსნას, რაც „ოთხას დარტყმაში" ხდებოდა.

ტრიუფოს ყველა სურათი მძიმე ბავშვობის გახსენებით გატანჯული გულის აღსარებაა. იგი ესწრაფვის ბავშვის ფსიქიკის პრობლემა სხვადასხვა მხრიდან ახსნას, სურს უჩვენოს უფროსებს, თუ როგორ აისახება ბავშვის უმწეო და ნაზ სულში მათი ცუდი ქცევის ვარიანტები. ტრიუფოს ყველა ფილმი საშველად მოუხმობს ადამიანებს, მოუწოდებს უფროსებს, რომ უფრო კეთილები, უფრო გულმოწყალენი იყვნენ, შეიცვალონ თვითონ და მაშინ შვილებიც მათზე უფრო ბედნიერები იქნებიან. 1975 წელს გადაღებულ ფილმში „ჯიბის ფული" ტრიუფო მოკრძალებით გვიჩვენებს, თუ როგორ გადაეცემა მშობლებისგან შვილებს მანკიერი ტრადიცია. უფროსები გარეგნულად წესიერ, მაგრამ გულგრილ ადამიანებს ზრდიან და მათი ბედი მანამდე არ აფიქრებთ, ვიდრე რაიმე დანაშაულს არ ჩაიდენენ. მერე ამ ბავშვებს თავიანთი ბავშვები ეყოლებათ და ისინიც ასევე გაზრდიან თავიანთ შვილებს. ასე გადაეცემა თაობიდან თაობას გულგრილობა, სიცრუე, მლიქნელობა, სისასტიკე და მოუთმენლობა.

ტრიუფო გვიჩვენებს, რომ ბავშვი ბუნებით კეთილი და გულისხმიერია. თუ იგი უფროსების ცინიზმმა არ გააუხეშა, შეუძლია მშვენიერი რამ მოიმოქმედოს. როგორი ბოროტი, სულმდაბალი და თვალთმაქცი უნდა იყოს ადამიანი, რომ ბავშვს ხასიათი დაუმახინჯოს და იგი თავის საცოდავ ასლად აქციოს!

ტრიუფოს ფილმები, ალბათ, საუკეთესო ილუსტრაციაა ბავშვის ფსიქიკის პათოლოგიური ჩამოყალიბების შესწავლის საქმეში. ვერც ერთმა ფსიქოლოგმა ვერ შეძლო ტრიუფოზე უფრო დამაჯერებლად ეჩვენებინა ბავშვის ფსიქიკის დეფორმაციის ყველა ძირითადი ვარიანტი და საჯეობა. თუ ტრიუფოს სახელი არ შერჩება კინემატოგრაფიის ისტორიას (და ეჭვი არ არის, რომ შერჩება!), იგი სამუდამოდ დარჩება ფსიქოლოგიის ისტორიაში.

1960—1970 წლებში ბევრი ფილმი გამოვიდა იმის შესახებ, თუ როგორ აისახება ბავშვის ფსიქიკაზე სხვადასხვაგვარი ფსიქიკური ტრავმები: ბავშვისათვის მძიმე ფსიქიკური ტრავმაა ყველაფერი, რაც მოზრდილი ადამიანისთვის არ შეიძლება ტრავმული იყოს და ვერც ამჩნევს მას. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ანდრეი ტარ-

კოვსკის ფილმებმა. რეჟისორი თითქმის ყველა თავის ნაწარმოებში დაწვრილებით და ღრმად აანალიზებს ამ პრობლემას.

მაგრამ საინტერესო დამთხვევა მოხდა (თუ ეს დამთხვევაა?): სწორედ 60—70-იან წლებში შესამჩნევად გაიზარდა სხვადასხვა ქვეყნის ფსიქოლოგთა ინტერესი ბავშვის პიროვნული რეაქციების, მისი ხასიათის ჩამოყალიბების დარღვევათა მიმართ და ა. შ. სახელდობრ ამ წლებში ბევრმა ფსიქოლოგმა გულდასმით შეისწავლა მოზრდილი ადამიანის ფსიქოპათიური განვითარების საკითხები და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ დისჰარმონიის სათავეები ბავშვობაშია და მათ წარმოშობაში დიდი როლი შეასრულა ადრეულ ბავშვობაში მიღებულმა ფსიქიკურმა ტრავმებმა.

ხელოვნება კი, ჩვეულებრივ, ბევრად უსწრებდა წინ მეცნიერებას და უკვე იმას უჩვენებდა, რასაც მეცნიერება მხოლოდ უახლოვდებოდა. ფსიქოლოგიამ რომ ხელი მოჰკიდა ხასიათის პათოლოგიის შეძენილი ფორმების შესწავლას და ამ მოვლენის ბევრი კანონზომიერება აღმოაჩინა, ამ საქმეში ექიმებთან ერთად დიდი როლი შეასრულეს ლიტერატურისა და კინემატოგრაფიის წარმომადგენლებმა. ბევრმა მათგანმა უფრო მეტი შესძინა ფსიქოლოგიას, ვიდრე ამ დარგის სპეციალისტთა ათობით წიგნმა.

ვინ ავადმყოფია, ვინ — ჯანმრთელი...

პიროვნების პათოლოგიური ჩამოყალიბების დროს ხასიათის დამახინჯება ხანდახან ისეთ სახეს იღებს, რომ გამოუცდელ ექიმს შეიძლება ფსიქოპათია ეგონოს, ე. ი. პიროვნების (და არა მხოლოდ ხასიათის) თანდაყოლილი დეფორმაცია. სინამდვილეში პიროვნების პათოლოგიური ჩამოყალიბება იშვიათად იწვევს ხასიათის უხეშ დეფორმაციას: უმრავლესი პაციენტები მალე იწყებენ აქტიურ მკურნალობას და შემდგომ არავითარ პათოლოგიას აღარ ავლენენ. უფრო მეტიც, ასეთ ავადმყოფთა მკურნალობას პედაგოგიური ხასიათი უფრო აქვს, ვიდრე სამედიცინო. ამგვარი მკურნალობის დროს ადამიანი უნდა მოარიდონ ფსიქოტრავმულ პირობებს.

პათოლოგიურად ჩამოყალიბებული სუბიექტი ბევრია, მაგრამ ყველა როდი მიმართავს ექიმს დახმარებისთვის, და არც ექიმს შეუძლია ყველას შველა: მედიკოსები სოციალურ რევოლუციას ვერ მოახდენენ, ისინი მხოლოდ რჩევას აძლევენ ადამიანს (გულახდილად რომ ვთქვათ, ზოგჯერ არარეალურსაც), თუ როგორ ასრულებენ ამ რჩევას პაციენტები, ეს

უკვე კონკრეტულ სოციალურ პირობებზეა დამოკიდებული. მაგრამ ფსიქიატრი საზოგადოებისაგან მოწყვეტილი ვიწრო პროფესიონალი არ უნდა იყოს, იგი განზე არ უნდა იდგეს კონკრეტული ადამიანებისაგან. ამის გამო ექიმები სულ უფრო გაბედულად ერევიან ცხოვრებაში, აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოების გარდაქმნაში და ამით ეხმარებიან პაციენტებსაც და იმათაც, ვინც პოტენციურად შეიძლება ასეთი გახდეს.

ფსიქიატრია მხოლოდ ავადმყოფებს შეისწავლის; ფსიქიკურად ჯანსაღი ადამიანები კი სხვა პროფესიის წარმომადგენელთა სფეროა და განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებენ. თუ ფსიქიკურ ანომალიათა შესწავლის პრინციპებს სულიერად ჯანსაღ ადამიანებს მივუსადაგებდით, მაშინ მსოფლიოს ყველა ადამიანს უეჭველად შეშლილთა თანრიგს მივაკუთვნებდით. ასეთ შემთხვევაში მეცნიერებს თავგზა აებნეოდათ და ველარ შეძლებდნენ გარკვეული დასკვნების გამოტანას. ამიტომ ფსიქიატრი მუდამ სიფრთხილეს უნდა იჩენდეს პრაქტიკულად ჯანმრთელი ადამიანების შეფასებისას, რომელთაც ესა თუ ის თავისებურებანი აღმოაჩნდათ.

კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორმა ე. გიზელმა მიზნად დაისახა გაერკვია, თუ რა უდევს საფუძვლად მენეჯერების მოქმედებას: 1. თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის რწმენა, 2. მაღალი ანაზღაურებისაკენ სწრაფვა, 3. ძალაუფლების ყინი, 4. თვითგამოვლენის წადილი. აღმოჩნდა, რომ გადამწყვეტი ფაქტორი, რომელიც აიძულებდა ადამიანებს აერჩიათ მოღვაწეობის ეს რთული და დაძაბული სფერო, იყო თვითგამოვლენის წადილი. რითი უნდა აიხსნას, როცა ადამიანი შეგნებულად სწირავს თავს მძიმე და მოუსვენარ ცხოვრებას და სანაცვლოდ არ იღებს იმას, რასაც სხვაგვარი ცხოვრებისაგან მიიღებდა? ეს პათოლოგიაა თუ ნორმა? ასევე ავლენს თავს ნებისმიერი სხვა ადამიანი: მწერალი, მსახიობი, გამომგონებელი თუ ამ სტრიქონების ავტორი. თვითგამოვლენა შემოქმედების მთავარი მექანიზმია, ადამიანი კი პირველ რიგში შემოქმედებისთვისაა გაჩენილი. ეს არის მისი მაღალი და არსებითად ერთადერთი დანიშნულება. სხვა ყველაფერი მეორეხარისხოვანია.

დიდი ამერიკელი ფსიქოლოგი გორდონ ოლპორტი იზიარებს იმ აზრს, რომ არც ერთ მეცნიერს არ ძალუძს ამომწურავად ახსნას ადამიანის ქცევა, რომ ყოველი პიროვნება განუმეორებელი ინდივიდუალობაა და ამის გამო ადამიანის რაიმე საშუალო არითმეტიკულ სიდიდედ მიჩნევა არ შეიძლება. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პასუხიც კონკრეტული უნდა იყოს. ადამიანი რთული ორგანიზმია და მისი ქცევის მოტივებს მაშინვე ვერ ახსნი. მუდამ დიდი სიფრთხილე გვმართებს ადამიანების მდგომარეობის დადგენისას. არ შეიძლება ისინი ფსიქიკურ ავადმყო-

ფებად ვაღიარეთ მხოლოდ იმის გამო, რომ არ გვესმის მათი ანდა ისინი ფსიქიატრის ან ფსიქოლოგის სიმპათიას ვერ იმსახურებენ. სამწუხაროდ, თანამედროვე მეცნიერებამ ბევრი რამ არ იცის და არც ბევრი საკითხის გადაჭრული ახსნა შეუძლია. მეცნიერება ადამიანის შესახებ ინდივიდუუმის განვითარებასთან შეჯარდებით სკოლამდელ ასაკშია და იგი უნდა განვითარდეს, რომ შეძლოს რიგ საკითხებზე სწორი პასუხის გაცემა.

ბევრი პრობლემა მეცნიერებს ვერ აუხსნიათ, განრისხებული პუბლიცისტები კი წერენ და წერენ მათზე, თუმცა ეს პრობლემები მაინც არ ქრება. აი, მაგალითად, ერთი ასეთი პრობლემა: თუ ცენტრალური პრესის სტატიებს წაიკითხავთ, ზოგჯერ იმ საავალალო დასკვნამდე მისვალთ, რომ ზნეობის საკითხებში მეცნიერული სამყარო ნაკლებად განსხვავდება ქურდების და ბანდიტების სამყაროსაგან: გარეგნულად რესპექტაბელურ და სოლიდურ ადამიანთა შორის, რომლებიც ამაყად ატარებენ დოქტორებისა და აკადემიკოსების ტიტულებს, ბატონობდა და, სამწუხაროდ, ახლაც ბატონობს იგივე კანონები, რაც უწიგნურ, სისხლის სამართლის დამნაშავეებსა ან გონებრივად ჩამორჩენილ ადამიანთა შორისაა გავრცელებული. მუდამ და ყველგან ძლიერი ჯაბნიდა სუსტს, ძალაუფლების მქონე — უუფლებოს; ყველგან და ყოველთვის გამომგონებელი მსხვერპლად ეწირებოდა იმას, ვინც სხვისას ითვისებდა.

1926 წელს სირაკუზში — დიდი არქიმედის სამშობლოში — არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა იტალიელი პროფესორი ემილიო მალვინი. როგორ გააოცა მეცნიერები მათ მიერ აღმოჩენილმა ორმა დოკუმენტმა. პირველი იყო გიპერონისა და სხვა ავტორთა წიგნის არაბული თარგმანი სახელწოდებით „არქიმედის კანონი". ამ ავტორთა შორის დასახელებული არ იყო თვითონ არქიმედი. მეორე დოკუმენტი კი მოწმობდა, რომ სირაკუზის მეფე გიპერონმა არქიმედის კანონის წიგნის ავტორთა სიიდან სწორედ არქიმედის გვარი ამოშალა „ჩხუბისა და შეუგუებელი ხასიათის გამო".

მართლა იყო თუ არა არქიმედი ასეთი მოჩხუბარი, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ მთავარი ის არის, რომ არქიმედმა აღმოაჩინა კანონი, მისი პატივი კი სხვებმა მიისაკუთრეს და ამისთვის რაღაც მიზეზებით ისარგებლეს. გიპერონი და მისი კომპანიის წევრები, ეტყობა, სულელები ან მცირემცოდნენი იყვნენ, რომ კანონის ავტორთა სიიდან თვით აღმომჩენი ამოშალეს, კანონს კი არქიმედის სახელი შეუნარჩუნეს.

არქიმედი მრავალი ათასი წლის წინ ცხოვრობდა, ზნე-ჩვეულებები კი ისეთივე იყო, როგორიც დღესაა.

ასობით მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა, როცა ერთი ადამიანი

რაღაცას ქმნის და მეორე ითვისებს. მაგალითად, ზოგი დამწყები ახალგაზრდა მეცნიერი თვითონ იკვლევს ყველაფერს. მაგრამ გამოუცდელობის გამო ვერ აბერხებს მის ვამოქვეყნებას. სწორედ ამ დროს ეხმარება მას შეფი: იგი ასპირანტს უფლებას აძლევს დაბეჭდოს 1—2 სტატია, თვითონ კი ასპირანტის მასალის საფუძველზე ათობით სტატიას აქვეყნებს. შეფს სად სცალია მასალის შესაკრებად, იგი ხომ ხელმძღვანელია, თათბირებს ატარებს, მიუთითებს, აკრიტიკებს, თავმჯდომარეობს, ყველაფერს ასწრებს. ეოთის გარდა: მეცნიერებას ან შესწავლის. მეცნიერებას ყოველთვის წარმართავდნენ ნახევრად შეშლილი ფანატიკოსები ანდა მეტისმეტად გულუბრყვილო მეოცნებენი. აღიარება მხოლოდ სიკვდილის შემდეგ მოდიოდა, სიცოცხლეში კი თანამედროვენი ყველაფერს აკეთებდნენ მათი სიცოცხლის შესამოკლებლად.

ეს პრობლემა—მორალური კლიმატის შექმნის აუცილებლობა მეცნიერულ წრეებში — ძალზე აქტუალურია. მისი გადაწყვეტა კაცობრიობას დიდ სარგებლობას მოუტანდა. მაგრამ მსგავს პრობლემებს მედიცინა ვერ გადაჭრის, ეს ექიმების საქმე არ არის, ასეთი სიმახინჯე მეტწილად სოციალური ხასიათისაა და არა ბიოლოგიური. ეს სოციალური უმსგავსობა თვით ადამიანებმა შექმნეს — ერთის თავხედობამ, მეორის დამთმობლობამ, მესამის გულგრილობამ, მეოთხის შურმა და ღვარძლიანობამ...

ცნობილი მოაზროვნის შეცდომა

1950 წელს გამოვიდა გერმანელი ფილოსოფოსისა და მუსიკათმცოდნის თეოდორ ადორნოს (1903—1969) გახმაურებული წიგნი „ავტორიტარული პიროვნება". ამ ნაშრომს ბევრი ავტორი ჰყავდა, მაგრამ ძირითადი იყო ადორნო. წიგნი დღესაც იზიდავს ფსიქოლოგების, ექიმების, პოლიტიკური მოღვაწეების, ცოდნის სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა ყურადღებას. მისი მნიშვნელობა განისაზღვრება არა იმდენად იმ დადებითი წვლილით, რაც მან ადამიანის ცოდნის საგანძურში შეიტანა, არამედ აზრთა იმ ნაკადით, რომელიც მან გამოიწვია და ამით ხელი შეუწყო მეცნიერების განვითარებას ხანგრძლივი დროის მანძილზე. „ავტორიტარული პიროვნების" შემდეგ ადორნომ კიდევ ბევრი წიგნი დაწერა, მაგრამ ვერც ერთი ვერ შეედრება მას პოპულარობით.

ავტორს უნდოდა გამოერკვია, თუ როგორები არიან სხვადასხვა ცრურწმენით შეპყრობილი ადამიანები. ადორნომ გამოიყენა მეცნიერთა შორის ფართოდ გავრცელებული თეზისი, რომლის მიხედვით, განსაზღვრულ პოლიტიკურ შეხედულებებს განსაზღვრული ინტელექტუალური

და ემოციური თავისებურებანი შეესატყვისება. ამიტომ რადიკალიზმი, ფაშიზმი, კონსერვატიზმი უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ იდეოლოგია. მკვლევართა აზრით, ეს არის შესატყვისი ბიოლოგიური კონსტიტუციაც. ადორნომ სხვადასხვა პიროვნული ტიპი და მათი შეხედულებანი აღწერა. აქ თავმოყრილია სრულიად განსხვავებული წარმოდგენები და ფაქტორები, რომლებიც დიფერენცირებულ, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში კონკრეტულ და არა აბსტრაქტულ მიდგომას საჭიროებენ.

50-იან წლებში ცნობილმა ამერიკელმა ფსიქიატრმა და ფსიქოლოგმა ერიჰ ფრომმა წამოაყენა დებულება ეგრეთ წოდებული ნეგატიური ინდივიდის შესახებ, რომლისთვისაც დამახასიათებელია არასრულფასოვნების კომპლექსით გამოწვეული მარტოობისა და დათრგუნვილობის გრძნობა. ასეთ ადამიანებს თითქოს მეტად ხვდებიან დიქტატურის მომხრეთა შორის — ასეთებს ადორნო ავტორიტარულ პიროვნებებს უწოდებს. მათთვის დამახასიათებელია შემდეგი:

1. ასეთებს მცირე უთავბოლო ცოდნა აქვთ. მთელ რიგ საკითხებზე საკუთარი აზრი არ გააჩნიათ, რაც კიდევ უფრო ბუნდოვანსა და არათანამიმდევრულს ხდის მათ ცოდნას.

2. ადორნოს წიგნის გმირები სტერეოტიპულად აზროვნებენ. მათ ჰგონიათ, რომ პოლიტიკა თითქმის ზეადამიანის ხვედრია, და როგორც ეს ზეადამიანი მოინდომებს, პოლიტიკაც ისე წარიმართება.

3. ავტორიტარული პიროვნებები თვლიან, რომ დასაშვებია შეუსაბამობა ნამოქმედარსა და ნაფიქრალს შორის — ეს ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობაა.

4. „ოცნება ძლიერ ხელზე" ავტორიტარულ პიროვნებათა ყველაზე სანუკვარი ოცნებაა. მათ სჭირდებათ ბელადი, რომელსაც ნებისმიერი პირობით დაემორჩილებიან, თუგინდ საკუთარ სიცოცხლესაც შესწირავენ. ისინი ოცნებობენ ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ წესრიგზე და სურთ დარწმუნებული იყვნენ, რომ მკაცრად დაისჯება ყველა, ვინც თავისი მოქმედებით ან სიტყვით შეურაცხყოფს არსებულ წესებს.

5. ავტორიტარული პიროვნებები ავადმყოფურ ყურადღებას იჩენენ ნებისმიერი პოლიტიკური ძალაუფლებისადმი. სწრაფად ამჟღავნებენ უკმაყოფილებასა და აგრესიას, რაც მათ აღფრთოვანებას ანიჭებს.

6. ამის გამო ავტორიტარულ პიროვნებებს მთელი არსებით სძულთ პრეზიდენტი ფრანკლინ რუზველტი, როგორც თავისუფალი და დემოკრატიული სახელმწიფო მოღვაწის განსახიერება, რომელიც ტოტალიტარიზმის ყველა ფორმას უგულებელყოფდა.

7. ავტორიტარული პიროვნებები სიტყვით ბიუროკრატიისა და პო-

ლიტიკანების წინააღმდეგ გამოდიან. მაგრამ ძალაუფლების ხელში ჩაგდებისთანავე თვითონაც ტირანები და კონსერვატორები ხდებიან.

8. ყველაზე მეტად სძულთ უტოპია.

9. მათი ლოზუნგია: „არ შეიბრალოთ ღატაკნი! თავიანთი ბრალია, რომ ღატაკები არიან“.

ავტორიტარული პიროვნებები განადიდებენ ძლიერი პიროვნების კულტს, ერთდროულად იზიდავთ ძალაუფლებაც და მორჩილებაც, თუმცა იდეოლოგიას სწრაფად იცვლიან.

როგორც ვხედავთ, ადორნოს ავტორიტარულ პიროვნებათა თვისებები მეტისმეტად ბუნდოვანია, მათ არა აქვთ მკვეთრი ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური ხასიათი.

ახლა კი ფსიქიატრის თვალიო. შევაფასოთ ადორნოს აზრები. რას იძლევა ეს წიგნი პიროვნების შესწავლის საქმეში?

რა თქმა უნდა, იგი აფართოებს ჩვენს ცოდნას ადამიანზე და პიროვნების ფსიქოლოგიური გამოკვლევის ერთ-ერთ შესაძლებელ გზას გვაცნობს. მაგრამ ეს წიგნი პირველ რიგში იმას უჩვენებს ფსიქიატრ-კლინიცისტს, თუ როგორ არ უნდა ვიკვლევდეთ პიროვნებას. ეკვს გარეშეა, რომ ცრურწმენებით შეპყრობილ ადამიანთა, ტოტალიტარიზმისა და სხვა ექსტრემისტული მიმდინარეობების თაყვანისმცემელთა შორის ბევრია ისეთი სუბიექტი, ესა თუ ის ფსიქიკური გადახრა რომ ახასიათებთ. ეს გადახრები ისევე განსხვავებულია, როგორც იმ ადამიანთა გადახრები, ვინც ავტორიტარობის მიდრეკილებას არ ამჟღავნებს. ჯერ არავის დაუმტკიცებია, რომ განსაზღვრული მსოფლმხედველობის ადამიანები ამა თუ იმ კონსტიტუციურ თავისებურებას ან ფსიქიკურ დაავადებებს ამჟღავნებდნენ. ამიტომ ადორნოს ამოსავალი პოზიცია ჭვრეტითი და დაუსაბუთებელია. მიუხედავად ამისა, ეს წიგნი დაეხმარება მეცნიერებს ადამიანის პრობლემის ზოგიერთი საკითხის ღრმად შესწავლის საქმეში. და მაინც ფსიქიატრს არ შეუძლია ფსიქოლოგიურად დაახასიათოს ესა თუ ის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულება, მათი შესწავლა შესაბამისი მეთოდით უნდა ხდებოდეს და არა კლინიკურ-ფსიქოპათოლოგიურით, რაც სულ სხვა მიზნისთვისაა შექმნილი. ექიმს შეუძლია ახსნას რომელიმე ადამიანის ფსიქიკური პათოლოგიის არსი (თუ ეს პათოლოგია, რა თქმა უნდა, არსებობს), მაგრამ ფსიქიატრი არ იძლევა პასუხს კითხვაზე, თუ რატომ იზიარებს გამოსაცდელი პიროვნება ამა თუ იმ პოლიტიკურ ან მეცნიერულ თვალსაზრისს, ან რატომ მოსწონს შავგვრემანი ქალები და არა — ქერები. ეს მედიცინის პრობლემები არ არის.

გამოუყენებელი შესაძლებლობები

XX საუკუნის შუა ხანებში კაცობრიობის ერთ-ერთ მწვავე პრობლემად იქცა ადამიანთა მცირე კომუნიკაბელურობა, მარტოობა, არასაკმაო გულითადობა. ამაზე წერენ ჟურნალისტები, ლაპარაკობენ მეცნიერები, ამ საკითხზე მსჯელობენ საგანგებო კონფერენციებსა და ყრილობებზე, იქმნება სპეციალური დაწესებულებები, რომელთა მიზანია დაეხმარონ მარტოხელა ადამიანებს, გააცნონ ისინი ერთმანეთს. ზოგი მათგანი თავს იკლავს და სიკვდილის წინ წერს, რომ ყველაფერში ბრალი მიუძღვის ადამიანებისგან განდგომას; ნარკომანებისა და ლოთების უმრავლესობა თავის დაცემას იმით ხსნის, რომ აღარ შეუძლიათ მარტოობის ატანა. თუ წინათ მარტოობას მხოლოდ ახალგაზრდა ვერთერები და ხანდაზმული უცოლშვილო მამაკაცები უჩიოდნენ, ჩვენს დროში ამაზე წუხს ძალზე ბევრი ადამიანი.

ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში ახლა შიმშილით არავინ კვდება, თანამედროვე ადამიანს აღარ აწუხებს ბევრი ისეთი პრობლემა, რომელთა მოგვარებაზეც ფიქრობდნენ წარსული თაობები. ახლა ინტელიგენტი ადამიანის უბედურება მარტოობაა: ამის შედეგია ნაადრევი ინფარქტები, ლოთობა, თვითმკვლელობა. XX საუკუნის ბოლოს ეს ყველაზე დიდი უბედურებაა — შავ ჭირსა და ატომურ ბომბზე უარესი.

შემაშფოთებელია არა მხოლოდ აშკარა მარტოობა, არამედ ფსევდოგულღიაობაც, შინაგანი მარტოობა, რომელიც კონტაქტურობის, აქტიური მოქმედებისა და ფართო ნაცნობობის ილუზიით ინიღბება. ფსევდოკონტაქტურობა მარტოობის ყველაზე გავრცელებული სახეა.

კაცობრიობამ თითქოს ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ ადამიანებს უკეთესი ურთიერთობა ჰქონოდათ ერთმანეთთან: ტელეფონები და ვიდეოტელეფონები, ზებგერითი ავიალაინერები, ხუთდღიანი სამუშაო კვირა, ხანგრძლივი შვებულებები, სასწავლო დაწესებულებებში სწავლება ერთიანი სოციალური და სქესობრივი ნიშნის მიხედვით — ყველაფერ ამას უნდა შეექმნა განუსაზღვრელი შესაძლებლობები, რომ ადამიანებს (განსაკუთრებით ახალგაზრდებს) გამოემჟღავნებინათ ყველა ცოცხალი არსებისათვის დამახასიათებელი თვისება — თავის მსგავსთან ურთიერთობის მიდრეკილება. თითქოს ეს უნდა მოჰყოლოდა პროგრესს, მაგრამ განა მოჰყვა? პესიმისტები ერთხმად უარყოფენ ამას, ოპტიმისტები კი ამტკიცებენ: დიახ, მოჰყვაო! არ შეიძლება უაპელაციო, სწორხაზობრივი პასუხის გაცემა ამ რთულ საკითხზე.

კაცობრიობის არსებობის მანძილზე ადამიანს არასოდეს ჰქონია ურთიერთობის იმაზე მეტი შესაძლებლობა, ვიდრე ჩვენს დროში აქვს,

მაგრამ არასოდეს ასე ნაკლებად არ უსარგებლია ამით, როგორც დღეს. რაც უფრო ცივილიზებული და მდიდარია სახელმწიფო, მით მეტად იჩენს თავს მარტოობა, გაუგებრობა, ცრურწმენები, შიში, არამოტივირებული სისასტიკე.

ეს მარადიული რთული საკითხებია.

მაშ რითია განპირობებული კონკრეტული ადამიანების მარტოობა?

არავის შეუძლია ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემა. არავის შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ მისი ახსნა ყველაზე სწორია. მით უფრო არ შეუძლია ეს ექიმს. მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ექიმიც შეიძლება მონაწილეობდეს ამ მოვლენათა ახსნაში. ეს, ცხადია, მარტო იმით როდია განპირობებული, რომ მის პაციენტთა შორის ბევრია ისეთი, ვინც მტკივნეულად განიცდის მარტოობას. საქმე ის არის, რომ თანამედროვე ფსიქიატრია ნაკლებად ჰგავს 30—40 წლის წინათ არსებულს და რამდენიმე ათწლეულის მანძილზე ფსიქიატრიაში მომხდარმა ძვრებმა სავსებით შეუცვალა მას სახე. ფსიქიატრები ახლა ძირითადად ისეთ ადამიანებს მკურნალობენ, რომლებიც წინათ ექიმთან არ დადიოდნენ. ფსიქიატრია სულ უფრო მეტად მიმართავს ფსიქოთერაპიას — ცოდნის განსაკუთრებულ დარგს, რომელსაც დამოუკიდებელი ადგილი უჭირავს სამედიცინო პროფესიათა სისტემაში. ამიტომ ფსიქიატრიას არ შეუძლია გვერდი აუაროს ადამიანის მარტოობის პრობლემას. ფსიქოთერაპევტებს მუდამ ჰყავთ მარტოობით გატანჯული პაციენტები. ყველა დროსა და ყველა საზოგადოებაში ტანჯავდა და ტანჯავს ადამიანთა რაღაც ნაწილს ფსიქიკური აშლილობა, რის შედეგადაც ირღვევა კომუნიკაბელურობა, მაგრამ ასეთი ადამიანები არავითარ ტენდენციას არ ქმნიან და არც მათ გამოა გადაჭრელებული სამეცნიერო და გასართობი ლიტერატურა სტატიებით მარტოობის შესახებ.

საზოგადოებაში ყოველთვის არსებობს ერთი ფენა, რომელიც სხვა სოციალურ ჯგუფებთან შედარებით მეტად მგრძნობიარეა ყოველგვარი სოციალურ-ფსიქოლოგიური ცვლილების მიმართ. ეს არის ინტელიგენცია. მათი რიცხვი ყველა ინდუსტრიულად განვითარებულ საზოგადოებაში იზრდება, მაგრამ ხარისხი საგრძნობლად ჩამორჩება რაოდენობას. სწორედ ეს არის ის უარყოფითი პოლუსი, რომელიც ხელს უწყობს მარტოობის გრძნობის წარმოქმნას. ყოველგვარ ცოდნას თან სდევს ერთგვარი სევდა და ამ ცოდნის გაღრმავების წყურვილი. ეს უკანასკნელი კი მოითხოვს ცხოვრების ჩვეულებრივ წესზე ხელის აღებას, თვითშეზღუდვას, რაც პირველ რიგში კონტაქტების შემცირებას იწვევს. სწორედ ამის გამოა, რომ მარტოობის გრძნობით გატანჯულ პიროვნებათა შორის ინტელიგენტური პროფესიის ადამიანები ჭარბობენ.

ნაკლებად კომუნიკაბელური ადამიანების რიცხვის ზრდის კიდევ ერთი მიზეზია კაცობრიობის შედარებითი დაბერება. 60—65 წელზე მეტი ხნის ადამიანთა რიცხვი პროცენტულად ყოველწლიურად იზრდება, ხოლო სიბერეს, სამწუხაროდ, მოსდევს სამუშაოსა და კოლექტივისგან მოწყვეტა, საკუთარ ოჯახში ჩაკეტვა, შვილებსა და შვილიშვილებში ტრიალი. მაგრამ ვისაც შვილები და შვილიშვილები არა ჰყავს? ეს ხომ ძალზე ხშირია ჩვენს დროში.

მარტოობას ხელს უწყობს მოსახლეობის მიგრაციაც. მშობლიური ფესვებისაგან მოწყვეტა, ჩვეული გარემოს, დედის რძესთან შეზრდილი ფსიქოლოგიური კლიმატის გამოცვლა გარკვეულ კვალს აჩენს ადამიანს.

მაშასადამე, ურბანიზაცია და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესით განპირობებული ბევრი ფაქტორი ამცირებს კომუნიკაბელურობას. და თუ ასეთი პროგრესის ტემპი არ შენელდა, მაშინ ალბათ 100 წლის შემდეგ ჩვენი პლანეტა დაემსგავსება გათიშული, ნაკლებად ურთიერთდაკავშირებული ადამიანების კონგლომერატს, როგორც ამას სამეცნიერო-ფანტასტიკური ნაწარმოებები წინასწარმეტყველებდნენ. მაგრამ ასეთი ალბათობის შესაძლებლობა ძალზე მცირეა. და აი რატომ, ინტერესი მცირე კომუნიკაბელურობის პრობლემისადმი ხელოვნურადაა გაზვიადებული და საკმაოდ დაუსაბუთებელია. ეს სხვადასხვა მიზეზთან არის დაკავშირებული და ამაში ჟურნალისტებს მეცნიერებზე მეტად ნუ დავადანაშაულებთ — ყველა დამნაშავეა. დანაშაული გამოიხატება კერძოს აბსოლუტიზაციაში, ცალმხრივ მიდგომაში, მთელ კაცობრიობაზე იმ კანონზომიერებათა გავრცელებაში, რასაც ამჟღავნებს დიდ ქალაქებში მცხოვრები ინტელიგენტურად მოაზროვნე ადამიანთა შედარებით მცირე ფენა.

როგორ ირღვევა კონტაქტები

ჩვენს დროში იზრდება ნაკლებად კონტაქტური ადამიანების რიცხვი, რაზეც გულისტკივილით წერენ არა მარტო ექიმები და ფსიქოლოგები, არამედ პუბლიცისტები, იურისტები და სხვ. ყველაფრის სათავე (თვით დარღვეული კონტაქტურობისაც) ბავშვობაშია და მეტწილად მშობლებს მიუძღვით ბრალი აღნიშნული დარღვევის წარმოქმნაში.

„რა ელის ჩემს შვილს სკოლაში? მას ხომ არავისთან არ უნდა თამაში, არ სურს ბავშვებთან ურთიერთობა. მამაც ასეთი იყო მის ასაკში, ნათესავებიც. მიეცით რაიმე წამალი, რომ გამოცოცხლდეს, ალაპარაკდეს, გულღია გახდეს“.

ამის მსგავსი ჩივილითა თუ თხოვნით ხშირად მიმართავენ ფსიქოლოგებსა და ექიმებს. კონტაქტურობის დარღვევა ძალზე ხშირია ყველა ასაკობრივ ჯგუფში, განსაკუთრებით კი — ბავშვებსა და მოზარდებში. ურთიერთობის უნარი მათი კონსტიტუციის საფუძველშია, მემკვიდრეობით აპარატშია კოდირებული. მიუხედავად ამისა, ბევრ ადამიანს ეს უნარი დარღვეული აქვს ან ცუდად ავლენს მას. ეს მეტწილად დამოკიდებულია არასწორ აღზრდაზე, როცა მშობლები ბავშვს უვითარებენ ეჭვიანობას, არაკეთილმოსურნეობას, გულჩახვეულობას. „ამ ბავშვთან არ იამხანაგო, ცუდი ბიჭია. იმას ცუდი მშობლები ჰყავს, ამას—ცუდი ძმა და ა. შ.“, — ეუბნება ზოგიერთი მშობელი შვილს. „ფრთხილად იყავი, არავინ მოგატყუოს, ყველასგან თავი შორს დაიჭირე, გული არავის გაუხსნა, სჯობს მარტო იყო. ვიდრე ვიღაცეების წრეში: ასე უფრო თავისუფალი და დამოუკიდებელი იქნები“, — ასწავლიან მეორენი. „ამ ბიჭის მამა არამზადაა, ცოლი მიატოვა, ასეთ ტიპებს არ გაეკარო. როგორ უნდა გამოიცნო ასეთები? არ ვიცი. მაგრამ უკეთესია თავიდანვე შორს იყო მათგან“, — ეუბნებიან მესამენი. მერე უკვირთ, რატომ გაიზარდა ჩემი ბავშვი გულჩახვეულიო, რომელსაც თანატოლები ვერ ამჩნევენ და არც თვითონ ისწრაფვის მათკენ. ეს თვისებები თანდათანობით მტკიცდება და ქცევის მუდმივ ფორმად ყალიბდება. ფსიქიკის მოუმწიფებლობა, იმის უუნარობა, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს გარემოს დაწოლას, ასევე საკუთარი აზრის უქონლობა ბავშვს საშუალებას არ აძლევს, რომ დამოუკიდებლად განსაჯოს, რა არის სწორი და რა — არა. იგი ძირითადად ბაძავს უფროსებს. ასეთია ყველაზე ხშირად ბავშვების არასწორი ქცევის, მათ შორის არაგულზიარობისა და მეტისმეტი გულჩახვეულობის მექანიზმი. თუ იგი ხედავს, რომ მის მშობლებს მეგობრები არა ჰყავთ, მათთან არავინ მოდის და არც მშობლები მიდიან ვინმესთან დღესასწაულებზე, რომ იზოლირებული არიან ყველასგან (მნიშვნელობა არა აქვს, ვისი მიზეზით), ბავშვიც ითვისებს ასეთ ურთიერთობებს და მერე, უკვე გაზრდილი, თვითონაც მშობლების მსგავსად იქცევა.

ასეთი აღზრდა, ალბათ, უფრო მეტად მოქმედებს ისეთ ბავშვებზე, რომელთაც უკვე აქვთ ნერვული სისტემის რაიმე ნაკლი ან ფსიქიკის ესა თუ ის დარღვევა. ზოგიერთი აშლილობა აზიანებს ბადურაწარმონაქმნს, ე. ი. ტვინის იმ ნაწილს, რომელიც თითქოს ააქტიურებს ადამიანის ქცევასა და ემოციებს. სულის ეს თავისებური ძრავა ზოგიერთ ადამიანს უფრო აქტიურს, ხალისიანს, გულღიასა და ენერგიულს ხდის, ზოგს კი — სიტყვაძვირსა და პასიურს, ისინი მალე იღლებიან და სიცოცხლის სიხარულს ვერ გრძნობენ. ბადურა წარმონაქმნს აზიანებს ცენტრალური

ნერვული სისტემის ბევრნაირი დაავადება (მათ შორის ორსულობის, მშობიარობის, სიცოცხლის პირველი წლების პათოლოგია), შემდგომ იგი მეტწილ შემთხვევებში ნორმალურად მოქმედებს და არავითარი გადახრა აღარ შეინიშნება. ბავშვობაში ასეთი დეფექტები ხშირია, მაგრამ ასაკში ჩვეულებრივ უკვალოდ ქრება. დავუშვათ ბავშვს, რომელსაც დაზიანებული ნერვული სისტემა აქვს და გულჩახვეულობისა და ადამიანებისგან გამიჯვნის მიდრეკილებას ავლენს, შეიაფერისად ზრდიან და შთააგონებენ, რომ ცოტა ილაპარაკოს და ჩამოშორდეს ადამიანებს. ბუნებრივია, ასეთი აღზრდა მხოლოდ გაამწვავებს ქცევის უკვე არსებულ თავისებურებებს. მაგრამ გაივლის 4—5 წელი და ბადურა წარმონაქმნი კარგად ამოქმედდება (თუ ვუმკურნალებთ, კიდევ უფრო ადრეც) და ბავშვსაც გაუჩნდება სხვა ბავშვებთან ურთიერთობის ნორმალური სურვილი, მაგრამ მახინჯი აღზრდის შედეგად იგი ჩაიკლავს ასეთი ურთიერთობის სურვილს, მერე კი, მრავალი წლის შემდეგ, გაოცებულია, რატომ აქვს ასეთი უკარება, უემოციო ბასიათი.

მაშასადამე, აღზრდის დეფექტები ადამიანთაგან გამიჯვნისა და გულჩახვეულობის მთავარი მიზეზია, მაგრამ ეს ერთადერთი მიზეზი როდია.

ბიჭი ბავშვობიდანვე ენაბლუ იყო. დიდი ხნის მანძილზე იგი ყურადღებას არ აქცევდა ამ დეფექტს, არ განიცდიდა და დარწმუნებული იყო, რომ მალე ყველაფერი გაივლიდა. გადიოდა წლები, მაგრამ ენაბლუობა არ ქრებოდა. 15 წლის ასაკში ბიჭი უკვე მტკივნეულად განიცდიდა თავის დეფექტს, უცნობ ადამიანთა წრეში ლაპარაკს ერიდებოდა, განსაკუთრებით კი გოგონების გაცნობისას მორცხვობდა. ერთხელ თანაკლასელ გოგონასთან ერთად კინოში წავიდა. სალაროში ბილეთს რომ ყიდულობდა, ვიღაცამ გაიგონა მისი ბლუკუნი და გაბრაზებულმა უთხრა: ჯერ ლაპარაკი ისწავლე და მერე წაიყვანე გოგო კინოშიო. ბიჭი ძალზე აღელდა, ღამით თვალი არ მოუხუჭავს, ხშირად ესიზმრებოდა ეს სცენა. რამდენიმე დღის შემდეგ იმავე თანაკლასელმა გოგონამ გაჯავრებით მიაძახა: „დამეკარგე თავიდან, ბლუკანავ!“ ამან საბოლოოდ აავსო მოზარდის მოთმინების ფიალა, გოგონას ეჩხუბა. საერთოდაც ძალზე აგზნებული იყო, ცოტას ლაპარაკობდა, ყველას გაურბოდა. ამ კონფლიქტთან დაკავშირებულ წყენას სხვებზე ანთხევდა, თანდათანობით ეცვლებოდა ხასიათი, რომელშიც გულჩახვეულობა, დუმილი, პირქუშობა დომინირებდა. ამ მოზარდს გულით ეწადა ადამიანებთან ურთიერთობა, მაგრამ იმის შიშით, ვაითუ დამცინონო, მათთან კონტაქტები შეზღუდა. ერთდროულად გაუფუჭდა ხასიათი, ცუდად ეძინა, ცოტას ჭამდა, ენის ბორძიკმაც იმატა: თუ ნერვიულობდა, ერთი სიტყვის თქმა-

საც ვერ ახერხებდა. ბიჭს ჰქონდა ნევროზული აშლილობა, რასაც ერთვოდა ხასიათის ცვალებადობა, ადამიანთაგან გამიჯვნის, მარტოობის გაზრდილი გრძნობა. მოზარდის მიერ გადატანილი არც ერთი ფსიქიკური ტრავმა, რომელმაც მას ნევროზი განუვითარა, უფროსების თვალსაზრისით არაფრით მნიშვნელოვანი არ იყო. მაგრამ ინდივიდუალურად ძალზე საგულისხმო ეს წყენა და განცდა ისე დაშრევდა ერთიმეორეზე და ისე გადაეხლართა ერთმანეთს, რომ კონტაქტების დარღვევებით აღნიშნული მძიმე დაავადება გამოიწვია.

აი მეორე შემთხვევა: მოზარდმა რამდენჯერმე დაარღვია კლასში დისციპლინა. ერთხელ მან ისე გააბრაზა მასწავლებელი, რომ ამ უკანასკნელმა განაცხადა: ეს ბიჭი ლოთისა და ქუჩის ქალის შვილია და ღირსი არ არის კლასში „წესიერი" მშობლების შვილების გვერდით იჯდესო. ამის შემდეგ ბიჭი წყნარად იქცეოდა. ბავშვებს გაურბოდა, არც კლასის ცხოვრებაში მონაწილეობდა. შესვენების დროს ეზოში ჩადიოდა და თავისზე პატარებს ეთამაშებოდა. გაკვეთილების შემდეგ სწრაფად გარბოდა შინ. კლასის ხელმძღვანელმა მალე შენიშნა, რომ ბიჭი ყველას ვაურბოდა, მარტო ყოფნას ცდილობდა. ეს ნევროზი კი არ იყო, არამედ ფიქსირებული პათოხასიათობრივი რეაქცია, რასაც — თუ ბიჭს დროზე არ დაეხმარებოდნენ — მოჰყვებოდა ხასიათის მკვეთრი ცვლილება, ჭარბად გამოვლინდებოდა გათიშულობა და ურთიერთობათა შეზღუდვა, ე. ი. მოხდებოდა პიროვნების პათოლოგიური ჩამოყალიბება. სიმკაცრეს, მოუთმენლობას, ახლობლებისადმი გულგრილ დამოკიდებულებას ბევრი ადამიანი მსხვერპლად ეწირება, თავის თავში იკეტება, ნაკლებად გულზიარი და მარტოსული ხდება. თუ ადამიანებს სურთ, რომ ქვეყნად ცოტანი იყვნენ მარტოობით გატანჯულები, უფრო მეტი მზრუნველობით უნდა მოეკიდონ სხვებს, მეტი მოთმინება და სიკეთე გამოიჩინონ. მით უფრო ბავშვებისა და მოზარდების მიმართ.

ზოგიერთ ადამიანს კომუნიკაბელურობა ერღვევა მეტისმეტი მორცხვობის, შიშის, გაუბედაობის, ეჭვიანობის გამო. ასეთ სუბიექტებს ფსიქასთენიური (მათ აღელვებულ-ეჭვიანებსაც უწოდებენ) ხასიათის თვისებები აქვთ, რაც თავის მხრივ ნაკლებ კონტაქტურობას იწვევს.

თუ შიში და გაუბედაობა შემცირდება, ამას შეიძლება მოჰყვეს არასაკმაო გულითადობის მოსპობაც. ასეთი პიროვნებები მთელი გულით ესწრაფვიან ადამიანებს. უნდათ ჰყავდეთ მეგობრები. ოცნებით ბევრი ახლობელი ჰყავთ და ერთი წუთითაც არ რჩებიან მარტო, მაგრამ ეს მხოლოდ ოცნებაა — რეალურ ცხოვრებაში კი (მათ არ შეუძლიათ დაძლიონ უცნობ ან თუნდაც კარგად ნაცნობ ადამიანებთან ურთიერთობის შიში.

ნუ ვიფიქრებთ, თითქოს ასეთი ადამიანები ყველანი ფსიქოპათები არიან. არა. მეტწილად ეს არის ნორმალური ხასიათის უკიდურესად გამწვავებული ვარიანტები, რაც გამოიწვია სოციალურ-ფსიქოლოგიურმა ზემოქმედებამ, საკუთარი შესაძლებლობების არასაკმაო შეფასებამ, სხვა ადამიანებთან ცუდმა ურთიერთობამ და ცხოვრების სხვა წარუმატებლობამ.

ნოსტალგიის საიდუმლო

მოსკოვის ერთ-ერთ ძველ პატარა ქუჩაზე მდებარეობს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთა კულტურული კავშირის საკავშირო საზოგადოება (შემოკლებით: საზოგადოება „როდინა"). მოსკოველებმა ამ ორგანიზაციის შესახებ არაფერი იციან, საზღვარგარეთ კი ძალზე პოპულარულია რუს მოსახლეობას შორის, რომლებიც ბედის უკუღმართობით აღმოჩნდნენ სამშობლოს გარეთ. ბევრი, ძალზე ბევრი მათგანი გზავნის ამ საზოგადოებაში ნაღელიან და სასოწარკვეთილ ვრცელ წერილებს. ასეთია ადამიანის ბუნება, სიბერეში აგონდება ახალგაზრდობის წლები და გარდასულ დღეთა მოგონებანი მოსვენებას არ აძლევენ. რა თქმა უნდა, ყველა არ გზავნის ბარათებს, წერენ მხოლოდ უიღბლონი.

რა ხდება იმათ გულში, ვინც სხვადასხვა მიზეზის გამო მიატოვა მშობლიური კერა, აინტერესებთ სოციოლოგებს, პოლიტიკოსებს, ფილოსოფოსებს, მწერლებს, ასევე ფსიქოლოგებს და ფსიქიატრებს. ბუნებრივია, რომ ფსიქოლოგიისა და მედიცინის წარმომადგენლებს აინტერესებთ არა სამშობლოს მონატრების მტანჯველი გრძნობის ყველა ასპექტი, არამედ მისი უკიდურესი ფორმები, მით უფრო პათოლოგიური. ამ თემაზე უამრავი სპეციალური ლიტერატურა არსებობს. მათი ავტორები — ძირითადად ჩრდილოამერიკელი მეცნიერები — აღწერენ იმ ადამიანთა სულიერ მდგომარეობას, რომლებიც ბედის ძიებაში იქ ლათინური ამერიკიდან, ევროპიდან, ჩრდილო აფრიკიდან და დედამიწის სხვა კუთხეებიდან ჩავიდნენ.

ასეთ ემიგრანტთა უმრავლესობას აშშ-სა და კანადაში სტანჯავდა სულიერი განცდები, რასაც თან ახლდა სევდა, წარსულის გამძაფრებული ხსოვნა, მოგონებები, გარემოსადმი ზიზღი, იმის შეგრძნება, რომ უცხოები არიან იმ ადამიანებისათვის, ვის შორისაც დაიწყეს ახალი ცხოვრება. ეს განცდები თანდათანობით უკანა პლანზე ინაცვლებდა, ხდებოდა მათი დეზაქტუალიზაცია, ნაკლებ ტანჯვას აყენებდა. ადამია-

ნებს. მაგრამ სამშობლოს სევდა მათ მუდმივად თან სდევდათ: იგი მძაფრდებოდა ასაკთან ერთად, წარსულის მოგონებებთან ერთად, არც ერთ წუთს არ ასვენებდა ადამიანს. დროდადრო ნოსტალგია ისეთი ძლიერი იყო, რომ ადამიანები საშველად ფსიქიატრებს მიმართავდნენ და ისინიც იძულებული ხდებოდნენ სერიოზულად მოეკიდათ ხელი ნოსტალგიით დაავადებულთა მკურნალობისათვის. მაგრამ ასეთი შემთხვევები საკმაოდ იშვიათია. თუ ნოსტალგია პათოლოგიურია, მაშინ ეს მრავალი ფაქტორის ზემოქმედებითაა გამოწვეული. ეტყობა, თვითონ ნოსტალგია კი არ არის ემიგრანტთა ფსიქიკური დაავადების მიზეზი, არამედ ის მხოლოდ ხელს უწყობს დარღვევების (მეტწილად ასაკობრივის) წარმოქმნას ან უკვე არსებულის გამწვავებას. ახალგაზრდებს ნოსტალგია იშვიათად ემართებათ, იგი საშუალო ასაკისა და უმთავრესად ხანში შესულთა პრივილეგიაა.

ზემოთ ნახსენები ცეიგმანი დარწმუნებულია, რომ ნოსტალგიის წარმოშობაში მთავარ როლს ასრულებს სოციალური ფაქტორები: ამა თუ იმ ხალხის ან რასის ადათ-წესები, კულტურის დონე, ემიგრაციის მიზეზები და ა. შ. შვეიცარიაში, სადაც უამრავი ემიგრანტი ცხოვრობს, ნოსტალგიას ბევრი უცხოელი როდი უჩივის. კიდევ უფრო იშვიათია ნოსტალგია იმ ახალგაზრდებში, რომლებიც მეზობელი ქვეყნებიდან (იტალია, პორტუგალია და ა. შ.) უკეთესი ბედის საძებნელად ჩამოსულან აქ, სხვა ცივილიზაციის წარმომადგენლებს კი (მაგალითად, იმავე შვეიცარიაში ჩამოსულ ჩრდილოაფრიკელებს) ხშირად ემართებათ ძლიერი და ხანგრძლივი ნოსტალგია.

რუსი მწერლები ბევრს ლაპარაკობდნენ ნოსტალგიაზე, რომელიც ზოგიერთ მათგანს ისე ძლიერ აწვალებდა, რომ კინაღამ ყულფში გაყო თავი ან ფსიქიატრიულ საავადმყოფოში აღმოჩნდა.

ნოსტალგია ზედმიწევნით დახვეწილად აღწერეს გერცენმა, სალტიკოვ-შჩედრინმა, დოსტოევსკიმ, ტურგენევმა. ამიტომ ბევრი დარწმუნებულია, რომ სლავები ნოსტალგიას სხვა ხალხებზე უფრო მძაფრად განიცდიან. აქ საქმე მარტო არყის ხეებსა და ცირცელში როდია, აქ უფრო ღრმა რაღაც მოქმედებს, რაც თაობიდან თაობას გადაეცემა. იქნებ ეს იმ შორეული დროიდან მოდის, როცა თანამედროვე სლავების წინაპრები, უსაზღვრო ველებსა და ტყეებში გაფანტულები, ხარობდნენ თავიანთი მიწისა და ცის სილამაზით და იცოდნენ, რომ ეს მიწა იცავდა და ასაზრდოებდა. ან იქნებ იმ არცთუ შორეული წარსულიდან მომდინარეობს, როცა რუსი ხალხი თავის ეროვნულ კულტურას ქმნიდა, თავისი ადათ-წესებისა და ტრადიციების ერთგულების შეგნებას აყალიბებდა. ვინ იცის? და სადაც არ უნდა იყოს რუსი ადამიანი, მას მუდამ სდევს

თან საკუთარი კერისა და სამშობლოს სევდა, სამშობლოსი, რომელიც მის გარეშე იარსებებს, მაგრამ თვითონ უსამშობლოდ მუდამ გაეწამება — უსამშობლო ადამიანი ხომ მარტოსულია.

ფიქრები ლოთობაზე, ეპვიანობაზე და ზოგიერთ სხვა ვნებათა ღელვაზე

1870 წელს მოსკოვში გამოვიდა უცნაური წიგნი, რომელსაც გრძელი და პრეტენზიული სათაური ჰქონდა: „ვნებათა ღელვა და დანაშაული. საიდან ჩნდება ვნებათა ღელვა? როგორ დავიცვათ მისგან თავი? სამედიცინო, პოლიტიკური, ზნეობრივი კვლევა-ძიებანი. ცნობილი ამბები, ვნებათა ღელვით გამოწვეული დანაშაულები და მათი სასამართლო გარჩევა. შედგენილია ო. პისარევის მიერ საუკეთესო უცხოელი ავტორების — დეკიურეს, რაიპის, გრიზინგერის, ლენჰოსეკის, ტისოს, ერლენმაიერის, ფუკიეს და სხვ. მიხედვით“. ამ ვრცელ ნაშრომში ნათქვამია: „ვნებათა ღელვა — ეს არის მიდრეკილება, მიყვანილი უკიდურესობამდე... ვნებათა ღელვის მავნეობა მიდრეკილების არსში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ მის უკიდურესობამდე მიყვანაში“.

სათაურში დასმულ არც ერთ კითხვაზე ავტორს არ უპასუხია. თუმცა, წიგნი რომ ჩვენს დროში გამოსულიყო, ალბათ მაინც ვერ გადაჭრიდა მთლიანად ამ ძნელსა და ბნელ პრობლემას. ვერავინ იტყვის ყველაფერს ვნებათა ღელვის ყოველგვარ სახეობაზე. ვერც მე დაგპირდებით ამას. შევეხები მხოლოდ ზოგიერთს რომელთაც პირდაპირი კავშირი აქვთ უჩვეულო ხასიათების ჩამოყალიბებასთან.

დედამიწაზე ბევრია ისეთი ადამიანი, შიზოფრენიით ან ეპილეფსიით დაავადებული რომ არ უნახავს, ანდა ისეთი, ამ წიგნში განხილულ საკითხთა უმეტესობაზე წარმოდგენაც რომ არა აქვს, მაგრამ ალბათ ვერ ნახავთ კაცს, რომელსაც არაფერი გაეგონოს ლოთობაზე, არ ენახოს მთვრალი ადამიანი ან, ადრე თუ გვიან, თვითონვე არ გაესინჯოს სპირტიანი სასმელის გემო. სხვადასხვა ასაკის, სოციალური მდგომარეობის, სხვადასხვა ხასიათის ადამიანები — ყველანი ასე თუ ის ღებულობენ ალკოჰოლს. რაც კაცობრიობა არსებობს, ეს პრობლემაც არსებობს.

ალკოჰოლური ნივთიერება პირობითად შეიძლება განვიხილოთ როგორც თავისებური საკვები პროდუქტი ფსიქიკურად დაავდებული ადამიანებისათვის. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მასზე მოთხოვნილება ფიზიოლოგიური ხასიათისა კი არ არის, არამედ არანორმალური. მაგალითად, ადამიანები ჭამენ ხორცს. იმიტომ რომ იგი აუცილებელია სი-

ცოცხლისათვის (ადამიანი ვერ იქცეოდა ადამიანად ხორცეული საკვების გარეშე), მაგრამ თუ იგი მეტისმეტად ბევრი მიიღეს, თანაც უხარისხო, ეს გამოიწვევს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის აშლილობას, და ამის მიზეზი მხოლოდ ხორცი კი არ იქნება, არამედ ბიოლოგიური სისუსტეც იმ სისტემებისა, რომლებიც ამ საკვების შესათვისებლადაა შექმნილი. ხორცისგან განსხვავებით, ალკოჰოლი არ არის სიცოცხლისათვის აუცილებელი პროდუქტი. ადამიანის ორგანიზმის თვისებურებათა შესაბამისად, ალკოჰოლი შეიძლება იყოს აბსოლუტურად უვნებელი (როგორც წესი, გარკვეულ დრომდე) ან, ადრე თუ გვიან, გახდეს მიზეზი ორგანიზმის რღვევისა. მას შეუძლია მთლიანად დაიმორჩილოს ორგანიზმი. სწორედ ეს დამორჩილებაა პირველი ნიშანი ალკოჰოლური დაავადებისა. ადამიანს უკვე აღარ შეუძლია უალკოჰოლოდ გაძლება: აქედან იწყება ალკოჰოლიზმი, როგორც დაავადება, რაც ჩვეულებრივი ლოთობისგან განსხვავდება. ცხოველებს აღენიშნებათ თითქმის ყველა დაავადება, რაც ადამიანებში გვხვდება, გარდა ალკოჰოლიზმისა — ალკოჰოლიზმი და ლოთობა მხოლოდ ადამიანისთვისაა დამახასიათებელი, და რაც უფრო უხრუნველყოფილია იგი მატერიალურად, რაც უფრო დახვეწილია (ან, უფრო ხშირად, პირიქით, პრიმიტიულია) სულიერად, მით უფრო დაუოკებელი და საშინელია მისი სწრაფვა ალკოჰოლისადმი, რასაც იგი ცხოველურ ყოფამდე მიჰყავს.

ალკოჰოლური დაავადება კერძო ნაწილია ნარკომანიის ვრცელი პრობლემისა. ნარკომანია ნარკოტიკული პრეპარატების უბრალო მიღებას კი არ გულისხმობს, არამედ მხოლოდ ისეთ შემთხვევებს, როცა ადამიანს არ შეუძლია მათ გარეშე არსებობა. ალკოჰოლიკები, მორფინისტები, ავადმყოფები, რომლებიც ღებულობენ ჰეროინს, მარიხუანას და ა. შ. — ყველანი ნარკომანები არიან. ნარკომანიის გავრცელება დამოკიდებულია სოციალურ და კულტურულ პირობებზე, საზოგადოებრივ ტრადიციაზე. მაგალითად, ჩინეთში არასოდეს ყოფილა გავრცელებული ალკოჰოლიზმი (ალკოჰოლიკების რიცხვი იქ, თითქმის მილიარდიან მოსახლეობაში, სულ რამდენიმე ათეული კაცით განისაზღვრება); მაგრამ ავადმყოფური მიდრეკილება ოპიუმის ან ამ ქვეყნისათვის ტრადიციული სხვა ნარკოტიკული ნივთიერებების მიმართ უფრო მეტი იყო, ვიდრე ერთად აღებულ მრავალ სხვა ქვეყანაში.

თვით ალკოჰოლურ ჰალუცინაციებშიც კი ირეკლება სოციალურ-კულტურული ფაქტორი: მაგალითად, ქრისტიან ალკოჰოლიკებს ეშმაკი ელანდებათ, მუსულმანებს — ჯინი, ბუდისტებს — დრაკონი და ა. შ.

ალკოჰოლური დაავადება ნაკლებად ჩნდება ისეთ ქვეყნებში, სადაც

ხშირად ხმარობენ მსუბუქ ღვინოებს, სადაც სტუმარ-მასპინძლობის კულტურა მაღალია, მაგალითად საქართველოში.

ალკოჰოლიზმს სხვადასხვა მეთოდებით მკურნალობენ — მათ შორის ჰიპნოზითაც. პირველ ხანებში ეფექტი კარგია, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ უმრავლესობა (რა თქმა უნდა, ყველა — არა) ხელახლა იწყებს სმას. ეს გამოწვეულია არა მხოლოდ იმით, რომ ნამკურნალევი ადამიანები ხელახლა ხვდებიან მსმელთა წრეში, არამედ იმითაც, რომ ისინი შინაგანად პასიურები, ადვილად შთაგონებადნი არიან.

ბევრი მათგანი სწორედ სოციალური და ბიოლოგიური ზემოქმედებით გამძაფრებული ამ პიროვნული თვისების გამო იქცა ლოთად. ისინი ისეთი პასიურები და ადვილად დასამორჩილებელნი აღმოჩნდნენ, რომ მათი მკურნალობა მხოლოდ ჰიპნოზით გახდა შესაძლებელი. ამავე მიზეზით, დადებითი შედეგი საკმაოდ სწრაფად იჩენს თავს (ამის გამო ალკოჰოლიკები სასურველ ობიექტებს წარმოადგენენ ჰიპნოზის ფენომენის სადემონსტრაციოდ), მაგრამ დიდხანს არ გრძელდება.

რუსეთში ალკოჰოლიზმის მკურნალობა შთაგონებით ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო ბორის ნაუმის ძე სინანიმ, გლებ უსპენსკის, ნ.მიხაილოვსკის და საუკუნეთა გასაყარზე მოღვაწე ბევრი სხვა ლიტერატორის მეგობარმა და საქმის გამგრძელებელმა. თავისი პოლიტიკური შეხედულებებით სინანი მემარცხენე სოციალისტი იყო, აქტიურად ეხმარებოდა რევოლუციონერებს და, საერთოდ, იმ დროის რუს ფსიქიატრთა შორის ერთ-ერთ ყველაზე უფრო მოწინავე ადამიანად ითვლებოდა. ამ ადამიანის ცხოვრებას და პიროვნულ ღირსებებს ეძღვნება მთელი თავი ო. მანდელშტამის მოგონებების წიგნში „დროის ხმაური“ (ლენინგრადი, 1925).

ალკოჰოლისადმი ზიზღს სხვადასხვა მეთოდებით აღწევენ; ერთ შემთხვევაში ავადმყოფებს შთააგონებენ ზიზღს არყის მიმართ (გულისრევა მის დანახვაზე), სხვა შემთხვევაში — შიშის გრძნობას აღუძრავენ.

არყისადმი ზიზღი ორგვარად გამომუშავდება: პირველ შემთხვევაში უბრალოდ შთააგონებენ მას, მეორე მეთოდით — ავადმყოფს თავდაპირველად შეუყვანენ პრეპარატს, რომელიც იწვევს პირღებინებას, მერე, როცა პრეპარატი მოქმედებას იწყებს, მისცემენ ცოტაოდენ არაყს; ამგვარად ყალიბდება პირობითი რეფლექსი არყის მიმართ. შემდგომში ავადმყოფს შეიძლება პირღებინება ისე დაეწყოს არყის დანახვისას, რომ პრეპარატი მიღებული არ ჰქონდეს.

ლოთობა ავადმყოფობა კი არ არის, ცუდი ჩვევაა. ავადმყოფობაა მხოლოდ ალკოჰოლიზმი, რომელიც სხვადასხვა ფორმით ვლინდება, სხვადასხვაგვარად აზიანებს ფსიქიკას და შინაგან ორგანოებს. ალკოჰოლური

დაავადების ზოგიერთი სახეობისას წინა პლანზე გამოდის მრავალრიცხოვანი მხედველობითი ჰალუცინაციები, შიშის მომგვრელი ხასიათისა. ჰალუცინაციები უმეტესად საღამოს პირზე ჩნდება ან ძლიერდება („თეთრი ცხელება"). სხვა შემთხვევაში ვხვდებით მეხსიერების დარღვევას, პერიფერიული ნერვების ანთებას და ზოგიერთ სხვა აშლილობას. ეს გახლავთ კორსაკოვის დაავადება. ასე უწოდეს მას 1889 წელს, მოსკოვში, ექიმთა XII საერთაშორისო ყრილობის მონაწილეებმა დიდი რუსი ფსიქიატრის, სამამულო ფსიქიატრიის ერთ-ერთი ფუძემდებლის — სერგეი სერგეის ძე კორსაკოვის (1854—1900) პატივსაცემად.

მესამე შემთხვევაში წინა პლანზე წამოიწევს გონებასუსტობის ნიშნები, თავის ტკივილი, ადვილი აგზნებადობა და სხვ.

მეოთხე სახეობას ახასიათებს ალკოჰოლური ბოდვა ეჭვიანობის ნიადაგზე, მეხუთეს — დეპრესია, რომლის დროსაც ზოგიერთი ავადმყოფი სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამთავრებს და ა. შ. ძალიან ხშირად, ერთსა და იმავე ავადმყოფს ქრონიკული ალკოჰოლიზმის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ნიშანი აღენიშნება. იზოლირებულად ეს ნიშნები მხოლოდ ფსიქიატრიის სახელმძღვანელოების ფურცლებზე გვხვდება, რომელთა ავტორები ცდილობენ სტუდენტებს გაუადვილონ ეს რთული, ჯერ კიდევ ნაკლებად შესწავლილი მასალა და უმარტივებენ, უნაწევრებენ, თაროებზე უწყობენ ყველაფერს. სინამდვილეში საკითხი გაცილებით უფრო რთულია.

ჩვეულებრივ ლოთსა და ალკოჰოლიზმით დაავადებულს განასხვავებს გამოზარხოშების სინდრომი, რომელიც დაწვრილებით აქვს აღწერილი მრავალ ფსიქიატრს და, უპირველეს ყოვლისა, საბჭოთა მეცნიერს — სამუილ გრიგოლის ძე ჟისლინს. გამოზარხოშების სინდრომი სხვადასხვაგვარად ვლინდება. ერთ-ერთი გამოვლენაა, როცა თრობის მეორე დღეს აუცილებელია ალკოჰოლის მიღება გუნებაზე მოსაყვანად, მოთენთილობის დასათრგუნავად და ა. შ. ქრონიკული ალკოჰოლიზმით დაავადებულებს ნივთიერებათა ცვლა იმდენად გადასხვაფერებული აქვთ, რომ ალკოჰოლის შეთვისების შედეგად წარმოქმნილი პროდუქტები მათი ნივთიერებათა ცვლის აუცილებელ ნაწილს წარმოადგენენ და სისხლში ალკოჰოლის შესაბამისი კონცენტრაციის გარეშე სიცოცხლე არ შეუძლიათ.

სპირტიან სასმელებს ყველა ღებულობს, ქრონიკულ ალკოჰოლიკებად კი ერთეულები იქცევიან: ყოფით ლოთობას არ ვეხები, მას მედიცინასთან საერთო არაფერი აქვს. მაშ ვინ ავადდება ალკოჰოლიზმით? პირველ რიგში უნებისყოფო ადამიანები. მაგრამ რატომ შეუსუსტდათ მათ ნებისყოფა? იქნებ ეს ალკოჰოლიზმის შედეგია და არა მიზეზი? ყვე-

ლაზე ხშირად, ეს მიზეზიცაა და შედეგიც. ალკოჰოლური დაავადებისას ხომ თითქოს მოჯადოებული წრე იკვრება: ლოთობის შედეგად უნებისყოფო ადამიანები კიდევ უფრო სუსტი ნებისყოფისანი ხდებიან და უკვე აღარ ძალუძთ შეჩერება, ვიდრე დეგრადირებულ ალკოჰოლიკებად არ იქცევიან.

ლოთობა დამღუპველად მოქმედებს ლოთის ახლობელთა ბედზე. იტანჯებიან ბავშვები, ცოლი, მეზობლები. უმახინჯდებათ ხასიათი, ეცემა მათი შრომისუნარიანობა, უძლიერდებათ აგზნებადობა, ხდებიან კონფლიქტურები. ექიმები ხშირად მიუთითებენ იმაზე, თუ მამების ლოთობა როგორ აუბედურებს შვილებს, მაგრამ ძალზე ცოტას წერენ ლოთების ცოლებზე. აი, ვინ იტანჯება ყველაზე მეტად! აი, ვინ არის ყველაზე უფრო შესაბრალისი!

ჩეხოსლოვაკიელმა მკვლევარებმა შეისწავლეს 40 ქრონიკული ალკოჰოლიკის ცოლების მდგომარეობა. ეს ალკოჰოლიკები ფსიქიატრიული სტაციონარის ხშირი პაციენტები იყვნენ. ამ ორმოცი ცოლიდან მხოლოდ ხუთს არ აღმოაჩნდა ცოლქმრული ცხოვრების პერიოდში განვითარებული და ქმრების ლოთობასთან დაკავშირებული ფსიქიკური პათოლოგია. მხოლოდ ხუთს! დანარჩენებს ჰქონდათ ნევროზი, ფსიქოგენური ფსიქოზი, მრავალი დამახასიათებელი გადახრა და სხვ. ასეთი ცოლები იშვიათად მიმართავენ ფსიქიატრებს, მათ ისიც ჰყოფნით, რომ მათი ქმრები და შვილები დადიან ექიმებთან. ისინი კი როგორმე მოითმენენ. ბევრი ალკოჰოლიკი საბოლოოდ განწირულია, ბევრი მათგანი სოციალურად მკვდარია, ამიტომ, როცა მათ ვეხმარებით, უეჭველად უნდა გვახსოვდეს ცოცხლები, ისინი, ვისაც ლოთებმა ჯერ კიდევ ვერ მოუღეს ბოლო. თუ ალკოჰოლიკი სიცოცხლეს თვითმკვლელობით დაამთავრებს ან მთვრალი მანქანის ქვეშ აღმოჩნდება, საზოგადოებისთვის ეს დიდი დანაკლისი არ არის (ზოგჯერ მხოლოდ ალკოჰოლიკის სიკვდილის შემდეგ იწყებს მისი ოჯახი ნორმალურ ცხოვრებას, მანამდე კი მრავალი წლის მანძილზე მსოლოდ ტანჯვა იყო მათი არსებობა). უპირველეს ყოვლისა, იმათზე უნდა ვიფიქროთ, ვინც ლოთების მიზეზით ინვალიდი ხდება. ალკოჰოლიკის იზოლაცია ყოვლად აუცილებელია. რაც უფრო მკაცრად მოექცევა მათ საზოგადოება, მით უკეთესია ლოთებისთვისაც, რომ აღარაფერი ვთქვათ საზოგადოებაზე. ჰუმანიზმი, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა იმათ მიმართ, ვინც იმსახურებს ჰუმანურ მოპყრობას.

ალკოჰოლიკები ანტისოციალურად იქცევიან არა მხოლოდ ფსიქიატრიულ დაწესებულებათა კედლებს გარეთ, არამედ თვითონ საავადმყოფოებშიც. სწორედ ისინი არიან ჩხუბის წამომწყებნი და ა. შ.

ალკოჰოლიკები მარტონი არ არიან ქვეყნად. ახლა ნარკომანიის სხვა სახეებსაც აღწერენ. ნარკომანებზე ფილმებს იღებენ, მათზე ლაპარაკობენ ტელევიზიითა და რადიოთი, თითქოს კაცობრიობას ნარკომანები თავის განუყოფელ ნაწილად მიაჩნდეს. საბედნიეროდ, საბჭოთა კავშირში ნარკომანია იშვიათი მოვლენაა. ნარკომანთა მკაცრი დევნა და ქვეყანაში მსგავსი პროდუქტების შემოზიდვის მკვეთრი შეზღუდვა მხოლოდ მისასალმებელია. ნარკომანებთან ბრძოლა მათი რიცხვის შემცირებას იწვევს. საზოგადოება არ უნდა ითმენდეს ადამიანებს, რომელნიც ვერ აფასებენ მათ მიმართ კეთილ დამოკიდებულებას, თავისუფლებასა და დემოკრატიას.

ინგლისში ცხოვრობდა მწერალი თომა დე ქუინსეი (1785—1859). მან სახელი გაითქვა წიგნით „ოპიოფაგის ჩანაწერები". ეს არის მსოფლიო ლიტერატურაში პირველი ავტობიოგრაფია მორფინისტისა. წიგნი მალე იქცა ბესტსელერად და მოდის ზოგიერთი თავგადაკლული მიმდევარი ახალ შეგრძნებებს აზიარა: ამ ადამიანთა შორის აღმოჩნდა შარლ ბოდლერიც. დიდებული პოეტი ოპიუმის თავდავიწყებული ტრფიალი გახდა და სულ მალე ნამდვილ ნარკომანად იქცა: თუმცა გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ იგი უფრო თავს იწონებდა ოპიუმისადმი თავისი სიყვარულით, ვიდრე სინამდვილეში სჭირდებოდა ეს ნარკოტიკი.

ბოდლერის წყალობით, XIX საუკუნის შუა ხანების ყველა ფრანგი მწერალი, რომელიც პატივს სცემდა საკუთარ თავს, ცდილობდა ერთხელ მაინც ეგემა ოპიუმი, რომ შემდეგ ხატოვნად აღეწერა თავისი განცდები და ამგვარად გაეთავისებინა ყოველივე ის, რაც ასე დაწვრილებით აღწერა ქუინსეიმ. დღესაც ლიტერატურულ წრეებში ბევრია ისეთი უნებისყოფო ადამიანი, რომელიც თავს იწონებს ნარკოტიკების სიყვარულით. სჯობდა, სხვა რამ აერჩიათ სატრაბახოდ, ნარკოტიკებისგან კი თავი შორს დაეჭირათ.

1970 წელს ერთმა ფრანგულმა ჟურნალმა გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც მითითებულია, რომ საფრანგეთში ნარკომანიის პრობლემა (ბევრი ექიმი ამჯობინებს ტერმინს „ტოქსიკომანია", ანუ გაუცნობიერებელ და ძლიერ სწრაფვას ტოქსიკური მოქმედების მქონე ნივთიერებებისადმი. მაგალითად, ზოგიერთი ნარკომანი თავისი მიზნებისათვის იყენებს ბენზინს, გამონაბოლქვ გაზებს და ზოგ სხვა ტოქსიკურ ნივთიერებას) არც ისეთი აქტუალურია, როგორც ამეიიკის შეერთებულ შტატებში, მაგრამ მას მაინც დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. საქმე ის გახლავთ, რომ ტოქსიკომანთა რიცხვი განუწყვეტლივ იზრდება, და თუ ეს ზრდა

არ შეჩერდა, ნარკომანიის პრობლემა უმთავრესი ვაბდება ფრანგულ მედიცინაში. კერძოდ, 1966 წელს საფრანგეთში დაახლოებით 3 ათასი რეგისტრირებული ნარკომანი იყო. 1970 წლისათვის ეს ციფრი ხუთჯერ გაიზარდა, ხოლო თუ ჰაშიშის შემთხვევით მწეველებსაც მივათვლით, მაშინ 12—15-ჯერ გაზრდილი გამოვა. უფრო ხშირად ტოქსიკომანები ხდებიან 15—18 წლის ახალგაზრდები. ნარკოტიკების გამავრცელებლები არიან ჰიპები, აგრეთვე ჩრდილო აფრიკიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან ჩამოსული პირები. ახალგაზრდა ნარკომანები, ჩვეულებრივ, აყალიბებენ თავიანთ ჯგუფებს, იკრიბებიან განსაზღვრულ კაფეებში, მათ შორის გავრცელებულია პროსტიტუცია, ჰომოსექსუალიზმი და სხვა სექსუალური ანომალიები. ეს იმით აიხსნება, რომ ნარკოტიკებს ყველაზე ხშირად სწორედ ამა თუ იმ სექსუალური ანომალიის მქონე პირები ეტანებიან. ხოლო იმისათვის, რომ იშოვონ პრეპარატები, რომელთა გარეშეც სიცოცხლე არ შეუძლიათ, ხშირად ადგებიან პროსტიტუციის გზას. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ნარკომანებს შორის ძალიან დიდია იმპოტენტთა რიცხვი: ნარკოტიკების მიღება იწვევს იმპოტენციას, ხოლო უკვე არსებული იმპოტენცია უბიძგებს პიროვნებას ნარკომანიისაკენ — ასე მიიღება მოჯადოებული წრე. ნარკომანთა უმრავლესობას მკვეთრად ეროვევა ჯანმრთელობა, ხშირად ემართებათ სიყვითლე და ღვიძლის სხვა დაავადებანი. გასაკვირია, როგორ უძლებენ ეს ადამიანები ნარკოტიკების უკიდურესად დიდ დოზებს.

ნარკომანთა შორის გაცილებით მეტია ათაშანგით დაავადებულთა პროცენტი (რომ აღარაფერი ვთქვათ შედარებით ნაკლებ საშიშ ვენერიულ დაავადებებზე, მაგ., გონორეაზე). ეს მათი უწესო ცხოვრების შედეგია. ალკოჰოლიკები საავადმყოფოში უმეტესად თეთრი ცხელების გამო ხვდებიან (მედიკოსების ენაზე მას დელირიუმი ჰქვია). ფსიქიატრებს დიდი ხანია აინტერესებთ, თუ ასეთი ცხელების დროს რატომ ეჩვენებათ ავადმყოფებს ისეთი რამ, რაც სინამდვილეში არასოდეს უნახავთ, მაგალითად ეშმაკები, დრაკონები და ა. შ. საერთოდ, ჰალუცინაცია ხორცშესხმული ფიქრია ადამიანისა. ყველაფერს, რაც ჩვენ ვიცით (არა მარტო პირადი გამოცდილებით, არამედ მონაყოლიდან წაკითხულიდან, ლეგენდებიდან) შეუძლია ჰალუცინაციის ფორმა მიიღოს. არცერთ ფსიქიურად ჯანმრთელ ადამიანს ეშმაკი არ მოლანდებია, მაგრამ ყველას მოუსმენია მათზე ზღაპრები, ყველამ იცის, რომ ეს მითიური არსებანი ერთგვარად ცოცხლობენ ჩვენს ცნობიერებაში აღზრდისა და იმ ინტელექტუალურ-წარმოსახვითი ცოდნის მარაგის წყალობით, რომელიც ყველა ადამიანს გააჩნია. ეშმაკებით აშინებენ ბავშვებს, ხოლო როდესაც მოზრდილი ადამიანი თვრება, ანუ ამორალურ საქციელს სჩადის, მის ცნობიერე-

ბაში ამოტივტივდება ეშმაკის ხატება, ჯინი, დრაკონი. ყველაფერი ის, რითაც ბავშვობისას აშინებდნენ, ავადმყოფობის ჟამს იჩენს თავს.

მართალია, ბევრს ბავშვობაში მილიციონერითაც აშინებდნენ და ექიმითაც, რომელიც ნემსს გაუკეთებდა, მაგრამ რატომღაც არც ერთ ნარკომანს არასოდეს არ მოლანდებია ამ პროფესიის ადამიანები. როგორც ჩანს, ყოველივე ის, რაც მრავალი თაობის ფსიქიკაში ილექებოდა საუკუნეთა მანძილზე, უფრო ძლიერია, ვიდრე შედარებით ხანმოკლე გამაღიზიანებელი.

ალკოჰოლური ცხელების დროს ავადმყოფს შემთხვევითი რამ არ ეჩვენება. ყველაფერი კანონზომიერად გამომდინარეობს მისი გონებრივი მონაცემებიდან, წინაპართა ერთიანი წარსულის დანაშრევებიდან.

ასეთი პრობლემების ახსნა ფსიქიატრებს არც შეუძლიათ. აქ, ალბათ, დიდ წვლილს შეიტანდნენ სოციალური ფსიქოლოგები, ისტორიკოსები და სხვა სპეციალისტები — არა ექიმები.

ნარკომანთა შინაგანი სამყარო უფრო ხშირად დისჰარმონიულია, მათ შორის სჭარბობენ ფსიქიკურად უმწიფარი სუბიექტები. მათი ინფანტილურობა ხელს უწყობს ნარკომანიას (უმწიფარი ადამიანები ყოველთვის ადვილად შთაგონებადნი არიან და ანტისოციალური ხასიათის ჯგუფებისკენ მიუწევთ გული). ამავე დროს, ინფანტილური ნარკომანების მკურნალობა გაძნელებულია: მათ მუდმივი კონტროლი სჭირდებათ, რაც ყოველთვის არ ხერხდება.

კავკასიელი მთიელების გამათავისუფლებელი ბრძოლების ბელადის შამილის (1798—1871) ხმალზე ამოკვეთილი იყო წარწერა: „მამაცი არ არის, ვინც ბრძოლისას შედეგზე ფიქრობს“. შეიძლება ასეთი ადამიანი მართლაც არ იყოს მამაცი (თუმცა დასაზუსტებელია, რა იგულისხმება ამ ნათქვამში), მაგრამ თუ კაცი საერთოდ არ ფიქრობს თავისი საქციელის შედეგებზე, ის არ შეიძლება ჩაითვალოს მომწიფებულ და შორსმჭვრეტელ პიროვნებად. როცა ადამიანს არ ძალუძს საკუთარი ქცევის შედეგების გათვალისწინება, ეს მისი ფსიქიკის ინფანტილურობაზე მიუთითებს. მსგავსი რამ ხშირია ლოთებში. ასეთი სუბიექტები სხვადასხვა მიზეზის გამო ეტანებიან ნარკოტიკებს (წამხედურობით, ცნობისმოყვარეობით და ა. შ.), და რაკი არ შეუძლიათ დროულად შეჩერება, საკუთარი საქციელის შედეგის განსაზღვრა, სულ უფრო ძლიერ ემონებიან უკულმართ ვნებას.

ნარკომანთა შორის გვხვდებიან დაბადებით ინტელიგენტი ადამიანები, რომლებიც ბოლოს და ბოლოს მთლად ეშვებიან, ძნელად საცნობი თავხედები და ბოროტმოქმედნი ხდებიან. არიან ისეთებიც, რომლებიც გალოთდნენ არა მხოლოდ მშობლების წამხედურობით, არამედ იმიტომაც,

რომ საზოგადოება და, პირველ რიგში, ოჯახი მეტისმეტად რბილად, უპასუხისმგებლოდ, შემწყნარებლურად ეკიდებოდა მათ. სიკეთე, ალერსი, პატიება — ყოველივე ეს კარგია, თუ ზომას არ გადადის. მაგრამ თუ მშობლებს მხოლოდ ეცოდებათ შვილი და არ უვითარებენ მას პასუხისმგებლობისა და დამოუკიდებლობის გრძნობას, მაშინ ბავშვი (საბედნიეროდ, არა ყოველთვის) უსუსური იზრდება და არ შესწევს უნარი წინ აღუდგეს ცთუნებას, არ ჰყოფნის ნებისყოფა, რომ თავისი გაიტანოს, მიაგნოს საკუთარ ადგილს ცხოვრებაში. ასეთები მუდამ წუწუნებენ, ლოთობენ, უსაქმურობენ და, რა თქმა უნდა, ნარკოტიკებს ეტანებიან.

ბავშვები და ლოთობა

პერიოდულად გვხვდება ცნობები იმის შესახებ, რომ ალკოჰოლიზმი ბავშვთა და მოზარდთა შორის მკვეთრად გახშირდა და თუ ასე გაგრძელდა, სულ მალე მოზარდი თაობა ერთიანად გადაგვარდებაო. სინამდვილეში, ზოგჯერ მართლაც ვხვდებით ალკოჰოლიზმის შემთხვევებს ბავშვებსა და მოზარდებში; ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება, როცა ბავშვები ადრეული ასაკიდან ღებულობენ ალკოჰოლს. მაგრამ ეს არ გვაძლევს უფლებას ზოგადი დასკვნები გამოვიყვანოთ მთელი მოზარდი თაობის მიმართ. იმ ფაქტმა, რომ დიდი ფრანგი მხატვარი მორის უტრილიო (1885—1955) სკოლამდელი ასაკიდან ამეღავნებდა ალკოჰოლური დაავადების ნიშნებს, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გვაფიქრებინოს, რომ ყველა მისი თანატოლი ლოთი იყო. იგივე შეიძლება ითქვას ლოთობის შესახებ ჩვენს დროშიც. ალკოჰოლიზმით დაავადებული ბავშვებისა და მოზარდების რიცხვი საბჭოთა კავშირში ძალზე მცირეა და ფსიქიკურად დაავადებულთა შორის უმნიშვნელო პროცენტს შეადგენს. სხვა საკითხია, რომ ყოფითი ლოთობა უკანასკნელ ათწლეულებში წინანდელზე უფრო გახშირდა. ეს ეხება ყველა ასაკის ადამიანს და მათ შორის მოზარდებსაც. ბავშვების ლოთობისაკენ მიდრეკილებას (და აქედან გამომდინარე ალკოჰოლიზმს) ორი ძირითადი მიზეზი აქვს: 1. უფროსთა მიბაძვა და 2. მისწრაფების გაძლიერება და გაუკუღმართება. უკანასკნელ შემთხვევაში ბავშვებს მკურნალობენ იმ ძირითადი პათოლოგიის ნიშნით, რამაც გამოიწვია ალკოჰოლისადმი გაძლიერებული სწრაფვა. მაგრამ ყველაზე ხშირად ბავშვთა ლოთობის მიზეზია უფროსთა მიბაძვა, ლიტერატურული თუ კინემატოგრაფიული პერსონაჟების მაგალითი. ძნელად შეხვდებით ახლა ფილმს, რომლის გმირებიც არ სვამენ ან არ ეწევიან. მოზრდილი მაყურებელი ამას რეალურობის ასახვად მიიჩ-

ნევს, ბავშვი ან მოზარდი კი მიბაძვის ობიექტებად. მას არ შეუძლია ყოფის რეალურობა განასხვაოს ხელოვნების რეალურობისაგან. ლიტერატურისა და ხელოვნების ორიენტირება იმ ხაზით, რომ არ წარმოსახონ ლოთები ან მწეველები და ამით მოუსპონ მოზარდებს მისაბაძი ობიექტი — ულოგიკო და უსამართლო იქნებოდა. ხომ ვერ მოესპობთ მთელ ავიაციას იმის გამო, რომ ზოგიერთი თვითმფრინავი იმსხვრევა, ვერც ზღვებსა და მდინარეებს ამოვაშრობთ, რომ შიგ არავინ დაიხრჩოს.

ლოთები მარტო მოზარდებსა და ბავშვებს როდი აძლევენ ცუდ მაგალითს. ლოთობა ოჯახის წევრთა მრავალგვარი ნევზროზისა და ქცევის დარღვევის მიზეზიც არის. შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში, ბავშვთა ფსიქიკური აშლილობის მიზეზია მშობელთა ლოთობა, მათი სოციალური დეგრადაცია, ხულიგნობა, ცუდი თვითკონტროლი და ა. შ. თუ მამის ლოთობის შედეგად ბავშვები ნევროტიკები ხდებიან, დედის ლოთობა შვილებში გონებასუსტობას იწვევს (განსაკუთრებით, თუ ჩასახვა ძლიერი სიმთვრალის მომენტში მოხდა). ასეთი ბავშვების აღზრდა შემდგომ მძიმე ქრონიკულ ტრავმად იქცევა მშობლებისა და ახლობლებისათვის, მთელი საზოგადოებისათვის კი უსიამოვნო ტვირთად.

მაგრამ ვიდრე მეცნიერები კამათობენ, თუ ვინ უფრო მეტადაა დამნაშავე — ლოთი მამა თუ ლოთი დედა. ან ორივე ერთად, — საჭიროა ყოველნაირად ვებრძოლოთ ყოფით ლოთობას და მის კარიკატურულ შედეგს — ალკოჰოლურ დაავადებას. უნდა მივესალმოთ ყოველგვარ ნაბიჯს (თუნდაც მეცნიერულად ჯერ დაუსაბუთებელს — მეცნიერები, როგორც წესი, ნელა ირჯებიან) ლოთობის მიზეზების აღმოფხვრის გზაზე— რეპრესიებს, მშრალ კანონს, არყის წარმოების აკრძალვას და ა. შ. იყო შემთხვევები, როცა კრებაზე ერთდროულად განიხილებოდა:

1. ლოთობის დაძლევის საკითხზე მთავრობის დადგენილების შესრულების მიმდინარეობა.

2. სპირტიანი სასმელების სარეალიზაციო ღონისძიებათა გაუმჯობესების გზები.

ერთი გამორიცხავდა მეორეს. პრაქტიკულად ასე ებრძოდნენ ლოთობას ყველა ქვეყანაში და ყველა დროში.

„აბა, ვაჟკაცო, დალიე ცოტა...“

შაბათ დღეს ლუდის ბარში გათამაშებული სცენა: ბიჭუნა, ალბათ სკოლამდელი, ლიმონათს სთხოვს მამას, რომელიც მეგობრებთან ერთად ლუდის კათხას კათხაზე სცლის. „აქ ლიმონათი არ არის, აჰა, დალიე ლუ-

დი“, — ეუბნება მამა შვილს და იღიმება, როცა ბიჭუნა ლუდს მოსვამს და დაიმანჭება. „რაო, მწარეა? შენ გეგონა, ჩვენ აქ ტკბილად ვატარებდით დროს?“ — იმეორებს ლოთების ძველ ხუმრობას ერთ-ერთი უფროსთაგანი. ბიჭს უნდა მიბაძოს უფროსებს და ძლივძლივობით სვამს კიდევ რამდენიმე ყლუპს. ცოტა ხნის შემდეგ, სასიამოვნოდ შემთვრალი, ისევ თხოულობს სასმელს... ვიღაც ცდილობს შეაჩეროს დაუფიქრებელი მამა, ის კი არავის უსმენს: „რა მოხდა, ეს ხომ ლუდია და არა არაყი, წყურვილს მოუკლავს...“

დავუშვათ, სუსტი ალკოჰოლური სასმელის რამდენიმე ყლუპი (აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ლუდი სუსტია მხოლოდ მოზრდილებისთვის) ბავშვის ორგანიზმს დიდ ვნებას არ მოუტანს, მამა და მთელი ოჯახი კი სხვა დროს აღარ გაიმეორებენ მსგავს შეცდომას. მაგრამ ბავშვს, რაკი ერთხელ იგემა, მშვენივრად ამახსოვრდება, საიდან მოდის ის სასიამოვნო შეგრძნება. და როცა ხელში მოხვდება ჭიქაში ჩარჩენილი პორტვეინი ან სხვა რომელიმე ღვინო, სიამოვნებით შენიშნავს, რომ მათრობელა სასმელი ტკბილიც ყოფილა და გემრიელიც. მერე და მერე მეტს დალევს.

მშობლები, უმეტეს შემთხვევაში, არაფერს ეჭვობენ. გვიან მიხვდებიან და დაიწყებენ ექიმებთან სირბილს, თან უკვირთ, საიდან დაიწყო ყველაფერი. მოვიყვან კიდევ ერთ უჩვეულო შემთხვევას.

ერთხელ ჩემთან მოვიდა ახალგაზრდა სამხრეთელი ქალი.

— ექიმო, მიშველეთ! ჩემს ბიჭუნას რაღაც ემართება, ღამღამობით ვერ იძინებს, ვიღაცას ემალება, ყვირის...

ვუყურებ — ჩვეულებრივი ბავშვია, განვითარების ისტორიაშიც საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ. ეჭვი გამიჩნდა, მაგრამ იმდენად არაბუნებრივი მეჩვენა მისი ასაკისათვის, რომ თვითონვე გამიჭირდა დაჯერება — ოთხი წლის ბავშვი და ალკოჰოლური ცხელების ნიშნები? ორში ერთი იყო — ეს ან ალკოჰოლის გამუდმებული და ხანგრძლივი მიღების შედეგი გახლდათ, ან ცოტა ხნის წინანდელი მოწამვლისა, მაგალითად, მედიკამენტებით. მეორე მოსაზრება დედამ გამიქარწყლა და აი, რა მიამბო.

ახალდაბადებული ბავშვი ხშირად და დიდხანს ტიროდა. გარშემო მყოფთ მოთმინება ელეოდათ. გამოჩნდა ვიღაც მოხუცი კეთილისმსურველი და დედას ურჩია, ბავშვისათვის ღვინოში დამბალი პურის გული მიეცა. ბიჭი მალე დაწყნარდა, იოლად იძინებდა. მაგრამ საწოვარას დრო გავიდა და ახლა დასამშვიდებელი საშუალების გარეშე უკვე ვეღარ ძლებდა, ყვიროდა და არ ჩერდებოდა, ვიდრე გულჩვილი მშობლები კოვზით წყალნარევ ღვინოს არ ჩააყლაპებდნენ...

ნუთუ ჩემს წინ ნორჩი ალკოჰოლიკი იდგა? ნამდვილად ასე იყო. ეს შემთხვევა, რა თქმა უნდა, გამონაკლისი გახლავთ, ჩემს მრავალწლიან პრაქტიკაში მსგავსი რამ არასოდეს შემხვედრია და, იმედი მაქვს, აღარც შემხვდება.

აღმაშფოთებელია ის ფაქტი, რომ ახალგაზრდა დედებმა ხშირად არ იციან, რა მავნებლობა მოაქვს ბავშვის ორგანიზმისთვის ალკოჰოლს. არა, ისინი სპირტიან სასმელს ბავშვს არ აძლევენ, მაგრამ საღამოს, ბოლო კვების წინ, თვითონ სვამენ ჭიქა არაყს ან ღვინოს, რომ ბავშვმა მალე დაიძინოს და ღამით უფროსებს ძილი არ დაუფრთხოს. რა გულუბრყვილობაა იმის ფიქრი, რომ ბავშვს ეს ვნებას არ მოუტანს. ალკოჰოლი დედის რძიდანაც შეაღწევს ბავშვის სხეულში და თავის ბნელ საქმეს გააკეთებს, გამოუსწორებელ დაღს დაასვამს ნაზ ორგანიზმს. დაიწყება მტანჯველი დიათეზები, ალერგიები, გაუთავებელი სურდოები, გულის უკმარისობა, ძვლის სისტემის დეფექტები და ა. შ. ყველაზე მთავარი უბედურება კი წინ იქნება ჩასაფრებული — ქრონიკული ალკოჰოლიზმის წანამძღვრები არ დაახანებენ და ბოლოს საზარელ ავადმყოფობად იქცევიან. ზოგს იგი ადრე გამოაჩნდება მთელი ძალით, ზოგს გვიან. თხუთმეტი ან ორმოცი წლის ასაკში, მაგრამ უეჭველად გამოაჩნდება, თუ მშობლები და აღმზრდელები დროულად არ აღმართავენ დაუძლეველ კედელს ბავშვებსა და ალკოჰოლურ სასმელებს შორის. ეს უნდა გაკეთდეს ყოველ მიზეზს გარეშე. დიახ, სწორედ **ყოველ მიზეზს გარეშე!**

დავიხსომოთ: გამოუსწორებელ ლოთებს შორის იშვიათია ისეთი ადამიანები, რომელთაც შემთხვევით უვითარდებათ სწრაფვა ალკოჰოლისადმი, რაიმე განსაკუთრებული გარემოების მიზეზით. ძირითადად ლოთობენ ისინი, ვისაც ბავშვობისას შეგნებულად თუ შეუგნებლად ასმევდნენ უფროსები თავიანთ სუფრაზე, ვისაც თავდაპირველად სულ პატარა ჭიქას უდგამდნენ ტკბილი წვენით, მერე კი უფრო მაგარი სასმელის ყლუპსაც გაასინჯებდნენ — მადის მოსაგვრელად.

მოზარდებსა და ახალგაზრდებს ერთი ზნე სჭირთ, რაც უფროსებს ხშირად ატყუებს, ადუნებს მათ სიფხიზლეს. ძლიერი ფსიქოლოგიური და ჰორმონული ცვლილებების გამო, რაც მოზარდ ორგანიზმში ხდება, ახალგაზრდები ცუდად იტანენ ალკოჰოლს — არყის სულ მცირე დოზასაც კი გამოჰყავს ისინი წყობიდან და კარგა ხნით აზიზღებს სასმელს. სამწუხაროდ, სწორედ ეს აბნევს უფროსებს („ჩემი შვილი ვერ იტანს ალკოჰოლს, ის არასოდეს არ გალოთდება"). მათ მხედველობიდან რჩებათ მნიშვნელოვანი ფაქტორი — მოზარდი ცდილობს საკუთარი „მე" დაიმკვიდროს უფროსების სამყაროში. თანამედროვე ფიზიოლოგიური და პათოლოგიური აქსელერაციის დროს, დაჩქარებული სქესობრივი მომ-

წიფების გამო ვნებები უფრო გამძაფრებულია, მისწრაფებანი გაძლიერებული. აი რატომ არის, რომ ყმაწვილი, მიუხედავად ზიზღისა, მაინც ეტანება სპირტიან სასმელს; ითმენს გულის რევას, თავის ტკივილს, საჭმლის მომნელებელი ტრაქტის მოშლას — მას სურს იგრძნოს შინაგანი თავისუფლება, აიმაღლოს განწყობილება, დათრგუნოს მისი ასაკისათვის დამახასიათებელი არასრულფასოვნების გრძნობა, რომ იოლად მიუახლოვდეს უცნობ გოგონას, დამოუკიდებლად ეჭიროს თავი თანატოლებში, უფროსი ბიჭების წრეში და საერთოდ, „ნამდვილი მამაკაცი იყოს“.

ეს ის პერიოდია, როცა განგაში უნდა ავტეხოთ. აკი ჩვენს თვალწინ ყალიბდება ალკოჰოლური ქცევის სტერეოტიპი — ეს სტერეოტიპი თანდათან მტკიცდება ალკოჰოლის ჯგუფური მიღებით, მისი საყიდელი თანხის ერთობლივი შეგროვებით, დასალევი ადგილის ძებნით, შექეიფიანებული საუბრებით... მოსწავლის მოვალეობანი, წიგნები, საყვარელი მეგობრები უკანა პლანზე გადადიან. ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი პიროვნება გახრწნილების ზღვარზეა მიმდგარი.

ამ კატეგორიის მოზარდებს, სპირტიანი სასმელების რეგულარული მიღების გამო, ძალიან სწრაფად უჩნდებათ სომატური და ფსიქიკური ცვლილებანი, რის შედეგადაც ისინი ბიოლოგიურად დამოკიდებულნი ხდებიან ალკოჰოლზე, ე. ი. ალკოჰოლი ხდება ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის განუყოფელი ნაწილი.

ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობდა, რომ მოზარდთა ალკოჰოლიზმი შედეგი იყო მათი ბიოლოგიური დეფექტურობისა. მაგრამ გამოკვლევებმა ცხადჰყვეს: იმ ალკოჰოლიკთა ორ მესამედს, რომელთაც ადრე დაიწყეს ლოთობა, ბავშვობისას არავითარი ბიოლოგიური ანომალია არ აღენიშნებოდათ. მაგრამ მათი აბსოლუტური უმრავლესობა ისეთი ოჯახებიდან იყო, სადაც სპირტიან სასმელებს დიდ პატივს სცემდნენ. საკუთარი, როგორც ექიმის, მრავალწლიანი გამოცდილებით ვამტკიცებ: მთავარი მიზეზი მოზარდთა ალკოჰოლიზმისა მათი დედების ან მამების ან ორივე მშობლის უზნეობა, თავაშვებულობა და უპასუხისმგებლობაა. სკოლას და კომკავშირულ ორგანიზაციასაც ბევრი მოეთხოვება, მაგრამ მათ ყოველთვის არ შეუძლიათ ოჯახზე ზემოქმედება. ვფიქრობ, დადგა დრო, რომ მთელმა საზოგადოებამ გაიცხოს ასეთ მშობელთა უპასუხისმგებლობა. საჭიროა დიდი სიმკაცრე და მომთხოვნელობა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან, აგრეთვე მათ სამუშაო ადგილზე.

სამედიცინო მეცნიერებამ და პრაქტიკამ უეჭველად უნდა გააძლიეროს ბრძოლა ალკოჰოლისაგან მოზარდების დასაცავად. მათ უნდა განახორციელონ ალკოჰოლიზმის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონის-

ძიებანი, კერძოდ — ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოთერაპია. იგი აერთიანებს ფსიქიატრიას, ნარკოლოგიას, ფსიქოლოგიას, პედაგოგიკას, სოციოლოგიას, და რაკი მოვლენისადმი მრავალმხრივი მიდგომის უნარი შესწევს, ძალაც დიდი აქვს. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოთერაპიამ უკვე დაამტკიცა თავისი შესაძლებლობანი, მას მაინც დიდი მხარდაჭერა სჭირდება. საჭიროა ქსელის გაფართოება. გზად კი ბევრი სირთულე და დაბრკოლებაა. მაგალითად, გასაჭრელია სპეციალისტთა მომზადების პრობლემა, ისეთი ხალხის შერჩევა, რომელთაც შეუძლიათ ამ პროფილით მუშაობა. ხაზგასმით ვამბობ — შეუძლიათ-მეთქი. გნებავთ, იმასაც ვიტყვი, რომ მათ საამისო ნიჭიც უნდა ჰქონდეთ. ყოველ ექიმს შეუძლია თერაპევტად ან პედიატრად მუშაობა, მაგრამ ფსიქოთერაპევტობა ყველას არ ძალუძს.

ყველა ჩვენგანის, როგორც საზოგადოების წევრისა და როგორც სპეციალისტის წინაშე გადაუდებელი ამოცანა დგას — ერთხელ და სამუდამოდ მოვსპოთ ლოთობა. ვებრძოლოთ მას ყველგან — შინ, სამსახურში, სასწავლებელში, საზოგადოებრივ ადგილებში! და, უპირველესად ყოვლისა, უნდა გვახსოვდეს: კედელი, რომელსაც აღვმართავთ ბავშვებსა და სპირტიან სასმელებს შორის, მხოლოდ მაშინ იქნება მტკიცე და გადაულახავი, თუ მის აგებაში ყველა ჩვენგანი მიიღებს მონაწილეობას.

მაშ, საჭიროა თუ არა მშრალი კანონი?

ლოთობასთან ბრძოლის ფორმებზე დიამეტრალურად საწინააღმდეგო თვალსაზრისებს ვაწყდებით. ერთნი მშრალი კანონის შემოღებას არჩევენ, მეორენი კატეგორიულად ილაშქრებენ მის წინააღმდეგ. ალბათ, ლოთობის ცდუნებისაგან თავდასაღწევი რადიკალური საშუალება არც არსებობს, რადგან ლოთები სხვადასხვა ჯურისანი გვხვდებიან: ერთნი, უბრალოდ, თავაშვებულნი არიან, მეორენი — ალკოჰოლიზმით დაავადებულნი. ამიტომ ზომებიც სხვადასხვაგვარი უნდა მივიღოთ. რა თქმა უნდა, თუ შემცირდება მაგარი სპირტიანი სასმელების გამოშვება, თუ სასმელები ძვირი ეღირება, ეს თავისთავად შექმნის გარკვეულ დაბრკოლებას არყის ყიდვისას. მართალია, ალკოჰოლიკებს და სმას მიჩვეულ პირებს ეს ვერ შეაჩერებს, მაგრამ ადამიანთა უმრავლესობას და, მათ შორის. ახალგაზრდებსაც ასე თუ ისე შეაკავებს. მშრალი კანონის მოწინააღმდეგენი ამბობენ, ასეთ დროს ხალხი თვითონ დაიწყებს არყის გამოხდასო. ალბათ ზოგი მართლაც შეძლებს ამას, მაგრამ უმრავლესობა ვერ მოახერხებს. ამგვარად, ყოველგვარი შეზღუდვა მაგარი ალკოჰოლური სასმელებით ვაჭრობაში საბოლოო ანგარიშით სიკეთეს მოიტანს და ბევრ

ადამიანს დაიცავს დამღუპველი ცდუნებისაგან (უპირველეს ყოვლისა, ყოფით ლოთებს და ახალგაზრდობას). ამ სტრიქონების დამწერს მტკიცედ სწამს, რომ მშრალი კანონი საჭიროა განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც ლოთობა ძალზე გავრცელებულია. მაგარი სასმელების გაყიდვა ყველგან უნდა აიკრძალოს.

მშრალი კანონის შემოღებას არა მარტო პირდაპირი ანტიალკოჰოლური მნიშვნელობა აქვს — ალკოჰოლური სასმელების მოხმარების შეზღუდვა მკვეთრად ამცირებს ყოველგვარი შინაგანი დაავადების წარმოშობას ან ავთვისებიან მიმდინარეობას, ტრავმატიზმს, მრავალ ანტისოციალურ ქმედობას. ასე რომ, ამ კანონის სარგებლიანობა ცხადზე ცხადია. უნდა ითქვას, რომ 1914 წელს შემოღებული იყო მშრალი კანონი და, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ირღვეოდა, მაინც ბევრი სიკეთე მოიტანა, მკვეთრად შეამცირა არა მარტო ალკოჰოლური დაავადების რიცხვი, არამედ მრავალგვარი ფსიქიკური აშლილობაც, რაც ლოთობას მოსდევს.

რუსეთ-იაპონიის ომის დროს მთავრობამ აკრძალა არყისა და სპირტის გაყიდვა სახელმწიფო მაღაზიებში, ე. ი. განხორციელდა ზოგიერთი (ყველა არა) პრინციპი მშრალი კანონისა, რომლის აუცილებლობაზეც ლაპარაკობდნენ მეფის რუსეთის პროგრესული საზოგადო მოღვაწენი. „მართლაც, ამ მეორე მონობის უღლის მოშორებამ ნახევარი წლის მანძილზე უკვე გამოიღო სასურველი ნაყოფი. სოფელში წესრიგი და სიმშვიდეა, აშკარად და სწრაფად შემცირდა დანაშაულთა რიცხვი მთელ ქვეყანაში, შესუსტდა ხულიგნობა და გასაოცრად გაიზარდა წარსულ წლებთან შედარებით შემნახველ სალაროებში შემოტანილი თანხის რაოდენობა. ყოველივე ეს ბრწყინვალე დადასტურებაა ამ კანონის კეთილმოქმედებისა“. ასე წერდა ცნობილი რუსი იურისტი და საზოგადო მოღვაწე ა. ფ. კონი (1844—1927), რომელიც დიდ მონაწილეობას ღებულობდა ლოთობასთან მებრძოლი ორგანიზაციების მუშაობაში. სხვადასხვა მიზეზთა გამო, ამ მშრალი კანონის საყოველთაოდ გატარება ვერ მოხერხდა. ერთ-ერთი მიზეზი ფინანსური გახლდათ (ალკოჰოლის გაყიდვით მიღებული დიდი მოგება ყოველი ქვეყნის სალაროს ამდიდრებს, ეს თანხა გაცილებით აღემატება სახელმწიფოს მიერ გალოთებული ხალხის მკურნალობაზე დახარჯულ სახსრებს), მეორე — მორალურ-პოლიტიკური; მთვრალი ადამიანი უფრო ადვილად ემორჩილება კონტროლს, ადვილად სამართავია, ნაკლებად აკრიტიკებს გარე სამყაროს. თანაც, მას შემდეგ, რაც რუსეთმა ქრისტიანობა მიიღო, ლოთებს არასოდეს მოჰკლებიათ ქომაგი და შემწე: სჯეროდათ, რომ რუს კაცს არ შეეძლო უარყოფ ცხოვრება, თითქოს ეს მისი ბუნებიდან გამომდინარეობდა. ტყუი-

ლად კი არ აირჩია ვლადიმერ ნათლისმცემელმა ამ პრინციპით რელიგია თავისი ხალხისათვის: „რუსეთის ლხენა სმაშია, სხვაგვარად არ ეგების“. სწორედ ამგვარ მსჯელობას უწოდებდა კონი მეორე მონობას: პირველი მონობა ბატონყმობისგანაა, მეორე — არყისგანო.

მაგრამ, რა იყო 1000 ან 1500 წლის წინათ, ნაკლებადაა ცნობილი, ერთი რამ კი აშკარაა — ქრისტიანობის მიღება არაფერ შუაშია. მე-17 საუკუნემდე რუსეთში ალკოჰოლის მოხმარების დონე ძალზე დაბალი იყო. მაგრამ თანდათანობით ყალიბდებოდა ალკოჰოლური ტრადიციები როგორც სამეფო კარზე, ისე მოსახლეობის სხვა ფენებში. აქედან მოდის ანდაზები და მოარული თქმანი ლოთობის გასამართლებლად და იმ ჭორის გასავრცელებლად, თითქოს რუსები მარადიული ლოთები არიან. უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო სტატისტიკის მონაცემებით, სლავებს არასოდეს სჭერიათ პირველი ადგილი ლოთობაში — ეს პრიორიტეტი ყოველთვის სკანდინავებს ეკუთვნოდათ. მაგალითისთვის ავიღოთ შვეცია — ერთ-ერთი ყველაზე უფრო მდიდარი ქვეყანა, სადაც ალკოჰოლის პრობლემა ყოველთვის უფრო აქტუალური იყო, ვიდრე რუსეთში. უკანასკნელ ათწლეულში შვეციის საზოგადოებრიობამ საგრძნობლად გააძლიერა ლოთობასთან ბრძოლა. დღეს შვეციაში, მართალია, მშრალი კანონი არ არსებობს, მაგრამ აქ ლოთობის წინააღმდეგ ყველაზე მკაცრი კანონები მოქმედებენ. მთელ შვეციაში მხოლოდ 316 ღვინის მაღაზიაა. ისინი მხოლოდ სადაგ დღეებსა და სამუშაო საათებში ვაჭრობენ. 18 წლის ასაკამდე პირებზე არავითარ ალკოჰოლურ სასმელს არ ჰყიდიან. ალკოჰოლი შვეციაში უფრო ძვირი ღირს, ვიდრე მსოფლიოს სხვა რომელიმე ქვეყანაში, მისი გაყიდვით შვეციის ბიუჯეტი ყოველწლიურად 5%-ის მოგებას იღებს. თუ რომელიმე პიროვნებას შენიშნავენ ალკოჰოლისადმი მიდრეკილებას, მას ძალით მკურნალობენ. ერთი სიტყვით, ყველაფერს ან თითქმის ყველაფერს აკეთებენ, რომ მიაღწიონ ალკოჰოლიზმის ლიკვიდაციას. როგორია შედეგები? შედეგები კარგია, მაგრამ იდეალურისგან მაინც შორს არის: მიუხედავად საშინელი კანონებისა, სახელმწიფოს მოსახლეობის 4% რეგისტრირებულია, როგორც ქრონიკული ალკოჰოლიზმით დაავადებული. რაკი „აკრძალულ ხილად“ იქცა, ალკოჰოლის დამზადებას შინ მიჰყვეს ხელი. ამიტომ ფქვილის, შაქრის და საფუარის ყიდვა შვეციაში არც ისე იოლია: ეს პროდუქტები ხომ თვითნახადი არყისთვისაა საჭირო. მაშასადამე, მხოლოდ ლოთობის აკრძალვით და საშუალებათა მკვეთრი შეზღუდვით ძნელია წარმატების მიღწევა. იურიდიულ „მშრალ კანონს“ უნდა დაემატოს ფსიქოლოგიური „მშრალი კანონიც“, ე. ი. აუცილებელია დავიწყოთ ბრძოლა ლოთობის ტრადიციებთან, ადამიანთა იმ ჩვევასთან, რომ ოდნავი დაბრკოლების

გამო ნუგეში მაშინვე სასმელში ეძიონ. ამაზე წერენ შვედი ექიმებიც და სხვებიც, ვინც ცოტად თუ ბევრად დაინტერესებულია ლოთობის პრობლემით. ამიტომ „მშრალი კანონი“ ეფექტური მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს, თუ მოსახლეობის ფსიქოლოგიასაც თანდათანობით გარდავქმნით.

საეჭვო დიდება და უეჭველი შერცხვენა

არიან ადამიანები, რომლებიც ხშირად და ბევრს სვამენ, მათი განკურნება პრაქტიკულად შეუძლებელია: ლოთობას რომ გადავაჩვიოთ, უნდა შევცვალოთ მათი ხასიათი, ფსიქოლოგია, ცხოვრების წესი. მაგალითად, მწერლებსა და მხატვრებს შორის ძალიან ხშირად გვხვდებიან ლოთები (მათ შორის ალკოჰოლიზმით დაავადებულნიც), მრავალჯერ ნაძკურნალევი საუკეთესო სპეციალისტებთან, მაგრამ უშედეგოდ. ლოთობა მათი სულიერი არსებობის ერთ-ერთი დროებითი ფორმაა, უსიამოვნო რეალობისგან გაქცევის ცდაა, ზოგიერთი პრობლემისაგან თავდასაღწევი საშუალებაა, ერთგვარი ხერხია თავისუფლების შენარჩუნებისა, თუმცა ეს თავისუფლება ხშირად მოჩვენებითი და მოსაბეზრებელიცაა.

XVIII საუკუნის უდიდესი კომპოზიტორი კრისტოფ ვილიბალდ გლიუკი ამბობდა, სავსებით სამართლიანად მიმაჩნია ოქროს, ღვინის და დიდების სიყვარულიო, რადგან პირველს თვლიდა მეორის შოვნის საშუალებად, მეორე — შთაგონებას მატებდა, ამას კი დიდება მოჰყვებოდა. ამ სიტყვების ავტორი გამოუსწორებელი ალკოჰოლიკი იყო და სწორედ ლოთობამ იმსხვერპლა. არავინ იცის და არავის დაუდგენია, რომ სწორედ ღვინოს მოჰქონდა მისთვის და მისთანებისთვის შთაგონება და სახელი.

მართალია, ღვინოს შეუძლია ცოტა ხნით განწყობილების ამაღლება, მაგრამ მერე და მერე სრულიად საწინააღმდეგო შედეგს იძლევა არღვევს და ჰფიტავს, ერთიანად ანადგურებს ყოველგვარ ტალანტს.

ახალგაზრდა მხატვრებსა და არტისტებს მოსდგამთ სმის ტრადიცია ყოველგვარი საბაბით თუ საბაბის გარეშე: სჯერათ, რომ ეს არის შთაგონების წყარო. სწორია თუ არა მათი რწმენა — სადავოა, უდავო კი ის ფაქტია, რომ ალკოჰოლი არღვევს მათ პიროვნებას, განსაკუთრებით იმათსას, ვინც უამისოდაც გამოირჩევა დამახასიათებელი დეფექტებით. ღვინისგან დეფექტი ძლიერდება, ხასიათი მთლად აუტანელი ხდება, გარშემო მყოფებთან კონფლიქტი ხშირდება, ამას კი შედეგად მოსდევს ნიჭის უდროო დაღუპვისა და სიკვდილის ათასგვარი ვარიანტი. ესა თუ ის მწერალი ან მხატვარი არაყს სვამს არა იმიტომ, რომ იგი მწერალია ან

მხატვარი, არამედ იმიტომ, რომ მის ინდივიდუალურ ხასიათში, რომელსაც პირდაპირი კავშირი არა აქვს არჩეულ პროფესიასთან, არის ლოთობისადმი მიდრეკილება. ეს მიდრეკილება ძლიერდება ბოჰემური გარემოთი, ანარქიული ქცევით, და ზოგჯერ იმითაც, რასაც ბუნდოვნად უწოდებენ შემოქმედებით წვას. მაგრამ, ასეა თუ ისე, გენიოსი ლოთები მაინც ძალზე იშვიათად გვხვდებიან, ისევე როგორც განსაკუთრებული ტალანტის მქონე ადამიანები საერთოდ. ამიტომ ისინი ვერ შექმნიან ამინდს ვერც ერთ ქვეყანაში.

მე ძალიან მომწონს ამერიკელი მსახიობი ჰემფრი ბოგარტი (1900—1957). როგორი ადამიანი იყო იგი, არ ვიცი, ამბობენ, თავხედი და უტიფარიო. სავსებით შესაძლებელია. ჩემი აზრით, ბოგარტმა ეს საზიზღარი ჩვეული ქრონიკული ალკოჰოლიზმის შედეგად შეითვისა. ბოგარტს სიცილი მხიარული გვამისა ჰქონდა, თვალები კი გამოუსწორებელი ბრძენის. იგი მოკლა კიბომ და ნახევარმა მილიონმა ჭიქა ვისკიმ. რა სამწუხაროა, რომ ასეთი დიდებული მსახიობი ლოთი იყო და ლოთისთვის დამახასიათებელი ყველა უსიამოვნო თვისება ჰქონდა.

ერიჰ მარია რემარკის (1898—1970) თხზულებებში ნაჩვენებია უამრავი სხვადასხვაგვარი ალკოჰოლიკი. ისინი სვამენ სხვადასხვა მიზეზის გამო (საერთოდ, როცა ლოთებზე ლაპარაკობენ, სმის მიზეზის ძებნა საჭირო არ არის) და თავიანთ საქციელს მრავალმნიშვნელოვნად და მომხიბვლელად წარმოაჩენენ. გამოუცდელ ადამიანს (განსაკუთრებით ახალგაზრდას) ზოგჯერ შეიძლება მოეჩვენოს, რომ ისეთი ცხოვრების წესი, როგორსაც რემარკის გმირები მისდევენ, ყველაზე საუკეთესოა. ყველაზე ზნეობრივია და ნამდვილი ადამიანისთვის შესაფერისი.

თითოეულ ლიტერატორს უფლება აქვს თვითონ ამოირჩიოს საკუთარი წიგნის სიუჟეტი, სიმპათიური თუ არასიმპათიური პერსონაჟი. მაგრამ სამწუხაროა, როცა გამოჩენილი მწერლის გმირები გამოუსწორებელი ლოთები არიან, თავიანთ სულიერ სიცარიელეს ამაო, მაღალფარდოვანი საუბრებით რომ ნიღბავენ და გამოუცდელი ადამიანების გულსა და გონებას იპყრობენ. ლოთობის პოეტიზაცია, ამ მანკის გამართლება არც ერთი სერიოზული არგუმენტით არ შეიძლება. ლოთების უმრავლესობა ის ხალხია, ვინც სოციალური განვითარების დაბალ საფეხურზე დგას, კულტურულად და ზნეობრივად ჩამორჩენილია. სწორედ ასეთი სუბიექტების მრავალმილიონიანი მასა წარმოადგენს საფრთხეს ყოველი საზოგადოებისათვის, სწორედ ისინი იწვევენ უდიდეს შიშს მომავლისა და ძირითადად მოზარდი ახალგაზრდობის გამო, და არა ერთეული მსმელი ინტელექტუალები. ალკოჰოლის მიღებისას ადამიანი შეგნებულად ამცირებს ან საერთოდ თიშავს გონების კონტროლს საკუთარ საქციელზე. რაც

ფხიზელს გულში აქვს, მთვრალს ენაზე აკერიაო, ნათქვამია. ალკოჰოლური სიმთვრალისას ადამიანი ამჟღავნებს საკუთარ ხასიათს, აშიშვლებს საკუთარ სულს, სააშკარაოზე გამოაქვს თავისი შინაგანი არსი. უფრო ხშირად ეს არსი პრიმიტიულია და არაფრით განსხვავდება ცხოველურისაგან: ასეთი ადამიანები სიმთვრალისას აგრესიულები, სექსუალურები, თავშეუკავებლები ხდებიან, ე. ი. ის, რაც მრავალსაუკუნოვანი ევოლუციის მანძილზე იფარებოდა ხელოვნური წესებით, კულტურით, აღზრდით, აკრძალვითი სისტემით (ანუ ყოველივე იმით, რამაც ცხოველი ადამიანად აქცია), — თავს იჩენს და სინათლეზე გამოდის. ჭეშმარიტად ინტელიგენტი და სულიერად ამაღლებული ადამიანები სიმთვრალის დროსაც ინარჩუნებენ თავიანთ კულტურას, რომელიც არ ანებებს მათ დაეშვან პირველყოფილ წინაპართა დონემდე. მაშ, რა უნდა ვქნათ, სად ვეძიოთ გამოსავალი?

ჯანმრთელობის დაცვის პირველი სახალხო კომისარი ნ. ე. სემაშკო ამტკიცებდა: „რამდენი არაყიც ქმრებმა დალიეს, იმდენი ცრემლი დაღვარეს ცოლებმა და შვილებმაო“. თუ რეალისტურად შევხედავთ ალკოჰოლთან ბრძოლის პრობლემას დღევანდელ პირობებში, უნდა ვაღიაროთ, რომ: 1. „მშრალი კანონი“, რომლის შემოღებაზეც ოცნებობდნენ კაცობრიობის საუკეთესო წარმომადგენლები, იდეალია, მაგრამ ეს იდეალი ახლო მომავალში მიუღწეველია უმთავრესად ეკონომიკური მიზეზების გამო — ძალიან დიდია ალკოჰოლური სასმელების გაყიდვით მიღებული შემოსავალი; 2. ვიდრე „მშრალი კანონი“ არ არსებობს, უნდა აიკრძალოს ალკოჰოლის მოხმარება 17—18 წლამდე ასაკის ახალგაზრდებისათვის და, როგორც მინიმუმი, აიკრძალოს ღვინის სმა ორსულობამდე ნახევარი წლით ადრე, ორსულობის დროს და ძუძუს წოვების პერიოდში. ეს ზომები ხელს შეუწყობენ ლოთობის შემცირებას და მისი შედეგების აღმოფხვრას, რომელთაგან უმთავრესია ახალშობილთა სიმახინჯეები.

თანამედროვე ოტელოები

ლოთობა, სიყვარული და ეჭვიანობა ხშირად მხარდამხარ დგანან, ლოთობა აძლიერებს სასიყვარულო ლტოლვას და იმავე დროს ამცირებს მისი ფიზიოლოგიური რეალიზაციის შესაძლებლობას (ალკოჰოლის უზომო მიღება ბევრ მამაკაცს უვითარებს ნაადრევ იმპოტენციას), ეს კი, თავის მხრივ, იწვევს ეჭვიანობას („ოტელოს სინდრომი“). აქედან გამომდინარეობს კონფლიქტები ადამიანთა შორის, რაც თოვლის აგორებულ გუნდასავით იზრდება და მოჯადოებულ წრეს კრავს. ეჭვიანობა ზოგჯერ

დაკავშირებულია არა ლოთობასთან, არამედ სულ სხვა მიზეზებთან: თავმოყვარეობის შელახვასთან, ადამიანის მესაკუთრული კომპლექსების შებღალვასთან, საყვარელი არსების მიმართ რწმენის დაკარგვასთან და ა. შ. ეჭვიანობა ყოველთვის დიდი უბედურებაა და რაც არ უნდა ირონიულად უცქერდნენ ეჭვიან ადამიანებს, ისინი მხოლოდ სიბრალულის ღირსნი არიან. მაგრამ რაოდენ ძლიერი და შემაწუხებელიც უნდა იყოს ეჭვიანობის გრძნობა, ადამიანს ყოველთვის შეუძლია თავის შეკავება, ექიმთან მისვლა რჩევის საკითხავად.

ორი ცოლი რომ დამარხა, კაცს უეცრად მოეჩვენა, რომ ცოლები ღალატობდნენ. დაძაბა მეხსიერება, გაიხსენა სხვადასხვა სიტუაციები, რომელთა გააზრებაც შეიძლებოდა ღალატის ფაქტად, ღამით ძილი გაუტყდა, ცოფიანივით დაიწყო წარსულში ქექვა. ხოლო ვინც ეძიებს, კიდეც ჰპოვებსო, ნათქვამია. მალე დარწმუნდა, რომ ორივე ცოლი ღალატობდა. მერე იმასაც მიხვდა, რომ შვილები სინამდვილეში მისეული არ არიან, ხოლო ის ფაქტი, რომ ისინი შინაგანადაც და გარეგნულადაც ჰგავან, შეცდომად ან ცოლების ჯერ გამოუცნობ ეშმაკობად მიიჩნია. დაიწყო ამ აბურდული გორგლის ამოხვევაც. მაგრამ ამ დროს მისი 75 წლისთავისთვის მზადებას შეუდგნენ და ეჭვიანი ფიქრები ცოტა გაეფანტა. იუბილეს დღეს დიდხანს ათვალიერა ძველი ფოტოსურათები, გაიხსენა ცოლები და მათ მიმართ დიდი სიყვარული იგრძნო. შერცხვა. რომ სულ ახლახანს უკანასკნელი სიტყვებით აგინებდა, ეჭვიანობდა, მთელმა ცხოვრებამ ჩაუარა თვალწინ, მოაგონდა ათასი გაჭირვება და უბედურება... იუბილეზე მშვიდად იყო, მახვილსიტყვაობდა, სიყვარულით ეფერებოდა შვილებს. რამდენიმე დღის შემდეგ უამური აზრები ისევ აერია გონებაში, თავისდაუნებურად აეწეწა სული. მაშინ ეს მოხუცი ადამიანი, ცნობილი მეცნიერი, თვითონვე წავიდა ექიმთან დახმარების სათხოვნელად.

ავადმყოფური ეჭვიანობა უფრო ხშირად მამაკაცებს ახასიათებთ, ქალებს იშვიათად აღენიშნებათ (მე ვლაპარაკობ მხოლოდ პათოლოგიაზე და არა ნორმალურ ეჭვიანობაზე). ამიტომ ყოველთვის იყო ტენდენცია, ეჭვიანობის ბოდვა სიბერით, ლოთობით და გარყვნილებით აეხსნათ, ეჭვიანი აზრები თავაშვებული ახალგაზრდობისა და ლოთობის საზღაურად მიეჩნიათ, რაკი ერთიც და მეორეც აძლიერებს სქესობრივ ლტოლვას და ამცირებს მისი რეალიზაციის შესაძლებლობას. მაგრამ უფრო ხშირად საქმე სხვაგვარად არის: ფსიქიკური დარღვევების გამო, ფსიქოპათიური გონებრივი წყობის გამო ადამიანი ეტანება ალკოჰოლს და თანდათანობით ქრონიკული ლოთი ხდება. როცა ალკოჰოლური სტაჟი ათწლეულობით განისაზღვრება, თვითონ ავადმყოფი კი ინვოლუციის პერიოდს

უახლოვდება (ლოთებს ინვოლუცია უფრო ადრე ეწყებათ, ვიდრე სხვებს), სქესობრივი ფუნქციის თანდათანობით ჩაქრობის ფონზე ვითარდება ეპვიანობა. ეს გამომდინარეობს პიროვნების ხასიათიდან და, რა თქმა უნდა, ყველასათვის აუცილებელი სულაც არ არის. ეპვიანობის ბოდვა რომ მხოლოდ ალკოჰოლთან ან ინვოლუციის დადგომასთან იყოს დაკავშირებული, მაშინ ლოგიკურად უნდა გვეფიქრა, რომ ასეთი ხვედრი ყველა მამაკაცს ელის — ძალიან ძნელია ნახოთ ისეთი მამაკაცი, რომელსაც დიდი ხნის მანძილზე სრულებით არ მიეღოს ალკოჰოლი. ყველა მამაკაცი ბერდება და ადრე თუ გვიან ყველას უქრება სქესობრივი ფუნქცია, ეპვიანობის ბოდვა კი მხოლოდ ერთეულებს ახასიათებთ. იქნებ ლოთობა და ინვოლუცია ერთად იწვევს ეპვიანობის ბოდვას? ყველაფერი შესაძლებელია, მაგრამ ასეთ ერთობლიობას რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონოდა, მაშინ პათოლოგიური ეპვიანობა გაცილებით უფრო ხშირად შეგვხვდებოდა. არა, მხოლოდ ლოთობით და სიბერით ვერაფერს ახსნი. ძირითადი მიზეზი მაინც პიროვნულ თავისებურებებში უნდა ვეძიოთ. უმეტეს შემთხვევაში ასეთი პიროვნებები ხასიათდებიან უკიდურესი ეგოცენტრიზმით, ხოლო სადაც ეგოიზმია, სწორედ იქ წარმოიშობა საზიანო იდეები (ასეთად ითვლება პათოლოგიური ეპვიანობაც). ეგოისტი მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს, მხოლოდ საკუთარ პრესტიჟს უფრთხილდება, მხოლოდ თავისი სურვილების დაკმაყოფილებას ესწრაფვის და არავის ანგარიშს არ უწევს. როცა დგება სქესობრივი ფუნქციის ბუნებრივი ჩაქრობის ხანა, ეგოისტი ამას ვერ ეგუება, ეჩვენება, რომ გარშემო მყოფნი დასცინიან, ამასხარავებენ და ღალატობენ. მორალურად არასრულფასოვანი ადამიანები, ეგოისტები, ყველა ადამიანში თავის მსგავსს ხედავენ.

ერთ დღეს, სამედიცინო და, ჩემი დიდი ხნის თანამშრომელი, დარცხვენილი, ტირილით მოვიდა ჩემთან და რჩევა მკითხა. მას ოჯახი აქვს, ჰყავს ქმარი, შვილები. ქმარიც და თვითონაც დაახლოებით 60 წლისანი არიან. ომის დროს ქმარი პარტიზანობდა, სამამულო ომის ინვალიდია, დიდი პატივისცემით სარგებლობს, ხშირად უამბობს შვილებს პარტიზანთა გმირობაზე, ნაცისტებთან ბრძოლაზე. დაჭრის შემდეგ ფსიქიკური აშლილობა დაეწყო, ჩქარა იღლება, ადვილად აგზნებადია, უეცრად ფეთქდება, ცუდად სძინავს. ადრეც უყვარდა გადაკვრა, უკანასკნელ წლებში კი მეტისმეტად მიჰყო ხელი სმას, მაგრამ ლოთი და ალკოჰოლიზმით დაავადებული არ ეთქმის, ცოტას სვამს (ჭიქა ღვინო სადილის წინ, არაყს საერთოდ არ იკარებს), მხოლოდ გუნების გამოსაკეთებლად, გუნებაზე კი ხშირად ვერ არის ხოლმე, პირქუში და გაბოროტებული მოითხოვს, რომ ყველაფერი მის ნებაზე გაკეთდეს, იწყებს სამართლიანობისთვის

ბრძოლას, სულ უბრალო საქმისთვის, რომელიც ქარხნის დარაჯმაც შეიძლება გადაწყვიტოს, ერთ ამბავს ასტეხს, მინისტრამდე მიდის, თავისი რეგალიებისა და სიგელების დემონსტრირებას იწყებს. ხასიათი ყოველთვის მძიმე ჰქონდა, მაგრამ ცოლი როგორღაც შეგუებული იყო, არ უხირდებოდა და დიდი ჩხუბი თითქმის არ მოსვლიათ.

2—3 წლის წინ ავადმყოფს ამოაჭრეს წინამდებარე ჯირკვალი — მამაკაცის შარდ-სასქესო აპარატის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი: ხანდაზმულ ასაკში ეს ჯირკვალი ხშირად სივდება და ხელს უშლის შარდის გამოყოფას. მაშინ მას ამოჭკვეთენ ხოლმე. ჯირკვლის ლიკვიდაციას არავითარი ზიანი არ მოაქვს, პირიქით, შვებას აძლევს ავადმყოფს, მაგრამ რაკი ეს ხანდაზმულ ასაკში ხდება, როდესაც ბევრ მამაკაცს მკვეთრად უქვეითდება სქესობრივი პოტენცია, ისინი ამას ჯირკვლის ამოკვეთას აბრალებენ. თანდათანობით, ჩვენი მოთხრობის გმირს განუვითარდა ეჭვიანობის ბოდვა. ხშირად გამოთქვამდა რწმენას, რომ ცოლი ღალატობდა. ამოწმებდა, უთვალიერებდა თეთრეულს, თვალს ადევნებდა, ხმამაღლა აბრალებდა გარყვნილებას, უწმაწურად აგინებდა. „სამუშაოდან ცოტა გვიან თუ დავბრუნდი — ე. ი. ვღალატობდი, ადრე მოვიდოდი და — მაშინაც ვღალატობდი. წამლებს არ ღებულობს — ჩემი მოწამვლა გინდა, რომ გარყვნილებაში ხელი არ შეგიშალოო. ვერავინ დაიყოლია, საავადმყოფოში დაწოლილიყო, ძალით კი არ აწვენენ — რაც არ უნდა იყოს, ომის ინვალიდია. მე გამუდმებით მემუქრება, მოგკლავო, და შეიძლება მართლაც მომკლას, ექიმები კი მხოლოდ ხელებს შლიან“.

რამდენიც არ უნდა უარყონ ეჭვიანობა, როგორც კერძომესაკუთრული გადმონაშთი წარსულისა, რაც არ უნდა დაასაბუთონ მისი ანაქრონიზმი თავისუფლების შემზღუდავი ყოველგვარი ბორკილისაგან ადამიანთა საბოლოო განთავისუფლების მომხრეებმა — ეჭვიანობა ყოველთვის იყო და იქნება, ვიდრე ადამიანთა მოდგმა კომპიუტერთა გროვად და უსულო ნულების ჯამად არ გადაქცეულა. თვით ანარქისტებიც კი, ყოველგვარი კერძო საკუთრების წინააღმდეგ რომ ილაშქრებდნენ (მათ სიყვარულიც საკუთრების ერთ-ერთ ფორმად მიაჩნდათ), პირად ცხოვრებაში არანაკლებ ეჭვიანები იყვნენ იმათზე, ვინც ეჭვიანობას მოყვარული ადამიანების ბუნებრივ თვისებად თვლიდნენ.

რა ვიცით ეჭვიანობაზე

მედიკოსები ეჭვიანობას იკვლევენ XIX საუკუნის დასაწყისიდან. ავადმყოფური ეჭვიანობა ერთ-ერთმა პირველმა აღწერა ფრანგმა მეცნიერმა ჟან ეტიენ დომინიკ ესკიროლმა (1772—1840), რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ფსიქიატრიის სხვადასხვა დარგის კვლევის საქმეში. შემდგომ, ეჭვიანობის ბოდვას სწავლობდნენ მისივე თანამემამულენი, თუმცა. პათი აღწერილობა უფრო ლიტერატურულ-ფილოსოფიური ხასიათისა იყო, ვიდრე კლინიკური. ეჭვიანობის უფრო საფუძვლიანი შესწავლა XX საუკუნეში დაიწყო. ამ მიზნით შეკრებილ იქნა ფსიქოლოგიის, ანთროპოლოგიის, ფიზიოლოგიის და სხვ. მონაცემები. ყველა სპეციალისტი, უპირველეს ყოვლისა, თავისი თვალსაზრისით განიხილავდა ეჭვიანობას. ამიტომ მეცნიერებაში ენათა ნამდვილი ბაბილონური აღრევა მოხდა და ზოგჯერ სწავლულნი ვერაფერს უგებდნენ ერთმანეთს.

დიდი ფრანგი მეცნიერი ანრი ეი, რომელიც 1977 წლის 7 ნოემბერს გარდაიცვალა 77 წლისა, ასე ახასიათებს ეჭვიანობას: „ეს არის ავადმყოფური შეგრძნება დანაკარგისა, ეს არის ვნება, აღსავსე მრისხანებით, შიშით, ეს არის ტანჯვა, გამოწვეული და გამძაფრებული მეტოქის წარმოდგენით“.

თუ შევაჯამებთ ეჭვიანობის შესახებ არსებულ ყველა მონაცემს, საკითხი შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ:

ეჭვიანობა უმეტესად სასიყვარულო ურთიერთობას ეხება (ვისაც უყვარს, ის ეჭვიანობს), მაგრამ ეჭვიანობა შეიძლება გამოიწვიოს ქიშპობამაც, სოციალურ საკითხებში კონკურენციამ, რასაც გარეგნულად არავითარი კავშირი არა აქვს სექსთან (თუმცა ფსიქოანალიტიკოსები ამბობენ, რომ სექსი მაინც სახეზეა, ოღონდ შენიღბული ფორმით).

ეჭვიანობას მრავალი მიზეზი აქვს. მას საფუძვლად უდევს ძლიერი აგრესიული იმპულსები, რომლებიც ადამიანებს შორეული წინაპრებისაგან გადმოეცათ და ყველა სულდგმულს ახასიათებს. ადამიანის სოციალიზაციის პროცესში ამ იმპულსებმა ძირეული ცვლილება განიცადეს, მათი რეგულირება ხდებოდა მრავალსაუკუნოვანი სოციალური ცხოვრების პროცესში გამომუშავებულ აკრძალვათა სისტემით და ითრგუნებოდა. ზოგ ადამიანს ეს აგრესიულობა მეტი აქვს, ზოგს — ნაკლები, ზოგი მას ყველაფერში ამჟღავნებს, ზოგი — მხოლოდ ეჭვიანობისას. იმათ, ვისაც აგრესიულობის ინსტინქტი ყველაფერში ეტყობათ, ახასიათებთ ძლიერი, მაგრამ ხანმოკლე ეჭვიანობა (ეს არის აფექტი და არა ბოდვა, იგი ცოტა ხანს გრძელდება და ასეთი ადამიანი ექიმთან იშვიათად ხვდება). ხოლო ვისაც აგრესიულობა ნაკლები აქვს, გულცივი ინტელექტით

დათრგუნვილი, სწორედ იმას ახასიათებს მახინჯი, მაგრამ თანაგრძნობის გამომწვევი მოვლენა — ეჭვიანობა.

ეჭვიანობა არის ნორმალური და ავადმყოფური, მაგრამ განმასხვავებელი კრიტერიუმი ძალზე პირობითია. „ეჭვიანობა — ეს არის სიძულვილის და სიყვარულის ნაერთი“ (სპინოზა). ავადმყოფური ეჭვიანობისას სიყვარულიც და სიძულვილიც პათოლოგიურია. ესინი შედიან, როგორც შემადგენელი ნაწილები, რომელიმე ფსიქოპათოლოგიურ სინდრომში და ამ სინდრომისთვის დამახასიათებელ ელფერს ღებულობენ. ავადმყოფური ეჭვიანობის ახსნა მხოლოდ ავადმყოფური თვალსაზრისით შეიძლება. ნორმალური ეჭვიანობა კი გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ. რომ ნორმალური ეროტიული ეჭვიანობა არის დარდი, გამოწვეული ნამდვილი ან სავარაუდო მეტოქის არსებობით, ეს არის ნდობის კრიზისი, სინდისისა და გულის სატანჯველი და არა გონების დაავადება, როგორც ბოდვითი ეჭვიანობის შემთხვევაში.

ნორმალურ ეჭვიანობაზე ბევრს არ ვილაპარაკებ — ეს ფსიქოლოგების საქმეა. თუმცა დღესდღეობით მათ ჯერ კიდევ არ უთქვამთ გადამწყვეტი სიტყვა ამ საკითხზე.

პათოლოგიური ეჭვიანობა დამოუკიდებელი ავადმყოფობა არ არის, იგი ახასიათებს სხვადასხვა ფსიქიკურ დაავადებას. მაგალითად, შიზოფრენიას, ეპილეფსიას, ფსიქოპათიას, ალკოჰოლურ დაავადებას, სიბერის ფსიქოზს და ა. შ. ამიტომაც პათოლოგიური ეჭვიანობა სხვადასხვაგვარად ვლინდება.

ყველაზე ხშირად იგი დაკავშირებულია ალკოჰოლიზმთან. ამის მიზეზები ჯერ დადგენილი არ არის. ზოგი ფსიქიატრი ფიქრობს, რომ ლოთობა აქვეითებს პოტენციას და შესაბამისად იწვევს სქესობრივი არასრულფასოვნების გრძნობას მამაკაცებში, ამის შედეგი კი ეჭვიანობაა. სხვები აღნიშნავენ, რომ ალკოჰოლიკებს პოტენცია კი არ უქვეითდებათ. არამედ უძლიერდებათ სქესობრივი ლტოლვა, თუმცა რეალიზაციის შესაძლებლობა ძველებური რჩებათ. აქედან მომდინარეობს ეჭვიანობაც. მესამეთა აზრით, ლოთობას და პათოლოგიურ ეჭვიანობას რაღაც საერთო ფესვი აქვთ, მაგალითად, რაიმე სექსუალური გადახრა, რომელიც გარეგნულად არ შეინიშნება.

ასეთ გადახრათა რიცხვს ბევრი მეცნიერი აკუთვნებს ფარულ ჰომოსექსუალიზმს. რომელიც ზოგიერთ ლოთს ახასიათებს. ეჭვიან ალკოჰოლიკებს ეს ფარული ჰომოსექსუალიზმი თითქოს უფრო ძლიერად აქვთ გამოხატული. ასეა თუ ისე, პათოლოგიური ეჭვიანობა უფრო ხშირად კაცებს ახასიათებთ — როგორც შედეგი ანატომიური თავისებურებისა და შეზღუდული ფიზიოლოგიური შესაძლებლობისა.

ეჭვიანობას შეიძლება ჰქონდეს საფუძველი ან უსაფუძვლო იყოს. მე შემხვედრიან მამაკაცები, რომელთა ცოლები აშკარად გამოირჩეოდნენ გარყვნილი ქცევით და ქმრებს ეჭვიანობისთვის საკმარისზე მეტი საფუძველი ჰქონდათ. ასეთი ქმრები, რაკი ოჯახის შენარჩუნება სურდათ ან ეშინოდათ, რომ შეიბღალებოდა მათი მორალური სახე, ყოველნაირად მალავდნენ ეჭვიანობის გრძნობას, მაგრამ ფსიქიატრთან მისულები ნევროზული ხასიათის ჩივილებს გამოთქვამდნენ. ბოლოს და ბოლოს, გამოსაღალი ყოველთვის მოინახებოდა ხოლმე: ერთ შემთხვევაში ისინი უცდიდნენ, ვიდრე ცოლს მოყირჭდებოდა საყვარელი, მეორენი — თვითონ იწყებდნენ აღვირახსნილ ცხოვრებას (ისე რომ ცოლის ყურამდე უეჭველად მისულიყო მისი ამბავი), მესამენი — ცოლს ეყრებოდნენ (უფრო ხშირად ასე ხდებოდა და სარგებლობაც მეტი იყო).

ერთ ჩემს პაციენტს, პატარა ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარეს, გარყვნილი ცოლი ჰყავდა, მაგრამ მასთან გაყრა არ უნდოდა ბავშვების გამო. როგორც კი გაიგებდა, რომ ცოლმა ახალი საყვარელი გაიჩინა, გამოიძახებდა კაცს და უბრძანებდა, დაენებებინა თავი მისი ცოლისთვის ან ქალაქიდან წასულიყო. უფრო ხშირად მეორე ხდებოდა. ბოროტი ენები ამტკიცებდნენ, რომ სწორედ ამით აიხსნებოდა ახალგაზრდა კადრების დიდი დენადობა ამ ქალაქში. ერთხელ, როცა მორიგი საყვარელი იძულებული გახდა ქალაქი დაეტოვებინა, ცოლი მას თან გაჰყვა. თავმჯდომარემ ცოტა იდარდა, მერე დამშვიდდა და კიდეც გაიხარა: დაიწყო ნორმალური ცხოვრება, გაქრა ეჭვიანობა და გაურკვევლობის გრძნობა. 8 თვის შემდეგ გაქცეული ცოლი თავჩაქინდრული დაბრუნდა, ქმარს პატიება სთხოვა და, როგორც გაირკვა, მეტად აღარც უღალატია. მაგრამ ქმარს გაუჩნდა პათოლოგიური ეჭვიანობის გრძნობა, რომელიც არ ჰქონდა მაშინ, როცა ცოლი მართლა ღალატობდა, დაუწყო თვალთვალი ცოლს, მოულოდნელად ბრუნდებოდა შინ, რომ ცოლისთვის დანაშაულზე წაესწრო, მარტოს არსად უშვებდა. აი, ამ დროიდან დაიწყო ავადმყოფობა.

ზოგჯერ ავადმყოფური ეჭვიანობა ადამიანს უნებურად ეწყება. იგი გრძნობს ამას, ეწინააღმდეგება, მაგრამ თავს ვერაფერს უხერხებს. ერთ-ერთმა ავადმყოფმა, რომელმაც ცოლთან 40 წელიწადს იცხოვრა, დაქვრივების შემდეგ უეცრად იგრძნო, რომ ცოლი მას წინათ ღალატობდა. ეს ფიქრი დროდადრო აეკვიატებოდა და ძალიან აწვალებდა. რაკი ვერა და ვერ მოიშორა, ექიმს მიაკითხა.

ნორმალური ეჭვიანობა სიყვარულის გამოხატულებაა. სიყვარული და ეჭვიანობა მზესა და ჩრდილს წააგავს, რაც უფრო ჩახჩახაა მზე, მით უფრო მკვეთრია ჩრდილი. ბოდვითი ეჭვიანობა ჩნდება მაშინ, რო-

ცა სიყვარული აღარ არსებობს. ბევრ პათოლოგიურად ეჭვიან ადამიანს წამალი ისე არ შველის, როგორც განქორწინება — ეს იცავს მათ კრიმინალური ქმედებისაგან, ლოთობისა და ნევროტიზმისაგან.

თუმცა, ისეთ რთულ და მკვეთრად ინდივიდუალურ საკითხებში, როგორიცაა სიყვარული, ცოლქმრობა, ნდობა და სიძულვილი, არავის შეუძლია თავი მცოდნედ და მოსამართლედ მიიჩნიოს, ექიმს მით უმეტეს: იგი მხოლოდ ცხოვრების ავადმყოფურ მხარეებს ხედავს და ამიტომ არ შეუძლია მთელი კაცობრიობის მისამართით განაზოგადოს ის, რასაც ადამიანთა მცირე რიცხვს — თავის პაციენტებს შენიშნავს.

ვნებათა ღელვა მხოლოდ ვნებათა ღელვას უთმობს

ადამიანთა უმრავლესობა ჩვეულებრივი, უფერული ცხოვრებით ცხოვრობს, არაფრით გამოირჩევა სხვისგან. ემორჩილება პრიმიტიულ რაციონალიზმს, რომელიც ეგრეთ წოდებული საღი აზროვნების ნიშნით მოქმედებს. ძალზე ცოტანი არიან ისინი, ვისი ცხოვრებაც მხოლოდ ყოველდღიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით არ განისაზღვრება. მათ წარმართავენ ძლიერი, ერთი შეხედვით აუხსნელი ვნებები, საღი აზროვნების ჩარჩოებში რომ ვერ ეტევიან. ვნებათა შინაარსი სხვადასხვაგვარია. უფრო ხშირად ეს არის სიყვარული, სიძულვილი, პატივმოყვარეობა — პათოლოგიური ეგოცენტრიზმის ნაირგვარი გამოვლინება. ვნებათა ღელვა ყველაფერს წალეკავს თავის გზაზე, იგი მხოლოდ საკუთარ ნებას ემორჩილება. თავისი ყოვლისშემძლეობით, უკონტროლობით იგი გარშემო მყოფთა გაღიზიანებას იწვევს. რომელიმე ვნებით შეპყრობილი ადამიანები იმდენად შეურაცხადნი არიან, რომ ნებით თუ უნებურად უბედურება მოაქვთ სხვებისთვის სულს უმახინჯებენ ახლობლებს, ტანჯვისთვის სწირავენ უდანაშაულო ადამიანებს. თავის გამოგონებაში ჩაფლულ კაცს მერე უკვირს, რატომ მიატოვა ცოლმა, რატომ დაადგნენ შვილები უკულმართ გზას. პათოლოგიურად პატივმოყვარე ადამიანს, რომელმაც მთელი სიცოცხლე კარიერისთვის ბრძოლას შეალია და ბოლოს კიდეც მიაღწია მიზანს, ვერ გაუგია, რატომ მოხდა, რომ შვილები, რომელთაც ჩიტის რძეც კი არ აკლდათ, ლოთები, სოციალურად და მორალურად დეგრადირებული სუბიექტები გახდნენ, არავის სჭირდებიან და გულზეც არავის ეხატებიან. დიდი მეცნიერი, რომელიც მრავალი წლის მანძილზე ძალზე რთულ პრობლემას იკვლევდა, თავს ჰკიცხავს იმის გამო, რომ სიბერეში მარტო დარჩა — უოჯახოდ, უმეგობრებოდ. მიზეზი ყოველივე ამისა — ერთია. რაკი მთელი ცხოვრება ერთ ვნებას მიუძღ-

ვნეს (თუნდაც ყველაზე კეთილშობილურსა და დიდებულს). ასეთი ადამიანები გულგრილად, ზოგჯერ კი მტრულადაც ეკიდებიან გარშემო მყოფთ, არ დაგიდევენ, რას ფიქრობენ მათზე სხვები. ეგოისტური მისწრაფებით აღსავსენი, ისინი შეუბრალებლად, სინდისის ქენჯნის გარეშე თელავენ ფეხქვეშ სხვათა ცხოვრებას, საბოლოოდ კი თვითონვე აღმოჩნდებიან ხოლმე მარტონი, ყველასაგან გარიყულნი.

ვნებათა ღელვა განსაკუთრებით მძიმე გავლენას ახდენს ბავშვებზე. ქალებს და მამაკაცებს, რომელთაც ხშირი სიყვარული გამოუცდიათ, თითქმის ყოველთვის უსუსური, არაფრით გამორჩეული ბავშვები ებადებათ. ასეთ ბავშვებს გამუდმებით სტანჯავთ არასრულფასოვნების კომპლექსი თავიანთი მშობლების წინაშე, რაკი იციან, რომ ვერაფრით აჯობებენ მათ. ისინი ლოთები და კანონის დამრღვევნი ხდებიან, ქვეშეცნეულად გამოთქვამენ პროტესტს, შურთ თავიანთი დედების და მამების, რომელთაც ძლიერი ხასიათი ჰქონდათ და არაფერს ეპუებოდნენ თავიანთი სწრაფვის დასაკმაყოფილებლად.

უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს შეუყვარდათ ერთმანეთი უეცრად და, როგორც ეგონათ, სამუდამოდ. მათი სიყვარული მხურვალე იყო, მჩქეფარე გრძნობებით გამოიხატებოდა, თავშეუკავებელი ჩხუბით და ასეთივე ვნებიანი შერიგებით ხასიათდებოდა. დაქორწინდნენ. ქალი დაფეხმძიმდა. მშობიარობამდე თვენახევრით ადრე გაიგო, რომ ქმარი ღალატობდა თავის საუკეთესო მეგობართან. სასოწარკვეთილებისაგან ძილი გაუტყდა, მადა დაეკარგა, სიცოცხლე აღარ უნდოდა, გამუდმებით ისტერიკა ემართებოდა. შეიზიზღა ქმარი, დაუყოვნებლივ გაშორდა, მას შემდეგ თითქმის აღარ შეხვედრია. მაგრამ რჩებოდა ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვი, რომელიც განუწყვეტლივ აგონებდა **მას** — საძულველსა და საზიზღარს. და ქალმა შეიძულა ბავშვიც. როცა იგი დაიბადა, მოკვლა უნდოდა, მაგრამ დედის ინსტინქტმა სძლია, მიეჩვია და კიდეც შეუყვარდა. თვითონ არ ზრდიდა, მშობლებს მიაბარა, იშვიათად ხედავდა. და როცა ხედავდა, ნერვები ეშლებოდა, იმდენად აგონებდა იმას, ვინც ასე საშინლად სძულდა. ბიჭი გრძნობდა ამას და მძიმედ განიცდიდა, ცდილობდა დედისთვის თავი შეეყვარებინა.

წლები გადიოდა, დედა-შვილს შორის ურთიერთობა ცუდი იყო, ბავშვს დედისგან არ ახსოვდა მოფერება და ალერსი; მორცხვი, გაუბედავი, გულჩახვეული იზრდებოდა. მერე და მერე ხშირად ღიზიანდებოდა, ერთბაშად ფეთქდებოდა, სასტიკი და გაბოროტებული იყო. 17 წლის რომ გახდა, დედას უფრო მოუბრუნდა გული, მეტი ყურადღებით ექცეოდა, მასთან გადასახლდა (წინათ ცალკე ცხოვრობდა), მაგრამ უკვე გვიან იყო: ბიჭი დედას პატივს არ სცემდა, ცუდად ექცეოდა, არაფრად აგ-

დებდა. დედას ძალზე უნდოდა, რომ მისი ურთიერთობა შვილთან გარეგნულად მაინც ნორმალური ყოფილიყო. სულიერი კონტაქტი დედა-შვილს შორის თუ სამუდამოდ არა, დიდი ხნით მაინც დაირღვა.

ვინ არის დამნაშავე? სიყვარულის ბრალია თუ სიძულვილის?

ის, ვინც ყურადღებით წაიკითხა წინა თავები, მიხვდება, რომ პირველ რიგში დამნაშავეები არიან ქალი და კაცი, რომელთაც ვერ შეძლეს გონებით მოეთოკათ თავიანთი მჩქეფარე ტემპერამენტი, ისინი ეგოისტურად მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობდნენ და სულ დაავიწყდათ, რომ მათი ჩხუბისა და ვნებათა ღელვის შედეგი მესამე პირს დაატყდებოდა თავს, რომელიც სრულიად უდანაშაულო იყო მათ წინაშე.

რამდენი ბავშვია ასეთი ქორწინების მსხვერპლი. „ფროსები" თავიანთ განხეთქილებას მაღალი მოსაზრებებით ამართლებენ, სინამდვილეში კი თავიანთი ეგოისტური ვნებების მონები არიან. მათ არავინ აიძულებდა ბავშვი გაეჩინათ, მაგრამ რაკი გააჩინეს, უნდა შეეკავებინათ თავი, მასზე ეფიქრათ და არა მხოლოდ საკუთარ თავზე, ხოლო თუ საკუთარ თავს ვერ მოერეოდნენ, მაშინ საჭირო არ იყო ბავშვების გაჩენა და მათი წინასწარ განწირვა სატანჯველად.

შურისძიება ყოვლისშემძლე მედროვეზე

გრაფ ალექსი ანდრიას ძე არაკჩეევის (1769—1834) სახელი მის სიცოცხლეშივე იქცა გონებაჩლუნგი, უბადრუკი, „უპირფეროდ ერთგული" (როგორც მის საგვარეულო გერბზე ეწერა) ადამიანის სიმბოლოდ. იგი საოცრად უსიამოვნო პიროვნება გახლდათ, გამოირჩეოდა წვრილმანობით და პედანტურობით. მაგრამ ერთხელ, ეს გამოფიტული და პირქუში სუბიექტი სიყვარულმა იმდენად დაიმონა, რომ ქვეყნად ყველაფერი დაავიწყა. მისი რჩეული გახდა ქალი, რომელიც მთელი თავისი არსებით განსხვავდებოდა ყოვლისშემძლე მინისტრისაგან. არაკჩეევის სიყვარულის ამბავი დაცინვის, ჭორების საგანი გახდა. ძნელი წარმოსადგენი იყო განთქმული სახელმწიფო მოღვაწის ცხოვრების წესისათვის უფრო არაბუნებრივი, უფრო შეუფერებელი რამ, ვიდრე ის, რაც არაკჩეევს დაემართა.

საიდან გაჩნდა ეს ქალი — არავინ იცოდა, თუმცა ამბობდნენ, მეზღვაურ ქმარს გამოექცაო. მისი სახელი იყო ნასტასია მინკინა. რითი მოაჯადოვა გრაფი, არ არის ცნობილი, მაგრამ გრაფს რომ უჩვეულოდ უყვარდა — ფაქტია. თანამედროვეთა უმრავლესობა მინკინას უარყოფითად ახასიათებს, აღნიშნავენ მის სისასტიკეს, ბოროტებას, შურისმაძი-

ებლობას. ყველაფერ ამასთან ერთად, უწიგნურიც ყოფილა, გარეგნულად უშნო და უშვილო. მაგრამ, ალბათ, მეცნიერები სამყაროს საიდუმლოებებს უფრო ჩქარა გამოიცნობენ, ვიდრე იმას, თუ რატომ არის, რომ ერთი მამაკაცი ასობით და ათასობით ქალიდან მხოლოდ ერთს ირჩევს, მეორეს კი მთელი ცხოვრების მანძილზე ვერ უპოვია თავისი გულის სწორი. რომ უფრო მეტად შეეყვარებინა თავი გრაფისთვის, მინკინამ მდაბალ ხრიკს მიმართა: ორსულობა გაითამაშა, ერთ გლეხის ქალს გამოართვა ახალშობილი ბიჭი და გამოაცხადა, ჩემი შვილიაო. ნამდვილ დედას მკაცრად უბრძანეს, ხმა არ ამოეღო და ძიძის როლით დაკმაყოფილებულიყო. არაკჩეევი გამოუთქმელად ბედნიერი იყო, რომ საყვარელმა ქალმა შვილი აჩუქა — ერთადერთი მემკვიდრე მისი აურაცხელი ქონებისა. ახალშობილს მიხაილ შუმსკი უწოდეს, პოლონელი აზნაურის სახელი. ზრდიდნენ, როგორც არაკჩეევის მემკვიდრეს, თუმცა ზნეობის მკაცრი დამცველი, ვინც რუსეთი პირქუშ ჯარისკაცულ ყაზარმად აქცია, მეფის ყოვლისშემძლე მედროვე ყოველნაირად მალავდა იმ ფაქტს, რომ შუმსკი მისი შვილი იყო.

შუმსკი იზრდებოდა საკარო ცერემონიალის ყველა წესის დაცვით. მეფემ იგი დანიშნა თავის ფლიგელ-ადიუტანტად; ისე ჩანდა, თითქოს ამ კაცის ბრწყინვალე კარიერას წინ არაფერი ეღობებოდა, მაგრამ შუმსკის რაღაც მოუვიდა — ლოთობდა, ჩხუბობდა, გრაფის ყოვლისშემძლეობის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებდა. ერთნი ამტკიცებდნენ, რომ შუმსკიმ გაიგო თავისი წარმოშობის ამბავი და ახლა სამაგიეროს უხდიდა არაკჩეევს მისი ბედის თავის ნებაზე შეცვლისათვის; მეორენი ირწმუნებოდნენ, შუმსკის მამამისი პოლიტიკური მიზეზების გამო ეჯავრებაო. მესამენი მისი ლოთობის და დაუოკებელი მფლანგველობის მიზეზს კიდვ სხვაგან ეძებდნენ. მნიშვნელობა არა აქვს, რამ ითამაშა გადამწყვეტი როლი. მთავარია, რომ ადამიანს სული აემღვრა და იმ საქმის დისკრედიტაციას მიჰყო ხელი, რასაც მამამისი თავგადაკლული ემსახურებოდა. ყოველნაირად არცხვენდა მამას, უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა. როგორც ამბობენ, არაკჩეევს სიცოცხლის ბოლომდე არ გაუგია, რომ შუმსკი მისი შვილი არ იყო.

1825 წელს გლეხებმა მოკლეს მინკინა მისი უკიდურესი სისასტიკის და ბოროტების გამო. გრაფი თითქოს ჭკუაზე შეიშალა მწუხარებისაგან: თავისი სატრფოს საფლავის გვერდით საკუთარი საფლავი გაათხრევინა, არ იშორებდა თავსაფარს, რომელიც მინკინას სიკვდილის დროს ეხვია და მისი სისხლით იყო გაჟღენთილი. ალექსანდრე I-ის სიკვდილმაც ვერ მოიყვანა გონს არაკჩეევი: მას თითქოს სიგიჟე მოერია. უჩვეულო იყო ასეთი მდგომარეობა მისი გამოფიტული, რაციონალისტური და

პედანტური ხასიათისათვის. იცოდა დეკაბრისტების მოძრაობის ამბავი, მაგრამ თითი თითზე არ დაუდვია მის აღსაკვეთად. მინკინას სიკვდილმა კიდევ უფრო დააშორა შუმსკი გრაფს. შუმსკიმ მაწანწალობა დაიწყო, ერთთავად ჩხუბობდა, მალე სამსახურიდანაც დაითხოვეს. გალოთდა და ჩაკვდა სადღაც XIX საუკუნის 50-იან წლებში.

თანამედროვენი გაკვირვებული იყვნენ, რატომ ეშვებოდა შუმსკი სულ ქვემოთ და ქვემოთ, თუმცა ბრწყინვალე კარიერის შესაქმნელად იდეალური პირობები ჰქონდა. უმრავლესობა ამას მის მდაბალ წარმოშობას უკავშირებდა, გენეტიკურად არ იყო მომზადებული დიდებული ცხოვრებისთვისო. მეორენი სხვაგვარად სჯიდნენ: არაკჩეევმა — მტკიცე ნების მქონე, ჯიუტმა და შინაგანად მთლიანმა ადამიანმა — ისე დათრგუნა შვილის ნებისყოფა, რომ იგი თავის უსიტყვო დანამატად აქცია, რომელსაც დამოუკიდებელი მოქმედების უნარი არ გააჩნდაო. ეს კი შუმსკის მხრიდან მახინჯი პროტესტით გამოვლინდა: ამბობდნენ, რუსეთში ისე არავის სძულს არაკჩეევი, როგორც საკუთარ შვილსო. არაკჩეევის დაუოკებელმა ვნებამ მინკინასადმი შეუბრალებლად გათელა შუმსკის ფსიქიკა, იგი შემთხვევითი პაიკი აღმოჩნდა ერთმანეთის სიყვარულით დაბრმავებული ორი ადამიანის რთულ თამაშში. თანამედროვე ენით. შუმსკის მდგომარეობას პირობითად შეიძლება ვუწოდოთ პიროვნების პათოლოგიური ფორმირება, რაც ცხოვრებაში ხშირად გვხვდება, მაგრამ ექიმთა მხედველობის არეში იშვიათად შემოდის. და თუ შემოდის, ისიც ძირითადად ლოთობის გამო, და არა იმ მიზეზით, რამაც ეს უბედური ადამიანები (ზოგჯერ დიდად ნიჭიერებიც) ლოთებად აქცია. XIX საუკუნის ბოლოს ფროიდმა სცადა აეხსნა ეს მოვლენა ოიდიპოსის კომპლექსით. იგი ამტკიცებდა, რომ ვაჟიშვილი ყოველთვის განიცდის ეროტიულ სწრაფვას დედისადმი და სძულს მამა, განსაკუთრებით, თუ დედა ლამაზია. ამიტომ მშვენიერ ქალებს, მისი აზრით, იშვიათად ებადებათ ნორმალური ხასიათის შვილები. მსგავსი მექანიზმი, შესაძლოა, მართლაც გვხვდებოდეს კონკრეტულ ვითარებაში (ქვეყნად რა არ ხდება, არც ეს იქნება გამორიცხული), მაგრამ უფრო ხშირად, ხასიათის დეფორმაციის მიზეზი გახლავთ მშობლების მიერ საკუთარი შვილების ნებისყოფისა და სურვილების მკაცრი, პედანტური და ჯიუტი დათრგუნვა. სწორედ ამიტომ, მტკიცე ნების ადამიანებს იშვიათად ჰყავთ თავიანთი მსგავსი შვილები, უფრო ხშირად ბავშვები უნებისყოფონი, გაუბედავნი, არასრულფასოვნების კომპლექსით შეპყრობილნი და შურიანები არიან, დამოუკიდებელი ქმედების უნარი ნაკლებად შესწევთ. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას, რომ დიდ სახელმწიფო მოღვაწეთა უმრავლესობის, მწერლების, მეცნიერების, მსახიობების შვილებს არ შეუძლიათ გაიმეორონ

თავიანთი მშობლების მიღწევები. ბუნება ისვენებს დიდ ადამიანთა შვილებზეო, — ამტკიცებს ფრანგული ანდაზა. პირველ რიგში ეს ეხება იმ ადამიანებს, რომლებიც ეგოისტურად ემორჩილებიან საკუთარ ვნებებს.

ვაი ჭკუისაგან

ერთ-ერთი ყველაზე უფრო საოცარი ფენომენია პარანოია. ვინ არიან პარანოიკები? ადამიანები, რომელთაც მათი ხასიათის თავისებურების გამო ბოდვის მიდრეკილება აქვთ. ეს ის ბოდვა არ არის, შიზოფრენიით დაავადებულებს რომ ემართებათ და რომელსაც ახლავს ჰალუცინაციები ან სხვა ფსიქიკური ანომალია. პარანოიის დროს ბოდვა მეტისმეტად წააგავს სინამდვილეს, ზოგჯერ მას ძნელად თუ გამოარჩევ სავსებით ნორმალური მსჯელობისაგან. პარანოიდული ბოდვის სიუჟეტიც ხშირად ძალზე ყოფითია: ეჭვიანობა, გამომგონებლობა, უფროსების ან ახლობლების ცუდი მოპყრობა და სხვ. ბოდვა გრძელდება წლების და ზოგჯერ ათწლეულების მანძილზე, სხვა ფსიქიკური აშლილობა არ ემატება — ძალიან წააგავს ყველაფერ იმას, რაზედაც მსჯელობენ სავსებით ნორმალური ადამიანები. საქმე ის კი არ არის, თუ რაზე ფიქრობენ, არამედ ის, თუ როგორ ფიქრობენ. პარანოიკებისთვის რომელიმე იდეა მთელი ცხოვრების აზრს წარმოადგენს, იგი ჩრდილავს ყველაფერ დანარჩენს, პარანოიკი მხოლოდ ამ ერთი იდეით ცოცხლობს, იმაზე ფიქრობს დღისით და ღამით. ჯანმრთელი ადამიანი კი საღად მსჯელობს მისთვის სასიამოვნო და ძვირფას საკითხზე, ჩვეულებრივად განაგრძობს ცხოვრებას, ჩვეულებრივად აღიქვამს გარე სამყაროს მთელი თავისი მრავალფეროვნებით. პარანოიკი მხოლოდ იმას ამჩნევს, რაც თვითონ უნდა. თუ ისეთ თემაზე საუბრობს, რომელიც მისთვის მნიშვნელოვან საკითხს არ ეხება, ჩვეულებრივი ადამიანისაგან არაფრით გამოირჩევა, ხოლო თუ მისთვის მტკივნეულ საკითხზე ჩამოვარდა სიტყვა, მაშინ ბრმაც დაინახავს, რომ ამ ადამიანს რაღაც განსაკუთრებული წერტილი აქვს მოშლილი ტვინში და მასთან ლაპარაკს აზრი არა აქვს. პარანოიკები განსაკუთრებული ხალხია, მათი მსჯელობა სქემატურია, თვალთახედვის არე შეზღუდული აქვთ, ცხოვრების მრავალფეროვანი მოვლენებიდან მხოლოდ იმას ამჩნევენ, რაც მათ მიერ შექმნილ სქემას ასე თუ ისე ესადაგება. პარანოიკები ვერ აღიქვამენ იმას, რაც მათ შეხედულებებს ეწინააღმდეგება. თუ რაიმე ვერ ეტევა მათ სქემაში, მით უარესი იმისთვის, რაც ვერ ეტევა, — ასე მსჯელობენ ეს ადამიანები. ზოგჯერ პარანოიკები

თავიანთ იარაღად მეტისმეტად ჰუმანურ, პროგრესულ იდეალებს იყენებენ. მაგრამ აქაც მათ უეჭველი მარცხი ელით: კაცობრიობას მშვენიერი იდეალები კი არ აკლია, ის ხალხი არა ჰყავს, რომელიც ამ იდეალებს განახორციელებს. პარანოიკები კი მეტისმეტად შეუფერებელნი არიან თვით ყველაზე დიდებული იდეის სარეალიზაციოდ.

პარანოიის პრობლემა ძალიან რთულია, იგი ერწყმის ფსიქიკურ ნორმას და ზოგჯერ მათი გამოცალკევება მეტისმეტად ჭირს. ეს ეხება არა მარტო სოციალურ რეფორმატორებს ან ექვით შეპყრობილებს, არამედ ბევრ სხვა ადამიანსაც.

პარანოია იშვიათად ემართებათ მოზარდებს და ახალგაზრდებს. უფრო ხშირად ეს მოწიფული ასაკის პრივილეგიაა, ზოგჯერ ხანდაზმულისაც. პარანოიკები ის ადამიანები არიან, ვინც მთელ თავიანთ ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და ცოდნას მიმართავს რომელიმე იდეის სარეალიზაციოდ. ეს იდეა დასაწყისში ხშირად სწორია ან თითქმის სწორი, შემდგომ კი სასაცილო და უბადრუკი ხდება.

ხშირად პარანოიკები უდიდეს ენერგიას და სულიერ ძალებს შეალევენ ხოლმე ისეთ რამეს, რასაც პრაქტიკულად არავითარი აზრი არა აქვს და არ ღირს დახარჯულ დროდ და ნერვებად.

45 წლის მამაკაცი დაეჭვდა, რომ ცოლი ღალატობდა. კაცობრიობის ისტორიაში ასეთი სიტუაცია დიდად ორიგინალური არ არის და არც მასზე მამაკაცთა რეაგირება გამოირჩევა მრავალფეროვნებით. მაგრამ პარანოიკებს ყველაფერი უკუღმართად ესმით და ჩვენი პაციენტიც ისე მოიქცა, როგორც აბეზარი ადამიანები იქცევიან. ცოლისგან მალულად ამოთხარა სამალავი იმ ადგილის ქვეშ, სადაც მათი საწოლი იყო (ცხოვრობდნენ ხის სახლში, პირველ სართულზე). ამ სამალავში, რომელსაც უამრავი დრო და ენერგია შეალია, ყოველდღიურად საათობით იჯდა და ელოდა, როდის უღალატებდა ცოლი. მერე იქ მაგნიტოფონს ტოვებდა და ყოველგვარ ხმაურს იწერდა. საამისოდ ელექტროდენის გაყვანა დასჭირდა და კიდეც გაიყვანა. ასე გრძელდებოდა რამდენიმე თვის მანძილზე. დაიწყო ყინვები, სამალავში მორიგეობა გაძნელდა. გადაწყვიტა, რამდენიმე მეგობრისთვის ეთხოვა დახმარება. მათთან ერთად რაღაც რთული მოწყობილობის კეთება წამოიწყო, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა. მეგობრები დაარწმუნა, რომ ცოლი ღალატობდა; ისინი რიგრიგობით ისხდნენ სამალავში და ელოდნენ. ცოლმაც მალე შენიშნა ქმრის უცნაური საქციელი. იფიქრა, რაღაცას მიმალავსო, და პირველი, რაც თავში მოუვიდა, ის იყო, ქმარმა ალბათ საყვარელი გაიჩინაო!

მართალია, მისი ქმარი ქალებს ერიდებოდა, ამ ქვეყნისა არაფერი ეცხო, მუდამ თავისი გამოგონებებით იყო გართული ან სამსახურში უფ-

როსებს ეკამათებოდა, მაგრამ რა იცი, კაცისაგან ყველაფერია მოსალოდნელი. გადაწყვიტა, თვალი ედევნებინა და გაეგო, სად ატარებდა დროს. აღმოჩნდა, რომ ქმარი ერთთავად სამალავის მახლობლად ტრიალებდა. ისიც შენიშნა, რომ იქ რამდენჯერმე ვიღაც ქალი შევიდა: ეს იყო ქმრის ერთ-ერთი კომპანიონის და, რომელსაც ძმისთვის სიგარეტები მიჰქონდა. ქალიც შეთქმულების მონაწილე იყო და მტკიცედ სჯეროდა, რომ აუცილებელი იყო თვალთმაქცი და მოღალატე ცოლის გამოაშკარავება.

ცოლმა გადაწყვიტა ქმრისთვის დანაშაულზე წაესწრო. ერთხელ, როცა მთელი კომპანია სამალავში იყო, იგი სახლმმართველის, მეზობლების და უბნის რწმუნებულის თანხლებით თავზე წაადგა ქმარს და მის მეგობრებს. თავდაპირველად ყველა გაშეშდა, მერე ენით აუწერელი ალიაქოთი ატყდა, როცა გაიგეს, თუ რისთვის ნადირობდნენ ერთმანეთზე ცოლი და ქმარი.

პარანოიკებს უნარი აქვთ აიყოლიონ ჯანმრთელი ადამიანები და თავიანთ თანამოაზრეებად აქციონ. ინდუცირების უნარი ბევრ რამეზეა დამოკიდებული; რაც უფრო ავტორიტეტულია პარანოიკი, მით უფრო ადვილად ახერხებს სუსტი ნებისყოფის ადამიანზე ზემოქმედბას. პრიმიტიულ ადამიანზე გარკვეულ შთაბეჭდილებას ახდენს ისიც, რომ პარანოიკის მსჯელობა ძალიან წააგავს სიმართლეს.

ძველად ფართოდ იყო გავრცელებული მასობრივი ინდუცირებული ფსიქოზები. მაგალითად, რელიგიური ხასიათის ბოდვით შეპყრობილი ვინმე პარანოიკი ირწმუნებოდა, რომ იწყებოდა მეორედ მოსვლა. მიმნდობი, გონებაშეზღუდული ადამიანები, რომელთაც არ შეეძლოთ ინფორმაციის კრიტიკულად აღქმა, უჯერებდნენ ასეთ სუბიექტს, რასაც შედეგად მოსდევდა მასობრივი თვითდაწვის აქტი. თვითონ პარანოიკებიც იგივეს სჩადიოდნენ, უფრო ხშირად კი განზე რჩებოდნენ და ადრე თუ გვიან განსასჯელის სკამზე აღმოჩნდებოდნენ. სასამართლო-ფსიქიატრიულ ექსპერტიზას უნდა გადაეწყვიტა მათი შეურაცხადობის ხარისხი. თავსატეხი უჩნდებოდათ ექიმებსა და ფსიქოლოგებს. ისინი გაუთავებლად კამათობდნენ და საბოლოოდ ვერავითარ დასკვნამდე ვერ მიდიოდნენ. ამიტომ ზოგ პარანოიკს ჯანმრთელად მიიჩნევდნენ და სჯიდნენ მასობრივი თვითმკვლელობის წაქეზებისათვის ან სხვა სოციალური აქტის ჩადენისათვის, ზოგს კი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში აგზავნიდნენ ხანგრძლივი ვადით, როგორც საზოგადოებისათვის საშიშ პიროვნებებს. ეალე ასეთი პაციენტები სხვადასხვა ხრიკებით ისევ ტოვებდნენ სამკურნალო დაწესებულებას და თავიანთ მოღვაწეობას განაგრძობდნენ. თუ ხელახლა დაპატიმრებდნენ, თავს ძალადობის მსხვერპლად თვლიდნენ, სხვადასხვა იდეებისთვის მებრძოლად ასაღებდნენ და თავის სიმართლეში ბევრ ჯან-

მრთელ, ადვილად მიმნდობ ადამიანს არწმუნებდნენ. ერთ პარანოიკს შეუძლია გაიყოლიოს ასობით, ათასობით და მილიონობით ადამიანი და ისინი ბოლოს და ბოლოს უფსკრულის პირას მიიყვანოს. ამით განსხვავდებიან პარანოიკები ნამდვილი სახალხო წინამძღოლებისგან — საღად მოაზროვნე ადამიანებისაგან, რომელნიც კარგად ჭვრეტენ მომავალს და თავისი მოწოდებების შედეგს მშვენივრად ხედავენ. აქედან გამომდინარე, პარანოიის პრობლემა მხოლოდ სამედიცინო პრობლემა არ არის, ის მეტისმეტად მჭიდროდ უკავშირდება ადამიანური საზოგადოების, ცხოვრების სხვადასხვა სფეროს.

ჯოკონდას მოპარვა

ბევრი პარანოიკის საქციელი სავსებით გაუგებარია. თავდაპირველად ჰგონიათ, რომ ეს ავადმყოფობის ბრალი კი არ არის, არამედ რეალურად არსებული ფარული ძალების მოქმედების შედეგია. ასეთი მსჯელობის გამო ბევრი სერიოზული ადამიანი აღმოჩენილა სასაცილო მდგომარეობაში, როცა ჭეშმარიტება დაუდგენიათ. ჭეშმარიტება კი, ადრე თუ გვიან, ყოველთვის თავს იჩენს.

1911 წლის 21 აგვისტოს ლუვრიდან მოიპარეს ადამიანური გენიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო სრულყოფილი ქმნილება — ლეონარდო და ვინჩის „ჯოკონდა". ქურდობის მიზეზად რაღას არ ასახელებდნენ. ზოგი ამბობდა, საქმეში უცნობი განგსტერული ორგანიზაციების ხელი ურევიაო, საერთაშორისო ბანდები დიდი ხანია „მონა ლიზაზე" ნადირობდნენ და ახლა თავიანთი ბოროტი ჩანაფიქრი განახორციელესო. უფრო ნაციონალისტურად განწყობილი ფრანგები აშკარად ირწმუნებოდნენ, ჯოკონდას მოპარვა გერმანიის იმპერატორმა ვილჰელმ II მოაწყო, რათა კიდევ ერთხელ დაემცირებინა დიდებული საფრანგეთიო. სხვები ქურდობას აბრალებდნენ პოლიციელებს, ანარქისტებს, მხატვრებს, მეძავებს, მინისტრებს, იტალიელებს, ბელგიელებს, ინგლისელებს და ა. შ. — ყველას, ვისი წარმოდგენაც კი შეიძლებოდა ქურდად ან ვისაც მცირეოდენი მოგების მიღება მაინც შეეძლო ამ საქმიდან. საყოველთაო მაბეზღარობისა და არეულობის დროს პოლიციამ დააპატიმრა პოეტი გიიომ აპოლინერი და პარიზში მცხოვრები ასე თუ ისე ცნობილი რამდენიმე სხვა უცხოელი. ერთი სიტყვით, დაიწყო გრანდიოზული სკანდალი, რომელშიც გარეული იყვნენ ცნობილი პიროვნებები, უცხო სახელმწიფოები, მათი პოლიცია — ვის არ აბრალებდნენ ქურდობას, საფრანგეთის წინააღმდეგ მიმართულ როგორ ხრიკებს არ ჭვრეტდნენ იდუმალ ბოროტ-

მოქმედთა საქციელში. „ჯოკონდას“ ამბავი მალე მოედო მთელ ევროპას და თითქმის მთელ მსოფლიოსაც. ყველა, ვისაც ოდნავი მიზეზის დასახელება მაინც შეეძლო, მაშინვე პრესის ფურცლებზე გამოდიოდა და თავის მოსაზრებას (თუნდაც ახირებულს) საზოგადოებას უზიარებდა. ერთი სიტყვით, თითქოს მთელი მსოფლიო ჭკუაზე შეიშალა.

რა მოხდა სინამდვილეში? აღმოჩნდა, რომ არავითარი მითიური საერთაშორისო ბანდები არ არსებობდა, არც ვილჰელმის შურისძიების ამბავი იყო ნამდვილი. არაფერი იმის მსგავსი, რაც ადამიანებს თავში მოსდიოდათ, სინამდვილეში არ მომხდარა. მიზეზი გაცილებით მარტივი, ჩვეულებრივი, იდუმალებას სავსებით მოკლებული და იმდენად არაროგორმანტიული იყო, რომ როგორც კი ქურდი იპოვეს, „ჯაკონდას“ მოპარვაზე მითქმა-მოთქმა მაშინვე შეწყდა.

1913 წლის 2 დეკემბერს სურათი უეცრად აღმოჩნდა. იგი მოუპარავს ვინჩენცო პერუჯიას, ფსიქოპათიურ პიროვნებას, რომელიც ექიმებს მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდათ. იგი რამდენჯერმე დაპატიმრებულიც ყოფილა ნაკლებმოტივირებული წვრილმანი დანაშაულისათვის. მაგალითად, ერთხელ მეძავი გაუძარცვავს და რამდენიმე მონეტა წაუღია. მაგრამ პოლიცია მალევე ათავისუფლებდა, რაკი სამართალდარღვევა უმნიშვნელო იყო, ყმაწვილი კი ცოტა „შექანებული“. სიმართლე რომ ითქვას, პოლიციას არ გამოურიცხავს შესაძლებლობა, რომ „ჯოკონდას“ მოპარვა სულით დაავადებულსაც შეეძლო. დაიწყეს კიდეც ფსიქიატრიული საავადმყოფოების პაციენტთა შემოწმება, ზოგი მათგანი ხომ დიდი ხნის მანძილზე აცხადებდა თავს ჯოკონდას სატრფოდ, მის შთაგონებულად ან შვილად. მაგრამ პრესამ, რომელიც აბ ფაქტში საიდუმლო შეთქმულებას ეძებდა, მოწყობილს რომელიღაც ძლიერი და ჯერ კიდევ გაუმჟღავნებელი ძალების მიერ, სასაცილოდ აიგდო პოლიციის ცდები და ამ უკანასკნელმაც თავი ანება პარანოიკებს შორის ქურდის ძებნას.

„ჯოკონდა“, როგორც ჩანს, მართლა მაგნეტიზით იზიდავს ზოგიერთ ადამიანს. ამბობენ, ლუვრში მსახურად მუშაობდაო მონა ლიზას ერთი თაყვანისმცემელი. 25 წლის მანძილზე იგი განუყრელად დარაჯობდა თავის სატრფოს — მისი მუდმივი ადგილი „ჯოკონდას“ გვერდით იყო. ერთი წუთითაც არ სცილდებოდა ლეონარდოს დიდ ქმნილებას და ყოველ დილით, გაღებამდე ნახევარი საათით ადრე მიდიოდა მუზეუმში, რომ მოწმეთა გარეშე გამოეხატა თავისი გრძნობები სათაყვანო შედევრის მიმართ. ამ ადამიანმა მიატოვა შემოსავლიანი ფირმის დირექტორის პოსტი და უბრალო მსახურად მოეწყო ლუვრში. თავისი ხასიათით იგი მცირედ განსხვავდებოდა პერუჯიასაგან, ოღონდ ერთის პარანოია სურათის ქურდობაში გამოიხატა, მეორისა კი არანორმალურ აღტაცებასა და მის დაცვაში.

პარანოიკებს თავიანთი იმპულსური, არამოტივირებული და ულოგიკო აზროვნების გამო შეუძლიათ გაანადგურონ ხელოვნების ქმნილებანი. 1918 წლის 16 იანვარს ტრეტიაკოვის გალერეაში დაამახინჯეს ი. რეპინის სურათი „ივანე მრისხანე და მისი შვილი ივანე". ბოროტმოქმედი აღმოჩნდა მოსკოვის ფსიქიატრიული საავადმყოფოს პაციენტი, ახალგაზრდა ხატმწერი აბრამ ბალაშოვი, რომელმაც, რა თქმა უნდა, ვერაფრით ახსნა თავისი ვანდალიზმის ფაქტი, თუმცა პრესა ყოველნაირად ცდილობდა მის საქციელში მითიური, პოლიტიკური და რელიგიური ძალების პროვოკაცია დაენახა. ამჯერადაც საქმე გაცილებით მარტივი აღმოჩნდა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხელოვნების ნაწარმოებთა ქურდობას მხოლოდ პარანოიკები სჩადიან. სურათების ქურდობა, რომელმაც XX საუკუნეში ასეთი ფართო ხასიათი მიიღო, ძალზე მოხერხებულ და ანგარიშიან მძარცველთა ნამოქმედარია. მათ ერთი გარკვეული მიზანი აქვთ — რაც შეიძლება ძვირად გაყიდონ ნაქურდალი. პერუჯიას და ბალაშოვს შეეძლოთ ელუღლუღათ რაღაც მაღალ იდეალებზე, რომელმაც ქურდობა ჩაადენინა, თანამედროვე ქურდები კი მხოლოდ კონკრეტული და მერკანტილური მიზნებით ხელმძღვანელობენ.

რა იძნება შემდეგ?

პარანოია უფრო ახლოსაა უხეშ პათოლოგიასთან, ვიდრე ფსიქიკურ ნორმასთან. მასზე ნაამბობით დავამთავრებ ჩემს მოთხრობას უჩვეულო ხასიათებზე. მაგრამ მინდა კიდევ რამდენიმე საკითხზე შევჩერდე, რომლებიც ძალზე მნიშვნელოვნად მეჩვენება.

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ უჩვეულო ხასიათთა სამყარო დისჰარმონიული, რთული და მძიმეა. კაცმა შეიძლება იფიქროს, რომ კაცობრიობის ყველა უბედურება, სოციალური უწესრიგობის ყველა მიზეზი თვით ადამიანის ბუნებაში ძევს და მისივე ბრალია: უხარისხო სამშენებლო მასალით კარგი შენობა ვერ აიგება. რა თქმა უნდა, კაცობრიობის ბევრი უბედურება შეიძლება აიხსნას ცალკეული ადამიანების ბიოლოგიური მანკით. ევოლუცია რთული მოვლენაა. ფენა, რომელიც ადამიანს თავის წინამორბედთაგან გამოჰყოფს ევოლუციურ კიბეზე, თხელია და ადვილად ირღვევა არახელსაყრელი სოციალური და ბიოლოგიური ფაქტორების ზემოქმედებით.

ადამიანის პიროვნების — ჩვენს პლანეტაზე ევოლუციის გამოვლენის ამ უმაღლესი ფაქტორის შესანარჩუნებლად საჭიროა მისი ბიოლოგიური და სოციალური სიჯანსაღე, შინაგანი ერთიანობა და ჰარმონია გა-

რე სამყაროსთან. როცა ყოველივე ეს ირღვევა, ჩნდება ავადმყოფობა. შეუძლია თუ არა ერთ ექიმს ამ ავადმყოფობის მორჩენა? რა თქმა უნდა, არა. სულ ცოტა, ორი ექიმი მაინც არის საჭირო: ერთი — ტრადიციული გაგებით, მეორე — ერთგვარი სოციალური მკურნალი, სოციალურ დაავადებათა მეწამლე. მაგრამ ვინ არის ეს სოციალური ექიმი? არსებობს კი იგი საერთოდ?

XX საუკუნის ბოლოს ექიმებს გარკვეული პესიმიზმი გაუჩნდათ ზოგიერთ დარღვევათა მიმართ. ლაპარაკობენ იმაზე, რომ დიაგნოზი უნდა დაესვას არა მარტო პაციენტს, არამედ, პირველ რიგში, იმ მიკროსაზოგადოებას, რომელიც მას გარს არტყია. აუცილებელია სისტემატური მიდგომა, რადგან ადამიანი და მისი სოციალური გარემო ერთიანი სისტემაა, რომლის სინქრონული მუშაობა სხვადასხვა ფაქტორთა ზემოქმედებით ირღვევა. მაგალითად, ნევროზები ერთ სიტუაციაში ჩნდება, მეორეში — არა. მათი გამომწვევი მიზეზებია მხოლოდ სოციალური ცხოვრების დეფექტები, რომლებიც წინასწარ შემზადებულ ბიოლოგიურ ნიადაგზე მოხვდნენ. ვინ არის ავად? ადამიანი თავისი ნიადაგით თუ გარემო? ალბათ ერთიც და მეორეც: ჰარმონიულ სოციალურ გარემოში მოხვედრილი ნევროტიკი, მიუხედავად ცუდი ბიოლოგიური ნიადაგისა, ყოველგვარი მკურნალობის გარეშე გამოჯანმრთელდება ხოლმე, არასრულფასოვან სოციალურ გარემოში კი, თუნდაც იდეალური კონსტიტუცია ჰქონდეს, მაინც დეკომპენსაციას განიცდის. ექიმთა ნაწილი ჯერჯერობით წინააღმდეგია სისტემური მიდგომისა: მათი აზრით, ასეთი მიდგომა მედიცინას გაანადგურებს, სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის მსახურად აქცევს და ბოლოს და ბოლოს თვითმკვლელობამდე მიიყვანს.

მე კი მიმაჩნია, რომ მომავლის მედიცინა და ფსიქოლოგია უნდა ემყარებოდეს სისტემურ მიდგომას. ასეთი მეთოდით განიხილება არა უბრალოდ ინდივიდუუმი, არამედ სისტემა „ადამიანი — გარემო“, ერთნაირად გაეწევა ანგარიში სოციალურ და ბიოლოგიურ გარემოს. ეს, რა თქმა უნდა, შეცვლის მედიცინის სახეს. შეიძლება მოსპოს კიდეც იგი ტრადიციული გაგებით. მაგრამ, დარწმუნებული ვარ, დანაკარგი დიდი არ იქნება: დღევანდელი მედიცინა საჭიროებს ძირეულ გარდაქმნას ახალი იდეების საფუძველზე, რომელთა მიმართ კონსერვატულად განწყობილი ექიმები შიშსა და უნდობლობას გრძნობენ. მაშინ კი დადგება სრული ბიოსოციალური ჰარმონია? რა თქმა უნდა, არა. აი ამის ერთ-ერთი მიზეზი:

გენეტიკის, რეანიმატოლოგიის, სამეანო დარგის მიღწევების შედეგად ბავშვები, რომლებიც წინათ, სამწუხაროდ, იღუპებოდნენ, მომავალში, საბედნიეროდ, ცოცხალნი დარჩებიან. მათ ნაწილს, რა თქმა უნდა,

ერთგვარი გადახრები ექნება — ამიტომ ექიმები უმუშევრად არასოდეს დარჩებიან. ამ დეფექტების გამოჩენა, თუნდაც დროებით, მაგრამ მაინც დაარღვევს ჰარმონიას, რომლისკენაც ადამიანები ისწრაფვიან. რაც უფრო მოზრდილია ადამიანი, მით უფრო მეტ დამოუკიდებლობას მოითხოვს, რაც საკუთარი ძალების რწმენას შეჰმატებდა — ეს კი პიროვნების და მთელი კაცობრიობის პროგრესის მთავარი წყაროა. მაგრამ პრეპუბერტატული და მოზარდი ასაკის (10-დან 16 წლამდე) მომავალ მოქალაქეებს საზოგადოება მკაცრად უნდა მეთვალყურეობდეს, ახშობდეს მათ ანტისოციალურ ტენდენციებს, იცავდეს ნარკოტიკებისაგან, სექსუალური თავისუფლებისა და პათოლოგიურად მიმდინარე მოზარდული კრიზის სხვა უკიდურესობათაგან, ხოლო ის ფაქტი, რომ ასეთი მოზარდული კრიზის მქონე პირთა რიცხვი წლითიწლობით გაიზრდება, ეჭვს არ იწვევს, თუ გავითვალისწინებთ თუნდაც სამეანო და გინეკოლოგიური დარგის მიღწევებს.

რაც შეიძლება მეტი თავისუფლება უნდა მიეცეს იმას, ვისაც შეუძლია ამ თავისუფლების გონივრული გამოყენება, და შესაბამისად უნდა შეიზღუდოს იმათი თავისუფლება, ვინც ჯერ კიდევ არ მომწიფებულა საამისოდ. მაგრამ ვინ განსაზღვრავს, მომწიფებულია თუ არა ადამიანი თავისუფლებით სარგებლობისთვის? ექიმი? რომელი ექიმი? ექიმები ხომ სხვადასხვაგვარნი არიან, მორალიც სხვადასხვანარი აქვთ და ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხველი პოლიტიკური და პროფესიული შეხედულებანიც გააჩნიათ. მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს, ექიმები უკვე ახლა იძულებულნი არიან სოციალური პრობლემებით დაინტერესდნენ — მიუხედავად იმისა სურთ ეს თუ არა. ექიმებმა იციან, რომ ბევრი ბიოლოგიური ანომალია იკურნება არა იმდენად წამლით, რამდენადაც სოციალური და სამედიცინო ზემოქმედების შერწყმით, თანაც გადამწყვეტი როლი სოციალურ ფაქტორს ეკუთვნის.

ტყუილი ლაპარაკი რომ არ გამომივიდეს, მოვიყვან შემდეგ მაგალითს: წარსულში დიდად იყო გავრცელებული კლეპტომანია, ახლა კი იგი ძალზე იშვიათად გვხვდება. ეს დარღვევა აღმოფხვრეს არა ექიმებმა, არამედ იურისტებმა.

კლეპტომანია კრებითი ტერმინია და მოიცავს ქურდობისაკენ ავადმყოფური მიდრეკილების სხვადასხვა სახეობას. ეს მიდრეკილება შეიძლება გამოიხატოს ბოდვით, აკვიატებული მოქმედებით, პათოლოგიური პირობით-რეფლექსური აქტით და ა. შ.

XX საუკუნის დასაწყისის ცნობილმა ფსიქიატრმა ფრიც ვიტელსმა,

ჯერ თანამოაზრემ, შემდეგ კი უბოროტესმა მტერმა ფროიდისა (ფსიქოანალიტიკური მეთოდის შემქმნელი აუტანელი ხასიათით გამოირჩეოდა: დესპოტური ბუნებისა იყო და ძალზე ეჭვიანი, მოსწავლეთაგან უსიტყვო მორჩილებას მოითხოვდა, თავისი ცვალებადი მოძღვრებიდან თუნდაც ერთი მილიმეტრით გადახვევას სასტიკად კრძალავდა. ბუნებრივია, რომ ცოტად თუ ბევრად დამოუკიდებელი და ამაყი ადამიანები დიდხანს ვერ ითმენდნენ მის ტირანიას და გაურბოდნენ. შემდეგ საკუთარ გზებს ეძებდნენ. ფროიდის გვერდით რჩებოდნენ მხოლოდ მასზე შეყვარებული და ყველაფრის მიმტევებელი ქალები, მათ შორის საკმაოდ ბევრი დიდი მეცნიერიც იყო), ერთხელ თქვა, კლეპტომანია თავისებური სპორტის ფარული სახეობაა, ხოლო თუ ეს სპორტია, მაშინ კლეპტომანებსაც სპორტსმენებივით უნდა მოვეპყრათ, ე. ი. მოვთხოვოთ, რომ არ ჩაიდინონ არავითარი ანტისაზოგადოებრივი საქციელი (მოცემულ შემთხვევაში—არ იქურდონ).

XX საუკუნეში კლეპტომანების უმრავლესობას ჩვეულებრივ ქურდებად თვლიან და კანონის ძალით სჯიან. რა გავლენა მოახდინა ამან კლეპტომანიაზე? ეს სენი თითქმის მთლიანად აღმოიფხვრა ყველა ქვეყანაში. ასე მოიშორა კაცობრიობამ ერთი ბიოლოგიური ანომალია სოციალური ზემოქმედების საშუალებით.

საინტერესო მეცნიერებაა ფსიქიატრია! სხვაგან სად შეხვდები მსგავს რამეს?

ფსიქიკის ყველაზე უხეში დარღვევის შემთხვევაშიც კი პაციენტს ასე თუ ისე შეუძლია ოდნავ მაინც გაუწიოს კონტროლი საკუთარ ქცევას. ვნებათა ღელვისას (მნიშვნელობა არა აქვს, როგორია ეს ვნებები — პათოლოგიური თუ ნორმალური — მათ შორის ზღვარი თითქმის შეუმჩნეველია და ნაკლებ შესწავლილი) ადამიანს უფრო მეტად შეუძლია საკუთარი ქცევა წარმართოს. ამიტომ აუცილებელია, ავამაღლოთ მომთხოვნელობა ასეთი ზედმეტად ვნებიანი ხალხის მიმართ. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ყველანი სიმულანტები არიან, ე. ი. განგებ თამაშობენ ავადმყოფის როლს. ეს არ არის სიმულაცია მერკანტილური მიზნით, ეს არის უნებური თავაშვებულობა, რომელიც უნდა დაიძლიოს ერთდროულად — ავადმყოფის მიერ ნებისყოფის დაძაბვით, წამლებით და ფსიქოთერაპიით. პაციენტები სხვადასხვაგვარნი არიან, ერთნი საჭიროებენ დასვენებას, დამშვიდებას და ყურადღების სხვა საგანზე გადატანას, მეორენი — შთაგონებას, დამაჯერებელ შეგონებებს, მკაცრ კონტროლს, გვარიან დატუქსვას. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება იმათ, ვინც უსაზღვრო. ყოვლისწამლეკი ვნებებით გამოირჩევიან, რასაც საფუძვლად ეგოიზმი, ახლობ-

ლების მიმართ გულგრილობა, საკუთარი სურვილების დაუყოვნებლივ დაკმაყოფილების წყურვილი და გარშემო მყოფთა მიმართ ზიზღი ახასიათებთ.

უგულური და მხიარული ტელესფორი

ეგოიზმს ადამიანი ჰიპოქონდრიამდე მიჰყავს. იგი ავადმყოფურად აყურადებს საკუთარ შეგრძნებებს, ათასგვარ ავადმყოფობას ჩხრეკს საკუთარ სხეულში. ჰიპოქონდრია, საბოლოო ანგარიშით, ადამიანური ეგოიზმის პრობლემაა, რომელიც კარიკატურულ ფორმას იღებს და ისევ იმ ადამიანს აწუხებს. ჰიპოკონდრიკები სამედიცინო წიგნებისა და ჟურნალების ძირითადი მკითხველები არიან. ამის გამო ექიმებს ბევრი თავსატეხი უჩნდებათ. ჰიპოქონდრიკები მათგან კატეგორიულად მოითხოვენ ათობით დაავადების გამორიცხვას, რომელთა შესახებაც პოპულარულ ჟურნალებში ამოიკითხეს და მათი სიმპტომები საკუთარ ორგანიზმში აღმოაჩინეს.

ჰიპოქონდრიკებისგან თავმობეზრებული ზოგიერთი ექიმი სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალების გამოცემის შეწყვეტას მოითხოვს. მაგრამ ეს ემოციების შედეგია და არა საღი აზროვნებისა. არ შეიძლება მთელი მეცნიერული და მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურის ლიკვიდაცია მხოლოდ იმიტომ, რომ მკითხველთა შორის შეიძლება ჰიპოქონდრიკებიც აღმოჩნდნენ. ამიტომაც მივმართავ ამ წიგნის მკითხველებს: თუ ზედმეტად ეჭვიანი ბრძანდებით, თქვენს შთაბეჭდილებებსა და ავადმყოფურ შეგრძნებებს მეტისმეტად ჩხრეკთ, უმჯობესია, ნუ წაიკითხავთ მას. მაგრამ თუ ასეთი რამ არ გახასიათებთ ან მკვეთრად გამოხატული არა გაქვთ, მაშინ იკითხეთ, რამდენიც გნებავთ, ოღონდ ნუ დაივიწყებთ მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის სიტყვებს, 1880 წლის ზაფხულში რომ დაწერა: „ბევრი საშუალებაა საიმისოდ, კაცს სიცოცხლე მობეზრდეს, ყველაზე უტყუარი კი ის გახლავთ, რომ აიძულო ადამიანი საკუთარი კულტის დაცვას მიუძღვნას თავი, ე. ი. გახდეს ჰიპოქონდრიკი“. ა. პ. ჩეხოვის „ჩანაწერებში“ კი მოყვანილია პიროვნების პათოლოგიური ფორმირების მაგალითი ჰიპოქონდრიული სიუჟეტით: „ექიმი კაცს აღმოუჩენს გულის მანკს. კაცი მკვეთრად იცვლის ცხოვრების წესს, არ სვამს, ცოლს არ ირთავს. 11 წლის შემდეგ ირკვევა, რომ მას სავსებით ჯანმრთელი გული აქვს. კაცი გახარებულია, მაგრამ ნორმალური ცხოვრება უკვე აღარ შეუძლია, მიეჩვია დაღამებისთანავე დაწოლას, წყნარად სიარულს, ავადმყოფობაზე ლაპარაკს“.

არავის ვუსურვებ იმ უბედური კაცის ბედში ჩავარდნას.

ძველბერძნულ მითოლოგიაში მკურნალობის ღმერთს ასკლეპიოსს ყოველთვის თან ახლდა პატარა ბიჭი, სახელად ტელესფორი. ეს ნორჩი არსება გამოჯანმრთელების გენიის ფუნქციას ასრულებდა. მე გავაფართოებდი ტელესფორის სიმბოლურ მოვალეობას: მას შეეძლო შეესრულებინა გამოჯანმრთელების იმედის, გამოჯანმრთელებისკენ აქტიური სწრაფვის, ავადმყოფური განცდებისაგან თავის დაღწევის და მათი თამამად დაძლევის გენიის ფუნქცია. ყოველ ავადმყოფს უნდა ჰყავდეს თავისი ტელესფორი, რომელზეც დამოკიდებული იქნება, თუ რომელ ექიმთან მოხვდება ავადმყოფი, გაუმართლებს თუ არა, როგორ წარიმართება მკურნალობა, რას ურჩევს ექიმი, რომ დააჩქაროს გამოჯანმრთელება, როგორ უნდა მოიქცეს თვითონ ავადმყოფი, რომ სენი არ გაუძლიერდეს და ა. შ.

ერთი სიტყვით, ტელესფორი ყველას სჭირდება. ვის აირჩევს ავადმყოფი ამ როლისათვის, ეს თვითონ ადამიანზეა დამოკიდებული. თუ ტელესფორად დასახავს პირქუშ, ურწმუნო პესიმისტს, რომელიც საკუთარ თავსაც და სხვებსაც სიცოცხლეს უწამლავს — ეს უკვე იმის მტკიცე გარანტია იქნება, რომ ავადმყოფობა წლობით გაგრძელდება და ყველას უბედურებას მოუტანს. თუ ტელესფორი ჯიუტი, მხიარული და გულადი ბიჭუნა აღმოჩნდება, ავადმყოფობასაც სულ მალე მოეღება ბოლო.

ჩეხოვის გმირს რომ კარგი ტელესფორი ჰყოლოდა, იმ დღეში არ ჩავარდებოდა და არც მე მოვიყვანდი იმის მაგალითად, თუ ეჭვიანობას და ჰიპოქონდრიას როგორი მძიმე ინვალიდობა მოსდევს.

იყავით ფხიზლად, ჩემო მკითხველებო, ოღონდ ეჭვიანები ნუ იქნებით. იზრუნეთ თქვენს ჯანმრთელობაზე, მაგრამ ზომიერად; ნუ დაგავიწყდებათ, რომ გარდა საკუთარი ჯანმრთელობისათვის ზრუნვისა, არსებობს კიდევ უზარმაზარი, მშვენიერი სამყარო, რომლის შესაცნობად არავითარი ჯანმრთელობა არ გეყოფოდათ. მაგრამ ამ უსასრულო სამყაროს შეცნობას თუ არ შეეცდებით, მაშინ სიცოცხლეც არ ღირს და რაღა ფასი ექნება ჯანმრთელობას?

სიცოცხლე სხვების საკეთილდღეოდ

ეგოიზმი მთავარი მიზეზია ხასიათის პათოლოგიისა. მისგან თავის დასახსნელად დიდი მნიშვნელობა აქვს უკეთესი მომავლის რწმენას, ამ მომავლის მოახლოებისათვის აქტიურ სწრაფვას. მაშასადმე, აუცილებელია პიროვნებისა და მთელი საზოგადოების ისეთი გარდაქმნა, რომე-

ლიც ძირშივე მოსპობდა ეგოიზმის ამონაზარდს, ადამიანს სიმამაცეს, პატიოსნებას, აქტიურობას და თვითგანწირვის უნარს გაუღვიძებდა.

ეგოიზმი და სისასტიკე თავისთავად გამორიცხავენ მორალს და სიკეთეს. ჩვენს დროში, როგორც არასოდეს, აუცილებელია პიროვნებისა და მთელი საზოგადოების მორალური პოტენციალის განუხრელი ზრდა. შემთხვევითი არ არის, რომ ლიტერატურა, ხელოვნება, მეცნიერება ერთხმად ჩივიან, ჩვენს თანამედროვე ყოფას აუცილებლად სჭირდება XX საუკუნის ბოლოსათვის ყველაზე დეფიციტური რამ — სინდისიო.

შემთხვევითი არ არის, რომ გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა ა. დ. ზურაბაშვილმა წამოაყენა ცნება Homo Moralis, როგორც ყველაზე უფრო ადექვატური განსაზღვრება ფსიქიკურად ჰარმონიული ადამიანისა. 1984 წელს ამ სტრიქონების ავტორმა სცადა შეედგინა ნორმალური ადამიანის ფორმულა და მასში შეეტანა ყველაზე მთავარი: მორალი, სიკეთე, გონიერება. შედეგი ასეთი გამოვიდა: Homo Normalis= Homo Moralis+Homo clemens+Homo Sapiens.

ცივილიზაციას მთელი ისტორიის მანძილზე არ დაჰკლებია მოწოდებანი ზნეობრივი სრულყოფისაკენ. არც ამ მოწოდებათა კრიტიკა და გაბიაბრუება მოჰკლებია. ცინიკოსები ამტკიცებენ, ადამიანი ცხოველური ყოფისთვის არისო განწირული. საკმარისია მოაკლდეს საკვები და სხვა ფიზიოლოგიური ინსტინქტების დაკმაყოფილების შესაძლებლობა, რომ ადამიანურ სახეს კარგავს და პირუტყვს ემსგავსებაო. ადამიანის ნაკლოვანებებზე, მის არასრულყოფილებასა და ამორალობაზე უამრავი ლიტერატურა არსებობს. ეს ყველაფერი მართალია, ძნელია ამ მტკიცების გაბათილება, როცა ყოველ ნაბიჯზე სიმდაბლეს და უსინდისობას ხვდები. მაგრამ მთლად ასეც არ არის საქმე. ჭეშმარიტება ის გახლავთ, რომ უეჭველად უნდა დაითრგუნოს ადამიანის შეგნებაში ყოველივე უარყოფითი.

როგორ უნდა მოხდეს ეს? რჩევა ბევრგვარი შეიძლება იყოს, მაგრამ შევჩერდები მხოლოდ იმათზე, რომლებიც ამ წიგნის თემატიკას უახლოვდება. აქ მთავარია მომავალი თაობის სწორად აღზრდა. რაში გამოიხატება ეს სწორი ანუ კარგი აღზრდა? ალბათ იმაში, რომ აღვზარდოთ კარგი ადამიანი. მაგრამ რას ნიშნავს კარგი ადამიანი?

უპირველეს ყოვლისა, შრომისმოყვარე, პატიოსან, გულკეთილ, სინდისიერ, შემწყნარებელ პიროვნებას, რომელსაც გააჩნია იუმორის გრძნობა, შეუძლია და უყვარს კიდეც საკუთარი თავისა და სხვების გაქილიკება. ასეთი ადამიანის ცხოვრება მოყვასზე ზრუნვაა. ბევრი საშუალება არსებობს მსგავსი პიროვნების ჩამოსაყალიბებლად. პირველ რიგში კი თვითონ აღმზრდელის პირადი მაგალითი დგას. ჯერ საკუთარი თავი აღზარდე და მერე შეუდექი სხვის აღზრდას. მეორე უმთავრესი პრინ-

ციპი ჰარმონიული და ქმედითი აღზრდისა გახლავთ აღმზრდელისა და აღსაზრდელის თანამონაწილეობა ერთობლივ საქმიანობაში. სამწუხაროდ, ეს პრინციპი ყველაზე იშვიათად ხორციელდება, ოჯახი ყველაფერს საბავშვო ბაღს, სკოლას, უმაღლეს სასწავლებელს აკისრებს. პედაგოგებსაც უყვართ ყველაფრის ოჯახისათვის გადაბრალება. სხვადასხვა აღმზრდელობით სფეროს შორის თითქმის ჩინური კედელია აღმართული.

მესამე პრინციპი ისეთივე მთავარია, როგორც წინა ორი — მაქსიმალური შრომა.

არ არსებობს და არც არსებულა დედამიწის ზურგზე ისეთი ავადმყოფობა, შრომა რომ ვნებდეს. აქტიური ქმედება ყველა სენს ჰკურნავს, განსაკუთრებით პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში. ამისკენაა მიმართული სასკოლო რეფორმა*, რომლის ძირითადი იდეების რეალიზაციას უკვე შეუდგნენ ჩვენს ქვეყანაში. თუ ეს ყველაფერი განხორციელდება, კიდეც მივაღწევთ ხასიათის ყოველგვარი ანომალიის პროფილაქტიკას. და მაშინ, მრავალი ათეული წლის შემდეგ, ამ წიგნს წაიკითხავენ, როგორც მოთხრობას დიდი ხნის გარდასულ ამბებზე, იმ დროზე, როცა ადამიანები თავიანთი ეგოიზმისა და კარიკატურული ვნებების მსხვერპლნი იყვნენ, მხოლოდ ერთურთის დათრგუნვასა და წამიერ განცხრომას ესწრაფოდნენ. გამოსავალი ისაა, რომ ყოველი ადამიანი სხვაზე ზრუნავდეს, ცდილობდეს არ შეაწუხოს გარშემო მყოფნი. არავინ შეურაცხყოს და ადამიანებთან ბრძოლას კი არ ახმარდეს თავის ენერგიას, არამედ მათთან თანამშრომლობას. კაცობრიობის საუკეთესო წარმომადგენლები ოცნებობდნენ იმაზე, რომ ადამიანთა ცხოვრება უფრო ჰარმონიული ყოფილიყო. მათ ეგონათ, რომ საკმარისი იყო გარდაექმნათ საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომ ყველაფერი თავისთავად გამოკეთებულიყო. ახლა კი საჭიროა ახალი ეტაპი დავიწყოთ — საკუთარი თავის გარდაქმნის ეტაპი. ამისთვის დაიწერა ეს წიგნიც. ხმელი ხე ძნელად იდრიკება. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, ახალგაზრდობა უნდა გარდავქმნათ, განსაკუთრებით სკოლამდელები და უმცროსკლასელები. მათ მხოლოდ დადებითი მაგალითები უნდა ვუჩვენოთ.

---

* იმ წანამძღვრების ფორმირებაში, რომელთა საფუძველზეც ჩვენს ქვეყანაში შემოღებულია სწავლება 6 წლის ასაკიდან, დიდი როლი შეასრულეს ქართველი პედაგოგების, პირველ რიგში კი შ. ა. ამონაშვილიხ შრომებმა. მისი ინიციატივით საქართველოს სსრ-ში 70-იანი წლებიდან წარმატებით ხორციელდება ექსპერიმენტთა სერია, რომელთაც ფიზიოლოგიურად და ფსიქოლოგიურად დაასაბუთეს სკოლაში ბავშვთა უფრო ადრეული სწავლების საჭიროება. შემდგომში, საქართველოს სსრ გამოცდილება საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე გავრცელდა.

გაიხსენეთ, რა კეთილები, ალერსიანები და გულისხმიერები არიან ბავშვები. მერე რაღა ემართებათ? ეს მშვენიერი არსებანი ზოგჯერ სასტიკ, გულფიცხ, თავნება და ჯიუტ მოზარდებად იქცევიან. ნუთუ ეს ბიოლოგიურად არის წინასწარ განსაზღვრული? არა, ეს ბიოლოგიური კი არა, სოციალური კანონებითაა გამოწვეული, ე. ი. აღზრდით, ცუდი მაგალითით...

და თუ ეს წიგნი ვინმეს თვალს აუხელს, დაანახვებს საკუთარ საქციელს, თუ ვინმეს დაეხმარება საკუთარი ბოღმის, სისასტიკის დათრგუნვაში, ავტორი თავის მიზანს მიღწეულად ჩათვლის.

შინაარსი

დიალოგი ლექციის წინ 3
„ნუ ვიქნებით ცრუმორწმუნენი და ცალმხრივნი“ 5
ფუძის ანგელოზები თუ სხვაპლანეტელები? 10
ნერვულ ნიადაგზე 18
ეიღბლო მოგზაურობა 20
ყოვლისშემძლე ანანკე 22
ჰფრინავის, დირექტორის, მსახიობის დრამა 23
ინდისის ავადმყოფობა 26
ღალატის გამო 28
იზოლაციის მსხვერპლნი 30
მუდმივი ჭრილობები 33
საკონცენტრაციო ბანაკის სინდრომი 36
ანა ფრანკის უკვდავება 40
ხიბაკუსის ტრაგედია 42
როცა ადამიანი ბედნიერი არ არის: მიზეზი და შედეგი 45
ხასიათის სიმახინჯე 47
ხალხში გასვლა 51
ყველაფერი ბავშვობიდან იწყება 53
ასაკობრივი და სიტუაციური მეტამორფოზები 56
რეგრესი თუ რღვევა? 58
შეიძლება თუ არა ხასიათის დისჰარმონიის შეძენა? 61
გენიალური ინფანტილები 62
გრინის სამყაროს სათავეებთან 67
„თოლიას“ გმირების დისჰარმონია 73
ნორმასა და პათოლოგიას შორის 76
ტკივილი მამათა გამო 79
გმადლობთ, ფრანსუა ტრიუფო! 80
ვინ ავადმყოფია, ვინ — ჯანმრთელი 82
ცნობილი მოაზროვნის შეცდომა 85
გამოუყენებელი შესაძლებლობები 89
როგორ ირღვევა კონტაქტები 90
ნოტალგიის საიდუმლო 94
ფიქრები ლოთობაზე, ეკვიანობაზე და ზოგიერთ სხვა ვნებათა ღელვაზე . . 96
ეჩვეული შეგრძნებათა მაძიებელნი 101
ბავშვები და ლოთობა 104
„ბა, ვაუკაცო, დალიე ცოტა...“ 105

მაშ, საჭიროა თუ არა მშრალი კანონი? 109
საეკვო დიდება და უეკველი შერცხვენა. 112
თანამედროვე ოტელოები 114
რა ვიცით ეკვიანობაზე? 118
ვნებათა ღელვა მხოლოდ ვნებათა ღელვას უთმობს 121
შურისძიება ყოვლისშემძლე მედროვეზე 123
ვაი ჭკუისაგან 126
ჯოკონდას მოპარვა 129
რა იქნება შემდეგ? 131
უბედური და მხიარული ტელესფორი 135
სიცოცხლე სხვების საკეთილდღეოდ 136

რედაქტორი ნ. დოლიძე
მხატვარი ი. გუკიევა
მხატვრული რედაქტორი თ. შარიფაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ნ. ქავთარაძე
კორექტორი ხ. სხვიტარიძე
გამომშვები ნ. ჩხეტიანი

ს. ბ. 5514

გადაეცა წარმოებას 26.06.87. ხელმოწერილია დასაბეჭდად 31.08.87. საბეჭდი ქაღალდი №1. 60×84 1/16. გარნიტური ვენა. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 8.37. პირ. საღ.-გატ. 8.72. საღრ.-საგამომც. თაბახი 8.16. ტირაჟი 20.000. შეკვ. № 1010. უე 01 428.
ფასი 35 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
თბილისი მარჯანიშვილის 5.

380060 ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას პრ. მედქალაქი,
II სასწ. კორპ., საქ. სსრ გამსახლობის № 4 სტამბა.
380060, г. Тбилиси, пр. Важа-Пшавела, Медгородок,
II учеб. корп. типография № 4, Госкомиздата Груз. ССР.

БУЯНОВ МИХАИЛ ИВАНОВИЧ

Необычные характеры

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили 5
1987